საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№13 (56)
14 - 20 აპრილი, 2010


# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net


**სააკაშვილი მილიონებს იხდის, ობამა კი სარქისიანს ხვდება** 14

# ვანომალია 2010 4



**ვის ფულს უხდიდა გივი თარგამაძე სტალინის ძეგლის ასაფეთქებლად რუს სამხედროებს?** 3

**ВАНО МЕРАБИШВИЛИ:**
**Знаете, Гиви Таргамадзе в августе 2008-го предложил российским военным $50 тыс. за то, чтобы они разрушили памятник Сталину в Гори. Тогда ведь контакты неофициальные были, и за деньги можно было выкупить что-то у русских. Вот и решили выменять на деньги возможность избавиться от Сталина. Они ведь разбомбили Гори, но памятник Сталину не тронули.**
— И что ответили Гиви Таргамадзе?
**— Они оскорбились. За все остальное они готовы были брать деньги, но не за это.**

## ოკეანისგაღმიდან შეკვეთილი ექსპერიმენტების დრო წავიდა! ჩვენ უკრაინასა და ყირგიზეთს შორის უნდა ავირჩიოთ 6

## ვლადიმერ ვახანია თავის სახელსა და ღირსებას იცავს



20 პოლიტპატიმარმა აკადემიკოსმა ვლადიმერ ვახანიამ უარი განაცხადა საპროცესო შეთანხმებაზე

«VINCIT OMNIA VERITAS»
«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»

## სოდის თანამშრომლები მაღრაძეს ოთხი საათი სცემდნენ, ქამრით ახრჩობდნენ და აწამებდნენ 9

## „საქართველო და მსოფლიოში“ დაბეჭდილი წერილის გამო პატიმარ ირაკლი ხოხიაშვილს სასტიკად გაუსწორდნენ

**იგი ფიზიკური განადგურებისაგან დაცვას ითხოვს** 18

## 22 გიორგი არველაძის მსხვერპლი № 2

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა ხდება ხელისუფლებაში?

13 მარტის „იმედის“ სატელევიზიო მარაზმის შემდეგ გვეგონა, აღარაფერი გაგვიკვირდებოდა, მაგრამ ვინ მოგვცა ამის შანსი! ამჯერად უკვე რუსულ გაზეთ „კომერსანტში“ დაიბეჭდა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის ზედიზედ ორი ინტერვიუ. თვითონ ეს ფაქტია საკვირველი, ვინაიდან ბატონი ვანო, ჩვეულებრივ, ინტერვიუებს საერთოდ არ იძლევა, ხოლო ამჯერად ზედიზედ ორი და თან სად? – რუსეთში, რომელთანაც, მისი თქმით, ომი ჯერ არ დამთავრებულა.

## ვანო მერაბიშვილის ცინიკურმა გამონათქვამმა ევროკავშირის კარი საბოლოოდ დაგვიხურა, სადაც ისედაც არავინ არ გვეპატიჟებოდა



„ინტერვიუ, ძირითადად, სწორად ასახავს მინისტრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს“.

**პირველი ინტერვიუ 29 მარტს გამოქვეყნდა და მას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. იქ საინტერესო მხოლოდ მისი ერთი საკვანძო პასუხი იყო, რომ, თუ საჭიროდ ჩათვალა, კანონს ყურადღებას არ მიაქცევს! ეს არის გასაოცრად ცინიკური განცხადება, რასაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში შს მინისტრის გადაყენება მოჰყვებოდა! მაგრამ, რასაკვირველია, არა — სააკაშვილის ბანანის რესპუბლიკაში.**

ალმოჩნდა, რომ თურმე ეს მხოლოდ უვერტიურა იყო. აი, შემდეგი პუბლიკაცია კი სულ „მარგალიტებითაა“ სავსე. იგი იწყებს განცხადებით, რომ სახელისუფლო პარტიას დედაქალაქში 64-პროცენტიანი რეიტინგი აქვს. **ეს რიცხვი არასამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრს მიეკუთვნება, როდესაც თბილისი პრაქტიკულად მთლიანად ამ რეჟიმის წინააღმდეგაა განწყობილი. ამას კი თვით ჩვენი „ბრძენი მამა და მასწავლებელი“ წამყვან ამერიკულ ჟურნალს ეუბნება და, რამაც ივლისში პარლამენტში დიდი აყიოტაჟი გამოიწვია. ეჭვი იბადება, რომ ეს არა იმდენად სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგია, რამდენადაც ფარული სატელეფონო მოსმენებითაა გამოთვლილი.** და, როდესაც ყველამ ისედაც იცის ამ ფარული მოსმენების შესახებ, რამდენად გულახდილი იქნებოდნენ მოქალაქეები ტელეფონით პოლიტიკაზე საუბრისას, თვითონ განსაჯეთ. ამავე დროს მმართველ პარტიას მერობის თავისი კანდიდატი ჯერ არ დაუსახელებია, ვინაიდან ამასთან დაკავშირებით „ნაცებში“ დიდი დავა და ბრძოლა მიდის. **უგულავა კი ამ დღეებში პირველად გამოჩნდა გაფითრებული და ნირწამხდარი — ეშინია, რომ თვეების განმავლობაში დახარჯული მილიონები, შესაძლოა, წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს.**

**ორიოდე სიტყვა ამ გაზეთზე. ის ბადრი პატარკაციშვილის მედიაიმპერიის ნაწილი იყო და მხოლოდ 2007 წლის ბოლოს, ლონდონში გადასვლის შემდეგ, მიჰყიდა „გაზპრომთან“ დაახლოებულ რუს ოლიგარქს. რატომ მაინც და მაინც რუსულ გაზეთში განიხილავს ვანო მერაბიშვილი ადგილობრივი არჩევნების შედეგებს? ამაზე პასუხი არ არის. თან იმასაც მიანიშნებს (რაც ისედაც არ არის საიდუმლო), რომ ამ პროცენტებით მანიპულირება შეუძლია. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი – ასახელებს მერობის ოთხ შესაძლო კანდიდატს და მათ (ფსევდო) რეიტინგებს, მაგრამ არაფერს ამბობს ერთ-ერთ მთავარ ფავორიტზე – გია ჭანტურიაზე. საკითხავია, რატომ? ეს კი იმ შესაძლო სცენარზე მიუთითებს, რომელზეც პრესაში საუბრობენ.**

შემდეგი მისი განცხადება კატეგორიულობით გამოირჩევა. იგი აცხადებს, რომ ალასანია ვერასოდეს გახდება პრეზიდენტი. **ნეტავ, საიდან იცის? ალბათ, ლელა კაკულიასთან გადის კონსულტაციებს. ყოველ შემთხვევაში, თავიანთ პოზიციას, ხელისუფლებას ნებით არასოდეს დათმობენ, არც არჩევნებით.**

ამის შემდეგ ბატონი ვანო ბაგრატიონთა ქორწინებას პრიმაკოვის პროექტს უწოდებს, მაგრამ თარიღები აერია: **ის ქორწილი შარშან, 8 თებერვალს გაიმართა, ხოლო პრემიერმა პუტინმა 80 წელს გადაცილებულ თბილისელ ევგენი (ჟენია) პრიმაკოვს საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარება ნახევრად ხუმრობით, ჭიქით ხელში, მხოლოდ წლის ბოლოს დაავალა, როდესაც ბაგრატიონთა წყვილი უკვე კარგა ხნის გაცილებული იყო. ამიტომ ეს უნდა გავაანალიზოთ, როგორც საზოგადოების შეგნებული დეზინფორმაცია და საპატრიარქოს დისკრედიტაციის ირიბი მცდელობა, ვინაიდან ეს იდეა სწორედ საპატრიარქოში დაიბადა და პრიმაკოვი და რუსული სპეცსამსახურები ამაში გარეული ვერაფრით ვერ იქნებოდნენ! ეს კარგად ჩაფიქრებული სამეფო ქორწინება კი, ალბათ, იმიტომ ვერ შედგა, რომ ბაგრატიონები გერმანიაში სამკურნალოდ წასულ პატრიარქს არ დაელოდნენ და ჯვარი უიმისოდ დაიწერეს, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო.**

კითხვაზე, თუ რატომ არ მოსწონს ხელისუფლებას ქართულ და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიათა კონტაქტები, იგი პასუხობს — No comment! არადა, ეს ძალიან მტკივნეული თემაა მართლმადიდებლებისთვის; ამიტომ შეეძლო ყასიდად მაინც ეთქვა, რომ ეს ასე არ არის.

ბატონი მინისტრი ამაყად ასახელებს „რეფორმებს“ ჯანდაცვასა და განათლების სფეროებში. თუმცა ამ ბოლო დროს ყველამ გაიგო, რომ ჯანდაცვის სფეროს რეფორმამ თავისი „100 საავადმყოფოთი“, როდესაც გაყიდული საავადმყოფოების ნაცვლად ახლები უნდა აშენებულიყო, სრული ფიასკო განიცადა. ასევე განათლების სფეროში დამამთავრებელი კლასის მოწაფეებს სკოლებში დაუწესეს 10 გამოცდა, რასაც ისინი სწავლების არსებული ფორმების პირობებში, ცხადია, ვერ ჩააბარებენ. **ასეთი უცნაური ექსპერიმენტი რომ „რეფორმა“ არ არის, სააკაშვილისა და მის ხალხის გარდა, ყველამ იცის. ასე რომ, მერაბიშვილის ხმამაღალი განცხადება – რეფორმა ეს არის დემოკრატია და ამიტომ ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, დემოკრატიულები ვართ – სრულიად ფუჭი სიტყვების თამაშია! აქვე დავაზუსტებ, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდა რუსეთშიც არის და, საერთოდ, მთელს ევროპაში (ჩემი ორივე შვილი ბრიტანულ უნივერსიტეტებში სწორედ ასე მოხვდნენ. — რ.კ.).**

და აი, მივედით ყველაზე სენსაციურ განცხადებამდე, რომელსაც ვერავინ ახსნის. **თურმე 2008 წლის აგვისტოში, გაგანია ომის დროს, როდესაც ჩვენი დახოცილი ბიჭების ცხედრები ცხინვალში ეყარა და განგებ არ გამოჰქონდათ, დაღუპულთა რაოდენობა ხალხს რომ არ სცოდნოდა. ამ დროს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივია თარგამაძე გორში ქრთამს — ორმოცდაათი ათას დოლარს(!!!) სთავაზობდა რუს გენერალს გორის ცენტრში სტალინის ძეგლის აფეთქების სანაცვლოდ, რაზეც რუსები აღშფოთებულან! ეს ხომ დიდების მემორიალის აფეთქებაზე უარესი ფაქტია, და როდესაც მინისტრი იქვე ლაპარაკობს ქართველებისა და რუსების განსხვავებულ ფასეულობებზე, ვერ ხვდება, რომ მას ჩვენ მორალურად წაგებულ მხარედ გამოვყავართ!**

**მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა იცის, რომ გივია თარგამაძის ეს საქციელი სისხლის სამართლის დანაშაულია. მაშ, რატომ ყვება ამას საჯაროდ და თანაც რუსეთის პრესაში? მკითხველი თვითონ გაერკვეს ქართული ჭუჭყიანი პოლიტიკის ამ ლაბირინთში, მე კი ამას „ჩაშვებას“ ვუწოდებ!**

## მოკლედ



### ნოღაიდელმაც გაიგო

**საოცარია პირდაპირ, მოძრაობის „ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა „ევრიკა!“ რომ არ იყვირა.** „საქართველო დამოუკიდებელია, მაგრამ ჯერ ერთიანი არ არის“, — აი, ასეთ მარტივ ფორმულირებაში გამოისახა საუკუნის აღმოჩენა, რომელიც ნოღაიდელმა 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან გაგვიმხილა. მერე ძველი ჭეშმარიტებებიც შეგვახსენა და ბრძანა: „სანამ სააკაშვილის რეჟიმია ქვეყნის სათავეში, ის საფრთხე, რომელიც 1989 წლის 9 აპრილს იყო, მუდმივად იქნება“.



### ოპოზიციის ნოღაიდელიზაცია

**დავით ბერძენიშვილმა ჩვენი დაღლილი ნოღაიდელი ექსპერტის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა და დაასკვნა: „მისი პოლიტიკური ფასი ორი შაურია“.** მერე განმარტა, ხელისუფლება მას იმიტომ არ ერჩის, რომ დაინტერესებულია, მთავარ კონკურენტად ზუსტადაც ხისტი ნოღაიდელი წარმოაჩინოს და დანარჩენი ოპოზიციის ნოღაიდელიზაციაზეც იზრუნოსო. ამ ორშაურიანმა კი — „ჩვენ ხელისუფლებაში მოვდივართ და მხარდაჭერა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც გვჭირდებაო“ და მსოფლიო ტურნეში მიდის.



### ყველანი თათბირზე!

**თემურ შაშიაშვილს ადგილობრივი ფაქტები ეცოტავა და გადაწყვიტა, ხელისუფლების მამხილებელი მასალები უცხოეთში ეძებოს.** მარშრუტი უკრაინიდან იწყება, შემდეგ კი ბელორუსში, ლიტვასა და ვლადიკავკაზში გრძელდება. სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად პირველი ნაბიჯი ჩვენ გადავდგით, ახლა ამ საკითხზე მოსახლეობას მოვეთათბირებით და ხელისუფლების კრიმინალობასაც დავამტკიცებთო. თქვენთან თუ ჯერ არ უთათბირია, დაელოდეთ, ათ დღეში დაბრუნდება.



### ქართველები ისევ გარბიან

**ქართველ მომლოცველთა 50-კაციანმა ჯგუფმა ისრაელის საიმიგრაციო სამსახურს პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა.** მათი თქმით, სამშობლოში მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, რადგან დევნიან. ებრაული კანონმდებლობით, თავშესაფრის მაძიებლების ქვეყნიდან გაძევება იკრძალება, ამიტომ ისრაელის საიმიგრაციო პოლიციამ მათ უახლოესი სამი თვის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება მისცა. ქართველების შემდგომ ბედს ისრაელის ხელისუფლება გადაწყვეტს.



### ესეც ცივილიზაცია

**სააკაშვილს შუშის შენობების სიყვარული კარგა ხნის წინ კი დაეწყო, მაგრამ ამის მოტივი ახლაღა განგვიმარტა.** „ეს ხიდი განასახიერებს იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი მმართველობის კონცეფციაში და სტილში — გამჭვირვალეობას“, — განაცხადა რიყეზე მშენებარე შუშის ხიდთან დაკავშირებით. და რაკი შუშის შენობები და ხიდები უკვე გვაქვს, სავსებით ლოგიკურად ჟღერს პრეზიდენტის შემდეგი განცხადებაც: „საქართველო თანამედროვე ცივილიზაციის ნაწილი ხდება“.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ აქვე მერაბიშვილი ტრაბახობს, რომ მობილურის ქურდობისთვის ხალხს ციხეში 5 წლით სვამს. **ცივილიზებულ სამყაროში ასეთ ქვეყანას „პოლიციურ სახელმწიფოს“ უწოდებენ, რაც „დემოკრატიული სახელმწიფოს“ ანტიპოდია და ერთმანეთთან შეუთავსებელია, ისევე, როგორც სააკაშვილის შემზარავი სიტყვები „ნულოვანი ტოლერანტობის“ შესახებ, რაც ცხოვრებაში დაინერგა კიდეც.**

მინისტრის მხრიდან საინტერესო ლოგიკაა, რომ უკრაინაში, სადაც პრეზიდენტმა, მიუხედავად სახელისუფლო რესურსისა, მხოლოდ 5% მიიღო, ხოლო ოპოზიციის ლიდერმა გაიმარჯვა, დემოკრატია არ ყოფილა, ჩვენთან კი თურმე დემოკრატიაა(?!). **იგი დასცინის უკრაინულ საგზაო პოლიციელებს, რომელთაც, თუ 200 გრივნაზე ნაკლებ ქრთამს აიღებენ, მხოლოდ აჯარიმებენ და სამსახურში ტოვებენ. აი, გივია თარგამაძეს კი შეუძლია, ომის დროს მტერს შესთავაზოს 50000 დოლარი ქრთამის სახით და... არაფერი! მეტიც, იქვე გაკეთდა მინიშნება, რომ ოკუპანტებს ქრთამს სხვა ობიექტების დასაბომბადაც სთავაზობდნენ.**

მაგრამ ყველაზე საშიში განცხადება ისაა, რომ საქართველო თურმე ჩეჩნებს ეხმარება! ეს რომელ ჩეჩნებს, ტერორისტებს? იმიტომ, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რამზან კადიროვს არავის „დახმარება“ არ სჭირდება. ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს სწორედ კადიროვის შექმნილი ჩეჩნური ბატალიონი სულიმ იამადაევის მეთაურობით შტურმით შევიდა ცხინვალში და ჩვენ გამოგვაძევა, ხოლო შემდეგ სწორედ ისინი ოსებთან ერთად აწიოკებდნენ გორის რაიონის სოფლებს! 2009 წლის 24 დეკემბერს კი რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ საქართველოს ბოლო უნდა მოეღოს, როგორც ტერორიზმის ხელშემწყობ ქვეყანას! **მოსკოვის მეტროში მოწყობილ ბოლო ტერაქტებზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო დოკუ უმაროვმა და თავის თავი ე. წ. „კავკასიის ემირად“ გამოაცხადა. მაგრამ ამის შემდეგ რამზან კადიროვმა ბრძანა, რომ კავკასიის „ხალიფატის“, „იმამატისა“ თუ „ემირატის“ თვითგამოცხადებული „ემირი“, ანუ მისი ნომერ პირველი მტერი დოკუ უმაროვი ამ ტერაქტებს ვერ განახორციელებდა, ე. ი. ჩრდილოკავკასიელების კვალი ამ საქმეში მან გამორიცხა. მაშ, ვისზე გადატყდება ჯოხი და ვინღა რჩება რუსეთს ტერაქტებისათვის დასასჯელი? ეს არც თუ ისე ძნელი გამოსაცნობია!**

ბოლო „შედევრი“ კი ასე ჟღერს „პროევროპული“ ქვეყნის შს მინისტრისაგან: **„ევროპელებს თითქმის არასოდეს არ უნდა დაუჯეროთ“. საინტერესოა, ამ დღეებში, ასე გაპიარებული შეხვედრების დროს ხელისუფლების წარმომადგენლები რაზე ელაპარაკებოდნენ ევროკომისარს და, საერთოდ, ვის უჯერებენ, თორემ მერაბიშვილის სიტყვები, მხოლოდ ირონიულ ღიმილს თუ გამოიწვევს. ასევე, კარგი იქნება, თუ დაზუსტდება, მაინც ვინ არის მის ინტერვიუში ნახსენები „გონიერი დასავლეთი“ და ვინ არის კონკრეტულად „არაგონიერი“. თუმცა სააკაშვილმა ადრე გარკვევით თქვა და, ალბათ, მერაბიშვილიც მათ გულისხმობდა. ესენია ნიკოლა სარკოზი (ვისი ძალისხმევითაც რუსული ტანკები იგოეთთან გაჩერდნენ) და ანგელა მერკელი (ვინც საქართველოს ნატოში გაწევრიანება დაბლოკა).**

ხუთშაბათს, ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ, მოისმინა რა მერაბიშვილის ეს „შედევრი“, ზემოთ ნახსენები ევროკომისარი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში გაოგნებული კითხულობდა: **„და თქვენ ამის შემდეგ გინდათ ევროკავშირში შესვლა?“** აი ასე, მინისტრის ამ ცინიკურმა გამონათქვამმა საბოლოოდ დაგვიხურა ევროკავშირის კარი, სადაც ისედაც არავინ არ გვეპატიჟებოდა. მაგრამ ხელისუფლებას უყვარდა ამ „ნათელი მომავლით“ ხალხისათვის თვალის ახვევა. **თანაც იმავე დღეს სააკაშვილმა ევროკომისართან ერთად გახსნა ე. წ. ევროპის სახლი და საქართველო ევროპის ნაწილად გამოაცხადა. მაგრამ ევროკომისარი ჯერ ოპოზიციას რომ შეხვედროდა და მერაბიშვილის გამონათქვამს გასცნობოდა, საეჭვოა, მას ამ სახლის პომპეზურ გახსნაში მიეღო მონაწილეობა. აი, ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“!**

მოგვიანებით შსს აქვეყნებს განცხადებას: **„ინტერვიუ, ძირითადად, სწორად ასახავს მინისტრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.“** აქედან რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ? როგორც ჩანს, ძალიან მძიმე – ხელისუფლება გახლეჩილია და ერთმანეთს უპირისპირდებიან. ისინი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობენ, ქვეყანაზე კი ხელი აქვთ ჩაქნეული, რომელიც, საით მიექანება, უკვე აღარავინ იცის.

**ვანო მერაბიშვილმა ამით ხომ უთხრა რუსეთის ხელმძღვანელობას – სწორედ მე ვარ ყველაზე მაგარი და კარგი ბიჭი თბილისში და ანგარიში გამიწიეთო? როგორ გგონიათ, ზურაბ ნოღაიდელის ეჭვიანი კონკურენტია? აქ კი ნოღაიდელი დაიბოღმა და მერაბიშვილს ლამის მოკვლით დაემუქრა! ქართველ ხალხს კი ლამის მოთმინების ძაფი გაუწყდეს და აყვირდეს – რა გინდათ, გაგიჟდით? ყირგიზეთის სცენარი გინდათ?**

**რამაზ კლიმიაშვილი**

**მერაბიშვილი ტრაბახობს, რომ მობილურის ქურდობისთვის ხალხს ციხეში 5 წლით სვამს. ცივილიზებულ სამყაროში ასეთ ქვეყანას „პოლიციურ სახელმწიფოს“ უწოდებენ, რაც „დემოკრატიული სახელმწიფოს“ ანტიპოდია და მასთან შეუთავსებელი.**

# ვის ფულს უხდიდა გივი თარგამაძე სტალინის ძეგლის ასაფეთქებლად რუს სამხედროებს?



**შს მინისტრმა საქართველოს პარლამენტის წევრი გივი თარგამაძე დანაშაულში ამხილა. რუსულ გამოცემა „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ „2008 წლის აგვისტოში გივი თარგამაძემ რუს სამხედროებს 50 ათასი დოლარი შესთავაზა, რათა სტალინის ძეგლი აეფეთქებინათ. მაშინ კონტაქტები არაოფიციალური იყო და ფულით რუსებისგან რაღაცების გამოსყიდვა შეიძლებოდა. გადავწყვიტეთ, ფულის სანაცვლოდ, სტალინის ძეგლისგან გავთავისუფლებულიყავით. მათ ხომ გორი დაბომბეს, სტალინს კი ხელი არ ახლეს“.**

**ყველაზე აღმაშფოთებელი ამაში, ცხადია, ის არის, რომ თარგამაძე რუს სამხედროებს გაურიგდა. ასევე ყოვლად ამაზრზენია, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე 50 000 უხდიდა რუსებს გორის ცენტრში სტალინის ძეგლის დაბომბვაში. მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ პროვოკაციაში ქრთამს იხდიდა და შინაგან საქმეთა მინისტრი ამაზე მშვიდად საუბრობს „ფულით რუსებისგან რაღაცების გამოსყიდვა შეიძლებოდა“. ამ ყველაფერთან ერთად, საინტერესოა, ვის ფულს იხდიდა ნაცმოძრაობის სახე. თავისი ხელფასიდან დანაზოგით შეაგროვა 50 000 თუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოეყოთ ოკუპანტი ქვეყნის მეომრებისთვის ფული? არც ის არის გამორიცხული, რომ ნაცებს „არასასურველი ძეგლების აფეთქებისა და საქართველოს წინააღმდეგ სხვა პროვოკაციათა მოწყობის ცალკე ფონდი ჰქონდეთ. არადა, სწორედ ამგვარ პროვოკაციათა ჯაჭვი გადაიზარდა საბოლოოდ იმ ტრაგიკულ მოვლენებში, რასაც 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა ადგილი.**

სამწუხაროდ, შეუძლებელი აღმოჩნდა თარგამაძესთან დაკავშირება. **შს მინისტრი კი ინტერვიუებს მხოლოდ რუსულ გამოცემებს აძლევს, ამიტომ ამ სკანდალური განცხადებების შეფასება ადვოკატ ეკა ბესელიას ვთხოვეთ.**

— საგაზეთო ინტერვიუში შს მინისტრი იძლევა ინფორმაციას ისეთი ტიპის ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამოძიების დაწყების საფუძველია. კერძოდ, აქ იკვეთება, ერთის მხრივ, სახელმწიფო, პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ უკანონო, ანუ დანაშაულებრივი გარიგების შეთავაზება საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის წარმომადგენელთან, განახორციელოს აფეთქება ქვეყნის ტერიტორიაზე, რასაც შესაძლოა მსხვერპლი მოჰყოლოდა. მეორეს მხრივ, ეს არის დანაშაულის ჩადენისკენ პროვოცირება. როდესაც სახელმწიფო მოხელე ამ ტიპის შეთავაზებას აკეთებს, საუბარია 50 000 დოლარზე, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ არის სამოხელეო ტიპის დანაშაული, ანუ თანამდებობის პირის მხრიდან ჩადენილია დანაშაული.

სს საპროცესო კოდექსის თანახმად, ასეთ შემთხვევაში გამოძიების ორგანო, ანუ პროკურატურა უნდა იწყებდეს წინასწარ გამოძიებას; უნდა დაკითხოს ყველა პირი და გამოიკვლიოს ამ ფაქტების რეალობა. ეს ინტერვიუ, გარდა იმისა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, შემაშფოთებელია, პირდაპირ დანაშაულის ჩადენის თაობაზე იძლევა ფაქტებს.

**— ანუ მერაბიშვილმა, ფაქტობრივად, თარგამაძე დანაშაულში ამხილა?**

— დიახ, მერაბიშვილმა პირდაპირ თქვა, რომ თარგამაძემ ჩაიდინა დანაშაული და ეს გამოძიების დაწყების საფუძველია.

**— რა პოლიტიკურ შეფასებას მისცემთ სახელმწიფო მოხელის ქმედებას, რომელიც გაურიგდა რუსებს, გარკვეული თანხის საფასურად აეფეთქებიათ სტალინის ძეგლი. თუკი ფულით რაიმეს მოგვარება შეიძლებოდა, იქნებ აფეთქებებისა და აწიოკებისაგან გადაერჩინათ გორი?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ინტერვიუ კიდევ უფრო შემაშფოთებელია და ის ფაქტი, რომ საომარ მდგომარეობაში მყოფი, ოკუპანტი ქვეყნის სამხედრო მოხელეებთან აწარმოებს ამ ტიპის მოლაპარაკებას ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი, აბსოლუტურად ამორალურია. სამართლებრივი შეფასება უკვე მივეცით ამას, თუმცა პოლიტიკურადაც და მორალურადაც გაუმართლებელი ქმედებაა. რა უფლება აქვს ხელისუფლებას, ასეთ შემთხვევაში, სხვისკენ გაიშვიროს ხელი და ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრა ღალატად მონათლოს, მაშინ, როცა ამ ტიპის გარიგებებსა და ურთიერთობებზე ღიად ლაპარაკობენ.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რა ფარული ურთიერთობებია საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. ეს ინტერვიუ სხვა ძალიან საშიშ ტენდენციებსაც შეიცავს. მასში საუბარია ჩეჩნეთის დაჯგუფებებისადმი დახმარებაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე. საუბარია, რომ ევროპას არ უნდა, მოუსმინოს საქართველომ და ა.შ თავისი შინაარსით, ეს მართლაც გამაოგნებელი და შოკის მომგვრელი ინტერვიუა; მითუმეტეს, როცა მას შს მინისტრი აკეთებს. განმარტებები, რომ თურმე მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა და შეიძლება ასეთ ინტერვიუებს იძლეოდეს, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო და გაუაზრებელია. ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოება აქტიური, ყურადღებიანი და ფხიზელია, მსგავსი განცხადებები შს მინისტრის გადასაყენებლად კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი გახდებოდა.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### ეს სამინისტრო უნდა გაუქმდეს!

**ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გადაწყვიტა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო უნდა გავაუქმოთო.** ამოუვიდა ყელში მისი უმოქმედობის ყურება და, აბა, რა ქნას? ჯანდაბას უმოქმედობა, ბიუჯეტს მაინც დაანებონ თავი, მაგრამ რომ არ ანებებენ? ახლა 55 მილიონი ლარი აქვთ ასათვისებელი და თურმე სულ თავის ჭკუაზე ფლანგავენ. იაპონური გრანტით შემოტანილ ტექნიკას გლეხებს უმალავენ, სააკაშვილი კი კვეზერელსა და მის ხელქვეითებს ღირსების ორდენებს ურიგებსო, — ცხარობს შატბერაშვილი.



### პატიმრები დაგვეჩაგრნენ

**საქართველოს სახალხო დამცველი თავის აპარატიანად აღშფოთებულია არამართლმადიდებელი პატიმრების დისკრიმინაციის გამო.**

როგორც ომბუდსმენის 2009 წლის მეორე ნახევრის ანგარიშშია აღნიშნული, 2008 წლიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვა კონფესიების წარმომადგენელთა შესვლა საპატრიარქოს ნებართვის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

რელიგიური გაერთიანებების უმრავლესობისთვის კი ნებართვის მისაღებად საპატრიარქოსადმი მიმართვა მიუღებელია.



### კრიმინალური მმართველობა

**თბილისის მერობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ირაკლი ალასანიამ ჩვენს რეალურ ყოფას ნათელი მოჰფინა, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და „რუსთავი 2“-ის ეთერიდან ამაყად გვაუწყა, რომ სააკაშვილი ქვეყანას „კრიმინალური კარტელის მენტალიტეტით მართავს“.**

მას შემდეგ, რაც მაგრად ილანძღა, „თითოეული მოქალაქის ფინანსები ურცხვად იხარჯება ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანიაზეო“, მოაყოლა, „მე ნაკლებად მაინტერესებს, ვინ როგორ აფასებს ჩემს წინასაარჩევნო კამპანიასო“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# ვანომალია 2010

**ვანო მერაბიშვილის სკანდალურმა აღიარებამ, რომ გივი თარგამაძე რუსი სამხედროების მოსყიდვას ცდილობდა გორში სტალინის ძეგლის დასაბომბად, აალელვა საზოგადოებრივი აზრი. ვინც არ დაიზარა, ყველამ გამოთქვა თავისი პოზიცია. თითქოს ამოიწურა თემა, მაგრამ რა გამოლევს მრავალმხრივობისა და ქვეტექსტების ამ კლონდაიკს: სადაც ნიჩაბს დაჰკრავ, იქ ამოხეთქავს პროვოკაციული ჩანაფიქრის გეიზერი — საეჭვო განზრახვათა ბუნებრივი შადრევანი.**

პროვოკაციების ხელობას, იცოცხლეთ, კარგად ფლობენ. ახლა ამ ამორალობას პიარი ჰქვია, რომელიც კარგად მხოლოდ ფულით გაპოხიერებულ ნიადაგზე ხარობს.

„Деньги есть?“ — კითხულობდა ერთ დროს პოპულარული ფილმის გმირი არშინ მალალანი და თავადვე უპასუხებდა — „Есть, есть?“. თუ „ესტ“, ნებისმიერ პროვოკაციას ჰუმანიტარულ აქციად გაასაღებ, ხოლო რუს გენერალ სერგეი ჩაბანს, დსთ სამშვიდობო ძალების სარდალს, ისე ვაჟკაცურად დასძახებ: „Я обявлю Вас персоной нон грата...“, რომ კურდღელივით ააკანკალებ.

დიდი მამაცობაა.

**პატარ-პატარა პროვოკაციებმა აგვისტოს დიდ ტრაგედიამდე მიგვიყვანა. აი, იმ ომში გორის ცენტრში რუსეთის სამხედროების მიერ სტალინის ძეგლის დაბომბვაზე ხელის მოთბობა ჰქონია განზრახული ჩვენს ხელისუფლებას, რაც შს მინისტრმა გათქვა.**

სახლი რომ გეწვოდეს, მიეფიცხე, გათბები მაინცო, — პრაგმატიკოსების შავი იუმორია.

**იწვოდა სახლი — ქართლის გული და გ. თარგამაძე კიდევ ერთი ავიადარტყმისთვის წირავდა გორს და მის მოსახლეობას — 50 ათას, ალბათ, დოლარად, თორემ ამდენ რუბლად მოსკოვის მეტროში ღარისა ივანოვნასაც კი ვერ დაპატიჟებ.**

არ ვიცი, რა თქვეს შუამავლების ქართველობაზე რუსებმა, ქართველი კაცის სახსენებლის ამოძირკვას რომ სთავაზობდნენ მშობლიური მიწიდან.

ალბათ, კარგს არაფერს.

**ვთქვათ, დათანხმებოდნენ რუსი სამხედროები გორის ცენტრის დაბომბვას და ერთი ჭურვი მაინც მოერტყათ სტალინის ძეგლისთვის. ხომ ფეხზე დაუდგებოდნენ რუსებს ანტისტალინელები ყველა ქვეყნისა და ფიანდაზს დაუგებდნენ აქედან და ვაშინგტონამდე, სადაც უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ, რათა კაცობრიობის ყველა წარმატება აშშ-ის ძლევამოსილებას მოარგონ, მათ შორის, ფაშიზმზე გამარჯვებაც სრულად მიიწერონ. სტალინის დამსახურება კი არა, სამამულო ომს შეწირული 20 მილიონი საბჭოთა ადამიანი მათთვის მშრალი სტატისტიკაა და სხვა არაფერი.**

თუ გ. თარგამაძე და მისთანანი დაიყაბულებდნენ რუს სამხედროებს, დაებომბათ სტალინის ძეგლი, მაშინ პუტინისა და მედვედევის რუსეთს უფრო ადრე მიიღებდნენ ნატოს წევრად, ვიდრე ამ სტატუსის ამაოდ მაძიებელ საქართველოს.

რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობათა „გადატვირთვის“ პროცესის წარმატება მაშინ გენახათ.

**ჩვენებს — რა, ვირის თავ-ფეხი?**

**სწორედ — ეგ.**

ხომ ეგონათ ამათ, რომ, თუ რუსები სტალინის ძეგლს ააფეთქებდნენ, საქართველოში რუსოფობიის ახალ ტალღას ააგორებდნენ და ქულებს ჩაიწერდნენ პატრონებთან?

ეგონათ.

მაგრამ ჩაუვარდათ...

პრესაში უკვე ითქვა, რომ გ. თარგამაძის წინადადებას „ცეცხლი ჩვენზე!“ აუცილებლად მოჰყვებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი.

ვინ ამბოხდა ამის გამო? ვინ გამოვიდა ქუჩაში და მოითხოვა იმ „სტრატეგების“ დასჯა, ვინც მზად არის, გაწიროს საკუთარი ხალხი?

გორში, ყოველ შემთხვევაში, საპროტესტო გამოსვლები არ შეიმჩნეოდა. სხვათაშორის, ისევე, როგორც მაშინ, როცა სტალინის ძეგლი უგვანო წარწერებით წაბილწეს შინნახადმა ვანდალებმა.

ვინ გაბედავდა: გამარჯვებულებს არ ასამართლებენ — აგვისტოს ომი ხომ ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა?

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.**

**გორის ცენტრალურ მოედანზე, „საგუბერნატოროს“ სახურავს ტვინის ნახევარსფეროს ფორმის გუმბათი ადგას.**

**გორის გარშემო ატეხილი სკანდალის ფონზე ეს არქიტექტურული დეტალი ცალტვინობის ძეგლად აღიქმება.**

# რატომ ჩაქრა პრომეთეს ჩირაღდანი და რა ბედი ელის «დემოკრატიის ჩირაღდანს»?

**გასულ კვირას მოვლენები სწრაფად და დრამატულად ვითარდებოდა. ყირგიზეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, პოლონეთის პრეზიდენტი თანაგუნდელებთან ერთად ავიაკატასტროფაში დაიღუპა; სიმშვიდე არც საქართველოში სუფევდა. „კომერსანტში“ გამოქვეყნებულმა ვანო მერაბიშვილის უცნაურმა ინტერვიუმ ოპოზიციის გაღიზიანება და მწვავე პოლემიკა გამოიწვია. საერთოდ, ბოლო დროს სულ უფრო მეტი ისეთი მოვლენა ხდება, რომელთა ახსნა ჩვეული ლოგიკური შაბლონის ფარგლებში ერთობ ჭირს, ეს კი დიდი პოლიტიკური ცვლილებების ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.**

## ყირგიზეთის გადატვირთვა

**2010 წლის პირველი კვარტალი ჯერაც არ დასრულებულა, ხელისუფლება კი უკვე ორ პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში შეიცვალა. უკრაინასა და ყირგიზეთში მოვლენები განსხვავებული სცენარით განვითარდა, თუმცა, ორივე შემთხვევაში, კრემლის ფავორიტებმა იმარჯვეს, ხოლო თეთრი სახლი ამას გულგრილი დუმილით შეხვდა. ამერიკული პროექტები ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ერთი მეორის მიყოლებით იხურება. „ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ სული შედარებით მშვიდად დალია, „ტიტების რევოლუციამ“ კი — ხანმოკლე, თუმცა მტანჯველი აგონიის შემდეგ; რა ბედი ეწევა „ვარდების რევოლუციას“?**

კურმანბეკ ბაკიევის რეჟიმი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც 100%-ით პროამერიკული; ბიშკეკის საგარეო პოლიტიკის ვექტორი თანდათანობით მოსკოვისკენ იხრებოდა. უბრალოდ, ყირგიზეთის ხელისუფლებამ, არასწორად შეაფასა ახალი ტენდენციები გლობალურ (შესაბამისად რეგიონულ) პოლიტიკაში, მეტიც, ორი ზესახელმწიფოსგან დამატებითი ბონუსების მიღების შესაძლებლობას დახარბდა და „ბალანსის“ (მარტივად რომ ვთქვათ, „ორ სკამზე ჯდომის“) პოლიტიკის გატარება (ან იმიტირება) სცადა. შედეგმაც არ დააყოვნა. ვაშინგტონმა კი მის გადასარჩენად, ისევე როგორც უკრაინაში „ნარინჯისფერი“ ხელისუფლების შესანარჩუნებლად, თითიც არ გაანძრია. გამორიცხული არაა, თეთრმა სახლმა ანალოგიურად იმოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ „პირდაპირი და უშუალო საფრთხე“ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას დაემუქრება.

**„შეერთებულ შტატებს არჩევანის გაკეთება მოუწევს. მან ან უნდა შეაკავშიროს მოსაზღვრე რეგიონების პატარა ქვეყნები ძლიერი სახელმწიფოების წინააღმდეგ (რუსეთი, ჩინეთი, პერსპექტივაში — ინდოეთი) ან დაუშვას, რომ ამ სახელმწიფოებმა თავიანთი სამეზობლო სივრცე თავად განაგონ და, თავის მხრივ, დათანხმდნენ იმას, რომ აშშ გლობალური მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტაში ლიდერის როლს შეასრულებს“**, — წერდა The American Interest 2009 წლის ბოლო, ნოემბერ-დეკემბრის ნომერში, უშუალოდ რუსული კონტრიერიშის დაწყების წინ. ამ დილემის დაფიქსირებით საქმე არ შემოიფარგლა და მას შემდეგი პასაჟი მოჰყვა: **„მეორე ვარიანტის არჩევაში არაფერი ახალი და უჩვეულო არ იქნება. როდესაც აშშ, როგორც ზესახელმწიფო ძლიერების მწვერვალზე იდგა, იგი ხალისის გარეშე, მაგრამ რეალისტურად ეგუებოდა სსრკ-ის დომინირებას აღმოსავლეთ ევროპაში“**. შემდეგ ეს საკმაოდ გავლენიანი გამოცემა წერს იმაზე, რომ კრემლის ურთიერთობა ფინეთთან **„გავლენის სფეროებში მოქმედების ტრადიციული ნორმების ფარგლებში ჯდებოდა“** და ამერიკული მედიისთვის ერთობ მოულოდნელად (ყოველ შემთხვევაში, აქამდე) დასძენს, რომ **„რუსეთის ურთიერთობა ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ამავე ნორმებს მნიშვნელოვან წილად შეესაბამება“.**

ბოლო მოვლენები პოსტ-საბჭოთა სივრცეში მიანიშნებს იმაზე, რომ ვაშინგტონი უკვე აღარ დგას ხსენებული დილემის წინაშე, რადგან საბოლოო არჩევანი, როგორც ჩანს, გააკეთა. საუბარია არა ყურადღების დროებით მოდუნებაზე, არამედ ცივ გათვლასა და გააზრებულ არჩევანზე, რომელიც, სავარაუდოდ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა.

დაახლოებით იმ საათებში, როდესაც ბიშკეკის ქუჩებში დასისხლიანებულ შს მინისტრს დაათრევდნენ, ქართველი მაღალჩინოსნები ერთი მეორის მიყოლებით აკეთებდნენ (ერთობ ნერვიულ) განცხადებებს იმის თაობაზე, რომ მსგავსი სცენარის გამეორება საქართველოში გამორიცხულია. **ცხადია, პირდაპირი გაგებით არაფერი განმეორდება; „ყირგიზული სცენარი“ კარგად მუშაობს ყირგიზეთში, „ჰონდურასული“ — ჰონდურასში, მადაგასკარსაც კი თავისი სპეციფიკა აქვს. ამ საქმეში ერთი და იმავე შაბლონის გამეორებისთვის ორდენებს არავინ იძლევა, ხოლო შემოქმედებითი მიდგომა და ზომიერი იმპროვიზაცია ფრიად დაფასებული რამაა.** თუმცა ეს დეტალებია, მთავარი კი, ალბათ, შემდეგია: **თუ ორი ზესახელმწიფო თანხმდება იმაზე, რომ ესა თუ ის რეჟიმი (ან პოლიტიკოსი) მათი ახალი ურთიერთობების ლოგიკაში არ ჯდება, ეწინააღმდეგება მას, მისი გადარჩენის შანსი თითქმის ნული ხდება. ისე, ძლიერ კი უნდა მოინდომო, რომ ისინი ასეთ დასკვნამდე მიიყვანო.**

## პრეზიდენტის თვითმფრინავი

ძალიან **მოკლე პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა ორი მთავარი მოკავშირე დაკარგა. ხელისუფლებიდან ჯერ ვიქტორ იუშჩენკო წავიდა; გასულ შაბათს კი სმოლენსკთან მომხდარ ავიაკატასტროფაში თანაგუნდელებთან ერთად პოლონეთის პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ „ახალგორის ინციდენტის“ შემდეგ იგი ჩვენს ქვეყანაში არ ჩამოსულა, იგი საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე წონიან ლობისტად რჩებოდა და რუსეთთან კონფრონტაციაში სააკაშვილის ერთგული თანამებრძოლი იყო.**

ისინი, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული „ნეოკონების“ სტრატეგიის ფარგლებში ერთობლივად მოქმედებდნენ. პოლონეთის ისტორიაში ამ იდეამ ხორცშესხმა გაცილებით ადრე, XX საუკუნის დასაწყისში, იუზეფ პილსუდსკის მიერ ჩამოყალიბებულ „პრომეთეიზმის“ კონცეფციაში ჰპოვა, რომელიც რუსეთის იმპერიის (შემდგომ სსრკ-ის) დასუსტებისთვის მის საზღვრებში (მოდერნიზებულ ვარიანტში, გავლენის სფეროშიც) მცხოვრები არარუსი ერების განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოყენებას გულისხმობდა.

**პოლონეთს ამ სქემის ფარგლებში წინამძღოლის, თავისუფლების ჩირაღდნით აღჭურვილი „პრომეთეს“ როლი ეკისრებოდა. „პრომეთეს ძეგ-**

## მოკლედ




### „Citigroup“-მა ბოდიში მოიხადა

**ფინანსური კრიზისის გამო ახლა უკვე ბოდიშებს იხდიან.**

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ფინანსური კორპორაციის „Citigroup“-ის ყოფილმა დირექტორმა ჩარლზ პრინსმა და ამავე კომპანიის უფროსმა მრჩეველმა რობერტ რუბინმა ფინანსური კრიზისის გამომძიებელი ფედერალური კომისიის წინაშე გამოსვლისას ფინანსური კრიზისის გამო ბოდიში მოიხადეს.

„Citigroup“-მა 2008 წელს 28 მილიარდი დოლარი დაკარგა და სამსახურიდან 50 ათასი თანამშრომელი დაითხოვა.



### „თბილისელი ბიუროკრატი“ გილაური

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე თურმე, უკვე ორი წელია, წერილს წერილზე უგზავნის საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს, მაგრამ პასუხს არავინ სცემს.**

წერილებში ვარშალომიძე აჭარისთვის ადმინისტრაციული უფლებამოსილების დელეგირებას ითხოვს, რადგან უამისოდ „აჭარის სამინისტროები ვერ იღებენ უმარტივეს ტექნიკურ გადაწყვეტილებებს და თბილისელი ბიუროკრატის მიერ მისთვის უცნობ საკითხზე ხელმოწერას ელოდებიან “.



### ძირს გადასახადები!

**თბილისის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო იდეების შეჯიბრში ჯერჯერობით ექს-მთავარი „გაიშნიკი“ ნიკა ივანიშვილი ლიდერობს.**

ყოფილი საგზაო პოლიციის (გაი-ს) ასევე ყოფილი შეფის აზრით, მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესი საკანონმდებლო დონეზე უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს და მათთვის სხვადასხვა სახის დაბეგვრის რეჟიმები უნდა დადგინდეს. „წვრილი ბიზნესი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ უნდა გავათავისუფლოთ ყველა სახის გადასახადებისგან იმ მომენტამდე, სანამ წვრილი მეწარმე მცირე მეწარმის კატეგორიაში არ გადავა“.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



# საქართველოს «როგორც ევროპული ქვეყნის რეპუტაცია» დღეს დაახლოებით ყირგიზეთის «როგორც საფეხბურთო ქვეყნის რეპუტაციას» უდრის...

**ლი“, რომელიც სააკაშვილმა და კაჩინსკიმ 2007-ში გახსნეს, სავარაუდოდ, ამ პოლიტიკური ხაზის სიმბოლურ უკვდავყოფას ემსახურებოდა. შარშან საქართველოს ხელისუფლებამ, დღემდე გაურკვეველი მოტივით, ძეგლი თბილისის ცენტრს მოაშორა.**

„პრომეთეიზმის“ განახლებული კონცეფცია, ალბათ, უფრო ფართო გეოპოლიტიკური მოდელის ფარგლებში უნდა განვიხილოთ. იგი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ „ვერსალის სისტემის“ ფარგლებში ჩამოყალიბდა. გერმანიასა და სსრკ-ს შორის მოქცეულ პოლონეთს მაქსიმალურად უნდა შეეშალა ხელი მათ შორის მჭიდრო კავშირის დამყარებისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ერთის ან მეორის წინააღმდეგ ემოქმედა.

XXI საუკუნის დასაწყისში ბუშის ადმინისტრაციამ ამ მოდელის რეანიმირება მოახდინა. **პოლონეთი აშშ-ის ერთგულ მოკავშირედ იქცა, ხოლო მისი ურთიერთობები მოსკოვთან და ბერლინთან (ზოგადად — „ძველ ევროპასთან“) საკმაოდ გართულდა. ლეხ კაჩინსკი და მისი გუნდი ამ პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად განიხილებოდნენ. მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა და მოსკოვმა ხელი „გადატვირთვის“ ღილაკს მოჰკიდეს, ხოლო რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობაში „თაფლობის თვე“ დაიწყო, კონიუქტურა შეიცვალა. ახალ რეალობაში გაცილებით ადეკვატურად პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, ფრთხილი და პრაგმატული დონალდ ტუსკი გამოიყურებოდა.**

რა გავლენას მოახდენს მომხდარი ტრაგედია პოლონეთის საგარეო პოლიტიკაზე? სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე (და შემდეგაც) ეს ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე უფრო მოზომილ ნაბიჯებს გადადგამს. ისეთ მკვეთრ განცხადებებსა და ქმედებებს, რომელსაც ადგილი კაჩინსკის პრეზიდენტობის დროს ჰქონდა, უახლოეს პერსპექტივაში, ალბათ, ვერ ვიხილავთ.

საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო მოვლენები განსაკუთრებული სიმძაფრით განიცადა. ემოციურად რამდენიც უნდა ილაპარაკოს იმაზე, რომ სტრატეგიული პარტნიორობა უკრაინასთან ძველებურად წარიმართება, იანუკოვიჩს იუშჩენკოდ ვერ გადააქცევს და ბედის ბორბალსაც წაღმა ვერ დაატრიალებს. ლეხ კაჩინსკის უპირობო მხარდაჭერის ნაცვლად კი დონალდ ტუსკის ორაზროვანი ფორმულით დაკმაყოფილება მოუწევს: **„საქართველოსადმი პოლონეთის მხარდაჭერა საქართველოს, როგორც ევროპული ქვეყნის რეპუტაციის პროპორციული იქნება“.** იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს **„როგორც ევროპული ქვეყნის რეპუტაცია“** დღეს დაახლოებით ყირგიზეთის **„როგორც საფეხბურთო ქვეყნის რეპუტაციას“** უდრის — ეს განცხადება სააკაშვილის ხელისუფლებისათვის კარგს არაფერს მოასწავებს.

იგი, ფაქტობრივად, მოკავშირეების გარეშე დარჩა, თუ სათვალავში ფრიად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბალტიის ქვეყნებს არ ჩავაგდებთ, რომელთა საგარეო პოლიტიკაში (მაგალითად, ლიტვის), ასევე, „დიდი გადატვირთვის“ შესაბამისი ცვლილებები შეინიშნება. **საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი მანევრის განხორციელების შესაძლებლობა არ აქვს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, იგი ბუშის ეპოქაში ჩარჩა და მის ერთგვარ რელიქტად, ახალი რეალობის შეუსაბამო ანაქრონიზმად იქცა. რას ვიზამთ, მოსალოდნელ შედეგებზე, ალბათ, ცოტა ადრე უნდა გვეფიქრა.**

### „ვანოს შოუ“ რუსული სუბტიტრებით

**რაც უფრო მეტად რთულდება სააკაშვილის ხელისუფლების მდგომარეობა საერთაშორისო არენაზე, მით უფრო აქტიურად ცდილობს იგი, დააფიქსიროს, რომ ქვეყნის შიგნით მისი პოზიციები ურყევია. ვანო მერაბიშვილმა რუსული გამოცემა „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გიგი უგულავას თბილისში 64%-იანი რეიტინგი აქვს. ეს კი სავსებით ნათელი მესიჯია, რომ მმართველი ძალა არც ადგილობრივი არჩევნების და არც ხელისუფლების დათმობას აპირებს.**

მაღალი რეიტინგის მთავარ მიზეზად მერაბიშვილმა **„წარმატებული რეფორმები“** დაასახელა. თუმცა იმავე ჟურნალისტისთვის მიცემულ სხვა ინტერვიუში (იგი 29 მარტს გამოქვეყნდა) კითხვას — **„თქვენი რეფორმები უკვე შეუქცევადი პროცესია?“,** ასე უპასუხა: **„თუ ვინმე მოვა და ძველის დაბრუნებას მოინდომებს, ორ თვეში დააბრუნებს“.** გაუგებარია, რა წარმატებულ რეფორმებზე შეიძლება საუბარი, თუ მათი შედეგების აღმოფხვრა სულ რაღაც ორ თვეში შეიძლება. **„ესე იგი საქმე ხელისუფლებაში მყოფ პიროვნებებშია?“** — სავსებით ლოგიკურად იკითხა ჟურნალისტმა. **„თუ გნებავთ, კი. უფრო ზუსტად კი პოლიტიკურ ნებასა და კულტურაშია,“** — უპასუხა მინისტრმა. ამგვარად, ვანო მერაბიშვილი საკუთარ თავს (ალბათ, თანაგუნდელებთან ერთად) რეფორმების გატარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევს. ამ რეფორმების მთავარ მიზნად კი **„დასავლეთისკენ სვლა“** დაასახელა.

საერთოდ, საკუთარი თავის პოზიციონირება ამა თუ იმ პოლიტიკური (ამ შემთხვევაში, პროამერიკული) კურსის გატარებისთვის აუცილებელ, უალტერნატივო ფიგურად საკმაოდ სახიფათო რამაა. ფრაზას **„შეუცვლელი ადამიანები არ გვყავს“** იოსებ სტალინს მიაწერენ. არადა, ძველი ფრანგული გამონათქვამია, რომლის საყოველთაო გავრცელებას ხელი აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა შეუწყო, როდესაც 1912 წლის საარჩევნო კამპანიაში მთავარ ლოზუნგად გამოიყენა. ეს უფრო ამერიკული პრინციპია, შეერთებული შტატები, როგორც წესი, ძალიან სწრაფად ემშვიდობებიან იმ უცხოელ პოლიტიკოსებს, რომლებიც თეთრი სახლისთვის სასურველი კურსის გატარებას საკუთარ თავზე დამოკიდებულად წარმოაჩენენ; ასეთი პოზიციის მიღმა ვაშინგტონმა შეიძლება შენიღბული შანტაჟი დაინახოს.

**დავუშვათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას საქართველო მართლაც დასავლეთისკენ მიჰყავს. მაგრამ რამდენად არის მზად დასავლეთი დღეს, მხარი დაუჭიროს ქვეყანას, რომელიც, მერაბიშვილის თქმით, „ნებისმიერი გაგებით“ რუსეთთან ომშია ჩართული?**

ვითარება შეიცვალა და მინისტრის ფრაზა „ალასანია შევარდნაძის რევანშისტია“, დასავლეთის თვალში, პარადოქსულად შეიძლება ალასანიას დადებით დახასიათებად გადაიქცეს, რადგან შევარდნაძის „ბალანსი“ და ფრთხილი დრეიფი დასავლეთისკენ, ვაშინგტონის დღევანდელ სტრატეგიაში გაცილებით ლოგიკურად ჯდება, ვიდრე „ომი ნებისმიერი გაგებით“, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი ომის წარმოება, შესაძლოა, სულ მალე სულ სხვა მოწინააღმდეგის, ჩინეთის წინააღმდეგ მოუწიოს.

კიდევ ერთი გარემოება: **რუსეთის სათანადო სამსახურებს, ალბათ, საკმარისი ბერკეტები აქვთ, გავლენიან რუსულ მედია-საშუალებაში კრემლთან კონფრონტაციის რიტორიკაზე აგებული ინტერვიუ რომ დაბლოკონ. მსგავსი არაფერი მომხდარა, მერაბიშვილს სრული შესაძლებლობა მიეცა, წარმოჩენილიყო ისეთად, როგორიც არის (ან წარმოუდგენია, რომ არის) და მომავლის საკუთარი ხედვა ჩამოეყალიბებინა.** იმ შემთხვევაში, თუ კრემლი მასში რეალურად საშიშ მოწინააღმდეგეს დაინახავდა, ამის შესაძლებლობას, ალბათ, არ მისცემდა. სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში ადგილი არცთუ მარტივ გათვლას ჰქონდა. ამ ისტორიის განხილვა კი, ჯობს, დროებით, საბოლოო დასკვნის გამოტანის გარეშე, ყველაზე საინტერესო ადგილას მრავალწერტილით გავწყვიტოთ, რადგან, მას, ალბათ, მალე შთამბეჭდავი გაგრძელება ექნება...

**დიმიტრი მონიავა**

# «დემოკრატიის შუქურას» 45 «ბედნიერი ქართველი» გაექცა




**ცნობამ ქართველ არალეგალთა ჯგუფის მიერ ისრაელის სახელმწიფოსთვის პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის თაობაზე მსოფლიო მოიარა. ჯერჯერობით მიზეზი, რის გამოც ქართველთა 45-კაციანმა ჯგუფმა თავშესაფარი ითხოვა, უცნობია. ოფიციალური ვერსიით, ქართველთა ჯგუფი სამსახურის შოვნის მიზნით ჩავიდა ისრაელში. „სამწუხაროდ, ხშირად ჰგონიათ, რომ ისრაელში სამუშაოს პოვნა ადვილია, თუმცა ეს ასე არ არის, რადგან დასაქმებასთან დაკავშირებით ისრაელს საკმაოდ მკაცრი კანონმდებლობა აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მოქალაქეები არალეგალურად მაინც ცდილობენ ისრაელში გადასვლას, მათ შორის ეგვიპტის გავლით. რაც შეეხება დაკავებულ 45 ქართველს, მათ ისრაელში ჩვენი კონსული ირაკლი ადვაძე მოინახულებს. ქართველების თხოვნა პოლიტიკური თავშესაფრის თაობაზე, სავარაუდოდ, არ დაკმაყოფილდება და მათი დეპორტაცია მოხდება,“ — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ.**

ცნობილია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ქართველ ემიგრანტთა შესახებ, ისრაელის საკონსულომ გადმოსცა, მაგრამ კონკრეტულად არ სახელდება იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებიც ამ 45-კაციან სიაშია მოხვედრილი. როგორც სამინისტროში აცხადებენ, სიები მათთვის ჯერჯერობით სრულად არ გადაუცია ისრაელის საკონსულოს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, უცხოურ ინტერნეტ-საიტებზე უკვე გაჩნდა სხვადასხვა ვერსია, რომელიც აშკარად განსხვავდება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციისაგან. ასეთი პრეცენდენტი ისრაელის სახელმწიფოსთვის პირველია, როცა ერთდროულად ამდენმა ადამიანმა მიმართა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით. ებრაული გაზეთის „ედიოტ ახრონოტი“-ს ცნობით, საკონსულოს, პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით, 11 აპრილს 45-კაციანმა ქართველთა ჯგუფმა მიმართა, რომელიც სააღდგომოდ ისრაელში წმინდა ადგილების მოსალოცად ოთხი დღით იყო ჩასული. სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მომლოცველებმა საკმაოდ ძვირადღირებული სასტუმრო დაიქირავეს, ასევე, — ავტობუსი სპეციალური ტურისათვის. ტური არც დაუმთავრებიათ, საემიგრაციო სამსახურს ისე მიმართეს და პოლიტიკური თავშესაფარი თხოვეს, რადგან, როგორც მათ განაცხადეს, საქართველოში დაბრუნება მათი სიცოცხლისათვის სახიფათო იყო.

ინტერნეტ-გამოცემა „izrus.co.il“-ის ცნობით კი, საქართველოს მოქალაქეები, რომელთა რაოდენობა შეიძლება 50-მდე იყოს, საკმაოდ შეძლებული და საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლები არიან. ასევე ჩნდება მოსაზრებები იმის თაობაზეც, რომ ეს ადამიანები საქართველოდან პრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმს გაექცნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ დავუკავშირდით საგარეო საქმეთა პრეს-ცენტრს, თუმცა დამატებით კითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განგვიცხადეს. როგორც პრეს-ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, ამ თემაზე, ბრიფინგზე გაჟღერებული ინფორმაციის გარდა, არაფერს ახმაურებენ. საინტერესოა, რატომ არ ახმაურებს დეტალებს ამ საქმესთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრო და რა იმალება იმ მცირე ინფორმაციის მიღმა, რომელსაც ისინი საზოგადოებას აწვდიან.

ქართველ ემიგრანტთა ჯგუფი ამჟამად საემიგრაციო სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. ქართველებს შესაძლებლობა ეძლევათ, დარჩნენ ისრაელში, მათ ბედს კი სამი თვის განმავლობაში ისრაელის ხელისუფლება გადაწყვეტს.

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს არ გაიტეხავს თეთრი სახლის ადმინისტრაცია იხტიბარს და სანამდე გააგრძელებს „დემოკრატიის შუქურა“ სააკაშვილისთვის თავზე ხელის გადასმას, მაგრამ ერთი რამ ცხადია — 45 ქართველის მიერ ისრაელში თავშესაფრის მოთხოვნა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჯორჯ დაბლიუ ბუშის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ მონათლული რეჟიმი ათასობით ქართველისთვის ტირანიის შავ ხვრელად იქცა.

**ლილი მიროტაძე, თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



# აშშ-ის საკონსულო დაბომბეს

**აშშ მექსიკის მთავრობისგან კატეგორიულად მოითხოვს, ნარკოტრაფიკთან დაკავშირებული ყველა დანაშაული აღმოიფხვრას, თორემ ქვეყანაში ტურიზმი ვერ ვითარდებაო.**

მექსიკაში კი ამ მოთხოვნაზე თავისებურად რეაგირებენ.

ქალაქ ნუევო-ლარედოში აშშ-ის საკონსულოს უცნობმა პირებმა ღობის გარედან ბომბი ესროლეს.

მარტში ადგილობრივ საკონსულოსთან დაკავშირებული სამი ადამიანი მოკლეს, 2008 წელს კი მონტერეიში მდებარე საკონსულოს ესროლეს ბომბი.



# რუმინეთი „სამხრეთ ნაკადიდან“ გააგდეს

**გაზსადენი „სამხრეთი ნაკადი“ რუმინეთის ტერიტორიაზე აღარ გაივლის.** ამის შესახებ „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა განაცხადა. გაზსადენის წყალქვეშა ნაწილი ბულგარეთში დასრულდება.

„გაზპრომის“ შეფასებით, პროექტი 8,6 მილიარდი ევრო ეღირება. თავიდან ბულგარეთი მოითხოვდა, თავის ტერიტორიაზე განთავსებულ გაზსადენის ნაწილზე მესაკუთრის უფლება მიეცათ, მაგრამ „გაზპრომმა“ უარი განაცხადა. გაზსადენის მშენებლობა 2013 წლისთვის დასრულდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



საავტორო სვეტი

# გაჩერებული საათის წიკწიკი

**ალბათ, მალე გავმდიდრდები, კარგი ბიზნესგეგმა მაქვს; ვასილიჩის თავგადასავლებზე კომიქსების გამოშვება უნდა დავიწყო. „ვასილიჩი უკრაინაში“, ,,ვასილიჩი ყირგიზეთში“ (ყდაზე მაგარი ნახატი იქნება, თეთრ აქლემზე შემჯდარი მთავარი გმირი ყირგიზული ქუდით a la Лоренс Аравийский), აგერ ვანო მერაბიშვილმა ახალი სიუჟეტი „ვასილიჩი და სტალინის ძეგლი“ შემოგვთავაზა.**

წარმოიდგინეთ: გორი, კუნაპეტი ღამე, მშიერ დათვზე ამხედრებულ რუს გენერალს, რომელიც ცინიკურად ათამაშებს ვიეტნამში საბრალო ამერიკელი პილოტისთვის წართმეულ პისტოლეტს, უშიშრად უახლოვდება ვასილიჩი 50 000 დოლარით ხელში... ახლა კი გვეღიმება, არადა, მაშინ ძეგლის განადგურების იდეის ხორცშესხმას სერიოზული ტრაგედიის გამოწვევა შეეძლო.

ეჰ, ბიძია ჯო, ბიძია ჯო... სხვათაშორის, სტალინი — ამ ფამილიარულ მეტსახელს ვერ იტანდა. გადმოცემით, როდესაც ჩერჩილმა ხუმრობით ასე მიმართა, ბესარიონოვიჩი, ისე გაბრაზდა, რომ დასავლელ მოკავშირეებს კინაღამ ბავარია (თუ საბერძნეთი, ზუსტად ვერ ვიხსენებ) წაართვა; რუზველტმა ძლივს დაამშვიდა. ეს, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, რეალობა კი ცოტა სხვაგვარია და საყოველთაოდ გავრცელებულ აზრთან ხანდახან წინააღმდეგობაშიც მოდის. მაგალითად, ხშირად გვეუბნებიან, რომ „სტალინმა გერმანია გაყო“, სინამდვილეში კი მსგავსი გეგმა სულ სხვა ადამიანების თავში დაიბადა. 1943 წლის 1 დეკემბერი, თეირანის კონფერენცია, საღამოს სხდომის სტენოგრამა:

„**სტალინი**: კიდევ რა საკითხები დაგვრჩა განსახილველი?

**რუზველტი**: გერმანიის საკითხი.

**სტალინი**: რა წინადადებები არსებობს ამასთან დაკავშირებით?

**რუზველტი**: გერმანიის დანაწევრება.

**ჩერჩილი**: მე მხარს ვუჭერ გერმანიის დანაწევრებას“.

**აი ასე, ერთი ზედმეტი სიტყვის გარეშე წყდებოდა ევროპის ბედი, თუმცა სჯობს, ციტირება აქვე შევწყვიტოთ, ვიდრე ვინმე იმის მტკიცებას დაიწყებს, რომ თეირანის კონფერენციის სტენოგრამა „გაზპრომმა“ გააყალბა.**

დამოკიდებულება სტალინის მიმართ საქართველოში რთული და წინააღმდეგობრივია. იგი რადიკალურად დაპირისპირებულ პოზიციებს ეფუძნება. ქვეყანაში დემოკრატია რომ დამკვიდრდება (ცეცხლოვანი ფანტაზიების უფლება მეც მაქვს), შეიძლება რეფერენდუმიც კი ჩავატაროთ თემაზე „რა ვუყოთ სტალინის ძეგლს?“, თუ იმ დროისთვის სხვა, უფრო აქტუალური საზრუნავი არ გვექნება. ალბათ, გორელების უმრავლესობა ხმას ძეგლის ცენტრალურ მოედანზე დატოვებას მისცემს, თუმცა ეს ჩემი სუბიექტური აზრია. მთავარი ის არის, რომ ამ (ისევე როგორც სხვა) რთული საკითხის გადაწყვეტა, ხალხის აზრის გათვალისწინების გარეშე, უბრალოდ, არ გამოვა. ამას, თავის მხრივ, დემოკრატიული გარემო სჭირდება, რომელიც ვერ შეიქმნება მანამ, სანამ პოლიტიკოსებს ერთ მარტივ, მათთვის მომგებიან თამაშს არ შევაწყვეტინებთ. ოპოზიცია ამბობს: **„No Justice — No Peace!“** (არ იქნება სამართლიანობა — არ იქნება მშვიდობა), ხელისუფლება პასუხობს: **No Peace — No Justice!** (არ იქნება მშვიდობა — არ იქნება სამართლიანობა); შედეგად, არც ერთი გვაქვს, არც — მეორე.

**დრო კი მიდის, ისრები მიხეილ სააკაშვილის საათზეც ტრიალებს, რომლის ციფერბლატზე, Independent-ის ჟურნალისტს შონ უოლკერს თუ დავუჯერებთ, ბაჭიები კამასუტრის რთულ ხელოვნებას ეუფლებიან. საათი, ალბათ, მალე გაჩერდება, რადგან ბაჭიები, სავარაუდოდ, ძლიერ დაიღალნენ.**

როგორ ფიქრობთ, შონ უოლკერს სააკაშვილისთვის კინოფილმ „მიმინოდან“ ნასესხები კითხვით **„А они антиударные?“** რომ მიემართა, რას უპასუხებდა რესპოდენტი? დიდი ალბათობით, იგი ენთუზიაზმით დაიძახებდა **„Антиударные и антимагнитные!“** და დამატებითი ეფექტის მოსახდენად საათს იატაკზე დააგდებდა (საბრალო ბაჭიები!).

**აქ საქმე სააკაშვილის ხასიათში კი არა, ჩვენი ეროვნული მენტალობის თავისებურებაშია, ხარვეზში, რომელიც ზუსტად დააფიქსირა გიორგი დანელიამ და მასზე ჩვეული იუმორით მიგვანიშნა. „უძრაობის ხანაში“ საქმე საათებისა და მსგავსი მომცრო ნივთების სროლით შემოიფარგლებოდა, შემდეგ ვითარება გართულდა. სრული სერიოზულობით ვამტკიცებდით, რომ უმაგრესი სახელმწიფო, ეკონომიკა, თავდაცვა, განათლება და ა.შ. გვაქვს და აზარტში შესულნი, მეტი დამაჯერებლობისთვის, საკუთარ თავზე გამანადგურებელ საჩვენებელ ექსპერიმენტებს ვატარებდით.**

**ჩვენი ქვეყანა სწორედ ასე დავამსხვრიეთ.**

**დიმიტრი მონიავა**

რამაზ კლიმიაშვილი:

# ოკეანისგაღმიდან შეკვეთილი ექსპერიმენტების დრო წავიდა



უკრაინა. არჩევნები.



ყირგიზეთი. რევოლუცია.

## ჩვენ უკრაინასა და ყირგიზეთს შორის უნდა ავირჩიოთ

**ყირგიზეთის ამბების განხილვა აუცილებლად უნდა დავიწყოთ იმით, თუ რა მოხდა 2005 წელს. მაშინ სოროსის დავალებით მომზადდა კიდევ ერთი „ფერადი“ რევოლუცია, რასაც საკმაოდ გულუბრყვილოდ „ტიტების“ უწოდეს. თვით სახელი გვიჩვენებს, რომ ეს უცხოური პროდუქტი იყო, მთაგორიანი ყირგიზეთი ზღვისპირა ჰოლანდია არ არის და იქ მოსახლეობის უმეტესობას ტიტა საერთოდ არც უნახავს. ამ მისიის შესრულება კი დაავალეს ჩვენს ადგილობრივ „ჩე გევარას“, „დიდ რევოლუციონერ“ გივია თარგამაძეს! ისიც ყირგიზეთს გაემგზავრა, სახედარზე შეჯდა, თავზე ყირგიზული ქუდი დაიხურა, როგორც ეს საერთაშორისო რევოლუციონერებში, ანუ ტროცკისტებშია მიღებული!**

ყირგიზეთი იმ დროს შუა აზიაში ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად ითვლებოდა. იქ იყო ამერიკული სამხედრო ბაზა. მაგრამ მაინცდამაინც ის რატომ აირჩია სოროსის ხალხმა თავისი მორიგი ექსპერიმენტისათვის, ცოტა გაუგებარია. **მართლაც, მათ დაამხეს აკაევის კორუმპირებული პროამერიკული რეჟიმი, მაგრამ, როგორც ყოველ რევოლუციას მოსდევს ხოლმე, დედაქალაქში შორეული რაიონებიდან და სოფლებიდან შემოიჭრა დამშეული ხალხი, რომელსაც გაუძარცვავი არ დაუტოვებია არც ერთი მაღაზია და დაწესებულება, ხოლო ბიშკეკი ნაომარ ქალაქს დაემსგავსა. თარგამაძემ დავალება პირნათლად შეასრულა და პრეზიდენტად კურბანბეკ ბაკიევი დაჯდა.**

ხალხს ეგონა, რომ ეშველა, მაგრამ ბაკიევი ისეთივე კორუმპირებული აღმოჩნდა, როგორც აკაევი იყო: მან ყველა თანამდებობაზე თავისი კლანის წევრები დანიშნა, ხალხი კი ისევ მშიერი დარჩა;

**როგორც აზიურ დესპოტებს სჩვევიათ, ბაკიევმაც თავისი ვაჟის, მაქსიმის განდიდება დაიწყო, რათა ის შემდეგ თავის მემკვიდრედ გამოეცხადებინა. მაქსიმი მეთაურობდა ცენტრალურ საინვესტიციო სააგენტოს. მან თანმიმდევრულად დაიწყო რუსული კომპანიების მითვისება; ბოლო წერტილი იყო რუსული მობილური ტელეფონების კომპანიის — მეგაკომის საკონტროლო პაკეტის ხელში ჩაგდება.** ამ ოპერაციებს ის ამერიკელი მეგობრისა და ჩვენთვის კარგად ცნობილი აფერისტის — ევგენი გურევიჩის დახმარებით (მასზე ბევრს წერდა გურამ შარაძე) ახორციელებდა. **ამ გადატრიალების დროს მაქსიმ ბაკიევი ამერიკაში იმყოფება, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტმა მას ზურგი შეაქცია და აღარ მიიღო, მაშინ, როცა ადრე ძალიან თბილად ხვდებოდა.**

მთავარი შეცდომა კურბანბეკ ბაკიევმა საგარეო პოლიტიკაში დაუშვა: **თავიდან ის ღიად პრორუსულად იყო განწყობილი, შემდეგ დასთანხმდა რუსების მოთხოვნას მანასის ამერიკული საავიაციო ბაზის დახურვის შესახებ. სამაგიეროდ, მან რუსეთისაგან მიიღო 150 მილიონი აშშ დოლარის უპირობო გრანტი, 300 მილიონი დოლარის დაბალპროცენტიანი კრედიტი, ასევე ჩამოეწერა ყირგიზეთის 180-მილიონიანი საგარეო ვალი.**

პირადად რამდენი ჩაიჯიბა, უცნობია და მასზე სპეკულირება რუსულ პრესაში მიდიოდა, რაც ბაკიევს ძალიან სწყინდა. **იგი სიხარბემ მაშინ დაღუპა, როდესაც ამერიკელებმა მას ორჯერ თუ სამჯერ მეტი შესთავაზეს (ციფრი უცნობია), მან ეს ფული აიღო, მაგრამ რუსებისათვის არ დაუბრუნებია ბაზის დახურვაში აღებული ფული, მან მხოლოდ ბაზას შეუცვალა სახელი და „ტრანზიტული გადაზიდვების ცენტრი“ დაარქვა.** უფრო მეტიც, ზამთარში გამოჩნდა ცნობა, ყირგიზეთში მეორე ამერიკული ბაზის გახსნის შესახებ. **თუმცა ყველასათვის ცხადია, რუსეთის ხელისუფლება ამას არ ჩაყლაპავდა და შუა აზიას ამერიკელებს არ დაუთმობდა.**

ყველაფერი 7-ში დილით დაიწყო: ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის დაახლოებით ორი ათასამდე მხარდამჭერი ამ პარტიის ოფისთან შეიკრიბა მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად, რაზეც მათ მერია წინასწარ გააფრთხილეს. პოლიციამ მათი დარბევა გადაწყვიტა და წინააღმდეგობას წააწყდნენ. როდესაც ნაცემ ხალხს მანქანებში ტენიდნენ დაკავების მიზნით, უამრავი ხალხი შეიკრიბა. ხალხმა პირიქით, პოლიციელები სცემა და გაყარა. **საღამოსათვის უკვე 15 ათასი კაცი დაიძრა მთავრობის სახლისკენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველაფერი სპონტანურად, დაუგეგმავად ხდებოდა, ვინაიდან ოპოზიციური პარტიების ლიდერები წინა დღეს დააპატიმრეს. დემონსტრანტებს სპეცნაზი ჯერ რეზინის ტყვიებს ესროდა, მაგრამ ხალხი ვერ შეაჩერა. შემდეგ კი ნამდვილი ტყვიებით „გაუმასპინძლდნენ“. ბოლო მონაცემებით მოკლულია 80 კაცი, ხოლო ათასზე მეტი – დაჭრილი! მაგრამ ხელისუფლების ძალადობას ხალხმა ძალადობითვე უპასუხა, უკვე მთელი ქალაქი გამოვიდა, მათ მთავრობის სასახლე გადაწვეს, უშიშროების სამინისტრო დაარბიეს და ოპოზიციის ლიდერები გაათავისუფლეს.** ამის შემდეგ სიტუაცია უკონტროლო გახდა, საღამოს 9 საათისათვის ბაკიევი თავისი თვითმფრინავით გაიქცა, ხოლო პოლიცია და არმია ოპოზიციის მხარეს გადავიდა.

მეორე დღეს გამოცხადდა დროებითი მთავრობის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ღიად პრორუსულად განწყობილი სოციალ-დემოკრატი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი როზა ოტუნბაევა. ბაკიევი შეეცადა, მშობლიური ჯალალ-აბადიდან ყირგიზეთის სამხრეთი აეჯანყებინა ოპოზიციის მიერ ხელში ჩაგდებული ჩრდილოეთის წინააღმდეგ (გახსოვთ საქართველოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპირისპირების მცდელობა?), მაგრამ ვერ შეძლო. **ხოლო ოტუნბაიევამ განაცხადა, რომ ბაკიევს (მხოლოდ მას) მიეცემა უსაფრთხოების გარანტია, მისი კორუმპირებული ოჯახის წევრებზე კი უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები.** ამჟამად ბაკიევს, როგორც ჩანს, აწყობს „დევნილი პრეზიდენტის“ ტიტული, მაგრამ სად წავა, გაუგებარია, ვინაიდან რეგიონის სამი მთავარი ძალა – **ამერიკა, რუსეთი და ჩინეთი მის მიღებაზე უარს ამბობენ,** მისდამი მტრულად არიან განწყობილი, ასევე, ორივე მეზობელი — უზბეკეთი და ყაზახეთი (ამ ყველაფერში, ალბათ, ზოგიერთი გარკვეულ პარალელსაც იპოვის).

**ძალიან მწყინს, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების პარალელებს ჩვენ არა ევროპის რომელიმე ქვეყანაში, არამედ მონღოლური წარმოშობის, ჩინგის ყაენის შთამომავლებთან — ყირგიზეთში ვპოულობთ. ჩვენ, ვინც ოცი წლის წინ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდით, ასეთი სამარცხვინო ქვეყანა, როგორიც დღევანდელი საქართველოა, ვერ წარმოგვედგინა! შესანიშნავად მახსოვს წამებული გურამ შარაძის სიტყვები: „მე სააკაშვილის საქართველოში ცხოვრება არ მინდა!“ და აუსრულეს კიდეც!**

თვითონ ყირგიზები ადრე იწოდებოდნენ „მთიან უზბეკებად“, რომლებიც მონღოლების თურქულენოვანი შთამომავლები არიან, ანუ თათარ-მონღოლები, როგორც რუსული და მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა იცნობს მათ. ეს ტეროტორია, სადაც მხოლოდ მომთაბარეები ცხოვრობდნენ და ყოველთვის სხვადასხვა სახანოების ნაწილი იყო, რუსეთის იმპერიამ 1864 წელს შეიერთა. 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, როდესაც თურქესტანის (ძირითადად, დღევანდელი შუა აზია) დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ყირგიზეთის დღევანდელი ტერიტორია მასში შევიდა, ვიდრე 1924 წელს ბოლშევიკებმა თურქესტანის გასაბჭოება არ მოახდინეს. მაგრამ ისინი (უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები და მონღოლების სხვა შთამომავლები) კიდევ დიდხანს ებრძოდნენ წითელ არმიას „ბასმაჩების“ სახელით. 1936 წელს კი ყირგიზეთს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა, თუმცა არავინ არ ახსნა, თუ რით გასხვავდებიან ისინი, თუნდაც მეზობელი უზბეკებისგან.

**გივია თარგამაძის მიერ გაძევებულმა ყირგიზეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა მანამდე თავი მაშინ გამოიჩინა, როცა, ჯერ კიდევ დაუშლელი საბჭოთა კავშირის პირობებში, კომპარტიის მთელი ქონების ნაციონალიზაცია მოახდინა. და მართლაც, დამოუკიდებლობის გამოცხა-** ▶

◀ **დების შემდეგ ყირგიზეთი ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო, რომელიც 1991 წლის დეკემბერში ამერიკამ ცნო; იანვარში კი ეუთოს წევრობა მიიღო (რომელიც, წესით, ევროპული ორგანიზაციაა, ხოლო ყირგიზეთი სადღაც შორს – აზიის მთებშია), გაეროს წევრი კი იგი მარტში გახდა (ინტერესისათვის აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველო გაეროში მხოლოდ აგვისტოში მიიღეს!).**

მაგრამ ყირგიზეთს გეოპოლიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს – ის მსოფლიოს ყველაზე მზარდი და ძლიერი ეკონომიკის, თანაც მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის — ჩინეთის საზღვარზეა. **საზღვრის იქით მხარეს ხომ, სიანცზიანის ავტონომიურ ოლქში, ძირითადად იგივე, მონღოლების თურქულენოვანი შთამომავალი ხალხი ცხოვრობს, რომლებისაც ჩინელებს ტრადიციულად ეშინიათ:** გაიხსენეთ თუნდაც მსოფლიოს უდიდესი საოცრება — ჩინეთის კედელი, რომელიც, წესით, მათგან იცავდა ჩინელებს.

**მაგრამ ჩინელებს თავი დავანებოთ, აქ ხომ ისინი ნამდვილად არ ჩარეულან, ვინაიდან მათთვის იქ მთავარია სტაბილურობა, რომ თავის ორ სეპარატისტულად განწყობილ პროვინციაში ხალხი დააწყნარონ. ჩინეთს ისედაც საკმარისი თავის ტკივილი აქვთ სხვა ორ დიდ სეპარატისტულ პროვინციაში — ტაივანში, რომელიც დე-ფაქტო წართმეულია (აფხაზეთის მსგავსად — ეს ბევრს არ ესმის ჩვენს ხელისუფლებაში, რომელიც, კომერციულად ძალიან წარმატებულ სეპარატისტულ ტაივანთან კავშირის დამყარებას ცდილობს), და ტიბეტში, რომელიც დე იურე ჩინეთშია, მაგრამ რომლის სეპარატისტი ლიდერი დალაი ლამა ამ დღეებში პრეზიდენტმა ობამამ მიიღო! ეს ტიბეტი, საიდუმლოებით მოცული ფანტასტიკური სამყარო და სივრცე, ჩვენი გასარჩევი ნამდვილად არაა.**

როგორც ტერიტორიადაკარგული რიგითი ქართველი, ვაფასებ ჩინელების — ამ ბრწყინვალე უძველესი ერის, ჭკვიანურ ქმედებას — **ბრიტანეთის მიერ ოკუპირებული ჰონგ-კონგი მათ იურიდულად 100 წლის შემდეგ დაიბრუნეს, მაგრამ დე ფაქტო ჰონგ-კონგს არც არაფერი წაართვეს და აბსოლუტური ავტონომიის სტატუსი მისცეს, მათ შორის ყველაზე მთავარია, ინგლისელების ბატონობის დროს არსებული და მათ მიერ დამკვიდრებული ევროპული სტილის ნამდვილი თვითმმართველობა.** სხვათაშორის, ამ ავტონომიას ჰონგ-კონგის დოლარის სახით დაუტოვეს საკუთარი ვალუტა, რომელიც ჩინურ, ძალიან ძლიერ იუანს არ ემორჩილება. აი, ეს არის კონფლიქტების პრობლემის გადაჭრის ერთადერთი და ნამდვილი გზა!

**ახლა გადავიდეთ მთავარზე – რუსეთისათვის ხომ ყირგიზეთის დაკარგავა შუა აზიის დაკარგვასა და მათ იმპერიულ ამბიციებზე უარის თქმას ნიშნავს. ტაჯიკეთში 1992 წლის სისხლიანი ომი ჩვენ ვერ შევამჩნიეთ, ისევე, როგორც ბოსნიის ომი, ვინაიდან საკუთარი ომი გვქონდა.**

მაშინ იყო თალიბების ცენტრალურ აზიაში შეღწევის საშიშროება, თალიბებმა მაშინ საბჭოთა არმია გააძევეს (რატომღაც შევარდნაძე ამას თავის მიღწევად აფასებს). შუა აზიის დანარჩენ რესპუბლიკებში სხვა პრობლემა იყო – ვინაიდან ისინი თურქულენოვანი არიან. აზერბაიჯანელმა პოლიტოლოგმა თქვა, ყველა, თურქები ვართ თუ თათრები, უნდა გავერთიანდეთო, **და წამოვიდა იდეა დიდი „თურანის“ შექმნის შესახებ, რომელსაც თურქეთი დაუდგებოდა თავში (აქ იგულისხმება რუსეთის მთელი ვოლგისპირეთიც, თავისი თათარსტანითა და ბაშკირსტანით), მიუხედავად გენეტიკური თუ სხვა ნათესაობისა, თურქების ხელმძღვანელობამ არ მოინდომა ჩამორჩენილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ოსმალური იმპერიული გაიგივება.** მოგეხსენებათ, მაშინ თურქეთისათვის მთავარი ოცნება ევროკავშირში გაერთიანება იყო. მაგრამ დღეს, როდესაც თურქეთის ამ ოცნებას სარკოზიმ ფაქტობრივად, წერტილი დაუსვა, თურქეთმა თვალი აღმოსავლეთისაკენ შემოატრიალა. ხოლო აგვისტოს ომის შემდეგ თურქეთი და რუსეთი ძალიან დამეგობრდნენ.

**მაგრამ რუსებმა (ისევე, როგორც ჩვენ) იციან – ძმობა ძმობაა, მაგრამ ქონება ცალკეა. ამიტომ ყირგიზეთი შორეულ ამერიკას კი არ წაართვეს (ის ძალიან შორს არის და მსოფლიო იმპერიების დრო წარსულს ბარდება), არამედ — თურქულენოვანი მუსლიმანი ხალხების გაერთიანების იდეით შეპყრობილ ზოგიერთ გავლენიან თურქ პოლიტიკოსს. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის, ძირითადად, გაზითა და ნავთობით დატვირთული მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ტკბილი ლუკმაა, ანუ ცენტრალური აზიის დათმობას ჯერჯერობით არავინ აპირებს. ჯერჯერობით ის რუსეთის ხელშია, რომელიც ყირგიზეთის ორდღიანი სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალებით მარკ ტვენისეულ მესიჯს აგზავნის: „ცნობა ჩემი გარდაცვალების შესახებ ცოტა გადაჭარბებულია!“**

შეგნებული ხელისუფლება რომ გვყავდეს, არანაირი მესიჯი არ დაგვჭირდებოდა, ისედაც ცხადი იქნებოდა, რომ ოკეანისგაღმიდან შეკვეთილი ექსპერიმენტების დრო წავიდა და სამაგალითოდ თუნდაც ევროპის მეორე ყველაზე დიდი ქვეყანა — უკრაინა ამისთვის საკმარისია. ჩვენ რატომ უნდა წავიდეთ მაინცდამაინც მომთაბარე მონღოლების გზით? რატომ უნდა გადავწვათ პარლამენტის შენობა, სოფლებიდან ჩამოსულ მშიერ ხალხს გავაძარცვინოთ მაღაზიები, მოვკლათ შინაგან საქმეთა მინისტრი და ა. შ.?

**ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს, სამწუხაროდ, მოეწონა ყირგიზეთში მომხდარი ამბები, ეს ხმამაღლა გამოხატა და მერაბიშვილისაც არ შეეშინდა! ნუთუ არ შეიძლება, ცივილიზებულად ვაიძულოთ ეს ფსიქიურად, დავადებული ხელისუფალი წავიდეს, ყირგიზულ-მონღოლური სცენარის გარეშე?!**

**ჩვენ ვიცით, რა გვინდა – ჩვენი ისტორიული ტერიტორიების დაბრუნება. ჩვენ ვიცით, რუსებს რა უნდათ – ორი ბაზა ოჩამჩირესა და გუდაუთაში შავი ზღვის გასაკონტროლებლად, ასევე — ბაზა სამაჩაბლოში ჩრდილოკავკასიელ ტერორისტებთან საბრძოლველად.**

**ჩვენ ვიცით, რა უნდა მთელ მსოფლიოს – რეგიონში სტაბილურობა და მილსადენები აზიიდან ევროპისკენ.**

**ასეთი დღის წესრიგით ნორმალური ხალხისთვის ნუთუ ძნელია დაჯდომა და, რასაკვირველია, კომპრომისებით შეთანხმების მიღწევა?**

# ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც საქართველოში ყირგიზეთის სცენარი აწყობს, «ნაციონალური მოძრაობაა»

**რუსეთი გეოპოლიტიკურ ფრონტზე გეგმაზომიერ კონტრშეტევაზე გადავიდა და თანმიმდევრულად იცავს საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებს იქ, სადაც ელცინის პერიოდში მოსკოვის პოზიციები სერიოზულად იყო შესუსტებული. არაადეკვატური და გამოკვეთილად რუსოფობი პრეზიდენტების ადგილს ეტაპობრივად იკავებენ გაწონასწორებული პოლიტიკური ლიდერები. სააკაშვილის რეჟიმის თავგადადებული დამცველები განგაშს ტეხენ — ახლა ჩვენი რიგია, საქართველოში ან ყირგიზეთის სცენარი განვითარდება, ან — უკრაინისო. ამას ემატება ოპოზიციის ერთი ნაწილის რადიკალიზაცია და მუქარები ხელისუფლების მისამართით — ბიშკეკი მოგენატრებათო(!). შევეცადეთ, გაგვერკვია, წინასაარჩევნოდ რას ფიქრობენ, რა პროგნოზებს აკეთებენ პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები და რამდენად დასაშვებად მიიჩნევენ ბიშკეკის მსგავსი მოვლენების განვითარებას თბილისში.**


ბიშკეკი. 2010 წლის აპრილი.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი (პოლიტოლოგი):** — არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ბიშკეკის მსგავსი მოვლენების განვითარებას თბილისში არ გამოვრიცხავ, ეს სავსებით შესაძლებელია. თუმცა საქართველოს ხელისუფლება ბევრად უფრო ძლიერი და თავზეხელაღებულია, ოდნავ საფრთხეს როგორც კი იგრძნობს, მაშინვე ძალაუფლებას გამოიყენებს. თანაც ჩვენს ხელისუფლებას ძალოვანი სტრუქტურები საკმაოდ თავზეხელგადასმული და დაპურებული ჰყავს და, საჭიროების შემთხვევაში, არც დაფიქრდება, ისე გამოიყენებს. თუ მსგავსი სცენარი თბილისშიც განვითარდა, შედეგები ბიშკეკზე გაცილებით მძიმე იქნება.

**სოსო შატბერაშვილი (ლეიბორისტული პარტია):** — პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ბიშკეკის მოვლენები კარგი გაკვეთილი უნდა იყოს, რადგან მას ისე მიჰყავს საქმე, რომ შესაძლებელია, იმ გზით მოუწიოს წასვლა, რა გზითაც თვითონ მოვიდა, თუმცა მეეჭვება, რომ ადგილობრივი არჩევნების გაყალბებას ისეთივე მოვლენები მოჰყვეს, როგორიც — ბიშკეკში. სიმართლე რომ გითხრათ, ადგილობრივი არჩევნები საქართველოში არაფერს ცვლის. რომც გაიმარჯვოს ოპოზიციამ და საკრებულოში ადგილების უმრავლესობა მოიპოვოს, ამით მაინც არაფერი შეიცვლება. საქართველოში თვითმმართველობა არ არსებობს.

**დაჩი ცაგურია (მოძრაობა „7 ნოემბერი“):** — ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველოში მსგავსი მოვლენები განვითარდეს, რაც ახლა ყირგიზეთში ხდება. მართალია, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არეულობები დაიწყოს, მაგრამ საზოგადოებას ჰყოფნის გონიერება, რომ არ აჰყვეს. ერთადერთი პოლიტიკური ძალა, ვისაც ყირგიზეთის სცენარი მოსწონს, არის „ნაციონალური მოძრაობა“.

**სოზარ სუბარი (ყოფილი ომბუდსმენი):** — საქართველოში ყირგიზეთის მსგავსი მოვლენების განვითარებას გამოვრიცხავ, რადგან ამის მსგავსი პრეცენდენტი საქართველოს ისტორიაში არ მოიძებნება, თუ არ ჩავთვლით ოცი წლის წინანდელ მოვლენებს. არა მგონია, ქართველ სამართალდამცავებსა და საზოგადოებას შორის მსგავსი დაპირისპირება მოხდეს. ქართველები განსხვავებული ერი ვართ. 7 ნოემბრის მოვლენების დროსაც კი, როდესაც ხალხი პანიკაში იყო და ბრბოს პრინციპით მოქმედებდა, მხოლოდ რამდენიმე სამართალდამცავმა მიიღო მცირე დაზიანება. ასე რომ, ბიშკეკის მსგავსი მოვლენები წარმოუდგენლად მიმაჩნია ქართულ რეალობაში.

**ლევან ვეფხვაძე (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია):** — ძალადობა, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან მიუღებელია. ის, რაც ყირგიზეთში ხდება, კარგი გაკვეთილი უნდა გახდეს ჩვენთვის — როგორც საქართველოს ხელისუფლებისთვის, ისე იმ ოპოზიციონერი ლიდერისთვის, რომელიც ხელისუფლების შეცვლას სწორედ ასეთი ძალადობრივი მეთოდებით ცდილობს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიციას რაიმე რესურსი გააჩნია მსგავსი მოვლენების გასავითარებლად. ყირგიზეთისგან განსხვავებით, ჩვენი ხელისუფლება საკმაოდ ძლიერია და მსგავსი ვითარების შექმნის შემთხვევაში, ყველანაირად ეცდება, მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვას.


ბიშკეკი. 2010 წლის აპრილი.

**ჯაბა ჯიშკარიანი (მოძრაობა „7 ნოემბერი“):** — არჩევნების გაყალბებას არავინ არ უნდა შეეგუოს, აუცილებლად უნდა გაპროტესტდეს. საკუთარი ხმა საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა უნდა დაიცვას. არაა სასურველი, ყირგიზეთის მსგავსი მოვლენები საქართველოშიც განვითარდეს, მაგრამ არც მიხეილ სააკაშვილს, არც ვანო მერაბიშვილს არ უნდა შერჩეს არჩევნების გაყალბება. ძალიან ცუდი იქნება, თუ მსგავსი მოვლენების განვითარების საფრთხის წინაშე დავდგებით. ამის მზაობა და მოწოდება საზოგადოებაში არაა. ყველას კარგად ახსოვს, სამოქალაქო დაპირისპირებამ რა შედეგებიც მოიტანა და არ მგონია, ქართველმა კიდევ ერთხელ აიღოს იარაღი და ძმამ ძმას კიდევ ერთხელ ესროლოს. თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა მსგავსი მოლენების დასაწყებად ინიციატივას აიღებს, ქართული საზოგადოებისგან დაგმობილი იქნება. შეიძლება გარეშე ძალებიც ჩაერიონ ამ საქმეში, თუმცა მგონია, ხელისუფლების ინტერესებში უფრო შედის ეს. შეიძლება ვანო მერაბიშვილის ბანდფორმირებებმაც დაიწყონ სიტუაციის გამძაფრება, მაგრამ გპირდებით, რომ საზოგადოება ან თუნდაც პოლიტიკური ოპოზიცია ამ ყველაფერს ჩაახშობს.

**პაატა ზაქარეიშვილი (რესპუბლიკური პარტია):** — არჩევნების შემდეგ თუ აღმოჩნდა, რომ ხელისუფლებამ ისევ შეძლო მისი გაყალბება, ამას სერიოზული საზოგადოებრივი მღელვარება მოჰყვება. არ მგონია, ყირგიზეთის მსგავსი მოვლენები საქართველოშიც განვითარდეს, ჩვენ სხვა ცივილიზაციის მქონე ერი ვართ. რამდენი ხანია, საქართველოში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს და აშკარა აგრესია არასდროს გამოკვეთილა. ქართულმა საზოგადოებამ უფრო დემოკრატიულ ფორმებს უნდა მიმართოს. საქართველოში არჩევნები დღემდე ბუშის ადმინისტრაციის პირობებში ტარდებოდა და ყველაფერს პატიობდნენ სააკაშვილს. იმედია, დღეს მსოფლიო ამდენს აღარ აპატიებს მას. ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყნის დარბევა და დაქცევა არ უნდა იყოს ხალხის ინტერესებში. ვიმედოვნებ, რომ ქართული საზოგადოება მოწოდების სიმაღლეზე იქნება და შუა საუკუნეებში არ გადავარდება, სააკაშვილი რომ გამყალბებელია, ეს ყველამ იცის, მაგრამ ყველაფრის მკადრებელი ვერაა. თუკი ამომრჩევლის 80% მაინც მივა არჩევნებზე, სააკაშვილი მის გაყალბებას ვერანაირად შეძლებს. ყირგიზებმა 75 კაცის სიცოცხლე დადეს სასწორზე. არის კი მზად ქართული საზოგადოება მსგავსი საქციელისთვის? ვფიქრობ, არა.

**მამუკა კაციტაძე („ახალი მემარჯვენეები“):** — ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ არჩევნები არ გაყალბდეს და ხმების დასაცავადაც ვიბრძოლებთ. ყველაფერი შესაძლებელია, მათ შორის ისიც, რომ ყირგიზეთის მსგავსი მოვლენა აქაც განვითარდეს, თუმცა ეს ქართული რეალობისთვის კატეგორიულად მიუღებელია. ამას არ ვუსურვებ არც ერთ ქვეყანასა და დედაქალაქს. ეს არაა სახელმწიფოს განვითარება და მოქალაქეებზე ზრუნვა. არსებობს პოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ბიშკეკის მოვლენების გვერდის ავლითაცაა შესაძლებელი. ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, საარჩევნო გარემო ჯანსაღი რომ იყოს და უარყოფითი პროგნოზებით საზოგადოებას ნიჰილიზმისკენ არ ვუბიძგოთ.

**თეო ტაბატაძე**
**ლილი მიროტაძე**

**P.S საინტერესოა, როცა ხელისუფლება თავისი უკანონობითა და უსამართლობით ხალხის ასაჯანყებლად პირობებს ქმნის, რატომ ფიქრობს ზოგიერთი ინტელექტუალი, რომ ჩვენთან არ იქნება ხელისუფლების წინააღმდეგ რადიკალური გამოსვლები? თუ მარტო ქართველები არიან მონური ფსიქოლოგიის მქონენი და ყველანაირი თავსმოხვეული უბედურების უსიტყვოდ ამტანნი?**

**ზოგიერთი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, რიგითი მოქალაქეების ნაწილი დარწმუნებულია, რომ, თუ ხელისუფლება მერაბიშვილის სპეცნაზის იმედით ხალხის სამართლიანი მოთხოვნების დათრგუნვას გააგრძელებს, მაშინ არსებულ რეჟიმს ბიშკეკი მართლა სანატრელი გაუხდება.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ამერიკული გამოძიების ქართული დეტალები

**საქართველო სერიოზულ საერთაშორისო სკანდალშია გახვეული იმ კორუფციული სქემების გამო, რომელთა დამადასტურებელი დოკუმენტაციაც, აფრიკულ გაბონთან ერთად, FBI-ის გამოძიებამ დადო, თუმცა ამის შესახებ არაფერი იციან საქართველოს ხელისუფლების იმ პირებმა, რომელთაც, წესით, ყველაზე უკეთ უნდა იცოდნენ, როგორც იარაღის შეძენის კორუფციული სქემები და პროცესები, ისე ის საბრალდებო დასკვნაც, რომელიც ვაშინგტონის სასამართლომ გამოაქვეყნა და სხვადასხვა გამოცემების მეშვეობით საზოგადოებისთვის საჯარო გახდა.**

## რატომ გაიქცა დავით კეზერაშვილი ისრაელში და რატომ «დააბეზღა» ვანო მერაბიშვილმა გივი თარგამაძე?

### „ლას-ვეგასის იარაღის შოუ“

წელს ლას-ვეგასში ყველაზე მასშტაბური იარაღის საერთაშორისო გამოფენის მოწყობა იგეგმება. მის ორგანიზებაში, მეტ-ნაკლებად, აქტიურად ჩართული 22 პირი ლას-ვეგასში საორგანიზაციო საკითხებზე მსჯელობის მოტივით შეიკრიბა.

გფბ-ს დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის — ლენნი ბროიერის განცხადებით, **„ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, ყველა მათგანი ერთდროულად ერთ ადგილზე შეგვეკრიბა“.** სკანდალური დაპატიმრება ამერიკისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, არანაკლები შოკი საქართველოსთვისაც იყო. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ იარაღის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელები და თანამშრომლები, რომლებიც სამხედრო დანიშნულების საქონლით ამარაგებდნენ ამერიკის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებსა და პენტაგონს; სახელმწიფო სტრუქტურების მაღალჩინოსნები და ე. წ. **შუამავალი აგენტები.**

**ერთ-ერთი ბრალდებული დენიელ ელვირესი, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას დათანხმდა და 2,5-წლიან საიდუმლო მუშაობის შედეგებს ახალი დეტალები შესძინა. საბრალდებო დასკვნაში, რომელიც ამ დროისთვის უკვე საჯაროა, ძირითადად, ორ ქვეყანასთან კორუფციულ კავშირებზეა საუბარი — ეს არის აფრიკული სახელმწიფო გონდურასი და საქართველო.**

სქემა მარტივი იყო: **„გაყიდვების აგენტი“** უკავშირდებოდა, ერთის მხრივ, ამერიკელ ჩინოვნიკებსა და იარაღის მწარმოებელ კომპანიებს; ხოლო, მეორეს მხრივ, უცხო ქვეყნის შესაბამის მოხელეებს. ამ შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს, იარაღისა და სამხედრო დანიშნულების მასალების გაყიდვა რეალურ ფასზე ბევრად ძვირად ხდებოდა, **„ზედმეტ ფულს“** იყოფდნენ დამკვეთი სახელმწიფოს მაღალჩინოსანი, გაყიდვების აგენტი და მიმწოდებელი; სქემაში ჩართულნი იყვნენ ამერიკის სახელმწიფო სტრუქტურების მაღალჩინოსნებიც.

საიდუმლო სპეცოპერაციის პროცესში, ბრალდებულ პირებს მიმართა ადამიანმა, რომელმაც თავი აფრიკული სახელმწიფოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლად წარმოადგინა, მრავალმილიონიანი კონტრაქტის სანაცვლოდ, რომელიც გაბონის პრეზიდენტის გვარდიის ეკიპირებით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა მისთვის საკომისიოს სახით, 20 პროცენტის გადახდა შესთავაზა. კონტრაქტის საერთო ღირებულება 15 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. შეთანხმდნენ და კორუფციული გარიგებაც შედგა, რის შემდეგაც გარიგებაში მონაწილე პირები დააპატიმრეს, ხოლო გონდურასის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ფბრ-ის აგენტი აღმოჩნდა.

**აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს შეფასებით, ეს იყო პირველი საიდუმლო ოპერაცია, რომელიც უცხო ქვეყნის ოფიციალურ პირებთან მიმართებაში განხორციელდა. ლენნი ბროიერის განცხადებით, ამ დროისთვის კიდევ 140 საქმის გამოძიება მიმდინარეობს, რომლებიც, ასევე, უცხო ქვეყნების მიერ ამერიკელი ჩინოვნიკების მოსყიდვას ეხება.**

დაკავებულთა წინააღმდეგ ბრალდებას ამერიკის შეერთებული შტატების, ვაშინგტონის სასამართლო განიხილავს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მათ 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ოფიციალური ინფორმაციით, საბრალდებო დასკვნაში შესულია ახალი მტკიცებულებები და კორუფციის სქემა, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ იარაღის კორუფციული სქემით შეძენას ეხება. ამ შემთხვევაში კონკრეტული ეპიზოდის მთავარი მოქმედი გმირები **„აგენტი ისრაელიდან“** და **„მაიამელი აგენტია“.**

კორუფციული სქემით გაფორმებული კონტრაქტების საერთო ღირებულება, რომელზეც საბრალდებო დასკვნაშია საუბარი, 30 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და აქედან სოლიდური პროცენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში **„ატკატის“** სახით ბრუნდებოდა; თავის წილს იღებდნენ ამერიკელი მოხელეები, მომწოდებელი კომპანიები და შუამავლებიც აგენტების სახით. მაგალითად, M855 აღჭურვილობა, რომლის ღირებულებაც 3,892 მილიონ დოლარს შეადგენდა, საქართველომ 4,676 მილიონად შეიძინა. ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის არსებული სხვაობა ის „სფერო“, რომელსაც ამჟამად ამერიკელი სამართალდამცავები იძიებენ და რომელშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო „სრულფასოვნად“ ფიგურირებს.

### პოლიტიკური ასპექტები

ამ სკანდალური საქმის თაობაზე გამოქვეყნებულ მასალებში ნათქვამია, რომ კორუფციული კონტრაქტები და გარიგებები 2008 წლის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით თარიღდება. ამასთან, განმარტებულია საქართველოს მხრიდან შეიარაღების პროცესის გააქტიურების მიზეზი **„2008 წლის დასაწყისში საქართველო, როგორც ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკა, მზად არის ომისთვის რუსეთთან, სადავო ტერიტორიების გამო“,** — ნათქვამია mainjustice -ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში და იქვე წერია, რომ ამერიკა, როგორც საქართველოს ძველი მოკავშირე დიდი ხნის მანძილზე უარყოფდა ამ ფაქტს. ჯერჯერობით უცნობია, იმ 140 საქმეში, რომელსაც ანალოგიური ბრალდებით იძიებენ, კიდევ ფიგურირებს თუ არა საქართველო, ყოველ შემთხვევაში, არსებული საბრალდებო დასკვნა და გამოქვეყნებული მასალები, ტალიავინის დასკვნის „ორგვარად წაკითხვის“ შესაძლებლობას საქართველოს საწინააღმდეგოდ ამცირებს, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე თუნდაც თავდაცვის სამინისტროს კორუფციულობის ფაქტობრივი დადასტურება.



## „2008 წლის დასაწყისში საქართველო, როგორც ყოფილი სოციალისტური რესპუბლიკა, მზად არის ომისთვის რუსეთთან, სადავო ტერიტორიების გამო“

### კეზერაშვილი გაიქცა

**საბრალდებო დასკვნაში მოხვედრილი ეპიზოდები, თავდაცვის მინისტრის პოსტზე დავით კეზერაშვილის მოღვაწეობის 2008 წლის თებერვლიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდს უკავშირდება, შუაში იყო 2008 წლის აგვისტო და წაგებული ომი, რომლის შედეგების შელამაზებასაც ამ დრომდე ჯიუტად ცდილობენ ხელისუფალნი. კეზერაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტზე 2006 წლის 11 ნოემბერს ირაკლი ოქრუაშვილი შეცვალა და ამ უწყებას 2008 წლის 5 დეკემბრამდე მართავდა.**

კეზერაშვილი ყოველთვის ითვლებოდა მიხეილ სააკაშვილის ერთგულ კადრად, რომელსაც **„ნაციონალების მოლარესაც“** უწოდებდნენ და პარტიის ფინანსებს სრულად ანდობდნენ. აღსანიშნავია, რომ კეზერაშვილი მინისტრად დანიშვნამდე ფინანსური პოლიციის შეფი იყო და ხმაურიანი დაპატიმრებებისა და ბიზნესის დაწიოკების ხარჯზე, ხელისუფლებისთვის საამაყო ბიუჯეტის გაზრდაში ლომის წილი აქვს შეტანილი, როგორც ჩანს, პრეზიდენტმა გადაწყვიტა მისთვისაც მიეცა „ატკატი“ „მოზიდული“ თანხებისა და ერთგულების სანაცვლოდ. „ვარდების ხელისუფლების“ მოსვლისთანავე, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და საქართველოს გამთლიანება ხუთწლედის გეგმად გამოცხადდა და დაიწყო მზადება გეგმის „გადაჭარბებით შესრულებისთვის“.

**შედარებისთვის: 2000 წელს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 44 მილიონ ლარს შეადგენდა და სეკვესტრის გამო ისიც სრულად ვერ მიიღო ამ უწყებამ. 2008 წელს კი თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ბიუჯეტი 1,56 მილიარდ ლარს შეადგენდა და, როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, სამინისტრო არაპირდაპირი თანხებითაც დამატებით ფინანსდებოდა. არსებობს მოსაზრება, რომ წინასწარ წაგებული ომის დაწყების მიზეზი ზუსტად ამ მილიარდების უმტკივნეულო ჩამოწერა იყო, ჩამოიწერა კიდეც და ვერც ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, რომ არა ფბრ-ის „უადგილო“ დაინტერესება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კორუფციის დეტალებით.**

სამხედრო ექსპერტი გიორგი მელითაური აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტო ყოველთვის დახურული უწყება იყო და მისთვის გამოყოფილი უზარმაზარი ბიუჯეტის ხარჯვის გაკონტროლება, უბრალოდ, — შეუძლებელი; ასევე, მიიჩნევს, რომ დავით კეზერაშვილი ზუსტად ამ „ბიუჯეტის ეფექტური ათვისების“ მისიით დაინიშნა, რასაც თავი დიდი წარმატებით გაართვა კიდეც. ომმა ჩამოწერა ათმაგ ფასში შეძენილი უხარისხო იარაღები და ცნობილი ბრენდების იაფფასიანი „პატენტები“, მილიარდები რომელიც შეიარაღებაში, საბრძოლო მასალებსა და ეკიპირებაში, საკვებსა და ინფრასტრუქტურის მოწყობაში დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ დაიბომბა სამხედრო ინფრასტრუქტურა და ბაზები, ანუ ის ობიექტები, რომლებშიც ყველაზე დიდი თანხები იყო ჩადებული – თუ კონკრეტულად რამდენი, ამას ვერავინ ვალარასდროს გაიგებს. თუმცა არც ასე დარწმუნებით შეიძლება თქმა, უცხოური მედია ვარაუდობს, რომ გამოძიებას, რომელიც კიდევ გრძელდება ისევ უცხო ქვეყნების მიერ ამერიკელი ჩინოვნიკების მოსყიდვის მიმართულებით, შესაძლოა, კიდევ ბევრი მოულოდნელი სიურპრიზი და უფრო ხმაურიანი სკანდალებიც მოჰყვეს.

### ორი პასპორტის ხიბლი

**დავით კეზერაშვილი ქართველი ებრაელია და, რომ არა ლას-ვეგასის იარაღის შოუ, მისი წასვლა ისრაელში არავის გააკვირვებდა, თუმცა ექს-თავდაცვის მინისტრი მუდმივად, ანუ საცხოვრებლად გადავიდა თავის მეორე სამშობლოში და, შეიძლება, ვთქვათ, რომ „თავი ქუდში აქვს“ — ისრაელის მოქალაქეობა არა მხოლოდ ებრაული წარმოშობის ქართველი სუბიექტებისთვის, არამედ ნებისმიერი წარმომავლობის ხელისუფლებასა და პოლიტიკაში მყოფი პირისთვის თანაბრად მომხიბვლელია.** საქმე ის არის, რომ ისრაელი თავის მოქალაქეს, რა დანაშაულიც არ უნდა ჩაიდინოს მან საზღვარგარეთ, არც ერთ ქვეყანას არ გადასცემს.

**დაზუსტებული ინფორმაციით, ხელისუფლებაში ამჟამად მყოფ თუ ყოფილ ჩინოვნიკთა დიდ ნაწილს, ჯიბეში ებრაული პასპორტი უდევს და გაქცევისთვისაც ნებისმიერ დროს მზად არიან, კეზერაშვილს ეს ფაქტორი მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ ვითარებაში გამოადგა, თუ გავითვალისწინებთ, რომ არანაკლებ ეფექტური სქემები სხვა სამინისტროებშიც მუშაობდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაქცევის შემთხვევაშიც „არ დაიკარგებიან“. მთავარია, საერთაშორისო სამართალს დაემალონ, თორემ საქართველოში რომ პასუხს არავინ მოსთხოვს, ეს მშვენივრად იციან.**

შესაძლოა, ძალზე საეჭვო დამთხვევად მივიჩნიოთ ვანო მერაბიშვილის მიერ გივი თარგამაძის მიმართ გაკეთებული მამხილებელი განცხადება, რომ იგი რუსეთის არმიას სტალინის ძეგლის აფეთქებაში 50 000 დოლარს უხდიდა. არსებული ინფორმაციით, გივი თარგამაძე, რომელიც წლების მანძილზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს ხელმძღვანელობს, თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ყველა პროცესში აქტიურად იყო ჩართული და, შესაბამისად, ბევრ საკითხზე, მათ შორის კორუფციულ სქემებსა და ხარჯვით ნაწილზეც, პასუხისმგებლობას იზიარებს, **MAINJUSTICE-ის ინფორმაციით, ამერიკის სასამართლომ გაბონის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა დაკითხვის მოთხოვნაზე ნებართვა უკვე გასცა და ამ ნებართვის ფატალურ ცნობას საქართველოს მაღალჩინოსნებიც ელოდებიან, განტევების ვაცი აუცილებელია, თანაც ამჯერად შემთხვევითი „ვაცი“ არ გამოგვადგება, ასეთი არაშემთხვევითი და საქმესთან დაახლოებული პირი კი, სავარაუდოდ, გივი თარგამაძეა, თუმცა საქმის მასალებში ნათქვამია: „ცრემლსადენი გაზის ბალონებისა და სასროლი მოწყობილობის შეძენის შესახებაც არც ის არის გამორიცხული, რომ კვალმა თავდაცვის სამინისტროსთან ერთად, შს სამინისტროსთან ჩაიაროს და წინდახედულ ვანო მერაბიშვილს, კონკრეტული მერკანტილური მიზნები ამოძრავებდა, როდესაც გივი თარგამაძე „ძალაუნებურად დააბეზღა“, რუს გენერალს გორის ცენტრის დასაბომბად ფულს სთავაზობდაო;** რაც შეეხება კეზერაშვილს, თუ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს დავუჯერებთ, იგი თავად პრეზიდენტის ინიციატივით „გადამალეს“, ჯერჯერობით არც მისი „საქართველოს ლოტოს კომპანიისა“ და არც სხვა ბიზნესების „გადახედვა“ იგეგმება.

**ნინო ბერიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სოდის თანამშრომლები მაღრაძეს ოთხი საათის განმავლობაში სცემდნენ, ქამრით ახრჩობდნენ და აწამებდნენ



**ყველა კრიტიკული ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც საქართველოში ადამიანის უფლებათა არსებულ მდგომარეობას ასახავს, სახელისუფლო გუნდი რუსულ კვალზე მიუთითებს. თუმცა ამჯერად, ალბათ, ვერავინ იტყვის, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში რუსული ინტერესები დევს, რადგან ახლადარჩეული სახალხო დამცველის ბიოგრაფია ამის საფუძველს არ იძლევა. ანგარიში, რომელსაც პარლამენტი 30 აპრილს მოისმენს, მეტად მწვავეა დემოკრატიულობის პრეტენზიის მქონე ქვეყნისთვის.**

## სახალხო დამცველი შს სამინისტროს დაკავებულ პირთა მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს

გიორგი ტუღუში, რომელიც სახალხო დამცველად საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის 31 ივლისს 5 წლით აირჩია, ნაციონალური მოძრაობის ფავორიტია. ამას მისი ბიოგრაფიაც ადასტურებს.

გიორგი ტუღუში 2003 წლის მაისამდე, შვიდი თვის მანძილზე, თავისუფლების ინსტიტუტში მედიაპროექტების კოორდინატორი იყო, შემდეგ კი — გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში. 2004 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ეუთოს მისიაში ადამიანის უფლებათა საკითხებზე მუშაობდა. ომბუდსმენის პოსტზე დანიშვნამდე მუშაობდა ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტში, რომლის მიზანი სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაზრდა იყო. ასევე იყო ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრი.

„თავისუფლების ინსტიტუტისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღიდან გამოსული და საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ძალისხმევით გაომბუდსმენებული გიორგი ტუღუშიც კი, როგორც აღვნიშნეთ, თავის მოხსენებაში ვერ ასცდა საქართველოს ძალოვან სტრუქტურებსა და სასამართლოში დამკვიდრებული ძალადობისა და უკანონობის გამოქვეყნებას.

ტუღუში მოხსენებაში აღნიშნავს, რომ **უკანასკნელი მონიტორინგის შემდეგ იმატა არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.** აღნიშნული მასალები გადაეგზავნა როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, ისე — პროკურატურას, თუმცა ამ შემთხვევებზე გამოძიება დაიწყო არა წამების ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, არამედ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით. **მოხსენებაში ტუღუში დაწვრილებით აღწერს ციხეებში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობას, რომლითაც მითი საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში სიტუაციის გაუმჯობესების შესახებ საპნის ბუშტივით ქრება.**

დროებითი მოთავსების იზოლატორებში, სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, შედარებით უკეთესი სიტუაციაა. მონიტორინგის დროს იზოლატორებში მოთავსების შემდეგ მიღებული დაზიანების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. სამაგიეროდ, ძალიან ხშირად, იზოლატორში პირი დაზიანებებით ხვდება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც მისი განცხადებით დაზიანება დაკავების დროს მიიღო, იგი სამართალდამცავი ორგანოების მიმართ პრეტენზიას არ გამოთქვამს.

**„ზუგდიდის დროებითი მოთავსების იზოლატორში ჩატარებული მონიტორინგის დროს, ჩვენ შერჩევით დავათვალიერეთ ერთ-ერთი დაკავებული. როდესაც მან ჩვენი ვინაობა გაიგო, დახმარება გვთხოვა. მისი გადმოცემით, დაკავების დროს და ასევე ჩვენების მიცემისას იგი სასტიკად სცემეს სამართალდამცავებმა,** — ნათქვამია ანგარიშში, — **სხეულზე აღენიშნებოდა საკმაოდ ინტენსიური სხვადასხვა სახისა და ლოკალიზაციის დაზიანებები, ჩვენ შევადგინეთ შესაბამისი ოქმი და შევავსეთ დაზიანების აღწერის ფორმა №5, რომელზეც პროკურატურიდან 2010 წლის 19 მარტს მიღებული პასუხის თანახმად საქმეზე დაიწყო გამოძიება.**

**სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია სასამართლო სისტემაში სასამართლოს მიერ მიღებული შუალედური თუ საბოლოო გადაწყვეტილებების (ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ, უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, განაჩენი და სხვ.) არასაკმარისად დასაბუთებულობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა არაერთ სისხლის სამართლის საქმეში გვხვდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღესდღეობით სასამართლოს გადაწყვეტილებების არასაკმარისად დასაბუთებულობა პრობლემას წარმოადგენს.**

**არასაკმარისი დასაბუთების პრობლემა გვხვდება არა მხოლოდ შუალედურ, არამედ სასამართლოს მიერ გამოტანილ საბოლოო გადაწყვეტილებებშიც. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო განაჩენში ეყრდნობა ერთ კონკრეტულ მტკიცებულებას, მაშინ, როდესაც არსებობს ამ მტკიცებულებების საწინააღმდეგო მტკიცებულებაც. მაგალითად, როდესაც საქმეში არის რამდენიმე მოწმის ჩვენება, რომელთა ნაწილი ადასტურებს პირის ბრალეულობას, ხოლო ნაწილი ბრალდებულის სასარგებლოდ მეტყველებს, განაჩენში განმარტებული უნდა იყოს, თუ რატომ აქვს ამა თუ იმ მტკიცებულებას უპირატესობა სხვა დანარჩენ მტკიცებულებებთან შედარებით, მაშინ, როდესაც აღნიშნული ჩვენებები წინააღმდეგობრივია.**

### ნადირაძის სისხლის სამართლის საქმეში ქუთაისის სასამართლომ გამამტყუნებელ განაჩენს ყაჩაღობის ნაწილში საფუძვლად დაუდო დაზარალებულ ზ. მაკარიძის ჩვენება, რომელიც აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო საქმეზე დაკითხული სხვა მოწმეების ჩვენებებთან, თუმცა სასამართლოს აღნიშნული მოწმეების ჩვენების შეფასება საერთოდ არ მოუხდენია.

დადგენილებების ფორმალური ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ თითოეულ მოსამართლეს ინდივიდუალურად შემუშავებული (ე. წ. შაბლონური) ფორმა აქვს, რომელშიც, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ რეკვიზიტები იცვლება. ფორმა, როგორც წესი, შეიცავს დადგენილების გამომტანი სასამართლოს დასახელებას, საქმის განხილვის თარიღს, სამართალდამრღვევის, ასევე, სასამართლოში მისი წარმომდგენის ვინაობას, იმ ნორმატიული აქტის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას, გასაჩივრების (გადასინჯვის) ვადებს.“

სახალხო დამცველი ანგარიშში ჯაბა ჯიშკარიანის, დაჩი ცაგურიასა და ირაკლი კორძაიას დაკავების ფაქტსაც ეხმაურება და აცხადებს, რომ მათ მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებში აშკარად გამოკვეთილია დაუსაბუთებლობის პრობლემა. მეტიც,

**სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დაირღვა მოქალაქეების — დაჩი ცაგურიას, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება.**

სახალხო დამცველი შს სამინისტროს გამოძიების გაჭიანურებაში, არაეფექტურ გამოძიებაში, დანაშაულის შესახებ ინფორმაციაზე არაადეკვატურ რეაგირებაში, დაკავების პროცესში დაკავებულ პირთა მიმართ არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობაში, გამოძიების მიმდინარეობისას პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და პოლიციის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დარღვევაში ადანაშაულებს.

**„ეს ის საკითხებია, რომლებიც მუდმივად აისახება სახალხო დამცველის ანგარიშებში და ამ მხრივ გამონაკლისს არც 2009 წლის მეორე ნახევარი წარმოადგენს.** — აცხადებს ტუღუში, — **საყურადღებოა ის გარემოება, რომ, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების თანახმად, სს საქმეების უმეტეს ნაწილზე წინასწარი გამოძიება უკვე წლების მანძილზე მიმდინარეობს (რამდენიმე შემთხვევაში კი ათ წელზე მეტი). გარდა გაჭიანურებისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები სახალხო დამცველს მიმართავენ საჩივრით, რომ, დანაშაულის აშკარა ნიშნების მიუხედავად, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან რეაგირება არ ხდება.**

**გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც დაკავების პროცესში შს სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მოქალაქეთა არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტებს.**

2009 წლის 15 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები ესაუბრნენ ბრალდებულ ლ. მაღრაძეს, რომელმაც განმარტა, რომ 2009 წლის 28 ნოემბერს დააკავეს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა. დაკავების შემდეგ სამართალდამცავებმა მას თავზე ჩამოაფარეს პოლიეთილენის პარკი და წაიყვანეს მისთვის უცნობ ადგილას. განმცხადებლის განმარტებით, მას 4 საათის განმავლობაში სცემდნენ, ქამრით ახრჩობდნენ, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდნენ მისი ოჯახის წამებით. ლ. მაღრაძის ცემა შს სამინისტროს შენობაშიც გაგრძელდა. მისი განმარტებით, პოლიციის მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგად მას სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები, კერძოდ, ხელზე, ყურზე და თვალთან ჰქონდა ჩალურჯებები, ხოლო წელზე — ნაკაწრები.

### გ. გოგიჩაიშვილის სს საქმეში სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ერთი და იგივე ექვიტანილი ერთდროულად მონაწილეობდა ორ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებაში.

აღნიშნულ საქმეზე 2008 წლის 11 ნოემბერს ქარელის რაიონული სამმართველოს შენობაში ექვმიტანილის სახით დაიკითხა გ. მწარიაშვილი. დაკითხვისას მან აჩვენა, რომ სახლში ინახავდა თ. იორამაშვილის მაღაზიიდან მოპარულ მობილურ ტელეფონებს. დროის იმავე მონაკვეთში, იმავე გამომძიებელმა გ. მწარიაშვილის საცხოვრებელ ბინაში მისივე თანდასწრებით ჩაატარა ჩხრეკა და ამოღება. სს საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. მწარიაშვილის დაკითხვა პოლიციის ქარელის რაიონული სამმართველოს შენობაში და მისი ბინის ჩხრეკა ჩატარებულია დროის ერთ პერიოდში, თუმცა წარმოუდგენელია ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად მონაწილეობდეს სხვადასხვა ადგილზე ჩატარებულ ორ საგამოძიებო მოქმედებაში.

სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებებში განმცხადებლები ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ცინიკური, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქცევის გამო.

### ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიციის თანამშრომლები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ თავისუფლებააღკვეთილ პირებს.

სახალხო დამცველი, ასევე, საუბრობს პროკურატურის მხრიდან არაეფექტურ გამოძიებაზე. ანგარიშში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის აპარატში შემოსულ განცხადებებში განმცხადებლები ხშირად მიუთითებენ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დაკავების პროცესში მათზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე დაწყებული არაეფექტური გამოძიების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეებზე, მიუხედავად დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებისა, დამნაშავე პირთა იდენტიფიკაცია, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, როგორც წესი, არ ხდება.

**როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საფუძველსმოკლებულია იმაზე საუბარი, რომ სახალხო დამცველი რომელიმე მტრულად განწყობილი ქვეყნის გავლენის ქვეშაა. ყველაზე ახლოს რეალობასთან მისი სახელისუფლო გუნდის გავლენის ქვეშ ყოფნა იქნებოდა. მისი ანგარიში მით უფრო შემაშფოთებელია, რადგან აღმოჩნდა, რომ ნაციონალების რჩეულის თვალით დანახული საკნებიც ადამიანის ღირსებისშემლახავი და წამების ტოლფასია, შს სამინისტრო ისევ აწამებს ხალხს, აღნიშნულ ფაქტებზე ისევ არ რეაგირებს პროკურატურა, სასამართლო კი ისევ მიკერძოებულია.**

**საინტერესოა, როგორ შეაფასებს 30 აპრილს პარლამენტი ამ მოხსენებას და რა არგუმენტს გამოძებნის უმრავლესობა ანგარიშში მოყვანილი ფაქტების გასაუვნებელყოფად.**

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ДоКАТЫНЬились

**პოლონეთი გლოვობს ტრაგიკულად დაღუპულ პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკისა და მის თანმხლებ პირებს. პრეზიდენტის თვითმფრინავმა 10 აპრილს კატასტროფა განიცადა სმოლენსკის თავზე; ერთი კილომეტრით ვერ მიაღწია დასაფრენ ზოლს, უფრო ნაკლებითაცო, ამბობენ. დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, სრულიად პოლონელ ხალხს ვუსამძიმრებთ ამ უმძაფრესი ტრაგედიის გამო, რომელმაც სულის სიღრმემდე შეძრა თითოეული ჩვენგანი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს!**



Ту-154-ის კატასტროფამ პოლონეთის უმაღლესი ხელმძღვანელობის საუკეთესო ნაწილი იმსხვერპლა — პოლონეთის სამხედრო პოლიტიკური ელიტის საუკეთესო წარმომადგენლები.

— **ეს კოლოსალური ტრაგედიაა**, — ამბობს სეიმის დეპუტატი მარიუს ბლაშჩაკი, — **მერამდენედ წარმოჩნდა კატინი ისეთ ადგილად, სადაც წარმოუდგენელი ტრაგედიები ხდება.**

წარმოუდგენელი, გაუგებარი და დღემდე ბოლომდე ამოუცნობი.

ჰიტლერული მესამე რაიხის პროპაგანდისტულმა მანქანამ მას შემდეგ, რაც ფაშისტებმა დაიპყრეს სმოლენსკის მიწა, მსოფლიოს მოსდო კატინის ხოცვა-ჟლეტის შემზარავი ამბავი: **კატინის ტყეებში აღმოჩენილია 1940 წელს სსრკ უშიშროების სახელმწიფო კომისარიატის მიერ დახვრეტილი პოლონელების მასობრივი სამარხები.**

1943 წელს საბჭოთა ჯარების მიერ სმოლენსკის გათავისუფლების შემდეგ შექმნილმა კომისიამ, რომელსაც სახელგანთქმული ექიმი ნიკოლაი ბურდენკო ხელმძღვანელობდა, შეისწავლა ეს საზარელი მოვლენა და დაასკვნა, რომ პოლონელი მოქალაქეები 1941 წელს გერმანელების საოკუპაციო ჯარებმა დახვრიტეს.

**2004 წელს რუსეთის სამხედრო პროკურატურამ დაადასტურა უშიშროების სახალხო კომისარიატის „ტროიკის" მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი 14542 პოლონელი სამხედრო ტყვის მიმართ და უტყუარად დაადგინა 1803 ადამიანის სიკვდილი.**

კატინის ტრაგედიას დღეს, რა თქმა უნდა, სტალინის დანაშაულობათა ერთ-ერთ გამოვლენად მიიჩნევენ, მაგრამ საბოლოოდ ჯერ კიდევ არაფერია დადგენილი და დადასტურებული. კვლავ პასუხგაუცემელია კითხვა: **საბჭოთა კავშირზე ხელის შეწმენდა ხომ არ არის ნაცისტთა დანაშაულის გამართლების ირიბი მცდელობა, რაც, თავისთავად, ბრძოლის ველზე და საკონცენტრაციო ბანაკებში დაღუპულთა ხსოვნის შეურაცყოფაა?**

ბედისწერასთან სახიფათო თამაშია, რადგან ამ შემთხვევაში სასწორზე ადამიანების სიცოცხლე იდება. **ისტორიული სიმართლის ხელყოფა კატასტროფად შემოტრიალებია კაცობრიობას ყოველთვის.** პოლონელმა არქიეპისკოპოსმა იუზეფ მიხალიკმა გლოვის ამ დღეებში განაცხადა: **„პოლონეთის ინტელექტუალური ელიტის 70 წლის წინანდელ დიდ მსხვერპლს დაემატა ტრაგედია იმ ადამიანებისა, რომლებიც ასე ძლიერ ცდილობდნენ კატინის შესახებ სიმართლის დადგენას".**

რომელი სიმართლის?

ეგებ, ასეთ შემთხვევაში სიმართლისთვის ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება ისტორიის კონიუნქტურისთვის მორგების მცდელობაზე უარის თქმაა? **უამრავი მაგალითი გვიდასტურებს, რომ ისტორიას, რომელიც წარსულია, განგების რაღაც უხილავი, მაგრამ უძლიერესი დაძაბულობის ველი იცავს, ტაბუ ადევს, აკრძალული ზონაა, ანუ, მეგრულ მრავლისდამტევ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, — ვაშინერს!**

1941 წლის 21 ივნისს სამარყანდში თემურიდების აკლდამა გურ-ემირი რომ გახსნეს და, გაფრთხილების მიუხედავად, რომელიც საფლავის მრავალტონიან ფილაზე იყო ამოკვეთილი — **„ნუ შეაწუხებთ გარდაცვლილთა სულებს"**, რადგან რისხვა დაგატყდებათო თავს, აჰხადეს სახურავი თემურის განსასვენებელს და მეორე დილით გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც თემურ ლენგის ძვლები მოსკოვიდან სამარყანდში დააბრუნეს და აკლდამაში ჩაასვენეს, ზუსტად ორ დღეში სტალინგრადის ბრძოლა სტალინის გამარჯვებით დამთავრდა.

სტალინის გადასვენებით დაწყებული ხრუშჩოვის მმართველობა ნიკიტას კრახით დასრულდა.

**კატინის ტრაგედიის „პერესტროიკისთვის" მორგება საბჭოთა კავშირის კრახის წინამორბედი გახდა და 69 წლის შემდეგ — 10 აპრილს კატინის გამეორებად მოგვევლინა.**

კონკრეტულად რა იყო თვითმფრინავის კატასტროფის მიზეზი — ტექნიკა, ამინდი თუ ადამიანის ფაქტორი, თუნდაც პასუხის გაცემა პირველივე დღეებში გაჩენილ შეკითხვაზე: რატომ დასჭირდა ოთხჯერ შემობრუნება სამთავრობო თვითმფრინავს აეროდრომზე დასაშვებად მაშინ, როცა ჟურნალისტების თვითმფრინავმა ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეასრულა ეს მანევრი? (**იოლანტა შჩიპინსკა**), აბსოლუტურად მეორეხარისხოვანია. რადგან ბედისწერა, ადრე თუ გვიან, განგების რისხვად შემოგვიტრიალდება ხოლმე ცოდვილ ადამიანებს.

**კატინი ადასტურებს!**
**და გვაფრთხილებს.**

უთუოდ ფატალური იყო ლეხ კაჩინსკის დაღუპვა მაინც და მაინც კატინის ტრაგედიის 70 წლის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ჩასვლისას და არც ერთ წინა ხუთ შემთხვევაში, როცა პრეზიდენტის თვითმფრინავი წყობიდან გამოდიოდა...

დიდი გლოვაა პოლონეთში, რომელსაც ჩვენც ვუერთდებით გულწრფელად, თუმცა, ღმერთო მაპატიე, იქაურ ელექტორატს პრეზიდენტისადმი ისეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, როგორიც ჩვენთანაა დაფიქსირებული მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

**ისინი ერთმანეთთან მეგობრობდნენ. ლეხ კაჩინსკი გაბედული და პირდაპირი პიროვნება იყო: საქართველოში მაშინ ჩამოვიდა და თავისი სათქმელი საქვეყნოდ მაშინ განაცხადა, როცა აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს სააკაშვილის ბევრმა მეხოტბემ წითელი ხიდისკენ ისე გაქუსლა, რომ ზურგზე ირტყამდა ფეხებს.**

მოყვარეს პირში უძრახეო. ეგებ, პირისპირ საუბარში კიდეც აკრიტიკებდა პოლონეთის პრეზიდენტი ჩვენსას 2007-ის ნოემბერში დემონსტრაციების დარბევის გამო და ადამიანის უფლებათა შელახვისთვის, რომელთა შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციები თუ უფლებათა დამცველები არ ერიდებოდნენ და არც ერიდებიან საუბარს ოფიციალურ დონეებზე. ბატონ კაჩინსკისგან მსგავსი არაფერი გაგვიგია.

**მეგობრობა, ეტყობა, მაშინ განელდა, როცა მიხეილ სააკაშვილმა პოლონეთის სტუმრად ჩამოსული პრეზიდენტი ახალგორთან, სეპარატისტების თავდასხმისგან დაუცველ ზონაში „გაასეირნა".** საპიაროდ, რა თქმა უნდა, რადგან დიდი ეჭვი გაჩნდა, რომ პრეზიდენტების კორტეჟისთვის „ტყვიის დაშენა" ჩვენების დადგმული მინისპექტაკლი იყო, რომელიც ძალიან არ მოეწონათ პოლონელებს — კაჩინსკის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც...

**ლეხ ვალენსამ უდიდეს დანაკარგად შეაფასა კატინის ეს მეორე ტრაგედია: „ჩვენი განსხვავებულობის მიუხედავად, ეს არის უდიდესი ინტელექტუალური დანაკარგი პოლონელი ხალხისთვის... ჩვენ დიდხანს მოვუნდებით ამ ჭრილობის მოშუშებას, დიდხანს მოგვიწევს სწავლა, მაგრამ მომავალი თაობა არ იქნება ისეთი, როგორიც წინამორბედი იყო".**

გულწრფელად ვუსურვოთ პოლონელ ხალხს, რომელთანაც საუკუნოვანი მეგობრობა გვაკავშირებს, გამაგრება ჭირსა შიგან, რათა წარმატებით განაგრძოს დემოკრატიული და თავისუფალი სამშობლოს მშენებლობის ის საქმე, რომელსაც პოლონეთის საუკეთესო შვილები შეეწირნენ.

„სახელმწიფოსთვის მსხვერპლის გაღება დიდად ფასობს, მაგრამ სიცოცხლის შეწირვა უმაღლესი ფასეულობაა" (**არქიეპისკოპოსი გონდეცკი**).

**არმაზ სანებლიძე**




## მოკლედ



### შევარდნაძე წინააღმდეგია

**საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზების ადგილი არაა.** ორიოდე დღის წინ შევარდნაძემ განაცხადა, რომ „საქართველოში ამერიკული ჯარის განთავსება დანაშაულებრივი ქმედება იქნება და ეს არ უნდა მოხდეს", თუმცა საქართველოში აშშ-ის ინსტრუქტორები მისი პრეზიდენტობისას გაჩნდნენ.

შევარდნაძე ქართველი ჯარისკაცების ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობის წინააღმდეგიცაა.



### ევროკავშირი დაშლის პირასაა

**ჯორჯ სოროსმა „Financial Times"-ის ფურცლებზე განაცხადა, რომ ევრო და ევროკავშირი უკანასკნელ დღეებს ითვლიან და, თუ გერმანია შეღავათიანი პირობებით დაკრედიტებას არ დათანხმდება, ორივეს აღსასრული გარანტირებულია.** მსოფლიო სავალუტო ფონდის დირექტორმა დომინიკ სტროს-კანმა კი ცეცხლზე ნავთი დაასხა და კემბრიჯის კონფერენციაზე განაცხადა, რომ ყველა განვითარებული ქვეყანა ფისკალური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა და ევროკავშირის ბიუჯეტმა ევრო ხელოვნურად უნდა გაამყაროს.



### აღიარება, არ აღიარება...

**სომხურმა სათვისტომომ საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს ოსმალეთის იმპერიაში 1915-1923 წლებში სომეხთა გენოციდის აღიარების საკითხის განხილვის თხოვნით მიმართა.** სომეხთა გენოციდი მსოფლიოს 20-ზე მეტმა ქვეყანამ და საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის ევროსაბჭომ და ევროკავშირმაც აღიარეს, მაგრამ ჩვენ საქმე ძალიან რთულად გვაქვს. აღიარებ, — სააკაშვილის ისტორიული მეგობარი თურქეთი გაგვინაწყენდება; არ აღიარებ და — ისტორიული მეზობელი სომხეთი.




### მინუს 8 მილიარდი

**2009 წელს აშშ-ში ავიარეისების 79% დანიშნულების ადგილამდე დროულად მივიდა და მომსახურებაც გაუმჯობესდა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა — წინა წლებთან შედარებით მგზავრთა საერთო რაოდენობა შემცირდა.** გარდა ამისა, ფინანსური კრიზისი საავიაციო კომპანიებსაც შეეხო და ისინი იძულებულნი იყვნენ, შემოსავლებისთვის ისე ებრძოლათ, რომ მაინცადამაინც ბილეთების ფასს არ დაძგერებოდნენ. შეიძლება ითქვას, რომ გამოუვიდათ — ბილეთების გაუძვირებლობა მხოლოდ 8 მილიარდი დაჯდა.



### მინისტრებმა აიწყვიტეს

**კანცელარიაში შეკრებილი ჩვენი მინისტრები ისე იქცეოდნენ, თითქოს პირველად და უკანასკნელად ნახეს ერთმანეთი — ერთ სხდომაზე 45 საკითხის განხილვა მოინდომეს.** საკითხებია, — ქვას გახეთქავს. საგადასახადო კოდექსში ცვლილებები და შესწორები შეაქვთ, ელექტრონული აუქციონების ჩატარების წესებს ათანხმებენ, სარფის საბაჟოს მშენებლობის პროექტის არქიტექტურას ეცნობიან და დანარჩენ 42-ს აღარ ჩამოვთვლით. ჰო, კიდევ — ჯერ ისევ თბილისის მერის — გიგი უგულავას მოხსენებაც მოისმინეს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «Куда уходит Миша?»

**Куда уходит детство?
Куда ушло оно?
Наверно, в край чудесный,
Где каждый день - кино...**
(სიმღერა კინოფილმიდან „Фантазии Веснухина")



***როდის და სად წავა სააკაშვილი? იქნება თუ არა ხელისუფლების მორიგი ცვლა უსისხლო? დაუბრუნდება საქართველო რუსეთის ორბიტას თუ მეზობლები — თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ლუკმა-ლუკმა დაინაწილებენ?***

— დღეს ეს კითხვები პირზე აკერია ყველას, მაგრამ, ხელისუფლების გარდა, მათზე პასუხის გაცემა არავის შეუძლია. მისი კი ქართველ ხალხს აღარ სჯერა: მოსმენით — უსმენს, მსჯელობით — მსჯელობს, მაგრამ... არ სჯერა!

ნათელია — საქართველოს უახლეს ისტორიაში მორიგი ეტაპი დასრულდა (ამჯერად — ექვსწლიანი) და ის კვლავ გზაგასაყარზეა... ამიტომ არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, **როდის და სად წავა სააკაშვილი;** გაცილებით მნიშვნელოვანია — **როგორი სამომავლო გეგმები გვაქვს? დასრულდა თუ არა ჩვენი პოლიტიკური ბავშვობა თუ უწინდებურად ფანტაზიებით ვიცხოვრებთ, როგორც კინოში? რა გვასწავლა ბოლო წლებმა და შეგვიძლია კი, ერთმანეთს მწარე სიმართლე ვუთხრათ?** თუ არა — ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო მომავალში კვლავ აღმოჩნდება გზაგასაყარზე, რომ არჩევანის გაკეთებისას კიდევ არა ერთხელ შევცდებით (თუ ამას ჩვენ ნაცვლად სხვები არ გააკეთებენ!) და რომ მიშა არსადაც არ მიდის...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრჩევლებიც მაინცდამაინც არ გვივარგა: ტელეეკრანებსა და გაზეთის ფურცლებზე თავმომწონე ქართული პოლიტისტებლიშმენტის უმრავლესობა წესიერებითა და პატრიოტიზმით, ანალიტიკური და სახელმწიფოებრივი აზროვნებით, გამოცდილებითა და მაღალი ინტელექტით დიდად არ გამოირჩევა. **არასოდეს დაფიქრებულხართ, რატომაა, რომ საქართველოში საჯარო გამოსვლებსა და ინტრვიუს მიცემაში ყველა ერთობ მარჯვეა, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდის?! განა მრავლად დავასახელებთ თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ექსპერტების ისეთ სამეცნიერო პუბლიკაციებს, რომლებიც არსებული კრიტიკული ვითარების სერიოზულ ანალიზსა და მისგან გამოსვლის სამოქმედო პროგრამას, ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმირების რეალისტურ პროექტს შეიცავს?** რაღაც არ მახსენდება...

აი, ნაირნაირ ეფექტურ ინტერვიუს კი (არაფრის მომცემ სიტყვიერ პინგ-პონგს!) — რამდენსაც გნებავთ, იმდენს იხილავთ: **დღის საჭირბოროტო თემებზე გაკეთებული კომენტარისთვის ხომ შემდგომ პასუხსაც ვერ მოსთხოვ და ამგვარ „მიმდინარე საქმეებს" წიგნების თაროზეც ვერ შემოდებ...** ამიტომ ქართული პოლიტისტებლიშმენტის წარმომადგენელთა უმეტესობას არ გააჩნია პუბლიკაციები, რეფერატები და სხვა სოლიდური ნაშრომები — ჭკუა ჰყოფნის, რომ თავისი ანგაჟირებულობა, კონფორმიზმი და არაკომპეტენტურობა არ უჩვენოს. *(გამონაკლისს წარმოადგენს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის, „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიების" ავტორის, პროფესორ* ***ალექსანდრე ჭაჭიას*** პუბლიკაციები, ჯერ კიდევ 15 წლის წინათ რომ შესთავაზა ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას ამ ნაშრომზე მსჯელობა, მაგრამ უშედეგოდ. **„შევარდნაძემ იცის, რა უნდა გააკეთოს საქართველოსთვის და აქ განსასჯელიც არაფერია!"**

— ასეთი იყო ვერდიქტი. ვფიქრობ, საქართველოს რეინტეგრაციის პროექტსაც, რომელზეც ამჟამად ჭაჭია მუშაობს, იგივე ბედი ეწევა).

წინსვლისთვის კი სავსებით აუცილებელია, ვიცოდეთ — ჩამოყალიბდა კი ქართველ საზოგადოებაში ერთიანი ობიექტური აზრი ექვსი სხვადასხვა, თავისი მნიშვნელობით სრულებით განსხვავებული სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწის საქმიანობის შესახებ, რომელთაგან თითოეულმა თავ-თავის ეტაპზე საქართველოს ბედი განსაზღვრეს? სახელდობრ კი, **როგორ ვაფასებთ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სახელმწიფოებრივ, ეკონომიკურ, სასამართლო, სამხედრო და საეკლესიო რეფორმებს, რომლებიც გაატარეს:**

**საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა;**

**ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე II-მ;**

**საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა;**

**საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზ. კ. გამსახურდიამ;**

**საქართველოს ექსპრეზიდენტმა ე. ა. შევარდნაძემ;**

**საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა მ. ნ. სააკაშვილმა.**

(თუმცა ყველაზე იოლი სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდის შეფასებაა, რადგან ეს აწმყოში ხდება.)

მათი შეფასების ძირითადი კრიტერიუმი, ცხადია, **საქართველო** უნდა იყოს:

**— ვისი მმართველობის პერიოდში აყვავდა საქართველო და ვისი მმართველობისას განიცადა დაღმავლობა;**

**— ვისი მმართველობისას გაფართოვდა საქართველოს საზღვრები და ვის დროს დაკარგა ტერიტორიები;**

**— ვისი მმართველობისას ჩამოდიოდნენ და სამუდამოდ სახლდებოდნენ საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები და ვისი მმართველობისას ემიგრირებდა მათი ასი ათასობით წარმომადგენელი ქართველების მსგავსად;**

**— ვის დროს იყო საქართველო ძლიერი და მეზობლებისთვის პატივსაცემი და ვისი მმართველობისას ომობდა მათთან და მარცხდებოდა.**

ამ კითხვებზე ობიექტური პასუხის გაცემა ძნელი არაა, თუკი მიუკერძოებლად შეაჯერებ მრავალ უდავო ფაქტს. სამაგიეროდ, **ქართველმა საზოგადოებამ უნდა მოიკრიბოს მოქალაქეობრივი გამბედაობა, რათა ტაბუ ახსნას ზოგიერთ ზემოჩამოთვლილ სახელს და პატიოსნად შეაფასოს მათი დამსახურება საქართველოს წინაშე — გამარჯვებაცა და დამარცხებაც.**

ამის შემდეგ საქართველოში მიმდინარე პროცესები და უკლებლივ ყველა პოლიტიკოსის **„მიშისტური"** სასაცილო **ფაცი-ფუცი** გასაგები გახდება: **ქართული პოლიტიკური ელიტა** (რომელსაც ერთხელ **„პოლიტბიუროს შვილები"** ვუწოდე), **ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ბოლო 15 წლის მანძილზე მესამედ „დაერია" ერთმანეთს, „შიდა გარჩევები" მოაწყო, რათა კვლავ „დაქსაქსულიყო" სხვადასხვა, ვითომდა ერთმანეთისგან განსხვავებულ პოლიტიკურ პარტიებად და კიდევ ერთხელ გაებითურებინა არჩევნებსა და მიტინგებზე მათი მხარდამჭერი ქართველი ხალხი, რომელმაც არ უნდა იეჭვოს, რომ ერთსა და იმავე გუნდს უჭერს მხარს!**

პირველად ეს მაშინ მოხდა, როცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ, ქართული კომუნისტური ელიტის წარმომადგენელთა ხელში ძალაუფლების დასაკანონებლად, საქართველოს განსვენებული კომპარტიის ნაცვლად, ჩამოაყალიბა მმართველი პარტია **„საქართველოს მოქალაქეთა კავშირი"**, რითაც ხელისუფლება მამებისგან შვილებს გადასცა.

მეორედ ეს მოხდა, როცა **„მოქკავშირი"** ვეღარ პასუხობდა ამერიკის მზარდ მოთხოვნებს და შევარდნაძემ ის რამდენიმე პარტიად დაშალა: სააკაშვილის „ნაცმოძრაობად," ჟვანიას „გაერთიანებულ დემოკრატებად," გამყრელიძის „ახალ მემარჯვენეებად," ბურჯანაძის „ბურჯანაძე და დემოკრატებად" და სხვ.

დღეს ჩვენ თვითმხილველები ვართ **„მოქკავშირის"** რეფორმირების მესამე მცდელობისა: ერთი და იგივე პირები — „მოქალაქეთა კავშირის" ყოფილი ლიდერები (სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, გაბაშვილი, მაჭავარიანი, ბარამიძე, შაშკინი, ბურჯანაძე, ნოღაიდელი, გამყრელიძე, დავითაშვილი, გაჩეჩილაძე, თარგამაძე, ჭანტურია და სხვები) ლამობენ ხელისუფლების შენარჩუნებას, რისთვისაც არანაირ მეთოდებს არ ერიდებიან. მაგალითად, **ბურჯანაძე და ნოღაიდელი საკუთარი მიზნების მისაღწევად რუსეთის გამოყენებას ცდილობენ,** ხოლო წინა კვირას **ნაციონალი სააკაშვილი, ნაციონალისტ ირაკლი წერეთლის** პირით, აშკარად დაგვემუქრა ტერორით: ***„ყველა პრორუსულად განწყობილის სისხლს დავღვრით!"*** — განაცხადა ამ ფაშისტმა სამთავრობო ტელეარხ „რეალ-TV"-ზე. გასაკვირიც არაა: **კრიტიკულ მომენტებში „მოქკავშირს" „მონკავშირად" გადაქცევის თვისება ახასიათებს, ხოლო ამ „ნაციონალური ნადირობის" თავისებურებანი არა ერთხელ ვიხილეთ...**

თუმცა პოლიტიკაში სასწაულები არ ხდება — **სანამ ხელისუფლების სათავეში „პოლიტბიუროს შვილებს" სრულებით ახალი ელიტა არ შეცვლის, რომელსაც შევარდნაძის მიერ გაწვრთნილი „მოქკავშირელებისგან" მთლიანად განსხვავებული აზროვნება ექნება (სწორედ ის „დაკარგული" თაობა, რომელიც შევარდნაძისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო, სააკაშვილისთვის მეტისმეტად მოხუცი აღმოჩნდა!), სანამ მათ გარშემო არ გაერთიანდება საკუთარი განსაკუთრებულობის კომპლექსისა და უადგილო ამბიციებისგან გათავისუფლებული ქართველი საზოგადოება, საქართველოს მომავალი არ აქვს...**

**არჩილ იმერელი**

**P.S.
И зимой, и летом
Небывалых ждать чудес,
Будет детство где-то,
Но не здесь...**

## მოკლედ



### მსოფლიო მთაწმინდა იტალიაში

**„ვილაბორგეზე — ეს მსოფლიოს მთაწმინდაა, სადაც ჰომეროსის, გოეთეს და ახლა უკვე რუსთაველის ქანდაკებაა განთავსებული",** — განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ რომის ვილაბორგეზეს პარკში შოთა რუსთაველის მონუმენტის გახსნასთან დაკავშირებით. ეს ბოლო ძეგლი იქნება პარკში, სადაც მსოფლიოს ყველაზე ცნობილი მოღვაწეების ქანდაკებებია. იქაც რომ სააკაშვილი ჰყავდეთ პრეზიდენტად, ძეგლის ზუსტ ადგილსამყოფელს ასე თამამად, ალბათ, ვერც რურუა დაასახელებდა.



### „ჩრდილოეთ ნაკადის" მშენებლობა დაიწყო

**„ჩრდილოეთ ნაკადის" მშენებლობა ოფიციალურად დაიწყო.** ცერემონიაში რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი, ნიდერლანდების პრემიერ-მინისტრი იან პეტერ ბალკენენდე, ევროკომისარი ენერგეტიკის საკითხებში გიუნტერ ოტინგერი, გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი, „გაზპრომის" პრეზიდენტი ალექსეი მილერი და გაზსადენის მმართველი კომპანიის Nord Stream-ის დირექტორი მათიას ვარნიგი მონაწილეობდნენ. გაზსადენი რუსეთიდან ბალტიის ზღვის გავლით გერმანიამდე მივა.



### ჩრდილოეთ კავკასიის „შავი მარგალიტი"

**„მე ჯადოქარი არ ვარ და ამის კეთებას მარტო ვერ შევძლებ. უპირველესად, ეს დამოკიდებულია ჩეჩენ ხალხსა და ჩინოვნიკებზე, რომლებიც მოსკოვსა და რეგიონებში სხედან. ყველაფერი ძველი უნდა დავივიწყოთ და წინ ვიმოძრაოთ",** — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტის რწმუნებულმა ალექსანდრე ხლოპონინმა. თავის მხრივ, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა დაამატა, რომ „5-6 წელში ჩეჩნეთის რესპუბლიკის სახით „შავი მარგალიტი" შეიქმნება" და ეს ყველაფერი ღმერთზე, მთავრობასა და ხლოპონინზეა დამოკიდებულიო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# საქართველო დეფოლტის ზღვარზეა — ქვეყნის საგარეო ვალმა 9 მილიარდ დოლარს მიუკაკუნა

**რუსული გაზეთი „ვზგლიადი“ წერს, რომ საქართველოს ეკონომიკა, შესაძლოა, სრულად გაკოტრდეს, რადგან იგი დეფოლტის ზღვარზეა. ასეთი დასკვნა ეფუძნება საქართველოს ეროვნულის ბანკის მონაცემებს, რომელთა თანახმად, ქვეყნის საგარეო ვალმა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 80,3 პროცენტს მიაღწია, რაც 8,6 მილიარდ დოლარს, ანუ 6,35 მილიარდ ევროს უდრის. ეს ნიშნავს, რომ ამ ვალის გასასტუმრებლად ყოველწლიურად 800 მილიონი დოლარი უნდა გადავიხადოთ. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ამდენი ფული არ აქვს და არც არავინ მისცემს.**



## დავით იაკობიძე: «სამაროჟნე ცეხს» რა კრიზისი უნდა შეეხოს?!

## საგარეო ვალის დასაფარავად თითოეულ ოჯახს ყოველწლიურად 1000 დოლარის გადახდა მოუწევს

— ჩვენი ვალების შესახებ მასალებით, — **ამბობს პროფესორი დავით იაკობიძე,** — სავსეა ინტერნეტი, როგორც ბომბი, ისე აფეთქდა ეს ფაქტი. ადრე არ აქცევდნენ ამას ყურადღებას.

**არსებობს ე. წ. სათაგურის ეფექტი — იმდენ ვალს იღებ, რომ ბოლოს თვითონ ექცევი ხაფანგში და მთელი შენი ბიუჯეტი ვალების დაფარვას ხმარდება.**

**— ჩვენ უკვე გავებით „ხაფანგში“?**

— ჩვენ ძალიან კრიტიკულ სიტუაციაში ვართ. თუ ასე გავაგრძელებთ, კიდეც აღმოვჩნდებით გამოუვალ სიტუაციაში.

ახლა გეტყვით, — რატომაც.

შარშან, ოქტომბერში პრეზიდენტი პარლამენტში შევიდა წინადადებით, რათა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიეღო ეკონომიკური თავისუფლების აქტი, რომელსაც რამდენიმე პარამეტრი უნდა დაეკანონებინა: დეფიციტი არ შეიძლება ყოფილიყო 20 პროცენტზე მეტი, დაუშვებლად მიიჩნეოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ბიუჯეტში მობილიზება 30 პროცენტზე მეტი ოდენობით და მშპ-ს 60 პროცენტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო საგარეო ვალი.

**ახლა უკვე 80 პროცენტზე ვართ ასული. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა სიტყვით ერთია, საქმით — სულ სხვა. უფრო სწორად, ეს არ არის პოლიტიკა!**

**— რატომ ხდება ასე?**

**— გილაურს უნდა დაუსვათ ეს შეკითხვა. და, თუ პასუხის გაცემის ნაცვლად, სააკაშვილზე მიგვითითებს, არ უნდა გაგვიკვირდეს, აქ პირველი პირები იღებენ გადაწყვეტილებას.**

**— თქვენ გინდათ, თქვათ, რომ საქართველო, როგორც გვარწმუნებენ, არ არის ეკონომიკური აყვავების კუნძული მსოფლიო კრიზისის ოკეანეში?**

**— პრეზიდენტს უყვარს გამოსვლა ხალხის წინაშე. არ არის ცუდი თვისება, როცა ადამიანი უშუალო კონტაქტებისკენ ისწრაფვის. ისიც ვიცი, რომ მის კორტეჟშია ერთი ავტომობილი, რომელსაც „პრეზიდენტის ტრიბუნა“ დააქვს. დაინახავენ ბევრ ხალხს...**

**— მობილიზებულ ხალხს...**

**— თუნდაც — მობილიზებულს, ჩამოიღებენ ამ ტრიბუნას, დადგება პრეზიდენტი ტრიბუნასთან და იწყებს საუბარს ეკონომიკაში მიღწეულ წარმატებებზე. ამ გამოსვლებს შემდეგ ტელეეთერში გვიჩვენებენ.**

ჩვენმა პრეზიდენტმა ძალიან მოინდომა, მაგრამ მთელი წელიწადია, ერთი ქარხანა ვერ იპოვა, რომელიც ახლადგახსნილია და მუშაობს. **ქუთაისში რომ ჩავიდა ამას წინათ, რა გვაჩვენა? რაღაც „თავისუფალი ზონა“, სადაც ორი კაცი ცემენტს ზელდა, ავეჯის დამამზადებელი და ხეტყის გადამამუშავებელი საწარმო — აზერბაიჯანის ფილიალი, ლიმონათის ჩამომსხმელი ხაზი და ასეთი წვრილმანები. „სამაროჟნე ცეხში“ შევა, სადაც არის. ამას რა კრიზისი უნდა შეეხოს?**

სოფლის მეურნეობა ვნახოთ. შარშან საქართველოში მოიხნა 243 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. მაშინ, როცა მათივე ნაგინები შევარდნაძის დროს, 1996 წელს, დიდი გაჭირვების ჟამს მოიხნა 650 ათასი ჰექტარი, თითქმის სამჯერ მეტი. და, თუ სტალინის პერიოდს გავიხსენებთ, მაშინ — 1951 წელს მილიონ ასი ათასი ჰექტარი მოიხნა.

600 ათასი ჰექტარი ამათ რომ მოეხნათ, აი მაშინ შეგვეტყობოდა კრიზისი — ჩამოვიდოდით 243 ათას ჰექტრამდე. სკამი არ გაგვიკეთებია საქართველოში, სკამი. რაც შეეხება ჭიათურის მაღაროებისა და ზესტაფონის ფეროს მუშაობას, დიდი ვაივაგლახია.

რანაირი ოაზისი ვართ?!

**— საბანკო სისტემა რომ განვითარდა, ეს ცოტას ნიშნავს?**

— პირდაპირ გეტყვით — საკუთრივ ქართული კაპიტალით შეიარაღებული ბანკი, ორის გარდა, ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. ყველა დანარჩენი კვაზიბანკია.

ფრანგულმა „ჟენერალ სოსიედადმა“ რომ შემოიტანა ფული, როგორ ფიქრობთ, რა დავალება მისცა აქაურ ბანკს?

**— ბანკ „რესპუბლიკაზე“ საუბრობთ?**

— დიახ. გგონიათ, დაავალა საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის განვითარება, იაფი კრედიტების გაცემა და ეკონომიკის აღორძინება? თუ უთხრა: მაქსიმუმი მოგება მომეცი, სარისკო ზონაში ხარო?

**— „ევროპის ბიზნესსიახლეები“ (BNE) იუწყება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2009 წელს 51 პროცენტით შემცირდა და 759 მილიონ დოლარამდე დაეცა, მაშინ, როცა 2008-ში 1,6 მილიარდი დოლარი იყო, 2007 წელს — 2 მილიარდზე მეტი.**

— ინვესტიცია თავისთავად არის ფაქტი, რომელიც გაჩვენებს ეკონომიკის ზრდას. ინვესტიციების სტრუქტურა განსაზღვრავს პერსპექტივას — გააგრძელებს თუ არა ეკონომიკა ზრდასა და განვითარებას. როცა ყოფილი იმელის შენობა გაიყიდა, იმ წელიწადს მშპ გაიზარდა. მაგრამ იმელი რისი გამკეთებელია ეკონომიკის გაზრდის თვალსაზრისით?! არც არაფრის.

მაგრამ საწარმოო სივრცეში თუ ჩაიდო ინვესტიციები, იქ, სადაც ამზადებენ მსოფლიო ბაზარზე გასაყიდ კონკურენტუნარიან პროდუქციას, მაშინ გავძლიერდებით.

**— ასეთი ინვესტიციები რომ არ მოდის?**

— არ მოდის, და მარტო ჩვენ არ ვართ ასეთ დღეში. ჩვენნაირად ლიბერალური ეკონომიკის მიმდევარი ქვეყნები, სადაც ჰგონიათ, რომ ეკონომიკა თავისთავად იმუშავებს, ხელმძღვანელებმა კი უნდა ილაყბონ და ჰალსტუხები მოიჭირონ იმპოზანტურობისთვის, განწირულია.

შარშან ლატვიაში დეფოლტი რომ დაიწყო, მთავრობამ ხალხს, იცით, რა განუცხადა? კრიზისი იმის ბრალია, რომ გასაყიდი, საპრივატიზაციო აღარაფერი დაგვრჩაო.

ესენიც ასეთ დღეში არიან: საპრივატიზაციო აღარაფერი დარჩათ.

**— ეგ — პრივატიზაცია, და — ინვესტიცია?**

— ინვესტიცია არის ნებისმიერი ყიდვა. დღეს გაზეთს თუ იყიდით, ინვესტირებას გააკეთებთ ამ გაზეთში. აბა, ინვესტიცია გგონიათ, რომ ვინღაცა ფულით გატენილი პორტფელით დადის და ეძებს — ფული მოვიტანე და სად ჩავდოო?! ასეთი რამ არ არსებობს.

**დადიან ახლა ალთა-ბალთას — ყატარში, აბუდაბიში — ისეთ ქვეყნებში, რომლებიც აქამდე არც გაგვიგონია და სთავაზობენ — არ გინდათ, რამე იყიდოთ საქართველოში? არ უნდათ.**

**ამათ მართლა ჰგონიათ, რომ საქართველო მსოფლიო კურორტია, რომ, რა ეპითეტებსაც უცხოელები გვეუზნებიან, სინამდვილეს შეეფერება: ქართული ღვინო ყველას ჯობია, ქართველებზე ჭკვიანი ხალხი არსად არის და ა.შ.**

**— ოპოზიცია სისტემის დემონტაჟზე ლაპარაკობს, ეკონომიკაში რა უნდა შეიცვალოს, რით შეიძლება ვუშველოთ ეკონომიკას?**

— ეკონომიკის შველა შრომაშია: უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას შრომის პირობები.

„კართაგენი უნდა დაინგრეს!“ ყოველთვის ვამბობდი და არ მეზარება კიდევ და კიდევ გავიმეორო: უნდა დაიხნას შირაქის ველი, ელდარი, ზილიჩა; უნდა დაიხნას ქართლის ველები, უნდა დაითესოს პური, მოვიყვანოთ მოსავალი, გამოცხვეს პური და გატყდეს ეს პური ოჯახში.

აი, მაშინ იქნება ნაშველი.

საკუთარი თვითკმარობის რაღაცა დონე უნდა გვქონდეს.

მიწის მოხვნას ტრაქტორი სჭირდება. ტექნიკას უსაწვავოდ ვერ ამუშავებ. უნდა შემოიტანო ენერგოშემცველები, დაგჭირდება ბიოსტიმულატორები, სასუქი, მეცხოველეობის განვითარების ბაზაა შესაქმნელი, პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოები. აი, აქ უნდა ჩაიდოს ინვესტიცია. ეს განავითარებს ეკონომიკას. ცემენტში ჩადებული ერთი ლარი, ვიცი, რომ ათ ლარს მომცემს მშენებლობაში. სოფლის მეურნეობაშიც ასეა.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? პრეზიდენტის წაქეზებითა და ხელდასმით მილიარდებს ვდებთ სასტუმროების მშენებლობაში.

რამდენი სტუმარი, რამდენი ტურისტი გვყავდა ამ პერიოდში? მილიონი ტურისტი იყო 2008 წელს, მომდევნო წელს — 900 ათასი. რა შემოსავალი მიიღო ტურიზმისგან ეკონომიკამ? დაახლოებით იმის მესამედი, რაც დაიხარჯა. თანაც აქ შიდა ტურიზმი აღმოჩნდა წამყვანი: უცხოელი კი არ ჩამოვიდა ფულის დასახარჯად, ქიტესა წავიდა ბათუმში, ჯემალა — სიღნაღში.

**— თქვენ თბილისის მერობის კანდიდატად ხართ წამოყენებული. იქნებ ამიხსნათ, თბილისის ბიუჯეტი კოლოსალურ თანხებს რომ ხარჯავს, განსაკუთრებით, არჩევნების წინ, ქალაქის კომუნიკაციების გაუმჯობესებაზე, კეთილმოწყობაზე, უამრავ სანახაობით ღონისძიებაზე, საიდან, რა წყაროებით ივსება?**

— ცენტრალური ბიუჯეტიდან მოდის ფული. თქვენი შეკითხვა ერთი ანეკდოტივითაა: სეროჟას ეკითხებიან, ფული საიდან გაქვსო; სარა მაძლევსო. სარა საიდან იღებს? — „ტუმბოჩკის“ უჯრიდანო. იქ ვინ დებს? — მეო. შენ საიდან იღებ? — სარა მაძლევსო... ვალი ავიღეთ, შევავსეთ ბიუჯეტი და ცენტრალური ბიუჯეტიდან მივეცით თბილისს.

**— ვინაა სარა და სეროჟა რომელია?**

— ეგ მე არ ვიცი. სამაგიეროდ დარწმუნებული ვარ, უცხოელი, რომელიც თბილისს დაათვალიერებს და ნახავს, რაც კეთდება, გაკვირდება: ამათ ხომ არავინ დაუპყრიათ და დიდი ალაფი ხომ არ წამოუღიათ, ამდენს რომ ხარჯავენო?! მე კი ვფიქრობ, რომ ეს ვალია, დიდი ვალი, რომელიც რისთვის იხარჯება, ძნელი დასადგენია ისევე, როგორც რის მაქნისია ის ახალი გზა, ვერის ხეობაში, რომელმაც თითქოს უნდა განტვირთოს ჭავჭავაძის პროსპექტი. არაფერსაც არ განტვირთავს! საგონებელში ვარ ჩავარდნილი — ვის სჭირდება და რა ამოცანას ემსახურება ეს „კომუნიზმის დიადი მშენებლობა“?!

**ძველი თბილისის რეკონსტრუქცია გასაგებია: ხედს იკეთებენ! ავლაბრიდან რომ გადმოხედავენ ქალაქს, ხომ უნდა დაალევინონ თვალს წყალი? ობამა თუ ჩამოვიდა და გადმოიხედა ზევიდან, ხომ უნდა თქვას, აუ, რა ლამაზი ქალაქი ყოფილაო თბილისი!**

**— ჯერჯერობით ქვევიდან ზევით ვათვალიერებთ ახალ ხედებს ახალი სასახლეებისას...**

— მაგრამ ის ძველი თბილისი ნამდვილად ძველია? არა. ისაა, უწინარეს ყოვლისა, შესაცვლელი, ჩვენები კი აპირკეთებენ, ღებავენ და ჰგონიათ, საქმეს აკეთებენ.

ეს არ არის ეკონომიკა.

მე, როგორც მერობის კანდიდატი, ვპირდები მოსახლეობას, რომ, თუ ამირჩევენ, მოღვაწეობას დავიწყებ დისკუსიით საქართველოს პარლამენტთან იმაზე, რათა შეიცვალოს ბიუჯეტირების წესი და თბილისს ჰქონდეს ისეთი ბიუჯეტი, რომელიც მან უნდა გამოიმუშაოს, თვითონ გამოიმუშაოს, ეს სტიმულის მიმცემი იქნება ეკონომიკისათვის.

ახლა რა ხდება? განცხადებას განცხადებაზე აკეთებენ — თუ ვინმეს რამე გაქვთ მითვისებული, მოდით და დაგიკანონებთო.

ასეთი რამე გაგიგიათ? ჟურნალ „Крокодил“-ს ჰქონდა რუბრიკა „Нарочно не придумаешь“, ასეა ჩვენთან, სხვების დასაცინი გავხდით.

მოგიპარია, ძმაო, და დააბრუნეო კი არა, გვითხარი, შე კაცო, რა გაქვს მითვისებული და დაგიკანონებთო!

**— ვალების გარდა, რით ავსებენ ბიუჯეტს?**

— ხანდახან გაიჟღერებს ასეთი ფრაზა, რომ ერთი მილიონი ქართველი სადღაც არის გასული საქართველოდან, ერთი მილიონი კიდევ სადღაც სხვაგან შრომობს... ხანდახან ისე აურევენ, რომ ათი მილიონი ევროპაში, აზიასა და ამერიკაში გვყავს თითქოს გაყვანილი, ისე, ვითომ ჩინელები ვიყოთ.

**ფაქტი ისაა, რომ მილიონ ორასი ათასი ყველაზე აქტიური, შრომიუსნარიანი ქართველი დასაქმებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. მათ მიერ შექმნილი პროდუქცია ეროვნულ შემოსავალში 50 პროცენტზე მეტია. საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ფულით იხდის მოსახლეობა გადასახადებს, რომლებიც ბიუჯეტს ავსებს.**

**— ესე იგი, ჩვენვე ვინახავთ თავს?**

— ის მოსახლეობა, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობს. ამიტომ ითხოვდა მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ჩვენგან მადლობის გადახდას. **ამასვე ითხოვენ ევროპის ქვეყნები, მიიჩნევენ, რომ ქართველი ემიგრანტების სამუშაოთი უზრუნველყოფა მათი ქვეყნების მიერ ჩვენთვის გაწეული დახმარების ნაირსახეობაა. „რომის კლუბი“ ამას პირდაპირ გვეუბნება.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ბრანიმირ რადევი:

# გეოგრაფიულ მდებარეობას ვერ შეცვლი და ცხოვრება მათ გვერდით გიწევს, ვინც შენს მეზობლად არის

**ჩვენი რუბრიკის მორიგი სტუმარი ბულგარეთის ელჩი, ბატონი ბრანიმირ რადევი გახლავთ. ჩვენმა ენაწყლიანმა რესპოდენტმა მადლობა გადაგვიხადა მისით და ბულგარეთის საელჩოს მუშაობით დაინტერესებისთვის.**
**ის პირველი ელჩია, რომელიც საქართველოში თავის ქვეყანას წარმოადგენს; მანამდე კი, საქართველოში არა ერთხელ ყიფილა, მისი კანდიდატურაც იმიტომ შეარჩიეს, რომ რეგიონს კარგად იცნობდა. როგორ ახდა ელჩის „წინასწარმეტყველება“ აგვისტოს ომზე, რას უჩივიან ბულგარელი ტურისტები საქართველოში ყოფნისას და რა გზა უნდა გაიაროს საქართველომ მშვიდობის მოსაპოვებლად — ამის შესახებ ინტერვიუდან შეიტყობთ.**



**მშვიდობა აუცილებლად დამყარდება. ოღონდ, თუ მკითხავთ, მოხდება თუ არა ეს ხვალ, გეტყვით, რომ — არა!**

**არსებობდა საფრთხე, რომ მსგავსი პროვოკაციები ერთ მშვენიერ დღეს „აფეთქებულიყო“. ამ მგზავრობის შემდეგ ბულგარეთში ვიმყოფებოდი, სადაც ჩვენს პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც არ გაჩერდება და სროლას ატეხავს-მეთქი. ეს საუბარი 1 აგვისტოს მქონდა, ერთ კვირაში რაც მოხდა, ძალიან კარგად იცით. ყოველთვის არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის იქით არ უნდა გადახვიდე...**

ბრანიმირ რადევი:

— ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა, უპირველესად, განპირობებულია საერთო გეოპოლიტიკური ინტერესით. გადავხედოთ ჩვენი ქვეყნების ადგილმდებარეობას; ერთმანეთთან გეოგრაფიული, პოლიტიკური სიახლოვე გვაქვს, ჩვენთვის აუცილებელია თანამშრომლობა. თავის დროზე ერთი ასეთი გამონათქვამი ანეგდოტივით დადიოდა: „შევცვლი შიდა პოლიტიკას, მაგრამ უფრო მომგებიანია გეოგრაფიული ადგილმდებარეობა“. გეოგრაფიულ მდებარეობას ვერ შეცვლი და ცხოვრება მათ გვერდით გიწევს, ვინც შენს მეზობლად არის.

რაც შეეხება ჩემს დიპლომატიურ კარიერას, თავის დროზე მოსკოვში ვსწავლობდი და ამ რეგიონიდან ბევრი კოლეგა მყავს, მათ შორის არიან ქართველებიც. დიპლომატიას, 30 წელია, რაც ვემსახურები. ქართველ დიპლომატებთან ურთიერთობა მიწევდა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან, ასევე, ახალი, დამოუკიდებელი საქართველოდან. მე პირველი ბულგარელი ელჩი ვარ საქართველოში. საელჩო 2003 წლიდან ფუნქციონირებს. მომზადების პროცესში მე გავემგზავრე ბრიუსელში, შევხვდი ნატოსა და ევროკავშირის სტრუქტურის წარმომადგენლებს, მაინტერესებდა, ეს ორგანიზაციები რას ფიქრობდნენ საქართველოზე, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენი ქვეყნის მიმართ და ა.შ.

**— და რა პასუხი მიიღეთ?**

— საუბარი შეეხო არა იმდენად საქართველოს, რამდენადაც ამ პროექტებს, რომლებსაც ეს ინსტიტუციები წარმართავენ საქართველოში. ჩემი ჩამოსვლიდან ზუსტად ერთ კვირაში ევროკავშირის წარმომადგენელმა (ეს იყო საფრანგეთის ელჩი) ორგანიზება გაუკეთა სოხუმში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩების გამგზავრებას, შემდეგ კი — ცხინვალში. მაშინ ორივე რეგიონის მონახულება მოვასწარით. მგზავრობის მიზანი ამ მხარეთა გაცნობა იყო. შევხვდით ბაღაფშს, მოვინახულეთ იქ განთავსებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს შეხვედრები აგვისტოს ომამდე შედგა. **რა თქმა უნდა, იყო ბრალდებები, ამბობდნენ, რომ საქართველოს მხრიდან პროვოკაციები მზადდება და ა.შ. რა თქმა უნდა, ამან შეგვაშფოთა, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ მსგავსი პროვოკაციები ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება „აფეთქებულიყო“. ამ მგზავრობის შემდეგ მე ვიმყოფებოდი ბულგარეთში, სადაც ვესაუბრე ჩვენს პრემიერ-მინისტრს და ვუთხარი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცა არ გაჩერდება და ატეხავს სროლას. ეს საუბარი 1 აგვისტოს მქონდა, ხოლო ერთ კვირაში რაც მოხდა, ეს ძალიან კარგად იცით. ხომ არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის იქით არ უნდა გადახვიდე; ეტყობა, ვიღაც გადასცდა ამ ზღვარს ან კიდევ ყველაფერი თავისთავად მოხდა.**

**— რადგან აგვისტოს ომს შევეხეთ, რას ფიქრობთ ტალიავინის დასკვნაზე?**

— იცით, ტალიავინს, დიდი ხანია, ვიცნობ. ორივენი ეუთოში ვმუშაობდით. ტალიავინს რამდენჯერმე შევხვდი, ვფიქრობ, ვინც ამ დასკვნას კითხულობს, მასში იმას პოულობს, რაც მისთვის მისაღებია. ასეთებს კი მოსწონთ, როცა მოწინააღმდეგეს აკრიტიკებენ. ეს სუფთა ადამიანური მომენტია. ძალიან მნიშვნელოვანია, ამ დასკვნამ კონფლიქტის გვერდის გადაფურცვლა და ახალი ურთიერთობების დაწყება შეძლოს. მე არ ვამბობ, რომ ამით კონფლიქტის თემას დახურავს, მისი დახურვა მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებსაც მშვიდობა უნდათ. **მშვიდობა აუცილებლად დამყარდება. ოღონდ, თუ მკითხავთ, მოხდება თუ არა ეს ხვალ, გეტყვით, რომ — არა! მაგრამ მის გარეშე არ შეიძლება, ეს გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ალბათ, არსებობს სხვა საშუალება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და საქართველომ ეს გზა აქ, თავისთან უნდა გაიაროს.**

**— ბულგარეთი ნატოს წევრი ქვეყანაა, საქართველოს ხელისუფლებაც აცხადებს, რომ ნატოს წევრობა უნდა...**

— ეს ქვეყნის, საზოგადოების შეცვლის პროცესია, არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ — სამხედრო-პოლიტიკური პროცესი. უკანასკნელად ბულგარეთი 60 წლის წინათ ომობდა (1944 წელს). **ჩვენთან ერთმანეთის მიყოლებით სამი ხელისუფლება შეიცვალა, სამივე მშვიდობიანი გზით! ახლა მითხარით, რამდენჯერ შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება?**

**— არც ერთხელ! გამსახურდია წავიდა, როცა შევარდნაძე მოვიდა, იმ დროს სხვა არავინ იყო ხელისუფლებაში, 2003 წელს კი როგორ შეიცვალა ხელისუფლება, ესეც კარგად გახსოვთ.** ეს არის დემოკრატიული კრიტერიუმები. საქართველოს ჯერ კიდევ გასავლელი აქვს ეს გზა. **როცა ხელისუფლების სათავეში ისეთი დიდი მხარდაჭერით მოდიხარ, როგორც სააკაშვილის პარტია მოვიდა 2004 წელს, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ჯერ კიდევ ობეესში ვამბობდით, თუ რას გააკეთებენ ისინი იმისათვის, რომ შემდგომი არჩევნები მოიგონ? და მეორე საკითხი, როგორ მოიქცევიან იმ შემთხვევაში, თუ წააგებენ?**

**დემოკრატია სწორედ ამაში მდგომარეობს — შენ შეიძლება არჩევნები კიდეც წააგო.** პირველ შეკითხვაზე პასუხი, მეტ-ნაკლებად, შარშან მივიღეთ, მაგრამ მეორე ჯერი კიდევ წინ გვაქვს. **შეხედეთ საქართველოს საზღვრებს, აქაურ სიტუაციას, ევროატლანტიკური ინტეგრაცია ნიშნავს მათ სტანდარტებთან მიახლოებას. მეტსაც გეტყვით, ჩვენი ქვეყანაც არ არის იდეალური, შეიძლება აღმოაჩინოთ ცალკეული სფერო, სადაც შეიძლება თქვათ, რომ ამ მხრივ ჩემს ქვეყანაში უკეთესი სიტუაციააო. ამ საკითხზე საუბარი მერაბიშვილთან გვქონდა და ვიცინეთ კიდეც; როცა შსს-ს ახალი შენობა იხსნებოდა, თქვეს, რომ საქართველოში კრიმინოგენული სიტუაცია უკეთესადაა, ვიდრე ბულგარეთში. დავინტერესდი და სტატისტიკა მოვითხოვე, რომ რეალური სურათი მცოდნოდა, მაგრამ არ მომცეს.**

**— შევიტყვე, რომ ბულგარელი ტურისტები საქართველოს იშვიათად სტუმრობენ, რადგან ეძვირებათ, მართალია?**

— საინტერესო შეკითხვაა. საქმე ისაა, რომ მეც ვყოფილვარ თქვენს საზღვაო კურორტებზე და, გულწრფელად რომ გითხრათ, იქ ფასები იმ მომსახურეობის სანაცვლოდ, რასაც გვთავაზობენ, მართლაც ძალიან მაღალია. ჩვენთან არის ქვიშა, თქვენთან ქვიშა არ არის. ბულგარეთი ტურიზმს საშუალო ფენისთვის ავითარებს. იქ ნახავთ ძალიან მდიდრებს, საშუალაო ფენას და ა.შ. სხვათაშორის, ბულგარეთში პირველ ხაზზე — ზღვასთან ახლოს სასტუმროების მშენებლობა აკრძალეს. იმ ადგილას სახლები ააშენეს, რომლებიც იყიდება, ანუ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები ყიდულობენ და ისინი, უკვე არა როგორც ტურისტები, არამედ როგორც მეპატრონეები ჩამოდიან და იქაურობას უვლიან. ჩვენ ეგოისტები არ ვართ, მზად ვართ, ჩვენი გამოცდილება ჩვენს ქართველ პარტნიორებსაც გავუზიაროთ.

**ჩვენთან ერთმანეთის მიყოლებით სამი ხელისუფლება შეიცვალა, სამივე მშვიდობიანი გზით! ახლა მითხარით, რამდენჯერ შეიცვალა საქართველოში ხელისუფლება? არც ერთხელ! გამსახურდია წავიდა, როცა შევარდნაძე მოვიდა, იმ დროს სხვა არავინ იყო ხელისუფლებაში, 2003 წელს კი ხელისუფლება როგორ შეიცვალა, ესეც კარგად გახსოვთ. ეს არის დემოკრატიული კრიტერიუმები. საქართველოს ჯერ კიდევ გასავლელი აქვს ეს გზა...**

**როცა რომელიმე ქვეყანაში ვიმყოფები, აუცილებლად ვსწავლობ იქაურ ენას. მხოლოდ ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა, როცა ვერ შევისწავლე — სომხეთში ყოფნისას...**

**— და ბოლოს, თქვენი კოლეგების უმრავლესობა ამბობს, რომ საქართველოში მუშაობა არ უძნელდებათ, თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— როცა საქართველოში ჩამოვედი, პირველად შევხვდი ვახტანგ კიკაბიძეს და გავიცანი. მან ორიოდე სტროფი ბულგარულ ენაზე წამიმღერა; მეც არ ჩამოვრჩი და „ჩიტო-გვრიტო“ წავუღიღინე. არსებობს ბევრი რამ, რაც ადამიანების ფორმირებას ხელს უწყობს. როცა რომელიმე ქვეყანაში ვიმყოფები, აუცილებლად ვსწავლობ იქაურ ენას. მხოლოდ ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა, როცა ვერ შევისწავლე (სომხეთში ყოფნისას). სომხებსა და თქვენ განსაკუთრებული ანბანი გაქვთ. სომხეთში ყოფნისას ნახევარი წლის მანძილზე იმდენი მოვახერხე, რომ კითხვა ვისწავლე. საქართველოში ქართული ანბანიც ვისწავლე და იმ სიტყვებსაც ვკითხულობ, რომლებიც არ მესმის. ძალიან მონდომებული ვიყავი, რომ ქართული ენა შემესწავლა, მაგრამ აგვისტოს ომმა შემიშალა ხელი. მაგრამ განზრახვაზე ხელი არ ამიღია და მომდევნო 2-3 წელიწადში, რომელიც საქართველოში უნდა გავატარო, ზუსტად ვიცი, რომ ქართულად ავლაპარაკდები.



**მეც ვყოფილვარ თქვენს საზღვაო კურორტებზე და, გულწრფელად რომ გითხრათ, იქ ფასები იმ მომსახურეობის სანაცვლოდ, რასაც გვთავაზობენ, მართლაც ძალიან მაღალია.**

ესაუბრა
**სალომე გოგოხია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საააკაშვილი მილიონებს იხდის, პრეზიდენტი ობამა კი სარქისიანს ხვდება

**2010 წლის აპრილი, ვაშინგტონი.**
**– გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო, მე მიხეილ სააკაშვილი ვარ, საქართველოს პრეზიდენტი!**
**აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა: – ისევ?**

**პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვა დიდ გამარჯვებად გამოაცხადებს მის ამერიკულ ვიზიტს. „სულზე ტკბილმა დედობილმა“ მკერდში ჩაიკრა მონატრებული „შვილობილი“ და კიდევ ერთხელ გაახსენა, „ვისი ძუძუ უწოვია“. მიხეილ სააკაშვილი ვაშინგტონში ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ პირველად ჩავიდა. ალბათ, არც ის არის გასაოცარი, რომ საერთაშორისო პროვოკატორად მონათლული საქართველოს პირველი ხელისუფალი ობამას ინაუგურაციაზეც კი არ მიიწვიეს. მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილი ისე იქცევა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს. მან აშშ პრეზიდენტი მხოლოდ ერთხელ კოპენჰაგენში კლიმატის საკითხთან დაკავშირებულ დეკემბრის სამიტზე... დაინახა. და, როგორ ფიქრობთ, რა ქნა? — ელვისებურად მიიჭრა მასთან, ხელი ჩამოართვა და თავი წარუდგინა.**



ანდა, რა წარდგენა უნდოდა? განა, პრეზიდენტ ობამასთვის ცხადი არ იყო, რომ კლიმატის საკითხთან დაკავშირებულ სამიტზე მთავარი მომხსენებელი სწორედ პრეზიდენტი სააკაშვილი გახლდათ?! ეს ამბავი საქართველოში არ გახმაურებულა, თორემ **მთელმა მსოფლიომ იცოდა, რომ მიხეილ სააკაშვილი მხოლოდ გლობალური და სერიოზული პრობლემების გადაწყვეტით არის დაკავებული.** არადა, როგორი მოკრძალებული ინფორმაცია გავრცელდა პრეზიდენტის საიტზე — **„ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთან ხანმოკლე შეხვედრა გაიმართა“.** ეს შეხვედრა ხანმოკლე მხოლოდ იმიტომ იყო, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს მანამდე დაქირავებულმა ამერიკულმა ლობისტურმა კომპანიებმა ობამამდე მისასვლელი გზა ვერ გაუკვალეს.

ამჯერად კი ჯონი და ტომი პოდესტების ლობისტურმა კომპანიამ **„Podesta group“-მა** მოახერხა და პრეზიდენტ ობამას პრეზიდენტი სააკაშვილი ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე მიაწვევინა. ალბათ, უთხრეს, ძალიან აინტერესებს ეს თემაო, მაგრამ ობამას კოპენჰაგენი გაახსენდებოდა და უპასუხებდა, რას ამბობთ, კიდევ კარგი, მითხარით, ახლაც ყურში ჩამესმის, კოპენჰაგენში კლიმატის საკითხებთან დაკავშირებით როგორი საინტერესო და ყოვლისმომცველი, მაღალკვალიფიციური და მოტივირებული მოხსენება წარმოადგინა მისტერ მაიკლმაო.

**აი ასე, პრეზიდენტი ობამა გახარებულია, რომ მასთან სტუმრად პრეზიდენტი სააკაშვილი ჩავიდა. სტუმრობის დასტურის მისაღებად ამერიკის პრეზიდენტი თითქმის ერთი კვირით ადრე შეეხმიანა საქართველოს პრეზიდენტს, მაიკლ, ხომ არ დაგავიწყდა, რომ გელოდები, ემანდ, არ გადაიფიქრო, ბირთვული უსაფრთხოების თემაზე უშენოდ მსჯელობას რა აზრი აქვსო.**

აქვე გაგაცნობთ ციტატას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის საიტიდან ამაყად გვაუწყებს, რომ **„პრეზიდენტმა სააკაშვილმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ობამას ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე მიწვევისთვის. ორივე პრეზიდენტი იზიარებს მოსაზრებას, რომ უსაფრთხო მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა და მტკიცე ძალისხმევა ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ“.**

ძნელი დასაჯერებელია, რომ ამის დამწერი იმდენად ბრიყვი იყოს, არ ესმოდეს: რას შეცვლის ატომური იარაღის გავრცელების წინააღმდეგ საქართველოს პრეზიდენტის ძალისხმევა, თუნდაც — მტკიცე ძალისხმევა ანდა — ძალიან მტკიცე, უმტკიცესიც! ჩვენ ხომ ვიცით, რომ — არაფერს, მაგრამ რას იზამ? ფული უკვე გადახდილია, მთელი 300 ათასი დოლარი. **„Podesta group“-თან** დადებული ხელშეკრულება კი 1 ივნისამდეა ძალაში. ანდა ეს 300 ათასი დოლარი რა სახსენებელია, როცა პრეზიდენტ სააკაშვილს შესაძლებლობა აქვს, უკვე არა კოპენჰაგენში, არამედ თვით მსოფლიო დედაქალაქში — ვაშინგტონში ჩამოართვას ხელი პრეზიდენტ ობამას?!

**თითქმის ორწლიანი მომქანცველი ლოდინის შემდეგ, მართალია, თეთრ სახლში ვერა, მაგრამ ვაშინგტონში გამართულ სამიტზე ხომ ექნება შესაძლებლობა კიდევ ერთხელ წარდგეს მთელი თავისი „საპრეზიდენტო ბრწყინვალებით“?**

ეშმაკმა იცის, რას ეტყვის ეს იმას, მაგრამ, დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, რომ არაფრით წამოსცდება **„თბილისის ფორუმზე“** ნაციონალების შერქმეული მეტსახელი **„ზანგი ჩებურაშკა“.**

**ესეც იმ „კანტორაში“ მოიფიქრეს, საიდანაც პირველად გაისმა საქართველოს დამღუპველი მეტსახელი „ლილიპუტინი“.**

და ამის მიხვედრა სულაც არ არის ძნელი! თუ ასე არ არის, რატომ არ აკონტროლებს შსს „თბილისის ფორუმს“? მათი თვალი ყველაფერს ხედავს და ყური ყველაფერს ისმენს და ის არ იციან, ვინ აბინძურებს ვირტუალურ სივრცეს ევროპელი და ამერიკელი ლიდერების ამაზრზენად შეურაცხმყოფელი ეპითეტებით?

გასაგებია, რომ მაკეინის მზეს ფიცულობდნენ და ობამას გამარჯვება მათთვის მეხის დაცემას უდრიდა, მაგრამ რომელი ამერიკელი (თუნდაც იგივე მაკეინი!) მოიწონებს თავისი ქვეყნის პრეზიდენტის ამგვარ შეურაცხყოფას, რასაც 10 აპრილს პოლონეთის სამთავრობო დელეგაციისა და პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ტრაგიკულად დაღუპვით „გულდათუთქული“ **euroslutfucker-ად** მონათლული ჰკადრებს:

**„სანამ ზანგი ჩებურაშკა ყურებს აპარტყუნებს, ამ დედამო...მა კარლიკმა ნახევარი ევროპა გაწყვიტა.“**

თუკი **euroslutfuker** ნახევარი ევროპის გაწყვეტაზე „წუხს“, **QUOTE** პირიქით, ნახევარ ევროპას ლანძღავს:

**„მერკელო, შე მართლა მეწველო ძროხავ და შე ბაყაყის ჭამია ლილიპუტო სარკოზი!**

**მიდით, აღშფოთდით ეხლა კაჩინსკის დაღუპვაზე და გაასაღეთ უბედურ შემთხვევათ... იდეაშიც კი არ მოგივიდეთ, რომ რუსეთის სპეცსამსახურების გაკეთებულია ეს საქმე!**

**გაიკეთე ანჯელა პუტინის გაზის ტრუბა უკანალში და მიყიდე მისტრალი შე ლილიპუტო მეორე ლილიპუტს!!**

**კარგი, საქართველო გკიდიათ, მაგრამ ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნის პრეზიდენტის მკვლელობაზეც თუ იგივე ურთიერთობას გააგრძელებთ რუსეთთან, თქვენ ნამდვილი ტრ...ის მიმცემები იქნებით მთელი მსოფლიოს წინაშე!**

**აქ კიდევ ბევრი ვერ ხვდება, რა მოხდა. საქართველოს მხარდაჭერის გარდა, ამ კაცს ძალიან ბევრი ქონდა გაკეთებული და მნიშვნელოვანი ფიგურა იყო ევროპაში!**

**პრეზიდენტების თვითმფრინავები ასე უმიზეზოდ არ ვარდებიან 21-ე საუკუნეში.**

**ეს არ იყო ზამბიის ან ზიმბაბვეს ქვეყნის პრეზიდენტის თვითმფრინავი, ეს იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნის თვითმფრინავი, რომელზეც ყველა შურუპი და უმნიშვნელო ელექტრო კაბელებიც კი მოწმდება ინტენსიურად!**

**ხო ის ზანგის ყ...ც მოეგება ცოტა გონს იმედია და დაანებებს რუსეთთან კუდის ქიცინს თავს.“**

მკითხველს ბოდიშს ვუხდი ამ „პოსტების“ თუნდაც შელამაზებულად შეთავაზებისთვის, მაგრამ ძალიან ცდებიან პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გარემოცვა, თუ ჰგონიათ, რომ გერმანიის, საფრანგეთისა და აშშ სპეცსამსახურები ყურადღებას არ აქცევენ ამგვარ „მესიჯებს“ და მათი დამკვეთების ვინაობა არ იციან...

„თბილისის ფორუმზე“ ნაცშპანის მიერ სხვადასხვა ქვეყნების ლიდერების ლანძღვა-გინება არახალია, მაგრამ საგანგაშოა ის გარემოება, რომ, იმავე კიბერსივრცეში გავრცელებული ინფორმაციით, მთელ ამ პროცესს სწორედ შსს-დან კურირებენ და მთელი ეს საზიზღრობა ერთგვარად სახელმწიფო დაკვეთის სახეს იძენს.

ეჭვიც არ მეპარება, პრეზიდენტი ობამა თავისი საელჩოსგან ისედაც მიიღებდა ამ ინფორმაციას და გამორიცხული არ არის, „ჩებურაშკას“ ნაცვლად სააკაშვილს ვაშინგტონში დახვედროდა **„დანდი, მეტსახელად ნიანგი“,** რომელსაც **გენას** კეთილშობილებამდე ძალიან ბევრი აკლია.

ჩავთვალოთ ეს ერთგვარ ლირიულ გადახვევად და საქმეზე გადავიდეთ, ანუ ვნახოთ — როდის, რამდენს და ვის უხდიდა პრეზიდენტი სააკაშვილი საკუთარი პიარისთვის.

**„Podesta group“-ის გარდა, წლეულს საქართველოს ხელისუფლებამ აშშ-ში ლობირებისთვის დაიქირავა კიდევ ერთი პიარკომპანია „Gephardt group government affairs“-ი, რომლის წლიური მომსახურება თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი დაუჯდება. ეს კომპანია ყოფილ დემოკრატ კონგრესმენს — რიჩარდ გებჰარდტს ეკუთვნის.** როგორც **„Podesta group“-თან** დაკავშირებით, ამჯერადაც ქართული მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერს უშიშროების საბჭოს მდივანი ეკა ტყეშელაშვილი. დავაზუსტოთ, რომ კონტრაქტის ზუსტი ღირებულება 436 800 აშშ დოლარია. ამ თანხის სანაცვლოდ კომპანია ვალდებულებას იღებს, საქართველოს ხელისუფლებას ლობირება გაუწიოს აშშ კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

**მსგავსი კონტრაქტები საქართველოს ხელისუფლებამ შარშანაც გააფორმა და ვაშინგტონის ლობისტურ ფირმებს 770 000 დოლარიც გადაუხადა. ეს ფული დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის საქართველოსადმი მხარდაჭერის კიდევ უფრო გაძლიერებას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ რაში გამოიხატა ეს მხარდაჭერა და რა მივიღეთ სანაცვლოდ, ძნელი სათქმელია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს კვლავაც აქვს ავლაბრის რეზიდენციის ვერანდაზე ველოსიპედით ვარჯიშის შესაძლებლობა.**

აშშ-ის გარდა საქართველოს მთავრობამ ევროპაშიც, კერძოდ ბრიუსელშიც, დაიქირავა პიარ-საკონსულტაციო ფირმა **„Aspect Consulting“.** ამის შესახებ ჩვენს ხელისუფალთაგან კრინტი არავის დაუძრავს, ისევ ამ კომპანიის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება. თუმცა, როგორც ჩანს, ბრიუსელში ასეთი ხელშეკრულებები საჯარო არ არის, აშშ-ისგან განსხვავებით, და გადახდილი თანხის რაოდენობა კვლავაც უცნობია.

**შარშან, მარტში საქართველოს მთავრობამ 300 000-აშშ-დოლარიანი კონტრაქტიც გააფორმა ლობისტურ ფირმა „public strategies“-თან.** კონტრაქტი ამჯერადაც ექვსთვიანი იყო. როგორც ჩანს, პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის გარემოცვას ამჯერად რესპუბლიკურის კი არა, დემოკრატიული პარტიის გულის მოგება სურს და ამიტომაც ნიშანდობლივია, რომ ამ ფირმაში რამდენიმე გავლენიანი პირი მუშაობდა დემოკრატიული პარტიიდან; კერძოდ, **ჯეფ ელერი, რომელიც კლინტონის პრეზიდენტობის დროს თეთრი სახლის მედიაკამპანიას კურირებდა და რობერტ ლუდკე, რომელიც წინათ დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური კომიტეტის საბიუჯეტო და საგადასახადო საკითხების ანალიტიკოსი იყო.**

ბუნებრივია, საქართველოს ხელისუფლებას ლობისტები მხოლოდ ოკეანისგაღმიდან ვერ დაეხმარებოდნენ და **2009 წელს 11 თვით ორი კონსულტანტი — დენიელ კუნინი და გრეგორი მანიატისიც დაიქირავა.** კონტრაქტის მიხედვით, ორივე მათგანი, ძირითადად, საქართველოში მუშაობდა და **დაახლოებით 470 000 აშშ დოლარიც საქმიანად გაიყვეს.**

მანიატისი არც მალავს, რომ ისინი საქართველოს მთავრობას რჩევებს აძლევდნენ საერთაშორისო ურთიერთობებზე, კერძოდ კი, აშშ-სთან მიმართებაში სტრატეგიასა და კომუნიკაციებთან დაკავშირებით.

ეს ბოლო კონტრაქტებია, ანუ ის, რაც პრესისთვის მეტნაკლებად ხელმისაწვდომი გახდა. მანამდე კი, **2008 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ დაიქირავა ამერიკული „Glover Park Group“-ი, რომელმაც გაწეული მომსახურებისთვის 320 000 აშშ დოლარი მიიღო საქართველოს ბიუჯეტიდან.**

ჩვენ რომ გვგონია, საქართველოს დელეგაციებსა და აქედან წარგზავნილ მაღალჩინოსნებს განსაკუთრებული პატივით ხვდებიან აშშ კონგრესში, სინამდვილეში **„Glover Park Group“-ს** 50-ზე მეტი კავშირი დაუმყარებია კონგრესმენებისა და სენატორების ოფისებთან საქართველოს ოფიციალურ პირებთან შეხვედრების ორგანიზებისთვის და სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

ამ შემთხვევაში პრეზიდენტ სააკაშვილისთვის ჩიტი (მერე რა, რომ 320 000 აშშ დოლარად ღირებული) ბრძღვნად ღირდა, რადგან **ამ ლობისტურ ფირმას საქართვე-** ▶

**ვაშინგტონში სამიტზე მიწვეული 46 ქვეყნის პრეზიდენტებიდან მასპინძელი მხოლოდ შვიდ მათგანს შეხვდება, რომელთა შორის, თეთრი სახლის ოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტი სააკაშვილი არ არის.**

◀ლოს საკითხებთან დაკავშირებით კონტაქტები ჰქონდა სენატის უმრავლესობის ლიდერ ჰარი რიდის თანაშემწეებთან და რესპუბლიკელების ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატ სარა პეილინთან.**

პრეზიდენტ სააკაშვილს საქართველოს ლობირების პარალელურად არც საკუთარი თავი დავიწყებია და კონტრაქტში ერთ-ერთ მიზნად მისი მედიაში წარმოჩენაც ჩაიწერა.

**საქართველოზე „Orion Strategies“-იც მუშაობდა. საქართველოზე რა, პრეზიდენტ სააკაშვილზე და ამის სანაცვლოდ** (კვლავაც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტი დავიმოწმოთ) **2008 წელს 150 000 აშშ დოლარიც მიუღია.**

გავლენიანმა ამერიკულმა **„ვაშინგტონ პოსტმა“** სულ ცენტობით დაუთვალა „Orion Strategies“-ს საქართველოსგან მიღებული ფული და აღმოჩნდა, რომ **2004 წლიდან ამ ლობისტურ ფირმას 800 000 აშშ დოლარი გადაუხადა საქართველომ; ანუ ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროს, როდესაც საქართველო „დემოკრატიის შუქურად“ იყო გამოცხადებული, ამ „შუქურის“ აკუმულატორის დასატენად თითქმის მილიონი დოლარი „გაგვისროლია“.**

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ 2009 წელს პრეზიდენტმა სააკაშვილმა „Orion Strategies“-ს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. აბა, თუ იცით, რატომ? იმიტომ, რომ (გვაქვს სიამაყის საფუძველი!) პრეზიდენტი სააკაშვილი ჭკვიანია და პრაგმატულად აზროვნებს.

**არ გჯერათ? აი, ნახეთ: რაღა საჭირო იყო „Orion Strategies“? ეს ლობისტური ფირმა ხომ იმ რენდი შეინმანმა დააფუძნა, რომელიც პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის — ჯონ მაკეინის მრჩეველი გახლდათ საგარეო პოლიტიკის საკითხებში. რესპუბლიკელები და განსაკუთრებით ჯონ მაკეინი კი, აღარაფერს ვამბობ რენდი შეინმანზე, პრეზიდენტ სააკაშვილს უახლოესი სამი წლის მანძილზე აღარაფერში სჭირდება.**

მაგრამ პრეზიდენტი სააკაშვილი ამერიკელ ლობისტებზე მილიონების ხარჯვას კატეგორიულად უარყოფს, მათ შორის იმასაც, რომ მის ადმინისტრაციას „ლობირების კუთხით რაიმე ურთიერთობები“ აქვს რენდი შეინმანთან.

**მაგრამ ამერიკელებმა ძალიან კარგად იციან, რომ სააკაშვილი მილიონობით დოლარს ხარჯავს ლობისტურ წრეებში და პიარზე — ვაშინგტონში, რათა კვლავაც მოიპოვოს მხარდაჭერა.**

აქ საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: ის, რაც ამერიკაში სრულიად კანონიერად ითვლება, ანუ ლობისტობა, საქართველოს ხელისუფლებას და პირადად პრეზიდენტს უხერხულობად მიაჩნია. რომ არა აშშ კონგრესის გამოცემა „The Hill“, ალბათ, ვერასოდეს გავიგებდით, ვის და რამდენს უხდის პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებისთვის.

როგორც ხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რესპუბლიკელების ლობისტური კომპანიები დემოკრატების ლობისტური კომპანიებით არც თუ ეფექტიანად ჩაანაცვლა, ჯერჯერობით პრეზიდენტმა სააკაშვილმა მაინც ვერ შეძლო პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრა. თუ არ ჩავთვლით ხანმოკლე შეხვედრას (სრული ნაწყვეტი ხანმოკლე საუბრიდან: **„გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო, მე მიხეილ სააკაშვილი ვარ, საქართველოს პრეზიდენტი!“ — „ჰოო?“**) კოპენჰაგენში გამართულ სამიტზე კლიმატის შესახებ.

ბირთვული უსაფრთხოების საკითხებზე აპრილის სამიტიც დაახლოებით ასეთივე შედეგით დამთავრდა (სრული ნაწყვეტი ხანმოკლე შეხვედრიდან: **„გამარჯობა, ბატონო პრეზიდენტო, მე მიხეილ სააკაშვილი ვარ, საქართველოს პრეზიდენტი!“ — „ისევ?“**). საქართველოს პრეზიდენტის საიტზე კი წავიკითხავთ, რომ **„ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთან ხანმოკლე შეხვედრა გაიმართა“.**

თავისთავად, ამაში ტრაგიკული არაფერია. მოვა დრო და სააკაშვილის „ქუჩაზეც დადგება გაზაფხული“. ეს მაშინ, როდესაც ტკბილად ჩაიღიღინებს **„Расцветали яблони и груши, поплыли туманы над рекой“...**

რა გვეხუმრება?!

**პრეზიდენტმა ობამამ სამიტის ფარგლებში თავის (და სააკაშვილის) სომეხ კოლეგასთან — სერჟ სარქსიანთან შეხვედრა გადაწყვიტა.**

**მოკლედ, სააკაშვილის პიარი პრეზიდენტ ობამასთან შეხვედრის თაობაზე კრახით დასრულდა. ვაშინგტონში სამიტზე მიწვეული 46 ქვეყნის პრეზიდენტებიდან მასპინძელი მხოლოდ შვიდ მათგანს შეხვდება, რომელთა შორის, თეთრი სახლის ოფიციალური ინფორმაციით, პრეზიდენტი სააკაშვილი არ არის.**

ეჰ, ბედი უნდა ყველაფერს! გამხდარიყო რა მაკეინი პრეზიდენტი. მოხუცი კაცია, თავის ჭიასაც გაახარებდა და სააკაშვილიც საპრეზიდენტო ვადას ბოლომდე ჩააგრიალებდა. ახლა კი, აღარც რესპუბლიკელები სწყალობენ (დემოკრატიული პარტიის ლობისტური ფირმები ამჯობინა რესპუბლიკური პარტიისას) და აღარც დემოკრატებს გამოსდით რამე, რადგან კარგად იციან, რომ, საქმე საქმეზე თუ მიდგა, არც მათი გადაგდება გაუჭირდება.

თუმცა ამჯერად გადაგდებული თვითონ გამოდის. ობამას ადმინისტრაციასთან დაახლოებულ ძმებს — ჯონი და ტონი პოდესტებს იმ 300 000 დოლარს უკან ველარ გამოართმევს. ანდა რა, დაუბრუნებენ? იქნებ, სხვა მხრივ მაინც წაადგეს ეს კომპანია ამერიკაში ვიზიტად მყოფ პრეზიდენტ სააკაშვილს და რამდენიმე დაბალი დონის შეხვედრა მაინც გაუხაზიროს...

* * *

**ორი წლის ელენე ლობჟანიძემ, 2003 წლის ნოემბრის მოვლენებით გახარებული ოთახიდან ოთახში რომ დარბოდა „მიჩა, მიჩას“ ძახილით, 23-ში საღამოს ტელევიზორის ეკრანს თვალი ველარ მოაშორა და ტირილით თქვა: „ეჰ, მიჩა, მიჩა, როგორ დაულია ბაბუას ჩაი?“**

**არადა, ბავშვმა რა იცოდა, რომ ის ჩაი ცივი და უგემური იყო.**

**ამ პრეზიდენტობასაც ვერ ჩაატანა გემო...**

**ბონდო მძინარაშვილი**

# რატომ შეუტია სოროსის ფონდმა საქართველოს საგზაო დეპარტამენტს?!

**ახლახან სააკაშვილმა „გზების უსტაბაშს“ — რამაზ ნიკოლაიშვილს დიდი ზარ-ზეიმით ჩინმედლები დაჰკიდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომელი ფირმები ხსნიან თანხებს საგზაო დეპარტამენტში, რომელი თანამდებობის პირები ფიგურირებენ ტენდერში გამარჯვებულ ფირმებში და რა სქემით „ტეხავენ“ თანხებს ბიუჯეტიდან.**

**...ვისი ხელშეწყობით ილექება გზებისთვის გამოყოფილი მილიონები გივი თარგამაძის, მაია ნადირაძის, ვანო ჩხარტიშვილის, კობა ბექაურის, მერაბიშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების ბიზნესინტერესებთან დაკავშირებულ ფირმებში?!**

სოროსის ფონდის ბოლოდროინდელი მონიტორინგით, ნიკოლაიშვილს სერიოზული პრობლემები ექმნება: მის უწყებას მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვს სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტზე. ეს პროექტი ათასწლეულის ფონდიდან ფინანსდებოდა და ნიკოლაიშვილის უწყებამ მისი ღირებულება 102 მილიონიდან 203 მილიონამდე გაზარდა. ამის მიუხედავად, გზის 245-კილომეტრიანი პროექტის რეაბილიტაცია დღემდე არ დასრულებულა და მხოლოდ 219 კმ-ია შეკეთებული. თანაც 35-მილიონიანი კონტრაქტი აზერბაიჯანულ კომპანია „აზერ შაათსერვისს“ ყოველგვარი ტენდერის გარეშე გადაეცა. მოკლედ, გამორიცხული არაა, მალე ათასწლეულის ფონდმა და დონორმა ორგანიზაციებმა ხმაური ატეხონ და საგზაო დეპარტამენტის უფროსს პასუხიც მოსთხოვონ. სოროსის ფონდი კი „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფრთად ითვლება და ეს სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება: ბოკერია-რამიშვილის ხაზი გზებიდან „ფულის ტეხვაზე“ კონტროლს ითხოვს. მეტიც, გამორიცხული არაა, სოროსის ფონდი გორის მონაკვეთითაც დაინტერესდეს.

საგზაო დეპარტამენტში კი მართლაც სოლიდური თანხები ტრიალებს. 521 მილიონი საავტომობილო გზებისთვის, გასულ წელთან შედარებით, ბიუჯეტიდან დაახლოებით 100 მილიონით მეტი გამოიყო. როგორც ირკვევა, ძირითადად, საგზაო დეპარტამენტის ტენდერებში ის ფირმები გადიან ფონს და მილიონიან სატენდერო წინადადებს ისინი იგებენ, რომელთა უკანაც, როგორც წესი, ხელისუფლების გავლენიანი პირები და სახელისუფლო ორბიტის ახლობლები ან ნათესავები ფიგურირებენ. უახლოეს მომავალში ოპოზიცია ამ საკითხის წამოჭრას აპირებს. „სერიოზული ელიტარული კორუფციის ნიშნებია ამ სფეროში. ბიუჯეტის ფული, რომელიც საქართველოს საავტომობილო და შიდა დაქსელვის გზებისთვის გამოიყოფა, რეალურად ისევ მაღალჩინოსნების ახლობლების ჯიბეებში მიდის“, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი გუგავა და იმ პრეტენდენტებს ასახელებს, რომლებმაც ბოლო რამდენიმე ობიექტზე ტენდერი მოიგეს.

**შპს „ზიმო“ — დამფუძნებელია ზურაბ კიკნაძე, მის უკან სახელდება მაია ნადირაძის ქმარი — ზურაბ ჩიკვილაძე. თუმცა ბოლო დროს „ზიმოს“ გავლენები შესუსტდა, მაგრამ რამაზ ნიკოლაიშვილის მოსვლის შემდეგ ამ კომპანიამ ისევ მოიგო ტენდერები;**

**შპს „მტკვარის“ დამფუძნებელია თამაზ გვასალია; შპს „კოლხის“ — ბესო კასრაძე, მის უკან მერაბიშვილი მოიაზრება. სწორედ მის რაიონში აგებს ეს კომპანია ასფალტს;**

**შპს „ბლექ სი გრუპის“ დამფუძნებელზე — ამირან მამუჩაძეზე ამბობენ, გივი თარგამაძის დეიდაშვილიაო. თუ ტენდერების ოფიციალურ მონაცემებს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ, ძირითადად, ტენდერებში ნიკოლაიშვილის, დავით კეზერაშვილისა და სხვა მაღალჩინოსნების „პადსტავნოი“ ერთი და იგივე ფირმები იმარჯვებენ: შპს „ა.ა. გრუპი“, შპს „გზა“, შპს „კოლხი“ ; მერაბიშვილის მშობლიურ სოფელ უდეზე კი შპს „ვერელი პლუსი“ ზრუნავს. ოპოზიციის წარმომადგენლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ ასფალტის თანხებს ნიკოლაიშვილი, დათო ტყეშელაშვილი, გიგი უგულავა, კეზერაშვილი და რამდენიმე სხვა აქტიური „ნაციონალი“ ინაწილებენო.**

**გიორგი გუგავა:**

„გზების დაგება, მოგეხსენებათ, სააკაშვილმა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოგვიცხადა და ამისთვის ყველაზე სოლიდური თანხები გამოყო. დღეს ეს არის მსუყე ლუკმა ხელისუფლებაში მყოფი და მათთან დაახლოებული ბანდიტებისთვის, რათა მიითვისონ სერიოზული თანხები. ამის მრავალი მაგალითი გაქვს და მრავალიც დეტალურ გამოძიებას საჭიროებს, თუნდაც ცენტრალურ ავტობანთან დაკავშირებით: **სკანდალური „ნაციონალი“ კობა ბექაური ყველას გამქრალი რომ ჰგონია, ამ დროს ბმვ-ს ბოლო მოდელის ავტომანქანით დაგრიალებს და ებრაული ფირმა „აშტრომის“ უკანაც სწორედ ის დგას.** ცნობილია, რომ ამ კომპანიამ გააკეთა ალაიანისვენეთის მონაკვეთი. თუმცა ბექაური გამონაკლისი არ არის იმ მაღალჩინოსნებს შორის, ტენდერებში რომ იმარჯვებენ. საავტომობილო გზების სხვადასხვა მონაკვეთებზე სხვადასხვა ფირმები ფიგურირებენ. **სააკაშვილის ყოფილი მარჯვენა ხელის, ახლა სეიმკში მაღალ ხელფასიან თანამდებობაზე მოსკუპული მაია ნადირაძის ქმრის სახელს უკავშირდება კომპანია, რომელმაც გააკეთა სენაკი-ფოთი-სარფის გზის გარკვეული მონაკვეთი. ასევე ცნობილია გივი თარგამაძის განსაკუთრებული ინტერესი ამ სფეროში, სწორედ აქ ნაშოვნი ფულით აქვს ბიზნესები აწყობილი უკრაინაში თარგამაძეს.“**

**— ამბობენ, რომ მისი მამიდაშვილი ფიგურირებს „ბლექ-სი გრუპში“, რომელიც ხშირად იგებს ტენდერებს.**

— კი, ამაზეც იყო საუბრები, თუმცა გივი უფრო ბითუმის სფეროთია დაინტერესებული. ამ მხრივ საყოველთაოდ ცნობილია სააკაშვილთან დაახლოებული ბიზნესმენის — ვანო ჩხარტიშვილის ფირმა „სოკარი“, რომელსაც შემოაქვს, არცთუ მაღალი ხარისხის ბითუმი აზერბაიჯანიდან. თანაც შარშან 1 ტონა ბითუმის ფასმა 1000 დოლარს მიაღწია, წელს სერიოზულად დავარდა ფასები, თუმცა მათი მომზადებული ხარჯთაღრიცხვა მაინც გაბერილია. ბითუმის უკან, ასევე, კეზერაშვილის სიმამრის ფირმასაც ასახელებენ.

გზების მშენებლობაზე ტენდერები ფორმალურად ცხადდება, რეალურად კი სწორედ იმ ხელისუფალთა ახლობლების ან მათი „პადსტავნოი“ პირების ფირმები იმარჯვებენ, რომლებიც სააკაშვილის ორბიტაზე ტრიალებენ. თანაც მშვენივრად აქვთ გადანაწილებული სფეროები. აშკარაა, რომ თანხები გაბერილია, რადგან შეუძლებელია, რამდენიმე მილიონი ჯდებოდეს ასეთი პატარა მონაკვეთი.“



თუ ადრე, სარალიძის დროს, მისი სიძის ფირმა ტენდერებს იგებდა, ახლა მას თარგამაძის მამიდაშვილი თუ სხვა მაღალჩინოსნების ნათესავები იგებენ. ასევე, საინტერესოა სქემა, თუ როგორ კეთდება ფული ასფალტების ბიზნესით. პირველი — ბიუჯეტს მიეწოდება გაფორმებული და გაბერილი პროექტი, გაზრდილი ხარჯთაღრიცხვებით, გაორმაგებულ-გასამმაგებული თანხებით. ტენდერის პირობები წინასწარაა ცნობილი იმ ფირმებისთვის, რომელთაც ის უნდა მოიგონ. საპროექტო წინასწარ განსაზღვრავს თანხასაც; მაგალითად, პროექტს შეგიფასებენ 25 მილიონად, შესასრულებელ სამუშაოებს წინასწარ განსაზღვრავს ის ფირმა, რომელმაც უნდა გაიმარჯვოს, ხოლო ის, ვინც ალალბედზე მიიღებს მონაწილეობას ტენდერში, მას, ბუნებრივია, არ ეცოდინება ტენდერის პირობები. ამას გარდა, ხელმძღვანელობას ურჩევნია იმ ფირმამ გაიმარჯვოს, რომელიც მისიანია. თავის მხრივ, ეს ფირმებიც ქირაობენ ფირმებს და, როცა სამუშაოს შესრულების შემდეგ ისინი კუთვნილ თანხას მოითხოვენ, მათ კობა ბექაურის, გივი თარგამაძის ფირმების წარმომადგენლები ვაჭრობას დაუწყებენ — თუ გინდათ, ცოტა თანხა მაინც მიიღოთ, ხელი გაბერილ ფასებზე მოაწერეთო. როგორც გიორგი გუგავა აცხადებს, „ზედმეტ“ თანხას ისინი საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელობასაც უნაწილებენ, მეტიც, ასეთი გარიგებები სააკაშვილის გარეშე არ ხდება.

ცალკე თემაა გზების შენახვა, სადაც არანაკლები ფული კეთდება, საუბარია კატასტროფულად დიდ თანხებზე.

იბადება კითხვები: საგზაო დეპარტამენტს წინასწარ რატომ არ აქვს განსაზღვრული, რა ჯდება ჩქაროსნული გზის 1 კვ. მეტრის მონაკვეთის დაგება ან რატომ არის სოფლის გზა ასეთი ძვირი? რატომ ხდება, რომ მცირე მონაკვეთებზე მაღალ ფასებში ხორციელდება გზის დაგება, როცა ბითუმის ფასმა შარშანდელთან შედარებით იკლო და არის თუ არა განსაზღვრული კვ. მეტრის ასფალტის დაგების ხარჯი?! რა პრინციპით ხდება კონტრაქტორი ფირმის შერჩევა და რატომ არის, რომ, ძირითადად, ტენდერებში ერთი და იგივე ფირმები იმარჯვებენ და აგებენ საქართველოს ჩქაროსნულ გზებს?! ეს საკითხი მტკივნეულია იმდენად, რამდენადაც გზების ნაწილი იგება სწორედ უცხოური კრედიტებით, რომლებიც საქართველოს ბიუჯეტიდან უნდა დაიფაროს და ეს პროცესი 2013 წლიდან უნდა დაიწყოს.

**აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიომ“ არა ერთხელ სცადა რამაზ ნიკოლაიშვილთან დაკავშირება, მაგრამ საგზაო დეპარტამენტის შეფი სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, მიზეზად კი საქართველოში არყოფნას ასახელებდა.**

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# თბილისის კეთილმოწყობის სამსახურმა ცოცხების შეძენას გრიფით «საიდუმლო» დაადო

**საჯარო ინფორმაციას ერთი ძირითადი მახასიათებელი გააჩნია – იგი ნებისმიერი ადამიანისთვის, სტატუსისა და მდგომარეობის მიუხედავად, ხელმისაწვდომია და ჩინოვნიკ-მოხელეებსა თუ სხვა საჯარო პირებზე კონტროლის აუცილებლობით არის განპირობებული. საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად, ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და, შესაბამისად, მიღების უფლება გააჩნია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, არამედ ნებისმიერ პირს, თუნდაც ეს პირი საქართველოში შემთხვევით, გავლით მოხვედრილი ტურისტი იყოს. მაშასადამე, ჩვენ და ნიგერიელ ან სულაც ვიეტნამელ და ამერიკელ ტურისტს, მაგალითად, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანდა მერიის მიერ ცოცხების შესაძენად გამოყოფილი თანხის შესახებ ინფორმაციის მიღების, ერთნაირი უფლება გაგვაჩნია, თანაც ამ უფლებას კონსტიტუცია და რეფორმირებული სამართლებრივი სისტემა იცავს.**



## რატომ არ უნდა ახსენოთ ცოცხი, აქანდაზი, ვედრო და ნაგვის ურნა საჯარო დაწესებულებებში

სამაგიეროდ, საჯარო ინფორმაციის არგაცემასა და დაბლოკვას საქართველოს ხელისუფლება მთელი თავისი შემადგენლობით, მრწამსითა და სისტემით იცავდა, იცავს და მომავალშიც დაიცავს (თუკი შეძლეს, რა თქმა უნდა).

„აიწონა-დაიწონას" თამაში, ასეთი შეუსაბამობის წონითი კატეგორიის პირობეში, ჩაგვრის, უსამართლობისა და ცინიზმის კლასიკური ნიმუშია. ერთ მხარეს დევს კონკრეტული პირის ან პირების მიერ დაწერილი მოთხოვნა (საჯარო ინფორმაციის მიღების თაობაზე) და ფარატინა ფურცელი კანონის სახით; ხოლო მეორე მხარეს — ბიუჯეტის მილიარდები, ამ მილიარდებზე შავბნელად მიბმული კლანები თუ აპარატები, „დაჩმორებული" სასამართლო და მათთან გათანაბრებული სხვა პირები.

**იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი საჯარო ინფორმაციის დაბლოკვას გააპროტესტებს და სასამართლოს მიმართავს, მას 100 ლარის გადახდა მოუწევს. ბევრი არ არის, მაგრამ საკმარისია, რომ საქართველოს „კუკლასავით" სასამართლოს პირობებში, ადამიანს ამის სურვილი არ გაუჩნდეს ან გაჩენისთანავე გაუქრეს, რადგან 100 ლარის გარდა, კიდევ ბიუროკრატია, თვეების მანძილზე საქმის განხილვის მოლოდინი და ზემოდან ზარი შესაბამისი ინსტრუქციით ელოდება. როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი თამარ კორძაია აცხადებს, საჯარო ინფორმაციის დაბლოკვას მასობრივი ხასიათი აქვს, სამაგიეროდ, ძალზე მცირეა კანონის ამ მოთხოვნის აღდგენის მცდელობა სასამართლოს მეშვეობით, ზუსტად იმ მიზეზების გამო, რომლებიც სულ ახლახან მოგახსენეთ. მოკლედ, კეთილის მსურველები გვირჩევენ, რომ სასამართლოს მეთოდით საჯარო ინფორმაციის მიღების ოცნება დავივიწყოთ.**

### რას ნიშნავს „ბიუჯეტი" ქართულად?

უნდა დავივიწყოთ ისეთი კითხვები, როგორიც არის მაგ.: რა დაუჯდა თბილისის ბიუჯეტს გიგი უგულავას მოდერნიზებული კაბინეტი და აუზი, მინი ფიტნეს ცენტრი, ჯაკუზი და „ევრო სტანდარტების" აივანი? ეს ყველაფერი საჯარო ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან დაფინასების წყარო თბილისის მუნიციპალური ბიუჯეტი იყო.

მცირე საგანმანათლებლო ექსკურსი: **ბიუჯეტი ნორმანდიული სიტყვაა (budget) და საფულეს ნიშნავს. იგი განსაზღვრული პირის, ოჯახის, ბიზნესის, ორგანიზაციის, სახელმწიფოსა და ა.შ. შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალია, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის მონაკვეთით, ჩვეულებრივ – ერთი წლის ვადით.**

კარგი იქნება, ხელისუფალნი თუ „გაიხსენებენ", რომ ბიუჯეტი რიგითი მოქალაქეების საშემოსავლო და სხვა გადასახადებისგან, ბიზნესის გაასმაგებული დაბეგვრისა და რეკეტისგან, საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე აღებული საგარეო ვალებისა და კრედიტებისგან შედგება. **შესაბამისად, ჩინოვნიკების ხელფასებს ჩვენ ვიხდით და იმიტომ ვიხდით, რომ ჩვენი ფული ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შესაბამისადვე დაიხარჯოს. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც კიდევ ერთხელ უნდა ვიკითხოთ: „ფისო, ფისო... ფისო უსინდისო, მე რომ თევზი მოგაბარე, მითხარ, სად არისო?"**

### ცოცხზე საუბარი სამშობლოს ღალატს გაუთანაბრდა

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ზოგადი ინტერესით, საბავშვო პოეზიასთან ლოგიკური კავშირებითა და კორუმპირებულ ხელისუფლებაზე მეზობლებთან გულის მოოხებით არ დასრულდება საქმე? მაგალითად, სასამართლომდე ან სკანდალამდე მივა? მას გრიფით „საიდუმლოს" დაადებენ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გზაზე გახიდულ ნაგვის ურნებსა და ცოცხებს ეხება.

„კეთილმოწყობის სამსახურის მიერ შეძენილი ცოცხისა და სხვა ინვენტარის ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია არსად წამოგცდეთ. **წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ცხოვრების დანგრევის ალბათობა მკვეთრად გაიზრდება," – 2007 წელს ასეთი გაფრთხილება ყველა შესაბამისმა პირმა მიილო და კეთილმოწყობის სამსახურისთვის გამოყოფილი თანხის, 240 მილიონი ლარის, ხარჯვის ნაწილი ტაბუირებული გახდა.**

დღემდე უცნობია, რაში დაიხარჯა ბიუჯეტის მილიონები. ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, **დაჩი ცაგურიას განცხადებით, მერიის ბიუჯეტს კორუფციის მძაფრი სუნი ასდის. სუნის გასაქრობად კითხვებისგან შეწუხებულმა „კეთილმოწყობილმა" ჩინოვნიკებმა ცოცხების შეძენა გაასაიდუმლოეს და 240 მილიონის გახარჯვის შესახებ ინფორმაციას გრიფით „საიდუმლო" ოფიციალურად დაადეს.**

ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი მდივნის თანაშემწის, **რამაზ სამნიაშვილის განცხადებით, დასუფთავების სამსახურის მიერ გახარჯული სოლიდური თანხის გასაიდუმლოებისთვის, რამდენიმე თანამდებობის პირი (ვისაც ეს ორიგინალური მიგნება ეკუთვნოდა) დააწინაურეს და ცენტრალურ ხელისუფლებაში გადაიყვანეს.** მაგალითად, **კობა სუბელიანი**, რომელიც ამ ფაქტიდან რამდენიმე ხნის შემდეგ **ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად** დაინიშნა. აღნიშნული პერიოდით კონტროლის პალატაც დაინტერესდა, თუმცა არც დაინტერესების მიზეზები და არც შედეგები საჯარო არ გამხდარა. რამაზ სამნიაშვილის განცხადებით, კონტროლის პალატამ, ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრი დარღვევა აღმოაჩინა. დაფიქსირებული დარღვევებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შედეგად ოფიცილური წერილობითი პასუხი მიიღეს, რომ მასალებს **გრიფით „საიდუმლო"** დაედო (გას. №11) და გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. ოფიციალურ პასუხს საქართველოს კონტროლის პალატის, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი **გიორგი ბოტკოველი** აწერს ხელს.

### „ბერმუდის სამკუთხედი" – ბიუჯეტის უკვალოდ გაქრობის ხელოვნება

**სამწუხაროდ, ცოცხებისა და ურნების შეძენისათვის გრიფით „საიდუმლოს" მინიჭება ერთადერთი კურიოზულ-კორუფციული ნიმუში არ არის. არც ის არის ძნელი დასადგენი, რომ ამ მილიონიანი ცოცხების უკან ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივი ან სამარცხვინო გახარჯვა დგას. გრიფით „საიდუმლოს" გარეშე, ვერაფრით ახსნიდნენ, რატომ ან სად შეიძლება ღირდეს ჩვეულებრივი ეზოს ცოცხი 1500 ლარი და ფორთოხლისფერი ფორმა — 5000 ლარი. მხოლოდ ძალიან დიდი მონდომების შედეგად შეიძლება ცოცხის ამ ფასად „შოვნა".**

სამაგიეროდ, უხვად იშოვება ძვირადღირებული ტრენაჟორები და ჯაკუზები, რომლებიც, თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად, სამუ-

## მოკლედ




### „ენოლა გეის" მფრინავი გარდაიცვალა

**აშშ-ში 87 წლის ასაკში გარდაიცვალა ბომბდამშენი B-29-ის „ენოლა გეის" ერთ-ერთი მფრინავი, უმცროსი ლეიტენანტი მორის ჯეპსონი.** 1945 წლის 6 აგვისტოს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ჩამოგდებული ატომური ბომბის საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა მის ხანგრძლივ ცხოვრებაში ერთადერთი საბრძოლო მისია იყო. შემდეგ ამბობდა, უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებდიო. ამ საქმის შედეგად 66 ათასი ადამიანი მაშინვე დაიღუპა, 69 ათასი — დაიჭრა, შემდგომში კი რადიაციამ კიდევ ასობით ათასი იმსხვერპლა.



### ვანოც „არადასავლური" ყოფილა

**„კომერსანტში" გამოქვეყნებულმა მერაბიშვილის ინტერვიუმ ყველა აღაშფოთა.** „ინტერვიუ საქართველოს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის ფაქტობრივი უარყოფა, საერთაშორისო თანამეგობრობისგან საქართველოს იზოლირებისკენ მიმართული კურსის გამოხატულებაა", — განაცხადა „ქართულმა აკადემიამ" და დიპკორპუსიდან რიგით მოქალაქეებამდე ყველას განუმარტა, არიქა, „ქვეყანაში რეალური ძალაუფლების მქონე პირი" არადასავლური ორიენტაციისააო.



### ყველა „ქრისტიან-დემოკრატები" ერთიანდებიან

**ვინაიდან „ქვეყნის განვითარების საერთო პოზიციები და ხედვები" გვაქვს, შეიძლება გავერთიანდეთ კიდეცო, განაცხადა „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ.** ამ გასაერთიანებლების, ანუ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა" და „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის" სათაურებიც ძლივს განირჩევა. ჯერჯერობით ძალიან მძიმედ აქვს საქმე მესამე გასაერთიანებელ პარტიას „ჩვენ თვითონ". ამათი სათაური აშკარად ამოვარდნილია კონტექსტიდან.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

შაო კაბინეტის გვერდით უნდა განთავსდეს და მათი ღირებულების შესახებ ინფორმაცია გრიფით „საიდუმლოდ" უნდა გამოცხადდეს.

ახალგაზრდული ოპოზიციური მოძრაობის ლიდერები — **დაჩი ცაგურია** და **ირაკლი კორძაია** აცხადებენ, რომ მათ აქვთ დაზუსტებული ინფორმაცია, რომ **შარტავას ქ.№7-ში არსებული თბილისის მერიის აპარტამენტის მხოლოდ აივნის კეთილმოწყობა 500 000 ლარი დაჯდა.** ხოლო **აპარტამენტების არასამუშაო ნაწილის** (მოსასვენებელი ოთახი, ტრენაჟორები, ჯაკუზი, სოლარიუმი და სხვ.) **რამდენიმე ათეულ მილიონს აღწევს.** ინფორმაციის წყარო **არაოფიციალურია** იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ოფიციალური ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. მაგალითად, **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო"** 2 თვის მანძილზე უშედეგოდ ითხოვდა საჯარო ინფორმაციას თბილისის მერიისგან, შარტავას ქუჩაზე მდებარე მერიის ახალი შენობის აღდგენა-რემონტისათვის გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით.

ინფორმაცია, რომლის საჯაროობასაც კანონი იცავს – მიუწვდომელი აღმოჩნდა. **ეს ორგანიზაცია კარგა ხნის მანძილზე, ასევე, უშედეგოდ ითხოვდა საჯარო ინფორმაციას, თუ რომელი კომპანიები ახორციელებენ საგაზეთო ჯიხურების მენეჯმენტს თბილისში. ესეც ისევე გასაიდუმლოებულ საჯარო ინფორმაციათა კატეგორიას განეკუთვნება, როგორც თბილისის მერიის მიერ „რუსთავი 2"-ისა და „იმედისთვის" გადარიცხული თანხების ოდენობა და კონკრეტული მედიაგეგმა, თუ რამდენს იხდის ქალაქის მმართველობა ამა თუ იმ სახის მომსახურებაში.**

### 487 630 ლარი – საჩუქარი არჩევნებში მხარდაჭერისთვის?

**თბილისის მერის 2008 წლის 15 თებერვლის №80 განკარგულებით, მოქალაქე დიანა ღურწკაიას გამოეყო ფინანსური დახმარება 487 630 ლარის ოდენობით. ეს ოფიციალური ინფორმაციაა. სამაგიეროდ, ამ განკარგულებასთან დაკავშირებული სხვა მასალები გასაიდუმლოებულია. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა №80 განკარგულება მერიიდან ოფიციალურად გამოითხოვა, რომლის მიზანიც დიანა ღურწკაიაზე დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარის ოდენობის დახმარების გაცემის საფუძველი უნდა გაერკვიათ. მიუხედავად იმისა, რომ მერის განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა მის მომთხოვნ მხარეს, მერიამ აღნიშნული ნორმატიული აქტიც არ გახადა საჯარო, რითაც ბუნებრივად ჩნდება ეჭვი განკარგულების გამცემსა და 487 630 ლარის მიმღებს შორის არსებული საეჭვო გარიგების თაობაზე.**

კერძოდ კი, მერიის მიერ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ამყარებს გავრცელებულ აზრს — დიანა ღურწკაიამ ეს თანხა 2005 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიური მონაწილეობისა და შემდგომშიც ხელისუფლების დეკლარირებული მხარდაჭერის სანაცვლოდ მიიღო.

**ასეთ საკითხებზე დისკუსიის დროს ხელისუფლების მხარდამჭერნი ხშირად ცნობილ დემაგოგიას მიმართავენ – „არ უნდა მიეცათ დახმარება?" „არ იმსახურებდა?" დამუნათებასაც არ ერიდებიან – „ასეთები ვართ ეს ქართველები!" და ა.შ. ეს საკითხები თუ კითხვები ცალკე განსჯის თემაა და როგორღაც ერთხელ ამისთვისაც მოვიცლით.**

ამჯერად კი ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საუბარია არა გაცემული დახმარების მართებულობაზე, არამედ იმ ფაქტზე, რომ ხელისუფლება არღვევს კანონს და საჯარო ინფორმაციას იმ მეთოდით ასაიდუმლოებს, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის.

**ანალოგიური პრინციპით არ გაიცა ინფორმაცია ბედკრული და გზასაცდენილი პრომეთეს შესახებ, რომელიც თითქმის დედიშობილა ჯერ ცირკთან „დააყენეს", შემდეგ კი საქართველოს რეგიონებში სამოგზაუროდ გაგზავნეს. დღემდე საიდუმლოა ამ პროექტის ავტორთა ვინაობა, მასზე დახარჯული თანხები, ძეგლის დადგმასა და გადადგმაზე გადაწყვეტილების მიმღები პირები; შესაბამისად, როდესაც მედიის წინააღმდეგ „გადაუმოწმებელი ინფორმაციის" გავრცელებისათვის ბრალდებები ისმის.**

კარგი იქნება, გავიხსენოთ, რატომ არის ამდენი გადაუმოწმებელი ინფორმაცია მედიაშიც და საზოგადოებაშიც, იმიტომ ხომ არა, რომ, კანონის თუ სხვა ძალისხმევის მიუხედავად, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება (მით უფრო თუ ხალხის ფულის თვითნებურ ხარჯვას ეხება) ჩვენს ხელისუფლებას მავნე ჩვევად ექცა?

**კარგს და სასიკეთოს რომ არ მალავენ, ამას სახელისუფლო პიარ-პროპაგანდიდან ყოველდღიურად ვხედავთ. ბუჩქის დარგვასა და ხეზე ამძვრალი კატის დასახმარებლად განხორციელებულ სამაშველო ოპერაციას თანაბარი წარმატებით აშუქებს სახელისუფლო მედიად წოდებულთა მრავალრიცხოვანი გუნდი.**

ბიუჯეტის სახსრები საკუთარ ჯიბის ფულად მხოლოდ მერიაში არ მიაჩნიათ, ვერც ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება დაიკვეხნის ამ ტრადიციის დარღვევით. დეტალურ ინფორმაციას სხვა დროს და სხვა სტატიაში აუცილებლად მოგაწვდით, ამჯერად კი პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ერთ მოკლე რეპლიკას შეგახსენებთ. დაახლოებით ერთი თვის წინ მთავრობის სხდომაზე პედაგოგთა ახალი საკვალიფიკაციო გამოცდების საკითხი განიხილებოდა, პედაგოგებისთვის მოსამზადებელი კურსებიც შეიქმნა, სადაც ტესტებისთვის მოემზადებოდნენ. მომზადებისთვის საჭირო თანხა ერთ პედაგოგზე 160 ლარს შეადგენდა, თუმცა, როგორც გილაურმა ბრძანა, „პედაგოგებისთვის უფასოა, ამ თანხას ბიუჯეტიდან დავფარავთო", თითქოს საკუთარი ჯიბიდან ფარავდა, ისეთი სიამაყე ახლდა თან ხიუჯეტის თანხების მორიგ არამიზნობრივ და დაუკითხავ ხარჯვას, რომლის შევსებასაც პედაგოგები საკუთარი ხელფასებიდან საშემოსავლოს გადახდის მეშვეობით, მთელი მუშაობის მანძილზე ცდილობენ.

**გიორგი ქიტიაშვილი**

# მიწათმოქმედების ქვეყანაში ნიორი და ლობიო ჩინეთიდან შემოაქვთ

**„გეორგიენ" ჩვენმა ანტიკურმა მეზობლებმა ჯერ კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინათ შეგვარქვეს, რადგან მიწათმოქმედნი ვიყავით. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მიწათმოქმედების ქვეყანაში ნიორი და ლობიო იმპორტირებულია, არც მეტი, არც ნაკლები — ჩინეთიდან.**



**«ნაცმოძრაობის» აგრარული პოლიტიკის ილუსტრაცია**

**ქვეყნის ექსპორტი 1,51 მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტი — 6,82 მილიარდს. რა არის ქვეყნის ეკონომიკური პრიორიტეტი? რატომ უჯდება ლობიოს მოყვანა საქართველოში გლეხს ჩინელებზე უფრო ძვირი?**

საზამთრო — სომხეთი;
ნესვი — სომხეთი;
კარტოფილი — სომხეთი;
გარგარი — სომხეთი;
სტაფილო — სომხეთი;
კიტრი — თურქეთი;
პომიდორი — თურქეთი;
საქართველო — ???

**უფრო მართებული იქნება, თუ პროდუქციის ადგილას, პალოს დავწერთ იმიტომ, რომ საქართველოში ადგილობრივი წარმოების თითქმის აღარაფერი იყიდება. ბიოლოგიურად და ორგანულად სუფთა პროდუქტზე საუბრით საქართველოს ხელისუფლებას ძაღლის ყბა ჰქონდა გამობმული, მაგრამ ქვეყნის ბეღელში — კახეთში, საქმე საქმეზე რომ მიდგა, მღრღნელებისგან მიწების გასუფთავების მიზნით, ჩვენმა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა და „ჭკვიანმა" მინისტრმა, კახეთის მიწების თუთიის ფოსფატით გამდიდრება გადაწყვიტა. ამ მიწაზე მოსული პროდუქტი რამდენად იქნება ეკოლოგიურად სუფთა და რამდენი წლის განმავლობაში იქნება გამოუსადეგარი ეს მიწები, თავად განსაჯოს მკითხველმა.**

როგორც ხედავთ, გარდა ჩინური პროდუქციისა, საქართველო სომხური და თურქული პროდუქციის გასაღების ბაზარიცაა. მაშინ, როდესაც, ჯავახეთის ქართველობას, კარტოფილი უფუჭდება და ვერ ყიდის, საქართველოში კარტოფილის იმპორტი სომხეთიდან შემოდის.

რაც შეეხება ლობიოსა და ნიორს. ლობიოს 90% ქვეყანაში იმპორტირებულია აზიის ქვეყნებიდან, ძირითადად, — ჩინეთიდან და ინდოეთიდან. 1კგ ნიორი 6 ლარი ღირს. თუ ცალობით გინდათ შეძენა — 50-60 თეთრი.

**„ნაცები", ალბათ, ამბობენ, რომ ქვეყანაში ეკონომიკა დუღს და გასაღების ბაზარი ვართ, მაგრამ ეს ქვეყნის ტრაგედია უფროა, ვინაიდან საქართველო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, ჩინეთიდან შემოტანილ ნიორსა და ლობიოზე ბაჟი დაწესებული არ არის.**

ქართველ გლეხს მიწის დასამუშავებლად საწვავის შესაძენი ფული არ აქვს. რომც მოიყვანოს მოსავალი, გასაღების ბაზარი არ ექნება. ნიადაგისთვის საჭირო სასუქებზე მათ ხელი არ მიუწვდებათ. სარეალიზაციოდ მისი ტრანსპორტირებაც ძვირი უჯდებათ; სხვა საკითხია, გაყიდის თუ არა. ვინაიდან, ქვეყანას სახელმწიფო პიარი ეროვნულ პროდუქტებზე შემუშავებული არ აქვს და ხალხმა ისიც არ იცის, თუ სად შეუძლია საკუთარ ქვეყანაში მოწეული პროდუქციის შეძენა. აქ კიდევ ერთი პრობლემაა. ქართველ გლეხს იმდენად ძვირი უჯდება საკუთარ მიწაზე მოსავლის მოყვანა, რომ შესაბამისად ბაზარზე, მისი ფასი მაღალია. ჯიბეგაფხეკილ მომხმარებელს კი შედარებით იაფი ჩინური ნიორი და ლობიო ურჩევნია.

### ბოლო ხანს ჩინეთიდან ასეულობით მოქალაქე ჩამოვიდა, ჯგუფებად დასახლდნენ რამდენიმე სოფელში; ამუშავებენ მიწას და მოჰყავთ მოსავალი. თანაც ისინი გადასახადებს არ იხდიან. მერე იტყვიან, რომ ქართველ გლეხს მუშაობა ეზარება და ქალაქში გარბის საცხოვრებლადო.

### როდესაც მიწაზე მუშაობას შეუძლებელს გაუხდი, გაიქცევა, აბა, რა!

ხელისუფლებას შეუძლია, რომ გამოყოს სასოფლო-სამეურნეო მიწები და არენდით გასცეს ჩინელებზე. არც ქვეყნისთვის იქნებოდა ურიგო სოფლის მეურნეობის განვითარება, მაგრამ ამ ქვეყანაში რატომღაც პრიორიტეტული ინვესტიციები და გაყიდვაა. როდესაც ქვეყანას გასავალი აქვს ისეთ პროდუქციაში, რომლის წარმოებაც თვითონ შეუძლია და, შესაბამისად, შეიძლება შემოსავალიც ექნეს, იმის მაგივრად, რომ ექსპორტიორი გახდეს, უპასუხისმგებლოდ იქცევა.

სეზონზე კახეთში საზამთროს მთები დგას და მისი ფასი ადგილზე 1კგ 5 თეთრია. ამ დროს თურქეთიდანაც ხდება მისი იმპორტი.

**ხელისუფლების მარტივი არითმეტიკაა. ურჩევნიათ იმპორტის ლობირება, იქიდან დიდი ნაღდი ფულის ჯიბეში გაშვება. ციტრუსების გარდა ყველაფერი შემოდის. თურქული და ბერძნული ციტრუსი არ ვარგა, ქართულ ბაზარზე ფეხს ვერ იკიდებს, უგემურია, თორემ ამასაც გამოუყვანდნენ წირვას. რატომ უნდა მოიყვანო, იწვალო, როცა აგერ, სომხეთიდან შემოდის? მალე ყურძენსაც და გამზადებულ ღვინოსაც შემოგვიტანენ, ვაცადოთ ცოტა ხანს...**

ქართული მწვანილისა და სხვა პროდუქციის გასაღების ბაზარი, ძირითადად, რუსეთი იყო. უვიცი ხელისუფლების არასწორმა პოლიტიკამ ეს გზა დაკეტა. ვიდრე ევროკავშირში არ შევალთ, არაფერი ეშველება ქართველ მეწარმეს. თუმცა ამის იმედი დიდ ხანს არ უნდა გვქონდეს. ვიდრე ასე იქნება, სოფლიდან გლეხს 1კგ ლობიოს თბილისში ჩამოტანა უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე იმპორტიორს — ჩინეთიდან.

კიტრისა და პომიდვრის 70% თურქეთიდან შემოდის, შუა აზიიდან — ლობიო, კარტოფილის 70% — თურქეთიდან და სომხეთიდან; სოკო — აზერბაიჯანიდან; ხორბლის 90% — რუსეთიდან, ამერიკიდან, შუა აზიის ქვეყნებიდან და უკრაინიდან; ხორცეული სამხრეთ ამერიკიდან შემოდის, სინამდვილეში რას ჭამს ქართველი მომხმარებელი, კაცმა არ იცის.

**ამბობენ, ყველა თბილისში გამორბის და მიწის დამუშავება არავის უნდაო. დიდი სიამოვნებით დავამუშავებდი ჰექტრობით მიწას, მაგრამ იმდენად დიდი თანხა სჭირდება ამას, რომ „იაფი კრედიტიც" კი არ არის საკმარისი. მხოლოდ თოხით მოყვანილი მოსავლით, ქართველი გლეხი იაფფასიან იმპორტს კონკურენციას ვერ გაუწევს.**

**მაგდა კლდიაშვილი**

## თოხით მოყვანილი ლობიო — გენმოდიფიცირებული იმპორტის წინააღმდეგ

14 — 20 აპრილი, 2010 წელი. №13 (56)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველოში პლაგიატორებს აჯილდოებენ ВАШЕ СИЯТЕЛЬСТВО-ს ახალი ორდენით

## „თუ გინდა სითბო და ალერსი, მოიქეც, როგორც ალექსი“.

**ამ კაცს ალექსი არ ჰქვია, მიქელე გახლავთ, დელუჩი, არქიტექტორი იტალიიდან. მაგრამ მისი სახელი და გვარი ამ ნასესხები ლექსის რითმაში ვერ „ჯდებოდა“ და შემინდეთ ეს შეცოდება.**

სითბო და ალერსი დელუჩის მისამართით 8 აპრილს იმდენი დაიღვარა პრეზიდენტის სასახლის ცერემონდარბაზში, რომ ვერ დაეტია შუშის გუმბათქვეშ, ჩანჩქერად გადმოეშვა ავლაბრის მტირალა კლდიდან და — გიხაროდენ, გავბრწყინდით!

მიხეილ სააკაშვილმა იმ დღეს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი გადასცა მიქელე დელუჩის — პრეზიდენტის სასახლის თვითმარქვია არქიტექტორს, ინტელექტუალური საკუთრების მომპარავს.

ამ კაცის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ ჯერ კიდევ 9 თვის წინათ წერდა, უფრო ზუსტად, ამხელდა გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში — **„არქიტექტორ გიგა ბათიაშვილს პრეზიდენტის სასახლის ავტორობა მოპარეს“** („საქართველო და მსოფლიო“, №23, 2009 წლის 29 ივლისი — 4 აგვისტო).

**„ეს კაცი** (მიქელე დელუჩი. — **ა.ს.**) **რომ არ იყოს ამ კავშირის** (იტალიის არქიტექტორთა კავშირის. — ა.ს.) **წევრი, — ამბობდა მაშინ გიგა ბათიაშვილი, — პროფესიული მორალი ავალდებულებდა, შესაბამისად მოქცეულიყო. ჩამოხვედი სხვა ქვეყანაში (ალბათ, ჰგონია, რომ პაპუასებთან ჩამოვიდა), ნახე, რომ შენობა აგებულია, არქიტექტურული სტილი ჩამოყალიბებულია, მეტიც, შენობას „ქუდიც“ ახურავს. არ უნდა იკითხო, შე კაი კაცო, ამ შენობის არქიტექტორი ვინ არის, ცოცხალია თუ გარდაცვლილი?“**

არ უკითხავს, არც არავის მიუთითებია, როგორ უნდა მოქცეულიყო. ან უთხრეს: რაში გაინტერესებს, ჩათვალე რომ შენა ხარო.

ჩათვალა.

და თავისი ხელიც დაატყო: **„სახურავი რომ მოხსნა და დამატებით ერთი დაბალი სართული რომ დააშენა, თანაც უწიგნურად, გუმბათის ყელი ფეხებიდან ამომძვრალად გამოჩნდა“.** (იქვე).

შეიტანა თავისი წვლილი.

თუ სხვა დეტალებიც გაინტერესებთ, წაიკითხეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ზემოთ მითითებული პუბლიკაცია.




მისცეს პლაგიატორს კარტბლანში, და გასულ 9 თვეში, ეტყობა, მიმცემიც და მიმთვისებელიც ისე შეეჩვიენ ამ „ლეგენდას“, რომ დაიჯერეს. დაიჯერეს და ბრწყინვალების ორდენიც დაჰკიდეს თუ მიაკრეს მკერდზე.

**— ესე იგი, ბატონო გიგა, საკმარისია მიითვისო სხვისი ნაშრომი, მოიპარო და კიდეც — გაღიარებენ, კიდეც — დაგაჯილდოებენ? თანაც ახალი ორდენით...**

— ორდენი საერთოდ არ მაინტერესებს — მიიღო თუ არ მიიღო ამ კაცმა, მით უფრო. არის უფრო დიდი და სავალალო პრობლემა, რომლის შესახებაც ვაპირებ სტატიის დაწერას და პრესაში გამოქვეყნებას. მე მაინტერესებს პრობლემა — როგორ შეურაცხყოფენ თავიანთ პროფესიას, როგორი უპატივცემლობით შეუძლიათ მოეპყრონ კოლეგებს, არად ჩააგდონ პროფესიის წესები და კანონები, ზნეობის ნორმები საერთოდ.

არ შეიძლება, ასე უსინდისოდ მოეპყრო ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს. ერთია, რომ იმ შენობამ გამითახსირა *(გულისხმობს პრეზიდენტის სასახლეს. —* ***ა.ს.****)* და, მეორეც, — ქალაქი გაათახსირა იმ ხიდით, კაცო, მტკვარზე უადგილო ადგილზე რომ გადეს. გაათახსირა რას ჰქვია, — მოკლა! მასშტაბი, სახე, ყველაფერი დაუკარგა.

ამაზე ვაპირებ დაწერას.

ამ ხიდს არ ვაფასებ როგორც კარგ თუ ცუდ ქმნილებას, ვაფასებ, როგორც დამანგრეველ და უხეშ ჩარევას თბილისის ტრადიციულ არქიტექტურულ ქსოვილში, ჩვენი დედაქალაქის მატერიალურ და სულიერ სივრცეში. ამიტომ ვარ ვალდებული რეაგირება მოვახდინო. იბრწყინონ, რამდენიც გაეხარდებათ, მაგრამ ნუ გვიმახსინჯებენ თბილისს!

გიგა ბათიაშვილს „ბრწყინვალება“ არ აინტერესებს — ჭეშმარიტი შემოქმედისთვის დაფასების ასეთი ფორმალური გამოვლენა ბევრს არაფერს ნიშნავს.

სამაგიეროდ ხომ ვხედავდით, როგორ შეიფერა ბატონმა მიქელემ ეს ჯილდო, როგორ გამოკრთოდა მის მოშვებულ წვერს მიღმიდან თვითკმაყოფილება, რომელიც ჯოკონდას ამოუცნობი ღიმილივით გამოსხივდა ტელეეკრანიდან. ისე ბრწყინავდა, როგორც გაპრიალებული ორდენი დაჯილდოებულის მკერდზე დაბნეული.

ტიციან ტაბიძეს გულის ჯიბეში მიხაკი ედო...

ბრწყინვალების ორდენის ღირსება და სახელი ისე გაიძურწა ცერემონდარბაზიდან, როგორც პანჩურამოკრული მაწანწალა ძაღლი ავლაბრელი დახლიდარის დუქნიდან.

ან, იქნებ, არც ყოფილა იქ, სადაც ბრწყინვალება და მეშჩანური თავხედობა ერთმანეთში ერევათ?

ბრწყინვალებს ავლაბრის უბნის გადმოსახედზე „მაჰარაჯას სასახლე“, მზის სხივებს ირეკლავს მტკვარზე გადებული „საცალფეხო ხიდი“ — „კუზიანი კვიცისა“ და „მძინარე მზეთუნახავის“ ბროლის კუბოს ნაჯვარი მიჩურინის ვაშლი.

ორ-სამ დღეში საზეიმოდ გახსნიან და სრულიად საქართველოს ადღესასწაულებენ.

ჩამოივლიან იმ ზეიმზე კეკელო და მარო, გასჭიმავენ მიქელე დელუჩის ფაჩიკოს გარმონს, აეროპორტის გზაზე რომ დაგვიტოვა, და ორ ხმაში დასცხებენ:

**„ზემოდანა მოდიოდნენ**
**კეკელო და მარო,**
**ერთმანეთს ეუბნებოდნენ,**
**რა დაითესე, ქალო“...**

რა დავთესეთ და მითვისებასა და პლაგიატობისთვის ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოების პრაქტიკა.

„ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი“ — ასეთია ამ ჯილდოს ოფიციალური სახელი, **Ваше сиятельство**-ს არაფერი უკლია.

კაცო, საპრეზიდენტო თუა, სხვებს რატომ აძლევენ?!

იმიტომ, რომ პირველი პირის „ხოშით“ რიგდება...

„ხოშს“ ვერ მივისაკუთრებ, ავტორი ჰყავს — გიგა ბათიაშვილი. „დღეს ქვეყანა იმართება „ხოშით“ და არა წესითა და ზნეობით“, — თქვა მან. **(იხ. „საქართველო და მსოფლიოს“ ზემოთ დასახელებული ნომერი).**

მე გავიმეორე.

**არმაზ სანებლიძე**

## შალვა ხაჭაპურიძე:

# მინისტრ კალმახელიძეს პასუხისგებაში მისცემენ

## „საქართველო და მსოფლიოში“ (№12) დაბეჭდილი წერილის — „ხელისუფლებამ პატიმრების საწამებელი სპეცმოწყობილობა ჩეხეთში შეიძინა“ — გამო ციხის უფროსის მოადგილე ვაჟა ცხვედიანი პატიმარ ირაკლი ხოხიაშვილს კიდევ ერთხელ სასტიკად გაუსწორდა

**პენიტენციანულ სისტემაში განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ეს სფერო ჯერ კიდევ რჩება საერთაშორისო და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კრიტიკის ობიექტად დანაშაულებრივი და პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობის გამო.**

გუანტანამოს ციხიდან გადმოყვანილ პატიმრებზე საქართველოს ხელისუფლება დიდი მონდომებით ზრუნავს და მათ მიმართ ჰუმანიზმის გამოვლენით მსოფლიო საზოგადოების წინაშე თავს იწონებს, ციხეებში კი პატიმრებს ისევ ვირთხები, ათასგვარი კანის თუ სხვა დაავადებები (შავი ჭირი, მუნი) აწუხებს. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ვირთხების პრობლემა უკანა პლანზე გადადის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების ქმედებების გამო. სწორედ ამიტომ ადვოკატებს არა პატიმრის მიმართ გამამართლებელი განაჩენისთვის ბრძოლა, არამედ „ზონაზე“ სათანადო პირობების შექმნისთვის და პატიმართა სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ბრძოლა უწევთ.

სტრასბურგის ადამიანთა უფლებების ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ყოველწლიურად ასობით საქმე იგზავნება, მათ უმრავლესობას სასამართლო წარმოებაში განსახილველად იღებს და სათანადო დასკვნებიც გამოაქვს. სწორედ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად გადაიყვანეს პატიმარი ირაკლი ხოხიაშვილი ქსნის მეშვიდე საპყრობილიდან ციხის საავადმყოფოში („რეზბალნიცა“).

**ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, საჩივრის სტრასბურგში გადაგზავნამდე, მან არაერთხელ მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და სახალხო დამცველს, რათა ხოხიაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესებულიყვნენ, მაგრამ ამ მიმართვებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო.**



**შალვა ხაჭაპურიძე:** „საქართველოს ციხეებში ისეთი მდგომარეობაა, რაც, ხშირ შემთხვევაში, პატიმრების მძიმედ დაავადების მიზეზი ხდება. პატიმართა 80 პროცენტი დაავადებულია. განსაკუთრებით ხშირია ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის შემთხვევები. სტრასბურგის სასამართლო ხშირად მიუთითებს, რომ მსგავსი გადამდები დაავადებებით ინფიცირებული პატიმრების მოთავსება სხვა პატიმრებთან ერთად არ შეიძლება. ჩვენთან კი ამას ყურადღებას არ აქცევენ. ადვოკატის შუამდგომლობას, რომ დაავადებულ პატიმარს შესაბამისი გამოკვლევა ან სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდეს, დეპარტამენტი არ აკმაყოფილებს იმ მოტივით, რომ კანონით ექსპერტიზის ჩატარების უფლება სასამართლოს ეკუთვნის. სასამართლო კი უარს აცხადებს იმ მოტივით, რომ პატიმრის ჩივილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არ არის საკმარისი მოტივაცია ექსპერტიზის ჩასატარებლად. ასე რომ, მექანიზმი, რომლის შესაბამისადაც პატიმარს ექსპერტიზა ჩაუტარდება, დღევანდელ კანონმდებლობაში ფაქტობრივად არ არსებობს. ერთადერთი რჩება ალტერნატიული ექსპერტიზა, მაგრამ დღევანდელმა პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ალტერნატიული ექსპერტიზა საერთოდ ამოიღეს კანონმდებლობიდან. ეს კანონი ოქტომბრიდან შევა ძალაში. ამ ფაქტზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ არც იმ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტში ოპოზიციას წარმოადგენენ. მათ ვურჩევ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ, რას უყარეს კენჭი.

**სტრასბურგში საქმის გასაგზავნ მოტივაციად ერთადერთი დამოუკიდებელი ექსპერტიზა არსებობდა და ახლა ესეც მოსპეს. რაც დღეს ციხეებში ხდება, მრავალ სხვა უკანონობასთან ერთად სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების უგულვებელყოფაა. თუ ეს დროზე არ აღიკვეთა, ახლანდელ მინისტრს, ქალბატონ ხათუნა კალმახელიძეს, ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, პასუხისგებაში მისცემენ“.**

სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების ფაქტობრივ აღწერილობაში განმარტებულია, თუ რა პირობებში იხდიან პატიმრები სასჯელს. მათი მდგომარეობა საშინლად დამამცირებელია, თუნდაც იმის გამო, რომ საპყრობილეთა უმეტესობაში სასადილო მაგიდა საპირფარეშოსგან მხოლოდ 70 სანტიმეტრით არის დაშორებული. არ არის დაცული ჰიგიენის ელემენტარული ნორმები. კიდევ ერთი დეტალი, რაზეც შალვა ხაჭაპურიძე ყურადღებას ამახვილებს, არის ის, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში დოკუმენტაციას კანონდარღვევით ადგენენ.

**შალვა ხაჭაპურიძე:** „ციხის ადმინისტრაციამ კარგად იცის, რომ მე სტარსბურგის სასამართლოსთან აქტიურად ვთანამშრომლობ. მას შემდეგ, რაც ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნას წარვუდგენ, სადაც არის დადასტურებული, თუ რა დაავადებები აღენიშნება პატიმარს. ამ დასკვნის საფუძველზე ივსება პატიმრის სამედიცინო ისტორია. მაგრამ არ ითვალისწინებენ ერთ დეტალს: როდესაც მე საქმის წარმოებას ვიწყებ, უპირველესად ვითხოვ პატიმრის ისტორიას, სადაც არანაირი დაავადება არ არის დაფიქსირებული. ამ ისტორიის ასლის თანხლებით ვაგზავნი საჩივარს შესაბამის სტრუქტურებში — სახალხო დამცველთან და პროკურატურაში, რათა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე დოკუმენტების გაყალბების გამო. მაგრამ **პროკურატურა, ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან მიმართებაში მკვდრების სასახლეა, რადგან რა საჩივარიც არ უნდა შეიტანო, არანაირი რეაგირება არ ხდება.** ▶

# თბილისის მზე სამტრედიიდან... ჩამოვა?

**„ეროვნული საბჭოდან“ თბილისის მერის პოსტისთვის ზვიად ძიძიგური იბრძოლებს, საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის კი — კობა დავითაშვილი. ასე გადაწყდა პრაიმერით. ასე ინება 12 ათასმა გამოკითხულმა ამომრჩეველმა. რას დავეძებთ, მართლა 12 ათასი გამოკითხეს თუ 1200, მთავარია, რომ ჭერმიკურკიტოლა ძიძიგური ამჯობინეს გარგრიკურკიტოლა დავითაშვილს.**

**აქ ყველაფერი გარკვეულია.**

**ისევე, როგორც „ქრისტიან დემოკრატებში“: მერად — გიორგი ჭანტურია, საკრებულოს თავმჯდომარედ — ინგა გრიგოლია.**




სხვებიც არიან, თუმცა სხვებზე — სხვა დროს...

გიგი უგულავა რომ ამათთვის „ბროლის კოშკის“ (მისი ძალაც „გამჭვირვალე შუშის შენობაშია“) დათმობას არ აპირებს, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ, ვთქვათ, მოხდა სასწაული და თბილისელებმა ყველას ძიძიგური ამჯობინეს და, ვთქვათ, ზაალ სამადაშვილის (საკრებულოს ახლანდელი თავმჯდომარეა, ალბათ, გაგიგონიათ!) სავარძელში ინგა გრიგოლია ჩაესვენა...

მოიცათ, ფანტაზიებში ნუ გადაიჭრებით, რეალობა იმაზე უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე წარმოგიდგენიათ.

**მაგალითად, ეს რეალობა თბილისის ჰიმნად ქცეულ გიორგი ცაბაძის ცნობილ სიმღერას „თბილისო, მზის და ვარდების მხარეო, უშენოდ სიცოცხლეც არ მინდა...“ სერიოზული საფრთხით დაემუქრება.**

ახლა იკითხავთ, რამდენი მერი (ზოგი მართლა მერი!) და საკრებულოს თავმჯდომარე (ზოგს მართლა „აეროდრომი“ ქუდი რომ უნდა ხურებოდა ძველი კოლმეურნეობის თავმჯდომარესავით!) გამოიცვალა „მზის და ვარდების მხარე“ თბილისმა და ჰიმნის შეცვლა არავის გახსენებიაო.

არც ასე მარტივადაა საქმე. მზე ახალ ჰიმნშიც იქნება, ვარდებისა კი — რა მოგახსენოთ, ალბათ, ისიც ისტორიას ჩაბარდება ისევე, როგორც — პრეზიდენტი სააკაშვილი.

თუ არ გჯერათ, თბილისის მომავალ მერს — ზვიად ძიძიგურს მოუსმინეთ: **„მე ვიწყებ უკომპრომისო ბრძოლას, რათა მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკურ მოუსავლეთში გავუშვათ“.** ძიძიგურის ეს დაპირება და ისიც, რომ **„საკრებულო იქნება უზარმაზარი პოლიტიკური ცენტრი და ამ ცენტრის მუშაობა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ შედეგს აუცილებლად გამოიღებს“,** იმ ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომელიც ოპტიმიზმით განაწყობს „ეროვნული საბჭოს“ მხარდამჭერებს. ნუ გაგეცინებათ და, ისინი სერიოზულად ფიქრობენ, რომ მათი დრო მოდის.

ჩვეულ ამპლუაშია და ზოგიერთი პოლიტიკოსივით კრინით კი არა, ომახიანად შემოსძახა ინგა გრიგოლიამაც, რომ რიგით პოლიტიკოსობას არ აპირებს და **„აბსოლუტურად თავისუფალი, რადიკალური და შედეგზე ორიენტირებული“** იქნება. ჩვენი კოლეგა არც იმას მალავს, რომ, **თუ საჭირო გახდა, კანალიზაციის პრობლემასაც მიხედავს და სახურავზეც ავა. ერთი ადამიანის პრობლემის მოსაგვარებლად, პრეზიდენტის კარსაც შეაღებს. ხოლო, თუ არჩევნებს ვერ მოიგებს, სააკაშვილს მშვიდად მაინც არ დააძინებს.**

ამ განცხადებების მოსმენისა თუ წაკითხვის შემდეგ ძნელი დასაჯერებელია, რომ დღეღამეარეული და ისედაც უძილობაშეყრილი პრეზიდენტი სააკაშვილი მშვიდად შეეგუოს ასეთ „მომხიბვლელ“ პერსპექტივას. მისთვის არც გიგი უგულავაა საუკეთესო ვარიანტი, მაგრამ **გიგი მაინც „შეჩვეული ჭირია“ და ტრადიციების უბადლო დამცველი და ცნობილი მიმდევარი პრეზიდენტი უგულავასთან „ჭირის გაზიარებას“ ამჯობინებს გრიგოლიასთან „ლხინს.“** მით უფრო, რომ ინგა ემუქრება, არ დავაძინებო. ოღონდ მას შემდეგ, რაც **„პრეზიდენტის კარსაც შეაღებს.“** ძიძიგური კი არც იმას მალავს, რომ **„მისი გამარჯვების შემთხვევაში დედაქალაქის ხელთ არსებული ყველა რესურსი სააკაშვილის ხელისუფლებიდან გასაშვებად იქნება გამოყენებული“.**

უეჭველია, დიდი თავსატეხი გაუჩნდა საქართველოს პრეზიდენტს.

**„მე ძალიან გააზრებული მაქვს, რომ თბილისის საკრებულოს ზევით არის ცენტრალური ხელისუფლება და მთელი რიგი პრობლემები შეიძლება შეიქმნას, მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლას ვაპირებ,** — აცხადებს ინგა გრიგოლია და სააკაშვილს იმის გახსენებასაც ურჩევს, **„როგორი იყო ის, როცა საკრებულოს თავმჯდომარე გახდა და რამდენად ძლიერი ფრონტი გაიხსნა საკრებულოდან...“**

ესენი თუ „ძლიერი ფრონტის“ გახსნით იმუქრებიან, ამათ ფონზე ბუნჩულა გიგი უგულავა დედაქალაქზე დამაშვრალი ოფლგადამდინარი მოღვაწის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ჰიმნზე მოგახსენებდით, მზე მაინც დარჩება, ოღონდ ვარდებისა რა გითხრათ-მეთქი. რა შუაშია ჰიმნი? საქმე ის არის, რომ **ზვიად ძიძიგური ყველაზე ცნობილი სამტრედიელია** (ამ ოციოდე წლის წინათ პირველ მეისრედაც მუშაობდა!), **ხოლო ინგა გრიგოლია, ახლაც ამაყობს თავისი სამტრედიული წარმომავლობით,** ამიტომაც დედაქალაქის ჰიმნის ზემოხსენებული ვარიანტი ახლით შეიცვლება. მაგალითად, ასე: **„სამტრედია, სამტრედია, მუდამ მზიანო, სიყვარულის ქვეყანა ხარ, შე მადლიანო“...**

**ამ „მადლიანმა სიყვარულის ქვეყანამ“ დედაქალაქს ორი ისეთი შვილი (სააკაშვილის პრეზიდენტობის პირობებში ძიძიგურის მერობა და გრიგოლიას თავმჯდომარეობა მხოლოდ თვითშეწირვად შეიძლება შეფასდეს), უთუოდ იმსახურებს, რომ სწორედ ეს სიმღერა გამოცხადდეს თბილისის ჰიმნად, „მათი გამარჯვების შემთხვევაში“.**

ნუ გაიცინებთ ირონიულად და ნუ იტყვით, რა სისულელეა, ამ ტექსტს ჰიმნად ვინ გამოაცხადებსო. აბა, ერთი ძიძიგურსა და გრიგოლიას ჰკითხეთ, როგორი თავდაჯერებით მიიწევენ ერთი მერის, ხოლო მეორე საკრებულოს თავმჯდომარის სავარძლებისკენ! ჰოდა, რა პერსპექტივაც ამათ აქვთ, ისეთივე რეალურია სამტრედიული ჰიმნის თბილისურად გამოცხადებაც.

ძიძიგური იმედიანადაა განწყობილი და ომახიანად ამბობს, რომ **„ეროვნული საბჭო“ იყო პირველი, ვინც რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობის შესახებ ხმამაღლა განაცხადა.“**

ამას (ძიძიგურს) ჰგონია, კოლექტიური ამნეზია გვჭირს და დაგვავიწყდა, რომ ამ თემაზე საერთოდ არაფერს ამბობდნენ, სანამ დაღლილ-გასავათებული მოჯანიანდებოდა და ზურგზე შეისვამდა.

თვითონ, ალბათ, გულში მღეროდა და ეგონა, ჩვენც გავიგონებდით ცნობილი სამტრედიული ჰიტის დაუვიწყარ სიტყვებს: **„მოსკოვი და ლენინგრადი, სოჩა, თბილისი, ჩვენი სონას დიზელი და ავტო — ვილისი, ყველაფერი აქ ჩაივლის ამ ერთ კვირაში, ჩვენს პატარა კოხტა ქალაქ სამტრედიაში...“**

აი, თურმე საიდან იღებს სათავეს პატარა ზვიადის რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის ოცნება! ამ ოცნების რეალობად ქცევამდე ორ თვეზე ნაკლები რჩება. მერე კი... ალბათ, იმედგაცრუებული ვირის წიხლსაც დააგემოვნებს!

**კინაღამ დამავიწყდა, წელან ჭერმიკურკიტოლა და გარგრიკურკიტოლა რომ ვახსენე.**

კარგად დაფიქრდით და გაიხსენეთ, სად მიაგნო კოსტა დასტურიძემ **ჭერმიკურკიტოლა** და **გარგრიკურკიტოლა** ბრილიანტებს.

გაგახსენდათ? — სწორია! ორივე ბრილიანტი თითებზე ჰქონდა წამოცმული საცოლის საკაბის ქურდ ყანდურს, მეტსახელად „კაშკას“.

**გიგი უგულავას ყანდურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გამორიცხული არ არის, პრაიმერის მონაწილე 12 ათასი ამომრჩევლიდან რამდენიმე კოსტა დასტურიძის მდგომარეობაში აღმოჩნდეს — ჭერმიკურკიტოლა ძიძიგურიც და გარგრიკურკიტოლა დავითაშვილიც ის ბრილიანტები გამოდგნენ, რომელთაგან გიგი-ყანდური არც პირველს გაიმეტებს მთავარმართებლისთვის და არც მეორეს — ეგზარხოსისთვის.**

ყანდურზე ნაკლები არც ეს არის — ქართული პოლიტიკის ორივე ბრილიანტს, იცით თქვენ, რასაც უზამს...

მოკლედ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ისეთ სურათს მივიღებთ, რომელიც მაინცდამაინც ჭყეტელა ფერებით თვალს არ მოგვჭრის, მაგრამ დიდ ხმაურს კი გამოიწვევს: **ნოღაიდელის მუქარის მიუხედავად, თბილისის მერი კვლავაც გიგი უგულავა იქნება და მას უებრო პარტნიორობას გაუწევს ინგა გრიგოლია, რომელიც ასევე აუცილებლად გახდება საკრებულოს თავმჯდომარე.**

ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როცა პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილება (გრიგოლიას „ნაწილში“!) ქართველების მოწონებასაც დაიმსახურებს და ევროპელი დამკვირვებლების თვალშიც დემოკრატის შარავანდედით შეიმოსება: უსახური ზაალ სამადაშვილის ფონზე, ინგა გრიგოლიას თავმჯდომარეობა ამ ორგანოს ცნობადობასაც გაზრდის და, თუ ბევრს ვერაფერს შემატებს დედაქალაქის თვითმმართველობას, ბოლოს და ბოლოს **„სააკაშვილს მშვიდად მაინც არ დააძინებს.“**

**გამარჯვებული კი საკრებულოს ლეგენდარულ აივანზე გადმოდგება, ცერად გადმოხედავს თავის „ზემლიაკ“ ძიძიგურს და ომახიანი შესავლის შემდეგ ღიმილით მოგვესალმება: „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო!“**

ასე დალევს „სიმღერა სამტრედიაზე“ ცხენისწყალს!

რას გადაურჩება თბილისი?

**ბონდო მძინარაშვილი**

---

## ირაკლი ხოხიაშვილი:

## ფეხებით მირტყამდნენ თირკმელებსა და ნეკნების არეში... გთხოვთ, დამიცვათ ფიზიკური განადგურებისგან...

**რაც შეეხება სახალხო დამცველს, ეს კაცი პრაქტიკას თუ ჩემს იურიდიულ კომპანიაში გაივლის, კარგი იქნება, რადგან წარმოდგენა არ აქვს იურისპრუდენციაზე; არ იცის, საერთოდ რა არის სახალხო დამცველის ინსტიტუტი.** რამდენჯერაც მივმართე, რომ მოეხდინა რეაგირება ამა თუ იმ საქმეზე, თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვიღებ: პატიმარი გადის სათანადო მკურნალობას, დასკვნა კეთდება პატიმართან სახალხო დამცველის წარმომადგენელის ვიზიტის შედეგად, მაგრამ ხშირად პატიმრები არ ადასტურებენ იმას, რომ სახალხო დამცველის აპარატიდან ვინმე გულითადად დაინტერესდა მათი მდგომარეობით“.

პატიმარი ირაკლი ხოხიაშვილი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სტარსბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სათანადო მკურნალობის კურსს არ გადის. ამას ადასტურებს ირაკლი ხოხიაშვილის წერილიც, რომელიც რედაქციისთვის ხელმისაწვდომი ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის საშუალებით გახდა და სადაც პატიმარი ციხის საავადმყოფოს უფროსის მოადგილის ვაჟა ცხვედიანის მიერ სასტიკი მოპყრობის შესახებ ისევ სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს. გთავაზობთ ამ წერილს მცირედი შემოკლებით (სტილი დაცულია):

**„მას შემდეგ, რაც სტრასბურგის სასამართლომ ჩემი საჩივრის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას დაავალა ჩემი ჯანმრთელობის შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანა, მესამე თვეა ვიმყოფები თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. 2 თებერვლამდე ვიყავი სრულიად იზოლირებული, ვიდრე ჩემს საკანში არ შემოიყვანეს ირაკლი ღავთაძე. ამის შემდეგ ჩემთან შემოდის ციხის უფროსის მოადგილე ვაჟა ცხვედიანი და მითხრა, რომ კიდევ ერთ პატიმარს შემოიყვანდნენ. მე ამაზე უარი განვაცხადე, რისი უფლებაც შინაგანაწესით მქონდა. რამდენიმე დღის შემდეგ, მართლაც ჩამოიყვანეს პატიმარი, ვინმე ბოსტოღანაშვილი (სამწუხაროდ, სახელი აღარ მახსოვს), რომელსაც ორივე ხელის მაჯა ღრმად ქონდა გადაჭრილი. ამაზე ვაჟა ცხვედიანს ვუთხარი, რომ ხომ ხედავთ კაცი რა დღეშია, ყურადღება მიაქციეთ-მეთქი... ამის შემდეგ მისი მხრიდან ვგრძნობდი აგრესიას. ვინაიდან მქონდა შესაძლებლობა ბოსტოღანაშვილის ოჯახი საქმის კურსში ჩამეყენებინა, მათაც შევატყობინე მათი ოჯახის წევრის მდგომარეობა. რამდენიმე დღეში ეს პიროვნება გაიყვანეს ჩემი საკნიდან და მასზე არაფერი ვიცი... 26 თებერვალს, რა დროისთვისაც მე ისევ მარტო ვიმყოფებოდი ჩემს საკანში,**

**ვაჟა ცხვედიანმა უშუალოდ ჩამიყვანა თავის სამუშაო ოთახში და მკითხეს საკმაოდ აგრესიულად, რატ შენი საქმე არ არის, რატომ ილებ შენს თავზეო. რა შენი საქმე იყო, რომ რეკავდი ან ამ ფაქტთან დაკავშირებით რა განცხადება დააწერინეო. ამ ლაპარაკის შემდეგ დამიწყეს ცემა.**

**ბუნებრივია, ვიყავი სრულიად დაუცველი, ჯანმრთელობაც არ მიწყობს ხელს და მათ ვერანაირი, თუნდაც თავის დასაცავი წინააღმდეგობა ვერ გავუწიე. ფეხებით მირტყამდნენ თირკმელებსა და ნეკნების არეში... ამის შემდეგ პერიოდულად ჩემთან შემოდიოდა ჩემი ექიმი კობა თაბაგარი, რომელმაც გადამიღო რენდგენი და მითხრა, რომ კაპილარები გაქვს დამწყდარი, დაბეჟილობები გაქვს და სისხლი შედედებულიაო. პირადად მე ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. მიჭირს მოძრაობა....**

**გთხოვთ, დროულად და უფრო ეფექტურად ჩაერთოთ ჩემს მიმართ განხორციელებული პატივისა და ღირსების შემლახავი მოქმედებების აღკვეთაში და დამიცვათ ფიზიკური განადგურებისგან, რაც გარდაუვლად მელოდება, თუკი არ შეწყდება ჩემი წამება, ცემა და არაადამიანური მოპყრობა, რაც არაერთხელ განხორციელებულა ჩემ მიმართ და რისი შედეგიც ჩემი ამჟამინდელი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაა.“**

**ნანა ლაღაძიშვილი**

**P.S.** სტატიის მომზადებისას, ადვოკატის ინფორმაციის საფუძველზე, რედაქციისთვის ცნობილი გახდა, რომ ვაჟა ცხვედიანი კიდევ ერთხელ გაუსწორდა სასტიკად ირაკლი ხოხიაშვილს „საქართველო და მსოფლიოში“ (№12) დაბეჭდილი წერილის — „ხელისუფლებამ პატიმრების საწამებელი სპეცმოწყობილობა ჩეხეთში შეიძინა“ — გამო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვლადიმერ ვახანია თავის სახელსა და ღირსებას იცავს

**პროცესუალური შეთანხმება, საქართველოში დანერგილი პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ, გარიგებას ნიშნავს. კერძოდ, როცა ბრალდების მხარეს გაუჭირდება დანაშაულის დამტკიცება, ეს კი, როგორც წესი, მაშინ ხდება, როცა დანაშაულის არავითარი ნიშანი არ არსებობს, უდანაშაულო ადამიანი კი დაკავებული ჰყავთ, შუამავლები მიდიან საკანში გამომწყვდეულთან და ეუბნებიან: აღიარე დანაშაული, ჩვენ ამას სათანადოდ გავაფორმებთ და ციხიდან გაგიშვებთო.**




ციხე, მოგეხსენებათ, კურორტი არ არის და სავსებით გასაგებია, რომ ოთხ კედელში გამომწყვდეული ადამიანი თანხმდება შემოთავაზებას.

გადის, მაგრამ თან მიჰყება მის მიერვე აღიარებული დანაშაულის შავი ლაქა, რომელიც მთელ მის ცხოვრებას დაღს დაასვამს.

ვინ დარჩება მოგებული ამ გარიგებისა თუ პროცესუალური შეთანხმებისგან, იოლი მისახვედრია: ყველა შემთხვევაში, ეს არ იქნება უკანონოდ დაკავებული პიროვნება.

საოცარია: უდანაშაულობა სასამართლომ უნდა დაადგინოს. რატომ არ მიჰყავთ საქმე სასამართლომდე?

იმიტომ, რომ მაშინ გამტყუნდება დამკავებელი. ეს კი სამართალდამცავებს ხელს არ აძლევს.

სასამართლოს მიუკერძოებლობაში დაურწმუნებელი პატიმარი, ვისაც სამართლიანი განაჩენის იმედი არ აქვს, ამჯობინებს, ნებისმიერი გზით, თუნდაც გარიგების საშუალებით, თავი დააღწიოს საპყრობილეს.

თანაც ყველას ვერ მოთხოვ მტკიცე ნებისყოფას, გამბედაობასა და სიმართლისათვის ბრძოლის უნარს.

აი, ვლადიმერ ვახანია კი ის პიროვნებაა, რომელსაც ყველა ეს თვისება უხვად აქვს მომადლებული.

მართალი კაცია ვლადიმერ ვახანია, გაუტეხელი და ლოგიკურად მოაზროვნე, რაც მას, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერს ახასიათებს.

**წლეულს, 12-13 იანვარს ორჯერ მივიდნენ მასთან თბილისის №1 საპყრობილეში სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის წარმომადგენლები გასარიგებლად, ანუ, ამ სისტემის ლინგვისტურ სპეციფიკას თუ დავიცავთ, პროცესუალური შეთანხმების გასაფორმებლად.**

**პროკურატურა მეტისმეტად რომ იყო დაინტერესებული ამ გარიგებით, ერთი დეტალიდანაც ჩანს: ვლადიმერ ვახანიას მოსალაპარაკებლად მიუგზავნეს მისი ნათესავი ემზარ კვარაცხელია, რომელიც სამხარეო პროკურატურაში კი მუშაობს, მაგრამ საქმეში არ მონაწილეობდა როგორც პროკურორი, და მისი სამსახურებრივი მოვალეობა საპატრულო პოლიციის საზედამხედველო საქმიანობასთანაა დაკავშირებული.**

ვლადიმერისთვის დაბრალებული დანაშაულის გარკვევასთან მას არაფერი საერთო არ აქვს, მაგრამ ახლობელია, ენდობა და დაგვთანხმდებაო, ეტყობა, ამით ხელმძღვანელობდნენ.

ვახანია პირდაპირ ამხელს სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორ ახალაიას და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს თანამდებობრივ დანაშაულში.

გვესაუბრება ვლადიმერ ვახანიას ერთ-ერთი ადვოკატი **კახა ლომია**:

— პროკურატურის წარმომადგენლებმა ვლადიმერ ვახანიას შესთავაზეს, სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის გარეშე პროკურატურასა და მას შორის დადებულიყო გარიგება საპროცესო შეთანხმების თაობაზე.

— როგორი უნდა იყოს ეს შეთანხმება? — ჰკითხა მისულებს ბატონმა ვლადიმერმა (ამ საუბრის შესახებ მან პირადად გვიამბო მეც და სხვა ადვოკატებსაც).

— შემოგიტანთ ოქმს, რომელშიც ჩაწერილი იქნება, რომ აღიარებთ დანაშაულსო.

**— რომელ დანაშაულზეა ლაპარაკი?**

— რომელიც არ არსებობს, მაგრამ რომელიც სასამართლომ საფუძვლად დაუდო ვახანიასთვის გამოტანილ განაჩენს — ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის შესრულებისთვის ხელის შეშლა და იარაღის უკანონო შენახვა.

ჩვენო, — უთხრეს, — გაგიფორმებთ საპროცესო შეთანხმებას და ხვალვე სახლში წახვალთო.

ვახანია არ დათანხმდა. განუცხადა, რომ, თუ გსურთ, შეთანხმებაზე მოლაპარაკება, ჯერ ჩამორთმეული პასპორტები დამიბრუნეთო.

უპასუხეს, რომ მათ პირადად პასპორტებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, მაგრამ შეეცდებოდნენ, გაერკვიათ ეს საკითხი (საოცარია ამ პასპორტების ამბავი. წინა პუბლიკაციაში აშკარად გამოჩნდა, რომ პირადობის და მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებთან კავშირს ყველა ისე უარყოფდა, თითქოს სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში სდებდნენ ბრალს. ამ შემთხვევაშიც გაასავსავეს პროკურორებმა ხელი — არ ვიცით, წარმოდგენაც არ გვაქვსო).

იქნებ, მართლაც არ ჰქონდათ შეხება?!

ვახანიას თანდასწრებით დაიწყეს ტელეფონით რეკვა: საუბარი პირველი საპყრობილის უფროსის სამუშაო ოთახში მიმდინარეობდა. 40 წუთის თუ ნახევარი საათის განმავლობაში ესაუბრებოდნენ ვილაცებს, ეკითხებოდნენ ამ პასპორტების შესახებ, და ბოლოს უთხრეს — შენი პასპორტები აღარ არისო (!). მაგრამ დააიმედეს, რომ ამის გამო მას პრობლემები არ შეექმნებოდა, გარიგების დადებისა და გათავისუფლებისთანავე აღუდგენდნენ საქართველოს პასპორტს და თავისუფლად შეძლებდა მოსკოვში გაფრენას, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობს.

ვახანიამ კატეგორიულად მოითხოვა პასპორტების დაბრუნება, აგრეთვე, მისი პირადი ნივთის — მობილური ტელეფონის, რომელიც ჩხრეკის დროს ჩამოართვეს. და რადგან პროკურატურის წარმომადგენლები ვერც ერთ მის მოთხოვნას ვერ ასრულებდნენ, განუცხადა, რომ გარიგების თაობაზე საუბარი ამით დამთავრებულიაო.

მიუხედავად კონფუზისა, პროკურორები მეორე დღეს მაინც დაბრუნდნენ და ამჯერად უკვე კატეგორიულად და ულტიმატუმის ტონით უთხრეს, რომ დათანხმებოდა გარიგებას. სანაცვლოდ მიიღებდა თავისუფლებას, მაგრამ მას არ ექნებოდა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და უარი უნდა ეთქვა სასამართლოსთვის მიმართვაზე. თუ ამ პირობას დაარღვევდა, მას გააძევებდნენ საქართველოდან, **სიტყვა-სიტყვით ასე გადმოგვცა ვლადიმერ ვახანიამ პროკურატურის წარმომადგენლების მუქარა:**

**— ჩვენმა ხელმძღვანელებმა შემოგვითვალეს, თუ არ დათანხმდები, გაგაძევებთ, დაგატოვებინებთ ქვეყანას!**

**ეს პირდაპირი დაშინებაა, რომლითაც სურდათ, ზემოქმედება მოეხდინათ ვახანიაზე და იძულებით დაეყაბულებინათ იგი.**




საყურადღებოა ის გარემოება, რომ 15 იანვარს უნდა გამართულიყო სააპელაციო სასამართლო და პროკურატურიდან მოვლინებული შუამავლები ჩქარობდნენ, რათა ამ დრომდე მოეგვარებინათ ყველაფერი.

15-ში სხდომა კი გაიმართა, მაგრამ შემდეგ არც ერთხელ არ შემდგარა.

**— ესე იგი, განაჩენი ძალაშია?**

— ძალაშია, მაგრამ განიხილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ზემდგომ ინსტანციაში. გვითხრეს, რომ შეგვატყობინებდნენ, როდისთვის დაინიშნებოდა მომდევნო სხდომა, მაგრამ ჯერჯერობით არავის არაფერი გაუგებინებია დაცვის მხარისთვის.

**— მიკერძოება რომ არ დაგვწამონ, იქნებ, გავარკვიოთ, საპროცესო გარიგება ჰუმანური მოტივითაა ნაკარნახევი — ადამიანი ციხეს სურთ ააცილონ, თუ იმ ჩიხიდან გამოსვლა სურთ, რომელშიც აღმოჩნდნენ?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, ვინც თითო აგური მაინც დადო ვახანიას უკანონო საქმის შეთითხვნაში, მოვა დრო და პასუხს აგებს.

**— სანამ ეგ დრო დადგება, ეგებ, თქვათ, რომელი სამართლებრივი კაზუსით „გამოიჩინა თავი" სასამართლომ?**

— უპირველეს ყოვლისა, ვახანიას ბინაში ჩხრეკისას დამსწრედ მონაწილე ჯამბულ ჩიქოვანთან დაკავშირებულ ფაქტზე მოგახსენებთ, რაც ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემაში გამოიხატა: **წინასწარი გამოძიების პროცესში მიცემული ჩვენება აბსოლუტურად ეწინააღმდეგება სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებას. პირველი ჩვენება მორგებული იყო ჩხრეკის ოქმს, სასამართლოზე კი ჩიქოვანმა ერთადერთმა** თქვა სრული სიმართლე.

აქ ერთი ნიუანსია საინტერესო: **კანონი არ ავალდებულებს გამომძიებელს, თუ მას ეჭვი არ ეპარება ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, დაკითხოს დამსწრე პირი, რომელიც ჩხრეკის პროცესში მონაწილეობს**. მაგრამ გამომძიებელმა დაკითხა მოწმე, შეადგინა ყალბი ჩვენება, რომელიც მოარგო ჩხრეკის ოქმს, სადაც მითითებული იყო, რომ ჩიქოვანი ჩხრეკის პროცესში იმყოფებოდა იმ ადგილას, სადაც ეს მოქმედება მიმდინარეობდა და ყველაფერი თავისი თვალით ნახა. **გამომძიებელს დამსწრის დაკითხვა დასჭირდა იმისთვის, რომ დამაჯერებლობა მიეცა ბრალდების „დამადასტურებელი მტკიცებულებისათვის".**

ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ჩიქოვანს, როგორც იგი სასამართლოში მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, არ შეეძლო გარკვეულიყო ჩხრეკისას შექმნილ სიტუაციაში და დაეხსომებინა ის, რაც ჩხრეკის დროს ჩატარებულ დაკითხვაში გამოწვლილვით აქვს მითითებული. ჩიქოვანის ჩვენების ავტორი, ფაქტობრივად, თავად გამომძიებელია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **დამსწრე თავს უფლებას ვერ მისცემდა, დადებითად შეეფასებინა ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგი. არადა, ოქმში სწორედ ასეა ჩაწერილი: „ჩხრეკის მიმდინარეობა და შედეგი ოქმში სწორად იქნა ასახული, ჩვენება დაწერილია ჩემი კარნახით, წავიკითხე და სწორია".**

სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებაში ჩიქოვანმა უარყო წინა ჩვენება და რეალისტურად ილაპარაკა ჩხრეკის მიმდინარეობაზე, მაგრამ სასამართლომ მაინც და მაინც პირველი ჩვენება დაუსაბუთებლად გამოიყენა ვახანიას წინააღმდეგ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში.

**— ე. ი. ჩიქოვანმა პირველად თქვა ის, რაც უკარნახეს. სასამართლოზე კი სიმართლე აღიარა?**

— ასე იყო. ნიშანდობლივია, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისთვის ჩიქოვანი პასუხისგებაში მისცეს.

**— სიმართლის თქმისთვის გაასამართლეს?**

— ასე გამოდის. იმასაც ვიტყვი, რომ ჩხრეკის მეორე დამსწრემ მინდია მაქაცარიამაც ანალოგიური ჩვენება მისცა, მაგრამ შემდეგ აიძულეს უარეყო იგი.

**— შეიძლება, უფრო დაწვრილებით ვთქვათ, რა აჩვენეს დამსწრეებმა?**

— ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ საძინებელ ოთახში საწოლის ლეიბს ქვემოდან ამოღებულია ავტომატური იარაღი.

**სასამართლო სხდომაზე კი ჩიქოვანმა განაცხადა, რომ იგი და მაქაცარია დამსწრეებად მიიწვიეს ვახანიას მამისეულ სახლში სპეცრაზმის შეჭრიდან საათნახევრის შემდეგ, თუ რა ხდებოდა იქ მათ მისვლამდე, არ იციან. ხოლო მათი იქ ყოფნის დროს 30-40 პოლიციელი ირეოდა იმ ოთახებში, სადაც ჩხრეკა მიმდინარეობდა. უნდა გითხრათ, რომ ასეთი რამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს სრულიად დაუშვებელია.**

ვახანია ერთ ოთახში ჰყავდათ ბორკილდადებული და საშუალება არ ჰქონდა, ჩხრეკას დასწრებოდა.

**ოქმს დამსწრეებმა იმ დღეს ხელი არ მოაწერეს. ამიტომ მათთან სახლში მეორე დღეს მივიდნენ პოლიციელები, აიძულებდნენ, წაყოლოდნენ და, თუ არ დათანხმდებოდნენ, მათ სახლებშიც იპოვიდნენ ანალოგიურ იარაღს, რომელიც ვახანიას აღმოუჩინეს. ბოლოს და ბოლოს, ძალით მოაწერინეს ხელი...**

მე მგონი, ჩვენი მკითხველი ადვილად დაასკვნის, რატომ მოხდა ისე, რომ ერთი და იგივე ადამიანი ორ განსხვავებულ ჩვენებას აძლევს ერთსა და იმავე მარტივ ფაქტზე: მუქარა და დაშინება, რომელიც ძალადობის უმაღლეს დონეს რეგიონებში აღწევს, ისეთ შედეგებს იძლევა, რაც ხელისუფლებას აძლევს ხელს: დაკაბალებული ხალხი, დაკაბალებული სამართალი.

ერთი დამატებაც: ვინ იყო ის მეორე პროკურორი, რომელიც სამხარეო პროკურორმა ახალაიამ ვახანიასთან საპყრობილეში გააგზავნა? ბატონმა ვლადიმერმა არ იცის მისი სახელი და გვარი, ხოლო ადვოკატების არაერთი თხოვნა საპყრობილის ხელმძღვანელობისადმი, მიეცათ იმ პირთა სია, ვინც 2010 წლის 12-13 იანვარს პატიმარ ვახანიასთან იმყოფებოდა, უპასუხოდ დარჩა.

დიდი საიდუმლო ყოფილა!

და ბოლო შეკითხვა კახა ლომიას:

**— უნდა დათანხმებულიყო თუ არა ვლადიმერ ვახანია პროკურორების შემოთავაზებას და ხელი მოეწერა საპროცესო გარიგებაზე?**

— ვფიქრობ, არა! ამით ყველა გზა საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად მოეჭრებოდა.

**დავეთანხმოთ ადვოკატს: ვლადიმერ ვახანიამ თავისი სახელი და ღირსება საეჭვო გარიგებაში არ გაცვალა.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პარტია «მთლიანი საქართველო» მაინც დაფუძნდა

## აკაკი გასვიანი: თუ ვლადიმერ ვახანია ორ თვეში დაამხობდა ამ ხელისუფლებას, წელიწადი გავიდა, რატომ ვერ დაამხო?

**კიდევ ერთი ახალი პარტია დაფუძნდა — „მთლიანი საქართველო“, რომლის პრეზენტაცია და ყრილობა სასტუმრო „რადისონში“ გაიმართა.**



თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს **გასავ (აკაკი) გასვიანი,** ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, ყოფილი დეპუტატი, 2004 წლიდან აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**აკაკი გასვიანს სწორედ ამ საკითხებზე ესაუბრა „საქართველო და მსოფლიო“.**

— პარტიის დამფუძნებლის, ვლადიმერ ვახანიას დაპატიმრებას, **—ამბობს ბატონი აკაკი,** — ვერც პრეზიდენტს დავაბრალებ და ვერც შინაგან საქმეთა მინისტრს. ვლადიმერის დაკავება უფრო ადგილობრივ ხელისუფლებას უნდოდა, რადგან სამეგრელოში ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა ხელს არ აძლევდა. სწორედ ამიტომ მის წინააღმდეგ საქმე შეთითხნეს.

არავინ დაიჯერებს, რომ ბატონი ვლადიმერი შინ მალავდა იარაღს. ვლადიმერ ვახანიას გამოცემული აქვს წიგნი „ღვთისმშობელი დაიფარავს საქართველოს“. მან მოსკოვში ყოფნის დროს გააკეთა ღვთისმშობლის 32 მეტრი სიმაღლის მონუმენტური ხატი, რომელიც უნდა ჩამოებრძანებინა ზუგდიდში, აპირებდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აშენებას. როგორ ფიქრობთ, ასეთი მორწმუნე ადამიანი ავტომატსა და ყუმბარებს ლეიბქვეშ დამალავდა?!

**— მისი დაკავების ერთ-ერთ მიზეზად ჟურნალისტის საქმიანობისთვის ხელისშეშლასაც ასახელებენ.**

— სამწუხაროდ, იმ ჟურნალისტებმა ჟურნალისტური ეთიკა დაარღვიეს. ვლადიმერთან ვიყავი, როცა ჟურნალისტები მოვიდნენ და მოსთხოვეს, ჩვენი აუდიოფირი მოგვეციო. ვლადიმერმა უთხრა, რომ ზუსტად არ იცოდა, ფირი სად ჰქონდა — ზუგდიდში თუ თბილისში. ასევე უთხრა, რომ, თუ ძალიან ეჩქარებოდათ, კაცს გააგზავნიდა და იმ ფირს ჩამოატანინებდა. მაგრამ ისინი ფირის დაბრუნებას დაუყოვნებლივ ითხოვდნენ და პირდაპირ მუქარაზე გადავიდნენ. იმ ჟურნალისტებმა ეს ფაქტი ისე გააფორმეს, როგორც ფირის გამოძალვა და მათი კერძო ქონების ხელყოფა. ფირზე ჩაწერილი ინტერვიუ ვახანიასთან ამ უკანასკნელის ინტელექტუალური საკუთრება იყო, აუდიოფირი კი ჟურნალისტებს ეკუთვნოდათ.

— **„სამეგრელოს ქრონიკის“ რედაქციაში ამბობენ, თითქოს ვახანიას ინტერვიუში უთქვამს, მე ხუბუტიასავით კი არ დავუშვებ შეცდომას, რომ მოვინდომო, ამ ხელისუფლებას 2 თვეში დავამხობო. მას სწორედ ამ გამონათქვამის გახმაურება არ სურდაო. რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სინამდვილეს?**

— ეს არის სრული სიცრუე. ეს ჟურნალისტები მხოლოდ იმისთვის მუშაობენ, რომ ვილაცას გადაგკიდონ და დაგაპირისპირონ. თუ ვლადიმერი ორ თვეში დაამხობდა ამ ხელისუფლებას, წელიწადი გავიდა და რატომ ვერ დაამხო? ამ ჟურნალისტების ნათქვამში არ არის არანაირი ლოგიკა. მათ რაც დაავალეს, ის თქვეს.

**— თქვენ თქვით, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას რა უნდოდა რეგიონში ძლიერი პარტიის შექმნა და ვლადიმერ ვახანიას დაპატიმრება საზოგადოებრივი საქმიანობიდან მის გამოთიშვას ისახავდა მიზნად. მაგრამ პარტია მაინც შეიქმნა და მისი თავჯდომარე დღეს თქვენ ხართ. რაიმე საფრთხეს ხომ არ გრძნობთ?**

— არ არის გამორიცხული, რომ ჩემი პიროვნება არ აწყობდეთ, მაგრამ ვერაფერს გააწყობენ. მე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ნაომარი ადამიანი ვარ, ჩემი დაშინება იოლი საქმე არ არის. ერთ ბრალდებასაც კი ვერ წამომიყენებს ვერავინ.

**— პარტია როგორ აპირებს ვლადიმერ ვახანიას ციხიდან დახსნას, საპროტესტო აქციებს ხომ არ მიმართავთ**?

— არანაირ საპროტესტო აქციების გამართვას არ ვაპირებთ. პირადად მივმართავ პრეზიდენტს, იუსტიციის სამინისტროს, შინაგან საქმეთა მინისტრს და დავუსაბუთებ, რატომ უნდა გაათავისუფლონ ვლადიმერ ვახანია.

**— თქვენ მიერ ჩამოთვლილ მაღალჩინოსნებს ბატონმა ვლადიმერმაც მიმართა, აგრეთვე, — აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასაც, მაგრამ უშედეგოდ...**

— ამ შემთხვევაში მივმართავ როგორც პარტიის ხელმძღვანელი. იმ პერიოდში, როცა სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი პარლამენტის წევრები იყვნენ, მეც პარლამენტის წევრი ვიყავი. პირადად ვიცნობ მიხეილ სააკაშვილს. მათ იციან, რომ, თუ ადამიანს არ ვენდობი, არც გამოვექომაგები.

— **ვლადიმერ ვახანიას გარეშე პარტია საქმიანობას როგორ აპირებს?**

— ვლადიმერი რომ არ დაეპატიმრებინათ, ის იქნებოდა პარტიის თავმჯდომარე, მაგრამ, რადგან დღეს ის პოლიტპატიმარია, თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. პარტიის ყველა წევრს მინდა ნდობისთვის მადლობა ვუთხრა და ვეცდები, ნდობა გავუმართლო. იმედია, მალე ვლადიმერიც შემოგვიერთდება და საქართველოში არსებული პრობლემების მოგვარებას ერთად შევუდგებით.

**— რომელ პრობლემებს გულისხმობთ?**

— ჩვენი პარტიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დემოგრაფიული პრობლემების მოგვარება, უცხოეთში გადახვეწილი ქართველების დაბრუნება, მართლმადიდებლური სულიერების წინა პლანზე წამოწევა და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრება.

**— თქვენ საპრეზიდენტო მმართველობის წინააღმდეგი ხართ?**

— დიახ. ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველო უნდა გახდეს საპარლამენტო რესპუბლიკა. არც მონარქიის მომხრე ვარ. მეფის ინსტიტუტი რომ აღორძინდება, დაიწყება მერე, ესენი აზნაურები არიან, ესენი — თავადები, ზოგი — გლეხუჭები და ა.შ ყოველივე ეს კი საზოგადოების დიფერენციაციას გამოიწვევს.

პარტია ამჟამად ჩამოყალიბების ეტაპზეა და არჩევნებში ჩვენი მონაწილეობა ნაადრევია. ჩვენ ყველა პოლიტიკურ ძალასთან ვითანამშრომლებთ, შევხვდებით მერობის როგორც ოპოზიციონერ, ასევე სახელისუფლო კანდიდატებს.

**— საგარეო პოლიტიკასთან დამოკიდებულება?**

— ამერიკასთან და ევროპასთან ურთიერთობა რომ აუცილებელია, ორი აზრი არ არსებობს. შენ მიისწრაფი ევროპისაკენ, მაგრამ აქეთ ირანს, ჩინეთს, ინდოეთს, თურქეთს ზურგს აქცევ და ისინი ამის გამო გემდურიან. ქართველი არ არის მარტო ევროპელი, იგი აზიელიცაა. ჩვენ ევრაზიის კონტინენტის გზაშესაყარზე ვართ და ამ ორი ცივილიზაციის შემკრებნიც. ზურგი არც ერთ ქვეყანას არ უნდა შევაქციოთ, ყველგან უნდა შევიძინოთ მეგობრები.

**— თუმცა დღეს რუსეთისთვის ზურგშექცევა და ამერიკისკენ მისწრაფება მოდაშია. ისინი, ვინც რუსებთან თანამშრომლობას უჭერენ მხარს, მოღალატეებად შერაცხეს.**

— ის, რომ შენი აზრი გაქვს, მოღალატეობას არ ნიშნავს. ჩვენ ყველასთან კარგად უნდა ვიყოთ — სამეზობლოშიც და სხვაგანაც, მაგრამ არა საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე.

ესაუბრა
**ალექსანდრე აკობია**

## ერთხელ ზესტაფონში

# ქართული ფეხბურთის გამოკირკიტებული სკანდალი

**საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მიმდინარე ბინძურ ამბებზე „საქართველო და მსოფლიო“ ხშირად აწვდიდა მკითხველს ინფორმაციას, მაგრამ ის, რაც ამ კვირანახევარის განმავლობაში ხდება, ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. ხელჩართული მუშტი-კრივი, რომელიც ზესტაფონში „ზესტაფონი“-„ოლიმპის“ დაპირისპირებისას გაიმართა, „სადამსჯელო ღონისძიებებით“ დასრულდა. ჟურნალ „ათიანის“ რედაქტორის — გია გორგოძის განცხადებებმა „გუბერნატორების ჩემპიონატის“ თაობაზე დავით კირკიტაძეს ქართულ ფეხბურთზე „გული აუცრუა“ და ქვემო ქართლში დაწყებული „საფეხბურთო ბუმიც“ „ჩამოშლის“ საფრთხის წინაშე დადგა. „კირკიტას“ დაცვა მისმა „დამქაშებმა“ მოინდომეს, პრესკონფერენცია მოაწყეს და ერთი სკანდალის მეორეთი გადაფარვა სცადეს. ახლა კი — „ერთხელ ამერიკაში“ სცენარი ქართულ ფეხბურთში, ანუ — „ერთხელ ზესტაფონში“.**




20 მარტს ზესტაფონში მატჩი ზემოხსენებულ გუნდებს შორის ჩხუბის გამო შეწყდა. თურმე ოლიმპელმა ჭედიამ, რომელიც შეცვალეს, მეორე მწვრთნელს მაისური თავში ესროლა, ამ უკანასკნელმა კი ფეხბურთელს თავში ბურთი მოარტყა. ბურთმა იხტუნა, იხტუნა და „ოლიმპის“ საჯარიმოში „ჩახტა“, სადაც „ზესტაფონი“ მასირებულად უტევდა და, დიდი ალბათობით, გოლიც შეიძლება გაეტანა.

ამ ამბავს მოედანზე დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა და მსაჯმაც გადაწყვიტა, რომ თამაში აღარ დაესრულებინა. რამდენიმე დღის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა ორივე გუნდი 5000-5000 ლარით დააჯარიმა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ ჟურნალისტებთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს თანხა არაფერია „ზესტაფონისთვის“. დაისაჯა ორივე გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი და მწვრთნელი. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა საკმარისად არ ჩათვალა სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება — კირკიტაძის „ოლიმპს“ სამი ქულა ჩამოაკლო, მატჩის არბიტრები კი რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ზესტაფონში გამართულ მატჩზე პირველად გამოჩნდა იმერეთის გუბერნატორი ლაშა მაქაცარია, რომელიც, კირკიტაძესთან ერთად, აქტიურად მოუწოდებდა მსაჯებს პფლ-ის ხელმძღვანელს, დაესრულებინათ მატჩი. როგორც იქნა, საწადელს მიაღწია.

ფეხბურთზე „გულაცრუებულმა“ კირკიტაძემ ლამის ცრემლი გვადინა — როგორ მკადრა ვიღაც არაპროფესიონალმა ასეთი რაღაცებიო. მისმა დამქაშებმა, როგორც ცნობილია, გორგოძეს შეუტიეს.

მაგრამ მოგვიანებით კირკიტაძემ ინტერვიუში განაცხადა, რომ კრიტიკა მისაღებია. ტონი შეარბილა გორგოძემაც, რადიო „პალიტრის“ ეთერში საკუთარი სიტყვები უკან წაიღო — კირკიტაძეზე უარესები ბადრი ქარქაშაძე და ზურაბ ჯაფარიძე არიანო *(„ოლიმპის“ დირექტორატი. — მ.კ.).*

კირკიტაძე რის კირკიტაძეა, შავი პიარი ვინმესთვის შეერჩინა და რადიო „უცნობში“ სკანდალური განცხადება გააკეთა: „ნაკრების ყოფილ მენეჯერ თამაზ ბოკერიას 3 მარტს საქართველო-ესტონეთს შორის გამართული ამხანაგური შეხვედრის დაწყებამდე მსაჯებისთვის შეუთავაზებია ქრთამი, რის სანაცვლოდ თემურ ქეცბაიასთვის სადებიუტო მატჩის ჩამწარება, ანუ წაგება უთხოვია“.

ამ ინფორმაციას გაზეთი „დრონი.ჯი“ ავრცელებს. მისი ავტორი, როგორც „საქართველო და მსოფლიომ“ გაარკვია, სტადიონზე საერთოდ არ არის ნამყოფი, წარმოდგენა არ აქვს, ვინაა თამაზ ბოკერია. ინტერვიუს ართმევს ნაკრების ფეხბურთელს — მათე ვაწაძეს და მოგვიანებით გეწაძედ მოიხსენიებს, ფედერაციის გენმდივანი ვიცეპრეზიდენტი ჰგონია: სასტუმრო „თბილისი მერიოტი“ „ქორთიარდ მერიოტში“ ერევა. ქრთამის მიცემის ბრალდება ყურითაა მოთრეული, სამაგიეროდ უტყუარად დადასტურებულია, რომ ამ ჭორის გავრცელება ნათესაური მხარდაჭერის შედეგია. „დრონი.ჯი“-ს რედაქტორის — გიორგი კაპანაძის შვილის ნათლია, არ გაგიკვირდეთ და, დავით კირკიტაძეა! სადაცაა ძაღლის თავი დამარხული, კარგად მიხვდება მკითხველი. ვაწაძე, რომლის კომენტარსაც იშველიებს ამ მოდელირებული „ფაქტის“ ავტორი, აცხადებს, რომ მას ამ ამბის გამო კომენტარი არ გაუკეთებია.

ამ სკანდალით ბატონმა კირკიტაძემ ვერაფერი მოიგო. „პიარშიკებიც“ ამაოდ გაისარჯნენ. ყველაზე სამარცხვინო კი ის არის, რომ თავად გუბერნატორმა კირკიტაძემ „მოუწოდა“ საზოგადოებას, ქართულ ფეხბურთში ხელების ფათურს მოეშვითო.

„ოლიმპს“ ჩემპიონობა წლის დასაწყისშივე „მიუსაჯეს“. წინა ნომრებში მკითხველს სანაკოევის ცხინვალის „სპარტაკზეც“ მივაწოდეთ ინფორმაცია. 14 აპრილს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალია. თასის მფლობელი კი ევროპის ლიგაზე გავა. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ კიდევ ერთი სამარცხვინო დღე სწორედ 14 აპრილს ელოდება ქართულ გულშემატკივარს — „ერთხელ ამერიკაში“, ანუ „ერთხელ ზესტაფონში“-ს მეორე სერია.

უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო. როდის დაანებებენ თავს ჩვენს იმიჯშერყეულ და სამარცხვინო ჩემპიონატს გუბერნატორები თავს, ვგონებ, ღმერთმაც არ უწყის.

**მაგდა კლდიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გიორგი არველაძის მსხვერპლი № 2

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გორის რაიონის სოფელ ზემო ხვითის მკვიდრ 44 წლის ილია ეპიტაშვილზე გიამბეთ, რომელიც 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული „იმიტირებული ქრონიკის“ ნახვიდან რამდენიმე წუთში ინსულტით გარდაიცვალა. ამჯერად კი აღნიშნული სიუჟეტის კიდევ ორ მსხვერპლზე — 51 წლის გაიოზ ოდიშელიძესა და 74 წლის ვანო ნასარიძეზე მოგითხრობთ.**




როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირის მკვიდრმა გაიოზ ოდიშელიძემ თავი შეუძლოდ სწორედ „იმიტირებული ქრონიკის“ ნახვისას იგრძნო. სანდო წყაროს ცნობით, ამ სიუჟეტს იგი უკიდურესად აუღელვებია, რის შედეგადაც მას გულის შეტევა დაეწყო... სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენის მიუხედავად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ავადმყოფი გარდაიცვალა...

ანალოგიურად მოხდა მეორე გარდაცვლილის, აფხაზეთიდან დევნილი ვანო ნასარიძის შემთხვევაშიც. ზემოაღნიშნულმა სიუჟეტმა, ბუნებრივია, ისიც უკიდურესად ააღელვა, რის შედეგადაც მას ინსულტი განუვითარდა და გარდაიცვალა.

თბილისში ვანო ნასარიძე წყნეთის პირველ ზონაში, ლტოლვილების კომპაქტურ დასახლებაში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. როგორც მისი ახლობლები ყვებიან, ჯანმრთელობის პრობლემები მას ადრეც ჰქონია, თუმცა საგანგაშო და მით უფრო სასიკვდილო, არაფერი სჭირდა.

რამდენიმე დღის წინ წყნეთში მის ოჯახს ვეწვიე და გარდაცვლილის მეუღლეს, **გულნაზ ნასარიძეს** ვთხოვე, დეტალურად ეამბნა მომხდარის შესახებ.

**„13 მარტს „იმედის“ ეთერში გასული ის ამაზრზენი გადაცემა მთელმა საქართველომ ნახა და ყველამ იცის, რაოდენ ამაღელვებელი იყო ის, რაც ამ გადაცემაში გვაჩვენეს. დევნილებისთვის, ბუნებრივია, ათმაგად მძიმე იყო ამ ყველაფრის ყურება... ის ღამე ჩემს ქმარს საერთოდ არ უძინია, ძალიან ღელავდა, გიჟს ჰგავდა კაცი... მას ისედაც მაღალი წნევა აწუხებდა, დიაბეტიც ჰქონდა, ერთი სიტყვით, ნერვიულობას ვეღარ გაუძლო და მეორე დღეს, დილით, შეუძლოდ გახდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი გონება დაკარგა.**

**ამის შემდეგ რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ექიმებმა გვითხრეს, ოპერაციას დაექვემდებარებაო და ორთაჭალაში, ნევროლოგიის კლინიკაში გაგვიშვეს. იქ ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ არაფერი ეშველა და მეხუთე დღეს გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.**

**დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოვიდა. ის კი არა, აფხაზეთში ჩვენს მეზობელ აფხაზებს რომ გაუგიათ ეს ამბავი, ძალიან შეწუხებულან, მოგვისამძიმრეს კიდეც. ერთადერთი, ვინც ჩვენი ტრაგედიით, ჩვენი პრობლემებით არ დაინტერესებულა, ხელისუფლებაა, თუმცა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი ქმარი მკვდარია, უფრო სწორედ მოკლეს და, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულ ერთია, ამის გამო ვინმე ბოდიშს მომიხდის თუ თანამდებობიდან გადადგება.**

**ბევრი მეკითხება, სასამართლოში ჩივილს თუ აპირებთო, — არავითარი ჩივილი, ყველამ კარგად ვიცით, რა ქვეყანაშიც ვცხოვრობთ. მსგავსი და უარესი ტრაგედიებიც ბევრი მომხდარა, მაგრამ დასჯილი არავინ გვინახავს, ასე რომ, სარჩელის შეტანას ნამდვილად არ ვაპირებთ“...**

მოკლედ, დღეს ნასარიძეების ოჯახს ყველაფერზე ხელი აქვს ჩაქნეული. მათთვის, ისევე, როგორც თითოეული ჩვენგანისთვის, უკვე „ჩვეულებრივი“ მოვლენაა, როცა ადამიანს კლავენ და მკვლელი აბსოლუტურად დაუსჯელია. დიახ, ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ჩვენი საზოგადოება (არაფერს ვამბობ ოპოზიციაზე) მამა აბრამის ბატკანივით გასუსული შეხვდა ხელისუფლების ამ უმსგავსობას, უსაქციელობას, რასაც დღეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ვუწოდოთ ქართველი ხალხის მასობრივი ჟლეტისა და განადგურების მცდელობა.

ამას ხმამაღლა ნათქვამ ემოციად ნუ ჩამომართმევ, ძვირფასო მკითხველო. უბრალოდ, ერთი რამ ფაქტია — 13 მარტიდან სულ რაღაც ერთი თვე გავიდა და უკვე დავიწყებას მიეცა მომხდარი. არადა, მე თუ მკითხავთ, 13 მარტი თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში დაახლოებით ისეთივე ტრაგიკულ თარიღად მაინც უნდა დარჩეს, როგორიც 9 აპრილი, 7 აგვისტო და 7 ნოემბერია...

**გულნაზ ნასარიძესთან საუბრის შემდეგ „კონსერვატიული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, ლაშა ჩხარტიშვილს დავუკავშირდით და მომხდარის თაობაზე კომენტარის გაკეთება ვთხოვე.**

„ის რაც 13 მარტს ტელეკომპანია „იმედმა“ საზოგადოებას უჩვენა, სხვა არაფერია, თუ არა იმ მტრული დამოკიდებულების კიდევ ერთი აშკარა გამოვლენა, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას ქართველი ერისადმი გააჩნია. ეს ორი პიროვნება — გაიოზ ოდიშელიძე და ვანო ნასარიძე, ისევე, როგორც ცხვა უამრავი ადამიანი, რომელთა შესახებაც ინფორმაციების მოძიებას ჩვენ განვაგრძობთ, სწორედ ამ დამოკიდებულებას, ამ უტიფრობას შეეწირა და ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ამ ყველაფრისთვის თითოეულ დამნაშავეს, დაწყებული გიორგი არველაძიდან, დამთავრებული მიხეილ სააკაშვილით, პასუხი მოეთხოვება. თითოეული იმ ადამიანის ოჯახის წევრებმა, რომლებიც ამ „იმიტირებულ ქრონიკას“ შეეწირნენ და რომლის დამკვეთი და ავტორი აშკარად მიხეილ სააკაშვილია, უნდა შეიტანონ სარჩელი სასამართლოში. უნდა უჩივლონ არველაძეს და, პირველ რიგში, სააკაშვილს, ვინაიდან, როგორც გითხარით, ამ ამაზრზენი გადაცემის ავტორი სწორედ სააკაშვილია და ის მსხვერპლი, რაც მის ეთერში გასვლას მოჰყვა, ასევე სააკაშვილის კისერზეა.

ამასთან, უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა სააკაშვილის ამ ანტიეროვნული, ანტიქართული იდეის განხორციელებაში. ვგულისხმობ თითოეულ იმ ჟურნალისტს, რომელმაც თუნდაც უმნიშვნელო წვლილი შეიტანა ამ საშინელი სიუჟეტის მომზადებაში.

კონსტიტუციაში არსებობს რამდენიმე მუხლი, რომელიც ამ კონკრეტულ დანაშაულს ეხება. ეს იგივეა, რაც სიცოცხლის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, გაუფრთხილებლობით მკვლელობა და ა.შ. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ნათელია — დამნაშავეები არსებობენ, გიორგი არველაძისა და მიხეილ სააკაშვილის სახით და ჩვენ, როგორც პოლიტიკოსებმა, ისე საზოგადოებამ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა სამართალმა იზეიმოს და დამნაშავე პირები კანონის შესაბამისად დაისაჯონ.

ჩვენ ამ საკითხზე უკვე აქტიურად ვმუშაობთ, ვაგროვებთ ინფორმაციებს მსგავსი ფაქტების თაობაზე და უახლოეს მომავალში ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ ღონისძიებებსაც გავმართავთ...“

კომენტარის ჩაწერიდან რამდენიმე საათის შემდეგ ლაშა ჩხარტიშვილმა ისევ დამირეკა და მითხრა, — ახლა მაცნობეს „იმიტირებული ქრონიკის“ ნახვის შემდეგ გორში კიდევ ერთი ადამიანი ყოფილა გარდაცვლილიო. მათი ვინაობა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მგონია, ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. აქ უკვე კომენტარიც ზედმეტია, რადგან, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაც უფრო მეტი უშედეგო მოთქმა და გოდება ესმით ჩვენგან ჩვენს ხელისუფალთ, ალბათ, მით უფრო მეტად დატკბებიან თავიანთი უზნეობის შედეგით...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას იმის გასარკვევად, კიდევ რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა „მოდელირებულმა ქრონიკამ“. მკითხველს ვთხოვთ, აქტიურად ჩაერთოს ამ გამოძიებაში და ინფორმაცია მოგვაწოდოს ტელეფონზე: 857 36 52 91.**

# ნუცა გელაშვილი: ჩემი შვილის მკვლელს გიგა ბოკერია აფარებს ხელს

**„რუსთავი 2“-ის ორი თანამშრომელი — გიორგი გაბუნია და ნიკა გელაშვილი ემსხვერპლა ნგრევას, რომელიც შარშან, 26 აპრილს, სანდრო ეულის №5ა-ში მოხდა. დაინგრა 5-სართულიანი შენობა, სადაც პროექტი „ვარსკვლავების აკადემია“ ტარდებოდა. ამ ამბიდან ერთი წელი გავიდა, მაგრამ გამოძიებამ მხოლოდ კომპანია „არტ X“-ის საქმეთა მწარმოებელი ცნო დამნაშავედ და ისიც სასამართლო დარბაზიდან საპროცესო გარიგებით გაათავისუფლა. იმ დამნაშავეთა სახელები კი, რომლებიც მაღალჩინოსანთა ოჯახების წევრები არიან, არც კი უხსენებიათ. რატომ გააჩუმეს გიორგი გაბუნიას ოჯახი და რატომ არ აძლევენ ნიკა გელაშვილის ჭირისუფალს გამოძიების ხელახლა ჩატარების უფლებას? ნიკა გელაშვილის დედა ბრალს ხელისუფლებას სდებს და აცხადებს, რომ მაღალჩინოსნები თავიანთი ოჯახების წევრებს ხელს აფარებენ.**


ნიკა გელაშვილი

ნგრევა დილის 5 საათზე მოხდა. ამ დროს შენობაში პროექტის 8 მონაწილე და ტელეკომპანიის 6 თანამშრომელი იმყოფებოდა. ნანგრევებში ორი მემონტაჟე — ნიკა გელაშვილი და გიორგი გაბუნია მოყვნენ. 12-საათიანი ძებნის შემდეგ სამაშველო სამსახურმა მათი ცხედრები იპოვა.

შემთხვევის ადგილზე მივიდა პრეზიდენტი სააკაშვილიც, რომელმაც გამოძიებისა და დასკვნის 10 დღეში მომზადება მოითხოვა. „ნაცების“ კალენდრით“ ეს დასკვნა 40 დღეში მომზადდა და, რაც იქ ეწერა, სრული ტყუილი და თვალებში ნაცრის შეყრა იყო დაღუპულის მშობლებისა და ახლობლებისთვის.

გამოძიებამ ბრალი მხოლოდ „არტ X“-ის საქმეთა მწარმოებელს დასდო. არადა, პასუხისმგებლობა უნდა გაეზიარებინა, როგორც აღნიშნული სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელობას, ასევე — „რუსთავი 2“-ის დირექტორს, ირაკლი ჩიქოვანს. ნგრევის შემდეგ, მალევე, მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ „არტ X“-ის დირექტორი გიგა ბოკერიას ცოლისდა რუსუდან ჩერგოლეიშვილი იყო, ხოლო კომერციული დირექტორი — დავით კეზერაშვილის ცოლი სოფიო ჩიქოვანი. სწორედ ამიტომ ობიექტური გამოძიების იმედი არავის ჰქონია.

სამშენებლო კომპანია „რუსთავი 2“-თან ერთად ამტკიცებდა, რომ მხოლოდ შენობის კოსმეტიკური რემონტი მიმდინარეობდა და არა — რეკონსტრუქცია. გელაშვილის ადვოკატებმა კი დაამტკიცეს, რომ აღნიშნულ შენობას რეკონსტრუქცია უტარდებოდა, თუმცა ამის ნებართვა არც ერთ კომპანიას არ ჰქონია.

ერთი წლის განმავლობაში ნიკა გელაშვილის ოჯახი უშედეგოდ ცდილობდა, მიეღო ნებართვა, საქმის ხელახალი გამოძიებისათვის. **„საქართველო და მსოფლიო“ ნიკას დედას, ნუცა გელაშვილს დაუკავშირდა და გამოძიების უცნობ დეტალებზე ესაუბრა.**

**— ერთი წელი გავიდა ამ შემთხვევიდან. არის თუ არა სიახლე საქმეში და დაიწყება თუ არა ხელახალი გამოძიება?**

— ყველა გზა გადაგვიკეტეს. პროკურორსაც შევხვდი, ორი წერილი პრეზიდენტთან გავგზავნე, ოთხი თვის განმავლობაში პასუხიც არ გვაღირსეს. ჩვენმა ადვოკატებმა საჩივარი შეიტანეს პარლამენტის სამ კომიტეტში, სამივემ ეს საჩივარი პროკურატურაში გადააგზავნა და ითხოვდნენ პასუხს, თუ რატომ აყოვნებდნენ რეაგირებას პრეზიდენტის წერილზე. ოთხი თვის შემდეგ, როგორც იქნა, შევხვდი მთავარ პროკურორს. მურთაზ ზოდელავამ უარი მითხრა გამოძიების ხელახლა დაწყებაზე. რაც მთავარია, არ გვაძლევენ საბუთს, თუ რატომ არ შეიძლება ხელახალი გამოძიება, რათა შემდეგ სტრასბურგში დავიცვათ ჩვენი უფლებები.

**— გამოძიებამ დამნაშავედ მხოლოდ მშენებელი კომპანიის საქმეთა მწარმოებელი სცნო...**

— ამ მშენებელმა თავის თავზე აიღო სხვების დანაშაული. გამოძიების მასალებში პირველად სხვა ჩვენება ჰქონდა, შემდეგ შეცვალა. „არტ X“-ის დირექტორი, რუსუდან ჩერგოლეიშვილი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მშენებლობაზე, და „რუსთავი 2“-ის მაშინდელი დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი რომ არ დაისაჯონ, ამიტომ დაისაჯა მხოლოდ საქმის მწარმოებელი. ყველა გზა გადაგვიკეტეს. ძიებაც ტენდენციურად წარიმართა და ყველაფერი მშენებელს დააბრალეს. ყველაზე საშინელი და ცინიკური კი ის იყო, რომ ის ერთადერთი დაკავებულიც დარბაზიდან გაათავისუფლეს. **მშენებლის ადვოკატი მიხეილ სააკაშვილის ყოფილი ადვოკატი ყავლაშვილი იყო, რომელიც, ამბობენ, ადეიშვილის მეგობარიაო. ამ ძვირადღირებულ ადვოკატს, ერთი უვიცი და არაფრისმაქნისი მშენებელი ვერ დაიქირავებდა.** ნათელია, რასთანაც გვაქვს საქმე. ჩვენი ადვოკატების მიერ მოძიებულ მასალებში ახალი ფაქტები და დეტალები გამოიკვეთა, გვინდოდა ძიება თავიდან დაწყებულიყო და დამნაშავეები დასჯილიყვნენ, მაგრამ ამის საშუალება მოგვისპეს. ჩემი შვილის მკვლელს გიგა ბოკერია აფარებს ხელს.

**— ანუ დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ბოკერიასა და კეზერაშვილის ნათესავების გამო მიიჩქმალა ეს ამბავი?**

— რასაკვირველია, ბოკერია აფარებს ხელს თავის ოჯახის წევრს და არც ირაკლი ჩიქოვანს ეხებიან. ამის გამო არის დაბლოკილი ძიება. სამწუხაროდ, ამ მონსტრებთან საბრძოლველად მარტო ვართ დარჩენილი მე და ნიკას მეუღლე, მეორე გარდაცვლილის დედა გაჩუმდა... გააჩუმეს. სამი ადამიანი, რომლებიც სიკვდილს შემთხვევით გადაურჩნენ, გაჩუმდა. არადა, ორი საათის შემდეგ რომ მომხდარიყო ნგრევა, ჩემი შვილი გადარჩებოდა და ისინი — ვერა. ახლა არც მათ, არც მათ მშობლებს, ეს არ აღელვებთ, მშვიდად არიან. „რუსთავი 2“-მა ყველაფერი გააკეთა მათ გასაჩუმებლად; გამოძიების ჩვენებებში „ვარსკვლავების აკადემიის“ ყველა წევრი ერთი ტექსტით და ერთნაირი ტერმინებით წერს ჩვენებას. ეს, რა თქმა უნდა, გამომძიებლის კარნახითა და ზეწოლით ხდებოდა.

**— ამბობთ, რომ სხვები გააჩუმეს, თქვენზე არ იყო ზეწოლის ან დაშინების მცდელობა?**

— სცადეს ფულით გავეჩუმებინეთ. რასაკვირველია, ამაზე ჩვენ კატეგორიული უარი განვაცხადეთ.

**— იმედი თუ გაქვთ, რომ გამოძიება ხელახლა დაიწყება?**

— ამ ხელისუფლების ხელში სამართლის პოვნის იმედი არ მაქვს. მხოლოდ სტრასბურგში თუ დაადგენენ სიმართლეს.

ესაუბრა
**მაგდა კლდიაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## მამა გიორგი სხირტლაძე:

# თავისუფალი ნება ჩვენი სულიერი განვითარების მთავარი იარაღია

**უფალმა ადამიანი ხატად და მსგავსად თვისად შექმნა და მისცა მას თავისუფალი ნება, რაც არჩევანის შესაძლებლობას გულისხმობს. სამწუხაროდ, თანამედროვე ეპოქაში მრავალთათვის ნების თავისუფლება თავისუფალ ცხოვრებასთან ასოცირდება და პირიქით, ეკლესიურობა — საკუთარი მეობის დათრგუნვასთან და პიროვნების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევასთან. საღმრთო სწავლების მიხედვით, რა არის ნების თავისუფლება და გულისხმობს თუ არა უფლის ჯვარმტვირთველობა საკუთარი თავის უარყოფას — ამის შესახებ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე გვესაუბრება.**



**— მამა გიორგი, წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია თომას კვირის სამშაბათის შემდეგ მენელსაცხებლე დედების ხსენების დღეს აღნიშნავს, რითაა გამორჩეული მათი ღვაწლი?**

— პირველი მენელსაცხებლე დედა ყველასთვის კარგად ცნობილი ცოდვილი ქალბატონი მარიამ მაგდალინელია (იოანე; 20, 1-18); ლუკას სახარების თანახმად (ლუკა; 23, 49-55 და 24, 11), ასევე მენელსაცხებლე დედები არიან — მარიამ იაკობისა, ანუ სამოცდაათთაგან ერთ-ერთი მოციქულის — იაკობის დედა; სალომეა — იაკობ და იოანე ზებედეს ძეთა დედა, იოანა ცოლი ქუზასი და სხვა მათთანა; მათეს სახარების მიხედვით კი (მათე; 28, 1-10) მარიამ მაგდალინელი და სხვა მარიამი, ანუ ღვთისმშობელი. **მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა გარდამოცემა გვასწავლის, რომ მენელსაცხებლე დედები ქრისტეს აღდგომის პირველი მქადაგებლები იყვნენ.** ეს ქალბატონები ებრაელთა შაბათის, ე.წ. უქმობის დღის შემდეგ (ერთსა მას შაბათსა, ანუ კვირას) უკვე აღმდგარ ქრისტეს საფლავთან ნელსაცხებლებით, არომატებით, კეთილსურნელოვანი მირონით მივიდნენ გარდაცვლილის სხეულის რიტუალური განწმენდის მიზნით. სანამ სამარხთან მივიდოდნენ, დაინახეს ანგელოზმა, როგორც ელვამ, საფლავიდან როგორ გადააგორა ლოდი. ეს ქრისტეს ღვთაებრიობის კიდევ ერთი დამადასტურებელი ნიშანია. უფალი აღსდგა და ზეციური მხედრობა ემსახურება მას.

ამავე დროს ხდება სტიქიები — ირყევა, იძვრის მიწა, რადგან ქრისტეს აღდგომა ნიშნავს ახალი განგებულების, ახალი სამყაროს, ახალი აღთქმის სრულ ძალაში შესვლას. მისი მესიობის სრულ დადასტურებას აღდგომის შემდეგ. მენელსაცხებლე დედებმა დაინახეს რა ანგელოზის მიერ ლოდის გადაგორება და მიწისძვრა, საშინელი შიში და ძრწოლა განიცადეს. ანგელოზმა კი უთხრა მათ: **„რაისა ეძიებთ ცხოველსა მას მკვდართა თანა? იგი აღსდგა და წინ გიძღვით გალილეას“.** იოანეს სახარებაში, როგორც ყველაზე ღვთისმეტყველურ, ზეციური სახარებაში (მართალია, ყველა სახარება ზეციურია, მაგრამ ის განსაკუთრებით გამოირჩევა. იოანეს ამიტომაც ეწოდება ღვთისმეტყველი.

სხვათა შორის, მართლმადიდებლურ გარდამოცემაში სამი ღვთისმეტყველია: იოანე ღვთისმეტყველი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი და ეს შემთხვევითი არ არის) აღნიშნულია, რომ უფლის საფლავთან მარიამ მაგდალინელი პირველი მივიდა. იგივე მარიამ მეგვიპტელის ისტორიას თუ გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ უდიდესი ცოდვილი დიდი წმიდანი გახდა. სამოთხეში პირველი მონანული ავაზაკი შევიდა. ცოდვილი, მაგრამ მონანული ქალბატონი მარიამ მაგდალინელი ქრისტეს ღვთაებრიობის, მესიობის დადასტურების პირველი მოწმე და მქადაგებელი ხდება.

იოანე ღვთისმეტყველის სახარება ამბობს, რომ **„ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდალინელი განთიად, ვიდრე ბნელღა იყო, საფლავსა მას ზედა და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა.“** და როდესაც იხილა სახვეველნი, შეძრწუნდა, მოციქულ პეტრესთან და იოანესთან დაბრუნდა და უთხრა: **„აღიღეს უფალი საფლავისაგან და არა უწყი, სადა დადვეს იგი“** (იოანე; 20, 2). შემდეგ უკვე საფლავთან მივიდნენ პეტრე მოციქული და იოანე ღვთისმეტყველი. მარიამ მაგდალინელი დარჩა საფლავთან და გულამოსკვნით ტიროდა, რადგან ეგონა, რომ იესოს წმიდა სხეული მოიპარეს. ამ დროს მას ეჩვენა ქრისტე. მარიამს ის მებაღე (ძველ ქართულად მემტილე) ეგონა და უთხრა: **„მითხარით, სად დადეთ იგი, თუკი აიღეთ?“,** ქრისტემ უთხრა: **„ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წადი და უთხარი ჩემს მოწაფეებს ჩემი აღდგომის შესახებ“.** მათე მოციქულის სახარების თანახმად, მარიამ მაგდალინელი ამ კეთილი უწყებით მოწაფეებთან ბრუნდება და ყველაფერს უყვება. გამოდის, რომ პირველად მარიამ მაგდალინელს გამოეცხადა უფალი.

საოცრებაა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისმშობელი არის ის დედობრივი საწყისი, ის დედობრივი იმპულსი, რომელიც დედობისადმი ჭეშმარიტ დამოკიდებულებას გვაძლევს. **რელიგიის ღვთივგამოცხადებულობა და ადამიანის კეთილშობილებაც მანდილოსნის, დედისადმი დამოკიდებულებით გამოიხატება. ჩვენთან ღვთისმშობელს, როგორც დედას ღვთისას, განსაკუთრებით სცემენ პატივს და იგი მიწასა და ზეცას შორის შემაკავშირებელი კიბეა.** ამის ფონზე უნდა ვიცოდეთ, რომ მარიამ მაგდალინელის სახით მენელსაცხებლე დედები წარმოადგენენ დედობრივი მსახურების იმ მაგალითს, რომელიც უფლის მიმართ სინაზეს, ერთგულებას, სიყვარულსა და სარწმუნოების სიმტკიცეს ამჟღავნებს და ამით უდიდეს მაგალითს უჩვენებს არა მარტო დედებს, არამედ მთელ კაცობრიობას და თვით მოციქულებსაც კი.

**ანგელოზი მღვიმეს ადგა,**
**ციურ სხივებს ფენდა მიწად,**
**იხარებდეთ, ქრისტე აღსდგა,**
**ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად.**

**უფლის თავზე სულიწმინდა,**
**გახსოვთ, როგორ ფრენდა ჩიტად,**
**ქრისტე აღსდგა სამარიდან,**
**ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად.**

**ღვთიურ ნებას ეთაყვანა**
**ღვთისმშობელი დედა მშვიდად,**
**ქრისტე აღსდგა ზექვეყანად,**
**ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად.**

**შეემუსრა სიკვდილს ძვალი,**
**ბნელმა შუქი ვერ დაშრიტა,**
**ქრისტე აღსდგა მამის ძალით,**
**ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად.**

**ანგელოზი მღვიმეს ადგა,**
**იქცეოდა ეშმა მიწად.**
**ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა,**
**ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად!**

**გიორგი კვალიაშვილი**



**— მარიამ მაგდალინელის ცხოვრება თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ შეიძლება უარყო საკუთარი თავი და უფლის ჯვარი იტვირთო. სამწუხაროდ, დღეს მრავალთათვის ეკლესიური ცხოვრება თავისუფალი ნების დათრგუნვად აღიქმება. მამაო, პირველ რიგში იქნებ განგვიმარტოთ, ეკლესიური სწავლების მიხედვით, რა არის თავისუფალი ნება?**

— ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად ქმნილი არსებაა. მასში მოცემულია უკვდავი სული, გონება, ინტელექტი, თავისუფალი ნება, შემოქმედების, წონასწორობის, მეტყველების, სიყვარულისა და ლოცვის უნარი და ა.შ. **თავისუფალი ნება ღვთის მიერ პირდაპირ ჩადებული ხატებაა, რომელიც მსგავსების დავალებას გულისხმობს, ანუ თავისუფალი ნება ჩვენში მოცემულია როგორც შესაძლებლობა და ჩვენი სულიერი განვითარების მთავარი იარაღი.** თავისუფალი ნება, რა თქმა უნდა, უშვებს რისკს არასწორი არჩევანისას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანმა მუდამ არასწორი გზით იაროს.

ადამიანი მთელი დღის განმავლობაში, აღარ ვლაპარაკობ ცხოვრებაზე, მრავალ წინააღმდეგობას აწყდება, რომელიც მისი თავისუფალი ნების მეტნაკლებად წარმატებით ან წარუმატებლად გამოყენების რისკ-ფაქტორს გულისხმობს. როგორ გამოვიყენოთ თავისუფალი ნება, რომელიც ღმერთმა თვის ხატად და მსგავსად ჩაგვიდო და მადლით ღვთისადმი მიმსგავსების დავალება მოგვცა, რას ვირჩევთ, როგორ ვახდენთ საკუთარი ჯვარმტვირთველობის სწორ და მართალ რეალიზაციას, ეს არის ჩვენი ცხოვრების მთავარი საზრისის ძიება.

რა თქმა უნდა, **ვინც თავისუფალ ნებას ღვთის სადიდებლად მიმართავს, ცხონდება და იგი განღმრთობის თეზისის პროცესს გადის, მაგრამ ის, ვინც ამ ნებას უკულმა იყენებს და ბუნების მოცემულს ამრუდებს (ბოროტება სხვა არაფერია, თუ არა ღვთის მიერ ბოძებული ხატების არასწორი, გამრუდებული პოზიცია), ის თავის თავს უკვე აქ, მიწაზე უთხრის ორმოს და ჯოჯოხეთურ რეალობას თანაეზიარება.**

თუკი ადამიანი არჩევს ღვთის ნებას ბოროტისა და თავისი დაცემული ნებისაგან, იგი ბედნიერია. **„ნეტარ არს კაცი, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“,** — ამბობს უფალი, ანუ, თუ ადამიანი მართლმადიდებლური ეკლესიის ასკეზას მისდევს, იგულისხმება, რომ იგი განწმედის პროცესში იმყოფება, სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას პოვებს. რა არის ადამიანის განწმენდის პირველი მანიშნებელი? სულიერ-ფიზიკური სამშვინვისეული არსების ცენტრი — გული, რომელიც არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი ორგანოცაა. ამდენად, ყოველგვარი ასკეზა მართლმადიდებლურ ეკლესიაში გულის განწმენდით იწყება. დაწყებული იოანე კლემაქსის 33 საფეხურიდან (ქრისტეს ასაკის მიხედვით აღწერილი ასკეტური გზისა), დამთავრებული ნიკოდემოს მთაწმინდელის სათნოსმოყვარეობითა და უხილავი ბრძოლით, ყველა ნაშრომი ემსახურება იმას, რომ გული განიწმიდოს, პირველ რიგში, ღმერთს დაეყრდენოს და შემდეგ — საკუთარ თავს. როგორც სერაფიმ საროველი ამბობს, გულში შემოდის სამი ნება: ღვთისა, რომელიც ყოველთვის მაცხოვნებელია; ბოროტისა, რომელიც ყოველთვის წარმწყმედელია და ნება ჩვენი, რომელიც ყოველთვის უძლურია და თვითცხოვნების უნარი არ გააჩნია. მთავარია, საითკენ მიიდრიკება ღვთის ქმნილება და რომელ ნებასთან შევა ენერგიაში. ამიტომ გულის განწმედა გულისხმობს იმ ამღვრეული მდგომარეობის დაწყნარება—დალექვას, რაც ჩვენში ცხადად იწვევს ღვთის ნების ადვილად შემოსვლას. ამღვრეულ წყალში და დაბინძურებულ სარკეში ვერაფერს ვერ დაინახავ, როცა იგი განიწმიდება, დამშვიდდება, დაწყნარდება მასში ყოველივეს უკეთ დაინახავ. ასევეა გულიც. ამიტომ ღვთის ნება და მისი გამორჩევა პირდაპირ დაკავშირებულია მართლმადიდებელი ეკლესიის ასკეზასთან.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ადამიანის ცხოვრების საზრისი უფლის ძიებაა, მაგრამ ზოგჯერ ადამიანის ნების გაუკუღმართება ხდება. რა არის ბოროტების არსი, რა იწვევს მას?**

— ბოროტება ღვთის საწინააღმდეგო პოზიციაა და ანგელოზებრივ იერარქიაში მომხდარი დაცემიდან აქვს წყარო. აპოკალიფსის მიხედვით, ანგელოზებრივი იერარქიის ერთი მესამედი ამპარტავნების გამო დაეცა და ქერუბიმი, რომელსაც დედამიწა და მისი მფარველობა ჰქონდა დავალებული, სატანად, დემონად გარდაიქმნა. **ამპარტავნება პირველი ცოდვაა. ის არის დედა ცოდვა სხვა ცოდვებისა, რომლებიც შემდეგ ცენტრიდანული ძალების მოქმედებით ქმნილ არსებას „აშორებს“ ღმერთს.** სიტყვა „აშორებს“ შემოქმედისთვის შეუსაბამოა, რადგანაც უფალი ყველგანაა და არ არის ადგილი, სადაც ის არ იმყოფება. ჯოჯოხეთშიც არის უფალი, მხოლოდ ჯოჯოხეთი არ არის ღმერთში. ის არის შიგნით და გარეთ, შორს და ახლოს, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი თვითონ არ არის ღმერთში სულიერად.

ბოროტება არსებობს მაშინ, როცა მას სჩადიან. არ არსებობს თეთრი და შავი ღმერთი, როგორც სხვა დუალისტურ მოძღვრებებშია. არსებობს ერთი უფალი, აბსოლუტი, რომელიც არაფრით არ იზღუდება. ერთია და ყოველგან არს, ყოველსავე აღავსებს. ხოლო ბოროტება ეს ადამიანთა ან ქმნულ არსებათა (ანგელოზებრივი არსებებიც იგულისხმება) არასწორი პოზიციაა ღვთის წინაშე. უფლის ქმნილების მიერ თვისი ნების უკულმა გამოყენების შემთხვევაში ხდება აბერაცია, დესტრუქცია და მასში იბადება მრუდი ქმედებები, რომლებიც ცოდვას იწვევს და ცოდვა კი ბადებს სიკვდილს (როგორც ფიზიკურს, ასევე სულიერს), როგორც სამოციქულოში წერია. ამიტომ ბოროტების პირდაპირი წყარო, მისი არსებობის ფარდობითი საფუძველი სიკეთეა. ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა.

**— ერთ-ერთი მოციქული ამბობს, რომ ქოთანი ვერ ეტყვის მექოთნეს, რატომ შემქმენი არასაპატიო ან საპატიო ქოთნადო. როგორ შეიძლება ამ სიტყვების გააზრება, ადამიანი თავად არ აკეთებს არჩევანს?**

— არჩევანში არის გასაღები. სასუფევლის გასაღები კი ჯვარია. ღმერთი გიკაკუნებს და შენ შიგნიდან უნდა გაუღო კარი. უფალმა ყოველივე კეთილად შექმნა. ის დემოკრატია.

**ჭეშმარიტი დემოკრატია ზეციდან მოდის. ნებისმიერი წესრიგი ზეციდან ეკლესიამ ისწავლა და ეკლესიაში განცხადდა. ეკლესიიდან კი ეს ცოდნა ერმა მიიღო. რამდენადაც ახლოა ერი ეკლესიურ და ზეციურ იერარქიასთან, იმდენად წარმატებულია ეროვნული და პოლიტიკური ცხოვრება. რამდენადაც შორდება ეროვნულ-პოლიტიკური ყოფა ზეციური იერარქიის სტანდარტებსა და მცნებებს, რომლებიც ღვთის მიერ ქმნილ ფუნდამენტალურ სამყაროს, ონტოლოგიურ პრინციპებს უკავშირდება, იმდენად აბერაცია და დესტრუქცია შედის მასში და სასჯელის სახით გარკვეული გაფრთხილებები ეძლევა. თუკი აბსოლუტურად შეესაბამება და ახლოს არის ერისა და ეროვნული სტრუქტურების ცხოვრება ღვთაებრივ პრინციპებთან, მაშინ ის ერი და სახელმწიფო ყვავის.**

დანარჩენი ადამიანზეა დამოკიდებული — რას და როგორ მოიმოქმედებს. როცა ადამიანი რამეს ითხოვს და არ ეძლევა, ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთი ძუნწია და ენანება. რომელი მამა მისცემს შვილს თევზის მაგიერ გველს ან კვერცხის მაგიერ ქვას. თუ ეს ჩვენ, ცოდვილებმა ვიცით, რა უფალმა, რომელსაც არსობის პურს ვევედრებით, არ იცის? მაგრამ, თუკი ქოთანი გახვრეტილია და რასაც მასში ასხამ, გასდის და შიგ არაფერი გროვდება, თუკი ადამიანი, რომელსაც უფალი ტალანტს აძლევს, კარგავს მას ან იმ ერთ ტალანტსვე უბრუნებს უკან და სულიერად არაფერს მოივაჭრებს, როგორც სახარებისეულ იგავშია, ღვთის რა ბრალია? ამიტომ ნუ იწუწუნებს ქოთანი იმის შესახებ, რომ ღმერთმა არაფერი არ მომცაო. უფალი ყველას ყველაფერს აძლევს თავისივე საჭიროებისამებრ.

რა არის ღვთის ნება? გლობალური ღვთის ნება ერთია, არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა, ცხოვრება მისი. მუდამ ვლოცულობდეთ და ვმადლობდეთ მას.

**— მამა გიორგი, რას უსურვებთ ჩვენი გაზეთის მკითხველს და სრულიად საქართველოს?**

— მადლობა ღმერთს იმისათვის, რომ ეს აღდგომა გაგვითენა, მადლობა უფალს ხილული თუ უხილავი ქველისმოქმედებათათვის. ჩვენში გავაღვივოთ გრძნობა მადლობისა, სიხარულისა, ლოცვისა. ყველას ვუსურვებ, რომ დაწყებული აღდგომითა და სულთმოფენობით დამთავრებული ამ სადღესასწაულო დღეებში განიცადოს ღვთის განსაკუთრებული ახლომყოფობა, მადლი ღვთის მიერ ჩვენთვის გაღებული მსხვერპლის ძალისა. უფრო გავძლიერდეთ სარწმუნოებაში და ქრისტიანული იმედი ნუ მოგვკლებოდეს. ეკლესიას აქვს გასაღები როგორც ინდივიდუალური, ასევე ეროვნული წარმატებისა.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

ყველამ ვიცით, რომ მსოფლიოში ტერორიზმის მარად დაუძინებელი მტერი ამერიკაა, რომელიც, მართალია, მსოფლიო ჰეგემონობისკენ მიილტვის, მაგრამ, სამაგიეროდ, დემოკრატიულ ფასეულობებს „უფრთხილდება“! რაც, პრინციპში, ხელს სულაც არ უშლის იმაში, რომ ტერორიზმი ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად გამოიყენოს — მაგალითად, აფეთქებები მოაწყოს მუმბაიში...
ისიც ხომ ჩინებულად ვიცით, რომ გერმანელები სიხარულით ცას ეწიენ, როცა წლობით ავადსახსენებელი ბერლინის კედელი დაინგრა და გდრ ყიჟინით შეუერთდა გფრ-ს. სამაგიეროდ, ახლახან გაირკვა, რომ „გათავისუფლებული“ გერმანელები თურმე სოციალიზმს მისტირიან და ცხადშიც კედელი ელანდებათ, ოღონდ დაუნგრეველი.



# დელი ვაშინგტონს ტერორისტებთან თანამშრომლობაში ამხელს

**ინდოეთის მთავრობას, რომელმაც უახლოესი 4 წლით ხელისუფლების სადავეები ხელთ იგდო და ოპოზიციისაც არ ეშინოდა, ეგონა, რომ პრობლემები არ ექნებოდა, არადა, უბედურება სწორედ იქიდან დაატყდა თავს, საიდანაც ყველაზე ნაკლებად მოელოდა — საზოგადოებრივი აზრის მხრიდან.**

ინდოეთის საზოგადოებრიობა გაოგნებული დარჩა აშშ-ის გადაწყვეტილებით, გფბ-სა და დეიდ კოულმან ჰედლის შორის გარიგება დაეშვა. დევიდ კოულმანმა ხომ საკვანძო როლი შეასრულა მუმბაიში ტერორისტულ თავდასხმის დაგეგმვაში 2008 წლის ნოემბერში და 166 კაცი იმსხვერპლა. ეს გარიგება აშშ-ის მთავრობას, ფაქტობრივად, იურიდიულ შესაძლებლობას აძლევს, არ წარუდგინოს სასამართლოს მასალები, რომლებიც ჰედლის გამოააშკარავებს და ამერიკის დაზვერვასთან მის კავშირს დაადასტურებს. სასამართლოზე ჰედლის ჯვარედინ დაკითხვასაც კი არ მოუწყობენ. მართლმსაჯულებასთან ამ გარიგების შედეგად მუმბაიში დაღუპული 166 კაცის ოჯახები უფლებას დაკარგავენ, მათი ინტერესების წარმომადგენელმა იურისტმა ჰედლი დაკითხოს. მოკლედ რომ მოვჭრათ, ცივი მხარიდან მოსული ჯაშუში უკანვე დაბრუნდება, ხოლო ამერიკის დაზვერვასთან მისი კავშირის დამადასტურებელი მასალები საუწყებო არქივებს არ გასცდება. ჰედლის პაკისტანელი კურატორები კი თემიდასთან შეხვედრას აირიდებენ.



დევიდ ჰედლი კოულმანი სასამართლო პროცესზე

**გფბ არ დაუშვებს მის ინდოეთში ექსტრადიციას და ინდოეთის შესაბამის სააგენტოებს ამ კაცთან ახლოსაც არ მიუშვებს, ამის სანაცვლოდ კი ჰედლი თავს დამნაშავედ ცნობს მისთვის ინკრიმინირებულ დანაშაულებში და გარანტიასაც მიიღებს, რომ სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანენ.**

როცა შარშან, ოქტომბერში ჰედლი დააპატიმრეს, ყველას ეგონა, რომ გარდატეხის მომენტი დადგა და ახლა უკვე ყველაფერი გაირკვევა ინდოეთში ლაშკარ-ტაიბის საქმიანობაზე, მაგრამ საქმემ, რომელსაც ინდოეთისთვის ერთობ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აბუჩად ამგდები ხასიათი მიიღო. ობამას ადმინისტრაცია კი დაბეჯითებით ცდილობს საქმის მიჩქმალვას.

**პაკისტანში ბაზირებულმა ლტ-მ მუმბაიზე თავდასხმის გეგმის შემუშავება ჯერ კიდევ 2006 წლის სექტემბერში დაიწყო. როგორც მართლმსაჯულებასთან დადებულმა გარიგებამ აჩვენა, 2006 წლიდან 2008 წლის ნოემბრამდე, როცა ეს თავდასხმა განხორციელდა, ჰედლი ხუთჯერ ჩავიდა ინდოეთში რეკოგნოსცირების მიზნით და ყოველ ჯერზე აშშ-ში პაკისტანის გავლით ბრუნდებოდა, სადაც თანამზრახველებს ხვდებოდა, რომელთაგან ზოგიერთი ლტ-ს წევრი იყო.**

თუმცა მართლმსაჯულებასთან ჰედლის გარიგების ფარგლებში მისი პაკისტანელი კურატორები მოიხსენიებიან როგორც მავანი ა, ბ, ც და დ. არიან თუ არა ისინი რეალური ადამიანები, ვერასოდეს შევიტყობთ.

**დელიში ვარაუდობენ, რომ ლტ ვერასოდეს გაბედავდა ისეთი მასშტაბის ოპერაციის ჩატარებას, რომელსაც რეალური ომის პროვოცირება შეეძლო ინდოეთსა და პაკისტანს შორის, რომ არა პაკისტანის სამხედრო დაზვერვის — ისი-ს მხარდაჭერა და თანხმობა. იმის ნიშნები, რომ მუმბაიზე თავდასხმა ლტ-სა და ისი-ს ერთობლივი ღონისძიება იყო, საკმარისზე მეტია.**

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2004 წლის ოქტომბრიდან 2007 წლის ოქტომბრამდე ისი-ს ხელმძღვანელი თავად ►

# გერმანელების უმრავლესობა ბერლინის კედლის დანგრევას ნანობს

**ევროკავშირსა და მსოფლიოს ბაზრებზე გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელის განცხადებამ ევროკავშირის ახალი კანონის მიღების შესახებ, რომლის თანახმადაც ევროს ზონიდან იმ ქვეყნებს გარიცხავენ, რომლებსაც უნარი არ შესწევთ მაასტრიხის შეთანხმებით გათვალისწინებული ფინანსურ-ეკონომიკური ვალდებულებების შესრულება, ნამდვილი ქარიშხალი გამოიწვია. კანცლერის შენიშვნამ ყველას შეახსენა, რომ ევროკავშირმა შესაძლოა გორბაჩოვისეული სსრკ-ის ბედი გაიზიაროს და უახლოეს მომავალში წევრ-ქვეყნებს შორის ეკონომიკური წინააღმდეგობების ტვირთქვეშ კრახი განიცადოს.**




## დასავლეთ გერმანიაში გამოკითხული მკვიდრი რესპონდენტების 72 პროცენტმა განაცხადა, რომ სიამოვნებით იცხოვრებს ისეთ სოციალისტურ სახელმწიფოში, როგორიც იყო გდრ...

17 მარტს გერმანიის პარლამენტში გამოსვლისას კანცლერმა განაცხადა, რომ ევროკავშირისთვის „აუცილებელია ნორმის მიღება, რომელიც უკიდურესი ზომის სახით ითვალისწინებს ევროზონიდან იმ ქვეყნის გარიცხვას, რომელიც არა და არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.“ ამასთან, კანცლერს, პირველ რიგში, მხედველობაში ჰქონდა ნაციონალური ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა და სახელმწიფოს ვალები.

**მაასტრიხტის შეთანხმებაში სტაბილურობისა და ზრდის პაქტი ადგენს, რომ ევროზონის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტს შეადგენს, ხოლო სახელმწიფო ვალი 60 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, 2009 წელს საბერძნეთმა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის 12,7 პროცენტი დააფიქსირა, რამაც მძიმე ფინანსური და სოციალური კრიზისი გამოიწვია ამ ქვეყანაში. მსგავსი პრობლემებია ევროზონის სხვა ქვეყნებშიც. როგორც ამ დღეებში ლონდონის გაზეთი „თაიმსი“ წერდა, ასეთივე სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს ესპანეთი, პორტუგალია, იტალია.**

25 მარტს ევროკავშირის სამიტის გამართვასთან დაკავშირებით, რომელიც „ბერძნულ საკითხს“ ეხებოდა, 21 მარტს საბერძნეთისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის პრობლემა გერმანიის ფედერალური კანცლერის უწყებაში განიხილეს. განხილვისას მმართველი კოალიციის პარტნიორებმა მხარი დაუჭირეს მთავრობის მეთაურს — ანგელა მერკელსა და ფინანსთა მინისტრს — ვოლფგანგ შოიბლეს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ამჟამინდელ სიტუაციაში აუცილებელი არ არის სასწრაფო ზომების მიღება.

მერკელის თქმით, საბერძნეთს არ განუცხადებია თავისი გადახდისუუნარობის შესახებ და არ მიუმართავს ევროკავშირისთვის ფინანსური დახმარებისთვის. ამგვარად, ბერლინის პოზიცია ბრიუსელის გეგმებთან წინააღმდეგობაში მოვიდა. ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზუმ საბერძნეთისთვის დახმარების აღმოჩენის კონცეფციის სასწრაფო შემუშავებას დაუჭირა მხარი.

გერმანიის ეკონომიკის მინისტრმა რაინერ ბრიუდერლემ, ასევე, გამორიცხა ბერლინის მხრიდან ათენისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა. „საბერძნეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას და პრობლემებს საკუთარი ძალებით გაუმკლავდება,“ — განაცხადა ბრიუდერლემ. მინისტრის აზრით, არ უნდა შეიქმნას პრეცენდენტი, რომელსაც მოგვიანებით ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც გამოიყენებენ.

ამასთან, მინისტრმა წამოაყენა წინადადება, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბანკროტობის პროცედურის შემუშავების შესახებ. „აუცილებელია, შემუშავდეს ასეთი წესები სრულიად ევროპის მასშტაბით. მათ, ვინც მაასტრიხტის შეთანხმებას არღვევენ, აუცილებლად უნდა გადაიხადონ ჯარიმებიც,“ — მიაჩნია ბრიუდერლეს. მისი აზრით, გერმანელი გადასახადის გადამხდელები არ უნდა დაზარალდნენ იმის გამო, რომ საბერძნეთი ან სხვა რომელიმე ქვეყანა ცუდი მეურნე გამოდგა.

სამიტზე გადაწყდა, რომ საბერძნეთს დახმარებას მაინც აღმოუჩენენ. საუბარია ევროზონის სხვადასხვა ქვეყნის მიერ გაცემულ „ნებაყოფლობით კრედიტებსა და მსოფლიო სავალუტო ►

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ გენერალი აშფაკ ფერვეზ კიანი გახლდათ, რომელსაც ამჟამად პაკისტანის არმიის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის პოსტი უკავია.

ეს გარემოება საკვანძო როლს თამაშობს: კიანი ვაშინგტონის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია ავღანეთის საქმეებში და მისი მხარდაჭერის გარეშე აშშ ვერასგზით ვერ განახორციელებს თავის პოლიტიკას პაკისტანი-ავღანეთის მიმართულებით. ამგვარად, ნათელია, რომ ობამას ადმინისტრაციას შეშფოთების მიზეზი აქვს.

**აშშ ჰპირდება ინდოეთს, რომ აცნობებს ყველაფერს, რასაც ჰედლი იტყვის, და ირწმუნება, რომ ინდოელებს არაფერში არგიათ მასთან პირისპირ შეხვედრა. სიტუაციის ირონიულობა იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს მიმდინარეობისას, ლოკერბიში აფეთქების გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით, აშშ-ს დიამეტრულად გასხვავებული პოზიცია ეკავა.**

მართლმსაჯულებასთან დადებული გარიგების ფარგლებში დადასტურებულია, რომ ჰედლი ამერიკის აგენტი იყო და აშშ-ის დაზვერვაზე მუშაობისას, სულ მცირე, 5-კურსიანი წვრთნა გაიარა ლტ-ში, პაკისტანში.

**როგორ დაუჯერებლადაც უნდა ჟღერდეს, ვაშინგტონში საერთოდ არ აპირებენ იმის მოყოლას, რა იცოდნენ ცსს-ში მუმბაიში მოსალოდნელი ტერორიტული აქტის შესახებ და არც იმაზე პასუხის გაცემას, რატომ არ გაუზიარა ეს ინფორმაცია აშშ-მა ინდოეთს. მით უფრო, რომ ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობა ამერიკა-ინდოეთის სტრატეგიული პარტნიორობის პრიორიტეტთა რიცხვში შედის.**

ჰედლის საქმემ კიდევ ერთხელ აჩვენა, რამდენად მჭიდრო კავშირები არსებობს პაკისტანის არმიასა და ლტ-ს შორის. ამასთან, აშშ-ის მთავრობა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ ლტ-ს თემა ინდოეთსა და პაკისტანს შორის მტრული ურთიერთობის პრიზმაში განიხილონ.

ინდოელები თანდათან აცნობიერებენ მწარე სიმართლს, რომ აშშ-ის მიდგომა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხთან უაღრესად შერჩევითი ხასიათისაა. ჰედლი ცსს-სა და, შესაძლოა, ისი-ს ორმაგი აგენტიც იყო. ამით თუ აიხსნება ის სამარცხვინო აჩქარება, რომლითაც ამერიკელებმა იგი ყველას თვალსაწიერიდან გააქრეს.

**ობამას ადმინისტრაციაში ჩინებულად ესმით, რომ, შესაძლოა, ჰედლიმ ენა ამოიდგას, თუკი ინდოელები მას ხელში ჩაიგდებენ. მაშინ სასამართლოზე გაირკვეოდა, რომ ამ საქმეში ცსს-ის, ლტ-ისა და პაკისტანის არმიის ხელიც ურევია. ჰოდა, რაში სჭირდებათ ეს ამერიკელებს?**

ობამა ოცნებობს, ამა თუ იმ გზით დაასრულოს საბრძოლო მოქმედებები ავღანეთში 2012 წლის საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე, ხოლო ამ ისტორიული ღონისძიების სარეალიზაციოდ პაკისტანის არმია შეუცვლელია.

**ამასთან, მუმბაიზე თავდასხმამ ინდოელი ხალხის კოლექტიურ ცნობიერებაში ღრმა ნაიარევი დატოვა. ინდოეთის საზოგადოებრიობა სულ უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ აშშ სატანური ქვეყანაა, რომელიც ეგოისტური ნაციონალური ინტერესების გამო თავის პარტნიორებს, მეგობრებსა და მოკავშირეებს ურცხვად აცუცურაკებს.**

**მ. კ. ბჰადრაკუმარი**
**(ინდოეთი)**



◀ ფონდის მხრიდან ფინანსურ მხარდაჭერაზე, თუმცა კრედიტები გაიცემა მხოლოდ უკიდურესი საჭიროებისას: იმ შემთხვევაში, თუ საბერძნეთი უუნარო აღმოჩნდება, ფინანსურ ბაზრებზე დამოუკიდებლად მიიღოს მისთვის აუცილებელი ფული. მერკელმა თავისი მაინც გაიტანა: დახმარება საბერძნეთს კი აღუთქვეს, მაგრამ, სავარაუდოდ, მაინც არ აღმოუჩენენ. რადგან საბერძნეთი სადღაც რაღაცას მაინც მიიღებს, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან, რითაც ერთობ უკმაყოფილოა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი, რადგან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაწილეობა ათენელების „ხსნაში“ ავტომატურად იწვევს აშშ-ის გავლენის გაძლიერებას ევროკავშირის საშინაო საქმეებში.

**დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ბერლინის დემარშები, რის გამოც საბერძნეთი განკვეთილის მდგომარეობაში რჩება, მხოლოდ მაასტრიხტის შეთანხმების მკაცრად დაცვის პრინციპით როდია განპირობებული. საუბარია, ასევე, რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე თვით გერმანიაში.**

**დავიწყოთ გფრ-ის ბიუჯეტით, რომელიც 19 მარტს ორი ქრისტიანული და თავისუფალი დემოკრატების პარტიების მმართველი კოალიციის ხმებით მიიღეს. სახელმწიფოს მთავარი ფინანსური დოკუმენტი ითვალისწინებს ქვეყნის ომისშემდგომ ისტორიაში დავალიანების რეკორდულად — 80.2 მლრდ ევროთი გაზრდას. ახალი კრედიტების საერთო მოცულობამ, რომლის აღებასაც ფედერალური მთავრობა აპირებს, წლის ბოლოს შეიძლება 100 მლრდ ევროსაც მიაღწიოს.** მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელოდაა მოსალოდნელი — 1.4 პროცენტამდე, რაც 2011-2012 წლებში უმუშევრობასთან ბრძოლისა და მოსახლეობის ცხოვრების უწინდელი დონის შენარჩუნების პერსპექტივას ართულებს. 2010 წელს გერმანიაში უმუშევართა რიცხვი 3.53 მლნ-ს (8.1%) მიაღწევს, ხოლო 2011 წლისთვის 3.74 მლნ-მდე (8.6%) გაიზრდება.

უმუშევრობის ზრდა ხელფასების შემცირების პარალელურად მიმდინარეობს. 2009 წლისათვის საშუალო წლიური შემოსავალი, დაქვითვის გარეშე, 0.4 პროცენტით შემცირდა და წელიწადში 27648 ევრო შეადგინა. საგულისხმოა, რომ გფრ-ში ხელფასების შემცირება მისი შექმნის დროიდან — 1949 წლიდან პირველი შემთხვევაა. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უმუშევარი გერმანელები. სოციალური დახმარება მოწიფულ ადამიანზე თვეში 359 ევროს შეადგენს. ბავშვი „პატარა მოწიფულ ადამიანად“ ითვლება, რომელსაც ასაკის შესაბამისად, მშობლის მოთხოვნილებასთან შესაბამისობაში 60, 70 ან 80 პროცენტი ერგება, ხოლო ასეთი „შემოსავლით“ გერმანიაში ხელგაშლილად ვერ იცხოვრებ, იმის გათვალისწინებითაც კი, რომ სახელმწიფო ფარავს ბინის, გათბობისა და წყლის, სამზარეულოსთვის ახალი ავეჯის, მაცივრის, სარეცხი მანქანისა და ტელევიზორის, სამედიცინო დაზღვევის ხარჯებს.

**ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გფრ-ის მოქალაქეთა უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებს მომავალს. ყოველი მეხუთე კაცი დარწმუნებულია, რომ სოციალური უსამართლობა წლითიწლობით უფრო შესამჩნევი გახდება. ექსპერტთა აზრით, გერმანელების განწყობაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა.**

მარტში საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა Emnid-მა ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგებიც განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. გერმანიის აღმოსავლეთი ნაწილის მცხოვრებთა უმეტესობამ (80%) და დასავლეთის მკვიდრი რესპონდენტების 72 პროცენტმა განაცხადეს, რომ სიამოვნებით იცხოვრებდნენ ისეთ სოციალისტურ სახელმწიფოში, როგორიც იყო გდრ, თუკი გარანტირებული ექნებოდათ სამუშაო ადგილები, უსაფრთხოება და სოციალური დაცვა. ყოველი მეოთხე გამოკითხულის აღიარებით კი სასურველი იქნებოდა, კედელი, რომელიც 40 წლის განმავლობაში გდრ-სა და გფრ-ს ყოფდა, დღემდე მდგარიყო. აღმოსავლელ რესპონდენტთა 15 პროცენტმა და დასავლელ რესპონდენტთა 16 პროცენტმა კი საერთოდ განაცხადა, რომ კედლის არსებობა „საუკეთესო რამაა, რაც შეიძლება მოხდეს.“ დასასრულ, ყოველმა მეშვიდე გამოკითხულმა აღმოსავლეთში და ყოველმა მეთორმეტემ — დასავლეთში აღიარეს, რომ 5000 ევროდ, მზად არიან, თავიანთი ხმები ნებისმიერ პარტიას მისცენ არჩევნებში.

**მომუშავე გერმანელის ოჯახმა თავი რომ გაიტანოს, მისი ხელფასი 2.500 ევროს მაინც უნდა შეადგენდეს, მაგრამ მომუშავეთა თითქმის მეოთხედი ამაზე გაცილებით ნაკლებ ჯამაგირს იღებს,**

**მაგალითად, დალაქები, გამყიდველები, დაცვის თანამშრომლები, საბავშვო ბაღის აღმზრდელები, ფოსტალიონები.**

**ამ გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება ვიცე-კანცლერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ: „მომუშავეს უმუშევარზე მეტი უნდა ჰქონდეს.“**

თითქოსდა ყველაფერი სწორია, ოღონდ ხელფასების შემცირების პირობებში ვესტერველეს ლოზუნგის რეალიზაციას შესაძლოა უმუშევართა შემწეობების შემცირება მოჰყვეს, რის შედეგადაც გერმანიაში სამუშაო ძალის კვლავწარმოების ხარისხის საკითხი დადგება, ეს საკითხი კი მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2009 წლის შედეგებით, გფრ-მ პროდუქციის ექსპორტით მსოფლიო პირველობა ჩინეთს დაუთმო.

**ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ გფრ-ის მოქალა-**

**ვიტალი ძიუბა**
**(უკრაინა)**

# ბრიტანეთის პარლამენტში გეების ქორწილი გაიმართა

**დიდი ბრიტანეთის პარლამენტის შენობაში პირველად გაიმართა გეების ქორწილი: ბრიტანეთის ევროპის საქმეთა მინისტრმა კრის ბრაიანტმა და მისმა კოლეგამ ლეიბორისტული პარტიიდან, ჯარედ კრენიმ ოჯახი შექმნეს.**

ბრაიანტმა საქორწინო ცერემონიის გამართვის ოფიციალური ნებართვა თემთა პალატის სპიკერის — ჯონ ბერკოუსგან მიიღო. ამიერიდან ჰომოსექსუალური ქორწილის შესახებ განაცხადის გაგზავნას ბრიტანეთის პარლამენტის რეზიდენციაში ყველა მსურველი შეძლებს.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ბრიტანეთის მინისტრი ოფიციალურად აკანონებს თავის ურთიერთობას პარტნიორთან. 2006 წლის ივლისში გარემოს დაცვის მინისტრი და პარლამენტის წევრი ბენ ბრედშოუ „ბი-ბი-სი“-ს საღამოს ახალი ამბების გამოშვების ჟურნალისტზე — ნილ დაგლეიშზე დაქორწინდა.

სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელთა ქორწინება დიდ ბრიტანეთში ოფიციალურად ნებადართული 2005 წლიდანაა.

# ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ცოლი გეი-პარადს გაუძღვება

**მალე ლონდონში სექსუალურ უმცირესობათა მხარდამჭერი ტრადიციული ყოველწლიური გეი-პარადი გაიმართება. საზეიმო სვლაში, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქის ქუჩებში დაიწყება, მონაწილეობას მიიღებს 100.000 კაცი, ხოლო ამ სანახაობის თვითმხილველი 800.000 ლონდონელი იქნება.**

პარადის დასასრულს ტრაფალგარის მოედანზე, სოხოს რაიონში მუსიკოსები, მსახიობები და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები კონცერტს გამართავენ.

ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ბრიტანეთის მოქმედი პრემიერ-მინისტრის მეუღლე, რომელიც საზეიმო სვლას წინ გაუძღვება. დილით ბრიტანეთის პრემიერი გორდონ ბრაუნი და მისი მეუღლე სარა თავიანთ რეზიდენციაში დაუნინგ-სტრიტზე პარადის ორგანიზატორებს, სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დამცველ ორგანიზაციათა წარმომადგენლებსა და მოცემულ თემაზე სპეციალიზებულ გამოცემათა ჟურნალისტებს უმასპინძლებენ. მართალია, უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე, თავად პრემიერი პარადში მონაწილეობას ვერ მიიღებს, მაგრამ სარამ თავად გამოთქვა სურვილი, საზეიმო სვლაში მონაწილეობით სოლიდარობა გამოეხატა გეი-საზოგადოებისთვის.

ლონდონის მერი ბორის ჯონსონი, რომელიც შარშან პირადად ედგა სათავეში გეი-პარადს, წელს ღონისძიებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს, თუმცა მხარს უჭერს სარა ბრაუნის მხრიდან სექსუალური დისკრიმინაციის ლიკვიდაციისა და თანაბარუფლებიანობის დაცვის საკითხებში პერსონალური მხარდაჭერის გამოხატვის გადაწყვეტილებას. პარადის წინა დღეებში ბრიტანეთის ოპოზიციის ლიდერმა დევიდ კემერონმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში 1988 წელს დიდი ბრიტანეთის წინამორბედი კონსერვატორული მთავრობის მიერ ე. წ. „28-ე მუხლის“ შემოღების გამო, რომელიც სკოლებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას კრძალავდა. აღნიშნული აქტი 2003 წელს გაუქმდა. ტრადიციულად გეი-პარადის კოლონებში დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლები, პოლიცია, სახანძრო სამსახური, სპორტსმენები და პროფკავშირის წევრებიც მონაწილეობენ.



# რომის პაპის ბინა... მამათმავლებისთვის

**მადრიდში მდებარე ბინა, რომელიც უწინ რომის პაპს — იოანე პავლე II-ს ეკუთვნოდა, გეი-წყვილს მიჰყიდეს. ეს ბინა რომის პაპს ერთმა ღვთისმოშიშმა ქალბატონმა უანდერძა, მისი სიკვდილის შემდეგ კი კათოლიკურმა ეკლესიამ გადაწყვიტა, უძრავი ქონება გაეყიდა.**

ბინა გეი-წყვილმა — ალბერტო და მიგელ ანხელებმა შეიძინეს. მათი აზრით, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ, ეკლესიის მხრიდან ერთსქესიანი ქორწინებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების პირობებში, ის მაინც თავისუფლად დებს საქმიან გარიგებებს სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

ცნობილია, რომ ესპანეთი ერთსქესიანი წყვილებისადმი ერთობ ტოლერანტული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართულია ერთსქესიანი ქორწინებანი და მათ მიერ ბავშვების შვილად აყვანაც.

14 — 20 აპრილი, 2010 წელი. №13 (56)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ტალავერი

## ბოლნისის ხევი



ჭაპალის ციხე

**ქვემო ქართლის იმ ნაწილს, სადაც გაზეთის წინა ნომრიდან დავიწყეთ მოგზაურობა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ნიშნით, ძველთაგან, ბოლნისის ხევი ერქვა. მასში მდინარე მაშავერის ქვემო დინების და მისი შენაკადების მანხუტის, ტალავრის და ფოლადაურის ხეობები შედიოდა. ჩვენ ამ ტერიტორიაზე უკვე გავეცანით ბოლნისის სიონისა და წუღრუღაშენის სახელგანთქმულ ტაძრებსა და თავად ძველ ბოლნისს, როგორც ამ მიკროქვეყნის ცენტრს, ხოლო შულავრის ხეობაში მოგზაურობისას მანხუტის სანახებშიც „გადმოგვიცდა“ ფეხი (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ 2010 წ. №12, 2009 წ. №30). ამიტომ, თუ აღმოსავლეთიდან მოვყვებით, პირველად ტალავრის მცირე ხეობაში უნდა ვიმოგზაუროთ.**

ტალავრის ხეობაში მოსახვედრად, ჭაპალის ციხესთან, რკინიგზის მაგისტრალის სამხრეთით გვიწევს გადასვლა, სადაც ჯერ მდინარე მაშავერაზე გადებულ ხიდს გადავდივართ და მერე თარაქამებით დასახლებულ დიდ სოფელში — ტალავერში შევდივართ.

ვახუშტი ბატონიშვილი კატეგორიულად უარყოფს ჭაპალისა და გაჩიანის იდენტურობას, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ადრე ასეთი მოსაზრებაც იყო. არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, რომ აქ XI-XIII საუკუნეებშიც იდგა ციხე, თუმცა ისტორიულ წყაროებში მხოლოდ XVII საუკუნიდან მოიხსენიება, როცა იგი სოლოღაშვილებს ეკუთვნოდა.

ამავე პერიოდისა უნდა იყოს მაშავერაზე გადებული ხიდიც...

1692 წელს ამ მიდამოებში მოხდა ბრძოლა გიორგი XI-სა და ქართლში მეფობის მაძიებელ ერეკლე-ნაზარალიხანს შორის.

**სწორედ ჭაპალის გავლით მივემართებით ტალავრის ხეობის სიღრმისაკენ. მას, ვინც ქვემო ქართლს კარგად არ იცნობს, აქაურობა ხრიოკი ჰგონია, არადა საკმარისია მაშავერის შენაკადებს ლელვარ-ლოქის მთის კალთებისაკენ ავუყვეთ, რომ მომაჯადოებელ სამყაროში მოვხვდებით. ყველაზე მეტად ამ ადგილებს გვეცილებოდა სამხრეთიდან დაძრული მტერი: ტყიანსა და ველიანს, წყლიანსა და კორდიანს, მიწამადლიანს და კეთილჰავიანს. ეს იყო ქართლის მოწინავე სადროშო. ტერიტორია ნაწილობრივ შევინარჩუნეთ, ქართული მოსახლეობა კი სისხლისაგან დაიწრიტა.**

და აი, ახლა, ექსპედიციის წევრებმა, ძველი ქართული ეკლესიისა და ნაფუძარის მისაგნებად, ელის ტომის წარმომადგენელი უნდა დავიმგზავროთ. ასეთი კაცი გამოდგა რაგიმ შარიფოვი, რომელიც სოფელ ტალავრის თავში ცხოვრობს და ხეობის ზედა მონაკვეთს პატრონობს. ვაგიფს ოთხი შვილი და 6 მეწველი ძროხა ჰყავს. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ რაგიმი ყურადღებიანი მასპინძელია და სამსახურს არასდროს დაგაყვედრის.

სოფელ ტალავრიდან სამხრეთით, დაახლოებით 5-6 კილომეტრში, გზა სრულდება და ტყის სიღრმეში მცირე მდელოზე აღმოვჩნდებით, სადაც ორი ეკლესიაა. ერთი, რომელიც ძალიან დანგრეულია, ქვევით დგას, მეორე — უკეთ შემონახული, რომელიც სულ ახლახანს შეაკეთეს, ბორცვზეა აღმართული. ამ ადგილს ადრე სახუნდარა, ანუ მტრედის საბარტყო ადგილი ერქვა და სოფელიც არსებობდა. რაგიმ შარიფოვმა, რა თქმა უნდა ეს არ იცის, ხოლო ნაეკლესიარს „ასმინოგს“ ე.ი. რუსულ ვასმინოგს უწოდებს. საქმე ისაა, რომ ნამონასტრალის ტერიტორიაზე დგას სამსართულიანი სამრეკლოც, რომლის ფანჩატურს რვა სვეტი — ე.ი. რვა ფეხი აქვს.

XVI საუკუნის ეს ტაძარი გვიანი შუასაუკუნეების ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სანიმუშო ძეგლია. ეკლესიის ინტერიერში, შუა საყრდენი თაღის ჩრდილოეთ მხარეს, უცნაურ პოზაში მყოფი კატისა თუ ვეფხვის რელიეფური ქანდაკებაა. ნეტავ, რა ალეგორიული დატვირთვა უნდა ჰქონდეს ამ ეშმაკურად და ამაყად მომზირალ ციცას?..

ერთადერთი, დასავლეთ პორტალის ტიმპანზე არსებული ქართული მხედრული წარწერა ვიღაცას საგულდაგულოდ დაუზიანებია. ნეტავ, რა ეწერა ზედ ან ვინ დააზიანა?.. არა მგონია, ელის ტომის წარმომადგენელს ჩაედინოს ეს...

სახუნდარას ისტორიიდან მხოლოდ ერთი რამ ვიცით: 1641 წელს აქ აზნაურიშვილ შანშიაშვილებს, მათ განაყარ გოგიბაშვილებს და პაპიაშვილებს უცხოვრიათ. ამას როსტომ მეფის სიგელი ამტკიცებს. სავარაუდოა, რომ ისინი იმ გამაჰმადიანებულ ქართველებში ერივნენ, რომლებიც, შაჰ-აბაზმა გამოაყოლა როსტომ მეფეს ირანიდან და რომლებმაც მშობლიურ მიწაზე დაბრუნების შემდეგ, მართლმადიდებლობა დაიბრუნეს. ამის ერთ-ერთი მაგალითი დოკუმენტურად მტკიცდება მეზობელ ხეობაში მდებარე ხატისოფელში. აქ უმოკლესი გზითაც შეიძლება მოხვედრა.



სახუნდარის „რვაფეხა“



კატის გამოსახულება

ტალავრის მეზობლად მდებარე მიკროხეობას, რომელშიც გადავდივართ, ვახუშტი ბატონიშვილი სარკინეთს უწოდებს. ხატისოფელში დაახლოებით 100 კომლი მოსახლეა. ეს ერთადერთი ქართული სოფელია ძველ, ისტორიულ, ბოლნისის ხევში. აქ ორი ეკლესიაა: „წმინდა გიორგი“ და „ღვთისმშობელი“. როგორც ხუროთმოძღვრული, ისე დოკუმენტალური თვალსაზრისით, ეს უკანასკნელი უფრო საყურადღებოა. მისი კედლები ერთ მეტად საინტერესო წარწერას ინახავს, რომელიც 1667 წლით თარიღდება. წარწერის შინაარსი ასეთია: **„ღმერთმა ადიდოს მეფე შაჰ-ნავაზი და დედოფალი მარიამი. ჩვენ თურმან თურმანიძე და მისი მეუღლე ქეთევანი ადრე ყიზილბაშები ვიყავით, მაგრამ როცა ყაენმა როსტომი მეფედ გამოგზავნა ქართლში, ჩვენც თან გამოგვაყოლა და ჩვენს სამკვიდრო მიწაზე დავსახლდით. ყეენისა და მეფის წყალობით მალე მოვღონიერდით, რადგან არანაირ ხარკს არ ვიხდიდით, მხოლოდ ლაშქარში გასვლა თუ გვეთხოვებოდა, მაგრამ როგორც ჩანს მოვძულდი ღმერთს მე ქევეთანი, რადგან მარტო დავრჩი. ჯერ მეუღლე დამეღუპა, მერე ერთადერთი ვაჟი გედალი. ამიტომ ავაშენე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია ჩემი ვაჟიშვილის სულის სახსენებლად“.**

როგორც ვხედავთ, ქეთევანი და მისი ვაჟიშვილი გაქრისტიანებულან, ოჯახის უფროსს კი, შიშისა და ყეენის სამსახურში ყოფნის გამო, ეს ვერ გაუბედავს (წარწერით ირკვევა საყდრის ამგების ვინაობაც. **„მოიხსენე უფალო ამისი ოსტატი ლარიბჯანი, ამენ“).**

თურმანიძეებს არა მარტო ეკლესია, არამედ ფერად-ფაშის (1584 წელი) და შაჰ-აბაზის მიერ აოხრებული მთელი ხატისოფელი დაუყენებიათ ფეხზე. ორივე ეკლესია მოქმედია, სადაც მამა დავითი წირავს.

სწორედ ამ სოფლის მკვიდრმა ლევან პოპონდოპულომ გაგვიწია მოგზაურობა ხატისოფლის სამხრეთით, დაახლოებით 4 კმ-ში, ტყეში მდებარე ნასოფლარ თედორეწმინდისაკენ.

თედორეწმინდა... იგი იმ საყდართა რიგშია, რომელთა ხილვა სულის დღესასწაულია, წარსულის უმძაფრესი განცდა და მართლაც უსაშველო ფიქრია. წამოხვალ და ვერ დაცილდები, ცხადსა და სიზმარში არაერთხელ გამოგეცხადება: ტყეში ეულად მდგარი, დანგრევის პირას მისული, მაგრამ მაინც იდუმალი მშვენიერებით აღსავსე ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუში.

როგორც ქვემო ქართლის მკვლევარები ფიქრობენ, აქაური ნასოფლარი ის თევდორეწმინდა უნდა იყოს, რომელიც ფიტარეთის ტაძრის ამგებ ქავთარ ქაჩიბაიძეს ხმლით მოუგია და შეუწირავს მის მიერ აშენებული მონასტრისათვის (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ 2010 წ. №9).

მაგრამ თევდორეწმინდა თავად უკეთესად გადმოგვცემს საკუთარ ისტორიას. აღმოსავლეთ ფასადის სამ ფილაზე ასე წერია: **„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, წმიდისა თევდორესაითა და ყოველთა წმიდათა მისთათა, ეს დაწერილი ჩვენ — თევდორეწმიდელთა მღუდელთა და მწირთა. მას ჟამსა ოდეს ამას ეკლესიას ვაშენებდით, მოგუცა 80 დუკატი გაბრიელ ჩაბაისძემან, გაუკეთეთ დეკემბერსა ცხრასა რავდენიცა ხუცესი იყოს, ჟამსა წირვიდნენ და აღაპი გარდაიხდებოდეს, სიწმიდისა გარდმოყვანებასა მღუდელი მოიხსენებდეს. ვინ ესე შეცვალოს, კრულმცა არს პირითა ღმრთისაითა. ამენ“.**

სამხრეთის კარზე სხვა წარწერაა, რომლის თანახმად **ივანე ქარეფარეხელს** მონასტრისათვის ვენახი და ჭურები შეუწირავს.

კიდევ ერთი წარწერაა სამხრეთ კედლის აღმოსავლეთ კუთხეში, იგი ასე იკითხება: **„ესე ქვაი ბერმან კავთელმან დასუა, შეუნდვენ ღმერთმან!“** ამ შემთხვევაში არა რომელიმე კონკრეტული ქვის დასმაზე უნდა იყოს საუბარი, არამედ, საერთოდ, კალატოზობაზე. საინტერესოა, რომ ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როცა ქვემო ქართლში კავთელთა სახელს ვხვდებით. მანამდე იგი აღმოჩნდა ალგეთის ხეობაში: არხოტში და დიდ თონეთში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ 2009 წ. №31, 33).

**ჩაბაისძის მიერ აგებულ ეკლესიას ჩრდილოეთის სათავსები თავიდანვე ჰქონია, სამხრეთის სტოვა კი ოდნავ მოგვიანებით მიუშენებიათ. მასში ორი საინტერესო რელიეფური გამოსახულებაა; თუ კავთელი ბერი მართლაც კალატოზია, მაშინ ვაშა მის ოსტატობას: — ოქროსფერი და ღია ვარდისფერი კვადრებით შექმნილი ტაძრის შიგა და გარე პერანგი უნაკლოა. იგივე ითქმის საკურთხევლის აფსიდის შექმნის თაობაზე, რომლის ჩრდილოეთ მონაკვეთში საიდუმლო ნიშია, ხოლო სამხრეთში დატანებული უფრო დიდი და თაღოვანი ნიშიდან, ხვრელი ადის სამალავში.**

„თევდორეწმინდა“, რომელიც XII საუკუნის ქართული სატაძრო ხუროთმოძღვრების, კონკრეტულად კი დარბაზული საყდრის ერთ-ერთი ჩინებული ნიმუშია, სასწრაფო შველას ითხოვს. კარგა ხნის წინათ გრძივი კედლების დასაცავად დაჭიმული ბაგირები დაწყვეტილია, საბურავი ჩაქცეული, სარკმლის საპირეების ნაწილი ჩამოცვენილი, საკურთხევლის აბსიდი გამსკდარი, ხოლო დასავლეთის კედელი წასაქცევად განწირული.

ვინ უშველის ტაძარს? გამოჩნდება თუ არა ახალი ჩაბაისძე, ქარეფარეხელი და კავთელი ბერი?..

უნდა გამოჩნდნენ!..

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**



ხატისსოფლის „ღვთისმშობლის“ ტიმპანი



„თედორეწმიდა“



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე

**ერეკლეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან უაღრესად ფრთხილი დიპლომატიური სვლებით შეძლო მრისხანე სიტუაციიდან გამოსვლა და ძველი საგარეო პრესტიჟის აღდგენა მახლობელ აღმოსავლეთში. სახელოვან ხელმწიფეს მაშინ შექმნილი საგარეო-პოლიტიკური ვითარებაც ხელს უწყობდა. მისი პოლიტიკა ამ დროსაც საქართველო-ამიერკავკასიის გარშემო მოქიშპე სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობასა და საკუთარ ძალებს ემყარება.**

ერეკლეს სახელმწიფო იმ ხანებში რამდენიმე განსხვავებული გზით განაგრძობდა ბრძოლას მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნებისა და ქვეყნის პოლიტიკური ფარგლების გაფართოებისათვის; მას ხელი არ აუღია საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ცდებზე; სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას, საინგილოს შემოერთებას თუ ლიხთიმერეთის დამორჩილებას, ისევე, როგორც ბატონობის განმტკიცებას ამიერკავკასიაში, ყოველთვის ცენტრალური ადგილი ეკავა ქართლ-კახეთის მესვეურთა ფართო გეგმებში. რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩაბმული ერეკლე ყოველნაირად ცდილობდა, ქერიმ-ხანთან ერთიერთობა არ წაეხდინა.

**რუსეთის მთავრობა, რომელსაც ირანის გადაკიდება არ უნდოდა, ქერიმ-ხანს განუმარტავდა, რომ საქართველოში მისი ჯარი მხოლოდ დროებით იდგა. დიდი პოლიტიკის შემდგომი გაგრძელება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და დაღესტნურ შემოსევათა საბოლოო ალაგმვას მოითხოვდა.**

**1774 წ. ქართლ-კახეთში მორიგეობის პრინციპზე დამყარებული მუდმივი ჯარი შეიქმნა. "განჩინებაში მორიგე ჯარის შესახებ" შესანიშნავად იყო დასაბუთებული "მორიგეს" შექმნის მიზეზები და სავალდებულო სამხედრო სამსახურის წესები.**

ოსმალეთის სახელმწიფო XVIII ს. II ნახევარში შინაგანი დაშლის გზით მიექანებოდა. იზმირის, ანკარის, ლაზისტანის, ახალციხისა და სხვა საფაშოები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. კერძოდ, ახალციხის ფაშები თვლიდნენ, რომ ეს მხარე ოსმალეთის უბრალო პროვინცია კი არა, ჯაყელთა სამემკვიდრეო მამული იყო და საქართველოსთან ურთიერთობის შემჭიდროებაზე ფიქრობდნენ. 1776 წ. ერთი ცნობით, ახალციხის „გუბერნატორთან" ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველის წარმომადგენლები მისულან. ისინი შეერთებული ძალებით აპირებდნენ ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლას ღონემიხდილი ოსმალეთისათვის ირან-რუსეთთან მეტოქეობაში ერეკლეს განწყობილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მოვლენათა მსვლელობამ ერეკლე თითქოს მიზიდულობის ცენტრად აქცია აღმოსავლეთში, სადაც რუსეთის გარდა ინგლის-საფრანგეთის ინტერესებიც თავს იყრიდა. **1776 წ. ქერიმ-ხანის ჯარებმა ოსმალეთს ქ. ბასრა წაართვეს. სწორედ ამ წელს მომხდარა საიდუმლო შეთანხმება ერეკლეს მთავრობასა და ოსმალეთს შორის. ერეკლეს წარმომადგენელი სტამბოლში 1776 წ. დეკემბერში ჩასულა ახალციხის ფაშას წარმომადგენელთან ერთად. ამ კავშირის შესახებ დეტალური ცნობები, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია, მაგრამ ერთი რამ თითქოს უეჭველია, რომ ერეკლე ახლა ოსმალეთის მფარველობის აღიარების გზით ფიქრობდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. ახალციხის ფაშას მონაწილეობა ამ საქმეში, როგორც ჩანს, განპირობებული იყო იმ საფრთხით, რომელიც ამ უკანასკნელს ტრაპიზონელი ჯანიკლი ფაშასაგან მოელოდა. საფიქრებელია ისიც, რომ ახალციხელი ფაშა მაშინ ერეკლესადმი დამორჩილების გზით ფიქრობდა სულთანის ყმობისაგან განთავისუფლებას. რაც შეეხება თურქეთს, იგი სიამოვნებით შეხვედრია ერეკლეს ინიციატივას და ამით უცდია, რუსეთისათვის საქართველოსაკენ მომავალი გზები ჩაეკეტა.** მიუხედავად ამისა, რუსეთ-ირანის რიდით, ოსმალეთის მთავრობას განუცხადებია, რომ იგი საქართველოს წინააღმდეგ არ გამოვიდოდა იმ შემთხვევაში, თუ ერეკლე სულთნის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობას არ მიიღებდა. ერეკლე ოსმალეთთან შეთანხმებით არა მარტო ირანს, არამედ რუსეთსაც უპირისპირდებოდა, თუმცა, საფიქრებელია, რომ ირანის „განაწყენება" მოჩვენებითი უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ერეკლემ ირან-თურქეთის საომარი ოპერაციების დროს ნება არ მისცა ანატოლიის ლაშქარს, გაევლო საქართველოსა და მისი მორჩილი სახანოების მიწებზე და ქერიმ-ხანის სამფლობელოებში ზურგიდან შეჭრილიყო.

**ოსმალეთთან შეთანხმებამ 1778 წელს უკვე ოფიციალური ხასიათი მიიღო. მაშინ დაბრუნდა ოსმალეთიდან ელჩი გურგინა ენაკოლოფაშვილი და სულთნის მიერ ერეკლესთვის გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები მოიტანა. მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძალთა თანაფარდობა მალე შეიცვალა.** ყუბის ხანმა ფათ ალიმ ჩრდილოეთი აზერბაიჯანი გააერთიანა. მან დაიმორჩილა დარუბანდის, შემახის, ბაქოს, სალიანისა და სხვ. სახანოები, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ერეკლეს პოლიტიკურ გავლენას იმ ქვეყანაში. კავშირი ოსმალეთთან თითქოს აადვილებდა ერეკლეს პოზიციებს ფათ ალი-ხანის წინააღმდეგ, მაგრამ შორსმჭვრეტელ ხანთან ბრძოლა არცთუ ისე იოლი იყო. ამით აიხსნებოდა სამხედრო პოლიტიკური თანამშრომლობა ერეკლესა და ყარაბაღელ იბრეიმ-ხანს შორის. როგორც ჩანს, **ქართლ-კახეთის მეფე 1778-1779 წლებში ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის ემზადებოდა და ამ საქმეს საიდუმლოდ ინახავდა. ერეკლეს ჯარები ერევანს სალაშქროდ მზად იყვნენ, როცა განჯის ხანმა, ფათ ალი-ხანის კარნახით, ერეკლეს ხარკსა და სამსახურზე უარი შემოუთვალა. მაშინ ქართლ-კახეთისა და ყარაბაღის შეერთებულმა ჯარმა 1778 წ. სასტიკად დაამარცხა ფათ ალი-ხან და განჯა გაინაწილეს.** ამიერიდან განჯაში ორი "გუბერნატორი" იყო. — „მეფემან ირაკლიმ დაადგინა ენდრონიკაშვილიქაიხოსრო მდივან-ბეგი, ხოლო იბრეიმ ხანმან დაადგინა ვეზირი თავისი აზრათ-ყული-ბეგი, მარტყოფელი (წარმოშობით ქართველი, — რედ.)... და ესენი მართავდნენ განჯას ურთიერთას კითხვითა და ხარკსაცა ჰყოფდნენ ყაბულ". ქაიხოსროს განკარგულებაში, როგორც ჩანს, 3000 შეიარაღებული მეომარი გამოუყვიათ. საფიქრებელია, რომ ამდენი ლაშქარი იქ ერეკლემ დროებით, ერევანს ლაშქრობის პერიოდში ჩააყენა.

ერევნის სახანოს უშუალო შემოერთებისათვის ბრძოლა გამოწვეული იყო, აგრეთვე, ერევნის ხანის საქციელით. იგი უარს ამბობდა ერეკლეს მორჩილებასა და ხარკზე, კავშირს აბამდა მის პოლიტიკურმტრებთან. 1779 წ. აგვისტოში ერეკლეს ჯარებმა ერევანს ალყა შემოარტყეს. ცბიერმა ხანმა კათალიკოს სიმეონ ერევნელის პირით ერეკლეს მორჩილება გამოუცხადა და ხარკი იკისრა, მეფე კი სრულ კაპიტულაციას მოითხოვდა. მეფის ჯარებმა ერევანი დაარბიეს, რამდენიმე ათასი სომეხი აჰყარეს და საქართველოში გადმოასახლეს. ერეკლემ ერევანში ხანის გვერდით თავისი გუბერნატორი დააყენა — საკუთარი სიძე იოანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. 1780 წ. ერეკლეს კვლავაც მოუხდა ერევანს ლაშქრობა და იქ თავისი ბატონობის აღდგენა. ერევნის საკითხის გართულების ერთი სერიოზული მიზეზი, როგორც ჩანს, რუსეთთან ურთიერთობის გაუარესება იყო.

ალექსანდრე ბაქარის ძის ზურგში რუსეთის დიპლომატები და სოლომონ იმერთა მეფე იდგნენ. ეს გასაგებიც იყო, რადგან თვითმპყრობელური იმპერია, იმ შემთხვევაში, თუ ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის კავშირი განხორციელდებოდა და ერეკლე გაძლიერდებოდა, ამიერკავკასიაში გავლენას უნდა გამოთხოვებოდა. რაც შეეხება სოლომონ მეფეს, იგი განუწყვეტლივ ებრძოდა ოსმალეთს და ჰქონდა საფუძველი, რომ ერეკლეს ახალ საგარეო პოლიტიკაში საფრთხე დაენახა. როგორც ვხედავთ, **ერევნის სახანოს უშუალო შემოერთების გაბედული ღონისძიება საგარეო და საშინაო მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა. ერეკლეს მიერ ოსმალეთთან კავშირის დამყარება უპირისპირდებოდა არა მარტო ურსეთის გეგმებს ახლო აღმოსავლეთში, არამედ იმერეთის მეფის სოლომონის დამოუკიდებლობასაც ემუქრებოდა.** სწორედ ამ კონკრეტულ ფაქტზე ნათლად მოჩანდა საგარეო და საშინაო-პოლიტიკური ხასიათის იმ მიზეზთა ერთობლიობა, რომლებიც XVIII საუკუნეშიც ქვეყნის გაერთიანებას ხელს უშლიდა. ერეკლეს წარმატებები ამიერკავკასიაში მეტწილად მის უშუალო მოწინააღმდეგეთა სისუსტით განპირობებული ჩანდა.

**80-იანი წლების დასაწყისში ერეკლე მეორემ ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება სცადა. ამ მიზნით მან კათოლიკე მისიონერები დაიახლოვა. როგორც პროფ. ი. ცინცაძე შენიშნავს, ეს დაახლოება გამოწვეული იყო მეფის სურვილით, რათა მისიონერები მუდმივი ჯარის შექმნაში გამოეყენებინა. მეფეს, როგორც ჩანს, შესაძლებლად მიაჩნდა ფულადი სესხის მიღება ევროპის რომელიმე სახელმწიფოსაგან. ამიტომ იყო, რომ მან კათოლიკე მისიონერების ხელით სპეციალური თხოვნა გაუგზავნა ვენეციის სენატსა და ავსტრიის იმპერატორს, მაგრამ ორივე ელჩი გზაში გარდაიცვალა და მეფის თხოვნას იმ ქვეყნებამდე არ მიუღწევია.**

1782 წ. 18 ოქტომბერს წერილში ვენეციის რესპუბლიკისადმი ერეკლე წერდა: „...ჩვენი სათხოვარის ჰაზრი ეს არის, რომ ერთის პოლკის ჯარის ჯამაგირი გვებოძოს, რომ კაცი ჩვენ ვიშოვოთ, და იმ ჯამაგირით ის ჯარი გავაწყოთ ევროპის რიგზე, რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოთ რომ სცნობს, ვერასდროს ჩვენს მტრობას ველარ გაბედავს". ასეთივე შინაარსისა იყო ერეკლეს წერილი ლუდოვიკო მეთოთხმეტესადმი, რომელიც აგრეთვე 1782 წ. 18 ოქტომბრითაა დათარიღებული. 80-იანი წლების დასაწყისში ერეკლეს ეტყობოდა, რომ იგი კვლავაც რუსეთისაკენ იხრებოდა, როგორც ჩანს, მისთვის უცნობი არ ყოფილა ფართო გეგმები, ეკატერინეს სახელმწიფო კარზე რომ შეიმუშავეს ე.წ. „ბერძნული პროექტის" სახით. რუსეთის იმპერია ამიერკავკასიისაკენ მოიწევდა. ალბათ, ამით აიხსნებოდა, რომ ერეკლემ ევროპაში გასაგზავნად გამზადებული წერილების შინაარსი რუსეთის მთავრობას აცნობა. როგორც ჩანს, ერეკლე სრული დარწმუნებული იყო იმაში, რომ მის მიერ ავსტრიასთან ურთიერთობის დამყარება რუსეთის დიპლომატებში საწინააღმდეგო რეაქციას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში მეფის მოლოდინი გამართლდა. მართლაც, კანცლერი ბეზბოროდკო ერთ თავის ინსტრუქციაში ერეკლეს აღნიშნული ურთიერთობის გამო უკმაყოფილებას ვერ მალავდა. ქართლ-კახეთის დიპლომატები უკვე გრძნობდნენ, რომ რუსეთის იმპერია დღეს თუ ხვალ მაინც ერეკლეს სახელმწიფოს მოაკითხავდა.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რამდენი აღსასრული ელის სამყაროს?



**სამყაროს აღსასრულების უახლოესი მომავლის სია დღითიდღე გრძელდება. 2020 წლამდე დედამიწას, სულ მცირე, ათჯერ მოეღება ბოლო.**

**2010 წ.** — ნავთობის მარაგი ამოწურვა და ომი რესურსებისთვის;

**2011 წ.** — მაიას კალენდარული ციკლის დასასრული და ასტეროიდ „2005 YU55“-თან შეჯახება;

**2012 წ.** — დაირღვევა ყველა კოსმოსური ციკლი, პოლუსები შეიცვლება და ასე შემდეგ. მოსახლეობის 0,5%-ს გადარჩენის შანსი აქვს, ასე რომ, მოემზადეთ;

**2013 წ.** — განკითხვის დღე. ჰიპერსივრცული გადასვლა მეოთხე განზომილებაში. მოკვდავებისთვის ეს სიკვდილს ნიშნავს, ღმერთებისთვის კი — დაბადებას;

**2014 წ.** — ასტროფიზიკოსები ამბობენ, რომ მზის სისტემას რაღაც მტვრიანი ღრუბელი წალეკავს;

**2015 წ.** — რომელიღაც 9576-წლიანი ციკლისა და დედამიწაზე ცივილიზაციის დასასრული;

**2016 წ.** — ყინული დადნება და დედამიწას წყალი დაფარავს;

**2017 წ.** — იერარქიული კატასტროფების მიხედვით სამყაროს აღსასრული;

**2018 წ.** — ნოსტრადამუსის ბირთვული ომი;

**2019 წ.** — შეჯახება ასტეროიდ „2002 NT7“-თან;

**2020 წ.** — ისააკ ნიუტონმა გამოითვალა რა იოანე ღვთისმეტყველის წინასწარმეტყველებიდან, სამყაროს დასასრულმა ამ წელს მოუწია.

სანამ ამ ყველაფერს დიდი სერიოზულობით მოეკიდებოდეთ, გაითვალისწინეთ, **2008 წელს** დედამიწას 800-მეტრიანი დიამეტრის ასტეროიდი უნდა დასცემოდა, **2009-ში** კი არმაგედონს ველოდით.

# სად მუშაობენ ალქიმიკოსები?



**ესტონეთში ფონდმა „Virumaa Muuseumid“-მა გამოაცხადა, რომ ეძებს თანამშრომლებს ალქიმიკოსისა და ხარკის ამკრეფის თანამდებობებზე. ეგზოტიკური ვაკანსიები რაკვერეს ციხესიმაგრეში დასაქმების პერსპექტივაა.**

მსურველებს რაიმე ექსტრაორდინალური არ მოეთხოვებათ. ალქიმიკოსის მოვალეობები იმით შემოიფარგლება, რომ ტურისტებს შუა საუკუნეებში მეცნიერების განვითარების შესახებ უამბოს, ხარკის ამკრეფი კი ბილეთებს გაყიდის. კანდიდატებმა რუსული, ინგლისური და ესტონური ენები უნდა იცოდნენ და მოყვარულის დონეზე ერკვეოდნენ ისტორიაში.

ციხესიმაგრის კომპლექსისთვის ისტორიული სახის შენარჩუნების მცდელობები იქამდე მივიდა, რომ იქ უკვე გაიხსნა შუასაუკუნოვანი კერძების სასადილო, საწამებელი კამერა და წითელი ფარნების ქუჩა.

# რა ჯიშისაა ეს ცხოველი?



**ჩინელმა მონადირეებმა შეიპყრეს უცნაური ქმნილება, რომლის სახეობა ჯერჯერობით გაურკვეველია. მეცნიერები დასკვნების გაკეთებას არ ჩქარობენ. არადა, უამრავ ადამიანს უნდა, რაც შეიძლება სწრაფად გაიგოს, რომ ეს ცხოველი ადამიანის მსგავს ქმნილებას წარმოადგენს.**

ის მომცრო ზომისაა, ბეწვით არაა დაფარული და გრძელი კუდი აქვს. როგორც ამბობენ, დათვს ჰგავს, მაგრამ კატის მსგავს ხმებს გამოსცემს და განუწყვეტლივ კივის.

ლეგენდის მიხედვით, ამ ტერიტორიაზე ტყეში ცხოვრობს დათვი, რომელიც ოდესღაც ადამიანი იყო, ზოგი კი თვლის, რომ აღმოჩენა შიმშილისგან ბეწვგაცვენილი რომელიღაც ცხოველია, მაგრამ რომელი, ჯერჯერობით არავინ ამბობს.

# ამერიკელებმა გაკოტრების რეკორდი დაამყარეს

**მარტში აშშ-ში 158 ათასმა კერძო პირმა სათანადო სამსახურებს გაკოტრების შესახებ აცნობა. ეს 2005 წლის შემდეგ რეკორდული მაჩვენებელია, 35%-ით აღემატება წლევანდელი თებერვლის მონაცემებს და 19%-ით აჭარბებს თავის წინამორბედ მაქსიმუმს, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა.**



2010 წლის პირველ კვარტალში, 2009 წლის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, კერძო პირების გაკოტრების მაჩვენებელი ათობით შტატში საშუალოდ 10%-ით გაიზარდა. კვლავაც იზრდება გადახდისუუნარო მოვალეების რაოდენობა არიზონაში, კალიფორნიასა და ფლორიდაში.

**ექსპერტებს არ უკვირთ, რომ ამერიკელები საკუთარი სიღარიბის დასამტკიცებლად სასამართლოებს მიაწყდნენ. ფედერალური სარეგისტრაციო სამსახურის მონაცემებით, აშშ-ში პირადი ვალების მოცულობა ახლა 10-ჯერ მეტია, ვიდრე 1960 წელს იყო. ნორმალური სამომხმარებლო კრედიტირების არარსებობის გამო ვალების რეფინანსების შესაძლებლობა შეზღუდულია.**

გაკოტრების შესახებ კოდექსის მე-13 თავის მიხედვით, მოვალემ ვადაგადაცილებული თანხები კრედიტორებს 3-4 წლის განმავლობაში უნდა აუნაზღაუროს და პასუხი პირადი ქონებით უნდა აგოს, მაგრამ, სტატისტიკის თანახმად, გაკოტრების საქმეებში მეშვიდე თავის შესაბამისი განცხადებები ჭარბობს. ამ თავის მიხედვით, მოვალემ უნდა დაფაროს ვალის ძირითადი ნაწილი და მისი უძრავი ქონება ხელუხლებელი დარჩება. ამასთან, მოვალეს საშუალება ეძლევა, მთლიანად გათავისუფლდეს ძველი ვალისაგან და ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

ამრიგად, უძრავი ქონების სულ უფრო მეტი მფლობელი უბრალოდ უარს აცხადებს იპოთეკაზე იმის ნაცვლად, რომ დაფაროს ის. ეს განსაკუთრებით აქტუალური რეცესიის პირობებში გახდა. მე-13 თავი, როგორც გაკოტრების საქმეთა სპეციალისტები ამბობენ, ნორმალურ ეკონომიკურ სიტუაციაში მოქმედებს. ამ დროს მოვალემ თუ სამსახური დაკარგა, კრედიტი შეიძლება 3-4 თვით გადაავადოს და ახალ სამსახურში მოწყობის შემდეგ ამ თავის მიხედვით განაგრძოს გადახდა და ბინა შეინარჩუნოს. ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობის დროსაც კი მე-13 თავის შესაბამისად წარმოებული საქმეების მხოლოდ მესამედი მთავრდებოდა ვალის სრული და წარმატებული დაფარვით. ამჟამად მოქმედი გაკოტრების კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოებს არ აქვთ საამისო ინსტრუმენტები, რომ ვალის ძირითადი თანხა შეამცირონ, პროცენტები დიდ დროზე გადაანაწილონ ან საპროცენტო განაკვეთი შეცვალონ. ვინაიდან სასამართლოებს იპოთეკის პირობების კორექტირების არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ, მოვალეები იძულებულნი არიან, უარი თქვან იპოთეკაზე.

**იპოთეკური ბანკების ასოციაციის — „MBA“-ს მთავარი ეკონომისტის, ჯეი ბრინკმანის მონაცემებით, კრედიტის გადაუხდელობის ყველა შემთხვევის ნახევარი 90 დღეზე მეტი გადაცილებაა. ეს მაქსიმალური მაჩვენებელია „MBA“-ს მიერ სტატისტიკის წარმოების დაწყების დღიდან ამ დრომდე.**

2009 წელს ქვეყნის მასშტაბით კომპანიებისა და კერძო პირებისაგან სულ 1,4 მილიონი გაკოტრების განცხადება დაიწერა. ეს მონაცემი 32%-ით აღემატება 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. გაკოტრებების ამერიკული ინსტიტუტის დირექტორმა სემუელ ჯერდანომ „Time“-ს განუცხადა, რომ 2010 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზრდება და, თუ მარტის მონაცემების მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი პროგნოზი უკვე მართლდება.

bankam.net.ua

# ავღანეთის პრეზიდენტს ნარკომანად თვლიან

**ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი ავღანეთის პრეზიდენტს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კარგ და საჭირო პარტნიორად მიიჩნევს, მაგრამ თავად ავღანელი ლიდერი ყოველთვის ისე არ იქცევა და ლაპარაკობს, როგორც მოკავშირეებს მოეწონებოდათ.**



„საერთო ჯამში პრეზიდენტ ყარზაისთან კარგად ვთანამშრომლობთ, ამგვარი თანამშრომლობა ჩვენი ავღანური სტრატეგიისათვის აუცილებელია... ის წარმოადგენს ადამიანს, რომელთანაც ჩვენ შეგვიძლია თანამშრომლობა, ვითანამშრომლებთ და ვალდებულნი ვართ ვითანამშრომლოთ“, — განაცხადა რასმუსენმა ორიოდე დღის წინ ჩიკაგოს უნივერსიტეტში გამოსვლისას. ამავე გამოსვლაში მან, ძირითადად, ავღანეთში დემოკრატიის მშენებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამხედრო და სამშვიდობო მცდელობების კომბინირებამ პირველი შედეგები გამოიღო.

სულ ცოტა ხნის წინათ კი თავად ყარზაი დაიმუქრა, რომ იმ ტერორისტული ორგანიზაციის მხარეს გადავა, რომელსაც ავღანეთში ნატოს კონტინგენტი ებრძვის. თეთრი სახლის წარმომადგენელმა ამის გამო სერიოზული შეშფოთება გამოთქვა, მაგრამ ჯერჯერობით აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ყარზაის მხარდაჭერას განაგრძობს. მისი აზრით, ყარზაის ავღანეთში აქვს „საკუთარი შიდა პოლიტიკა, რომელსაც უნდა მიხედოს“, აშშ-ისთვის კი ის „კრიტიკულად მნიშვნელოვან პარტნიორად“ რჩება.

**მთელ ამ არეულობას ისიც დაემატა, რომ გაეროს გენერალური მდივნის ყოფილმა წარმომადგენელმა ავღანეთში, ამერიკელმა პიტერ გელბრეიტმა განაცხადა, ჰამიდ ყარზაი ნარკომანიაო. სხვათაშორის, ავღანეთი მსოფლიო ბაზრისთვის ოპიუმის მთავარ მიმწოდებლად რჩება და იქ ოპიუმის ყაყაჩოს წარმოება კოალიციის ძალების ჩასვლიდან დღემდე, კლების ნაცვლად, იზრდება.**

გელბრეიტის აზრით, ყარზაი ემოციურად „არამდგრადი“ ადამიანია და ეს მძიმე ნარკოტიკული დამოკიდებულების შედეგია. „ყარზაი მრისხანე ტირადებისადმი მიდრეკილი ადამიანია, რომელსაც იმპულსური ქმედებები ახასიათებს. მასთან დაახლოებული ზოგიერთი ადამიანი ამბობს, რომ პრეზიდენტს ავღანეთის ყველაზე ექსპორტირებადი პროდუქტისადმი მიდრეკილება ახასიათებს“, — ბრძანა ამერიკელმა დიპლომატმა.

უნდა აღინიშნოს, რომ, ამერიკული მასმედიის მონაცემებით, ავღანეთში თითქმის უმსხვილესი ნარკობარონი პრეზიდენტის ძმა ახმად ვალი ყარზაი გახლავთ.

**თავად ავღანელი ჩინოვნიკები ყარზაის ცვალებად ხასიათს დაძაბული სამუშაო გრაფიკითა და ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობით ხსნიან.**

გელბრეიტის განცხადება ნაწილობრივ შესაძლოა იმანაც განაპირობა, რომ ყარზაიმ ამერიკელ დიპლომატებს „კორუმპირებულები“ უწოდა. ერთი კვირის წინ ყარზაიმ დასავლეთის ქვეყნები და კონკრეტულად ამერიკა ქრთამის საშუალებით ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებაში დაადანაშაულა. მთავარ კორუფციონერად სწორედ გელბრეიტი სახელდებოდა.

ვაშინგტონმა უკვე გამოთქვა შეშფოთება ამის გამო და ისიც დასძინა, რომ მაისისთვის დანიშნული ობამა-ყარზაის შეხვედრა, შესაძლოა, არ შედგეს.

**რაც შეეხება გელბრეიტს, ყარზაის ბრალდებებთან დაკავშირებით მან „The Washington Post“-ს განუცხადა, რომ არჩევნები სწორედ ავღანეთის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა გააყალბა თავის სასარგებლოდ. მისი ხმების მესამედზე მეტი ყალბი აღმოჩნდა, მაგრამ, როდესაც გელბრეიტმა ამის თაობაზე გაეროს აცნობა, შედეგად, სათანადო რეაგირების ნაცვლად, სამსახურიდან გათავისუფლება მიიღო.**

Newsru.com

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## „Wall Street Journal“-ის ყოფილი რედაქტორი პოლ კრეიგ რობერტსი:

# ვინაიდან კალამი ცენზურის მსხვერპლია, მისი ძალა კი — განადგურებული, მე განზე ვდგები

**ერთ დროს კალამს ხმალზე მეტი ძალა ჰქონდა; ეს მაშინ, როდესაც ადამიანებს სჯეროდათ სიმართლის ძალის და მას რომელიმე ხელისუფლების, კასტის, რასის, იდეოლოგიური, პირადი ან ფინანსური ინტერესების მსახურად არ მიიჩნევდნენ. დღეს ამერიკელებს პროპაგანდა მართავს. ისინი ყურადღებას არ აქცევენ სიმართლეს, რადგან მასზე ხელი პრაქტიკულად არ მიუწვდებათ, ამასთან, ძალიან მცირე შანსი აქვთ იმისა, რომ, თუ სადმე მაინც წააწყდებიან, მისი გამოცნობა შეძლონ.**



პოლ კრეიგ რობერტსი

როცა სიმართლე არასასურველი და არასასიამოვნოა, სჯობს, მას საერთოდ არ გაეკარო. ვინც სიმართლეს ამბობს, „ანტიამერიკელად“, „ანტისემიტად“, „შეთქმულების თეორიის მონაწილედ“ გამოცხადების საფრთხის წინაშე დგას.

სიმართლე ერთგვარ უხერხულობას წარმოადგენს ხელისუფლებისთვის და იმ დაინტერესებული ჯგუფებისათვის, რომელთა ფულიც ხმარდება ხელისუფლების კონტროლს. სიმართლე უხერხულობას წარმოადგენს პროკურორებისთვისაც, რომელთაც დამნაშავისა და უდანაშაულოს გამოვლენა კი არა, დამადანაშაულებელი განაჩენის გამოტანა სურთ. სიმართლე უხერხულობას წარმოადგენს, ასევე, იდეოლოგთათვის.

**დღეს მათი უმრავლესობა, ვისი მიზანიც თავის დროზე სიმართლის გამოვლენა იყო, ამ სიმართლის დამალვისთვის დიდ ფულს იღებს.**

**ეკონომისტები ფულს იღებენ „ახალი ეკონომიკის“ იმ მითიური კონსტრუქციების შექმნისათვის, რომლებიც, ძირითადად, ამერიკელების მიერ საზღვარგარეთ წარმოებული ინოვაციებისა და ფინანსური მოღვაწეობისაგან შედგება. ამ „ახალ ეკონომიკაში“ მონაწილეობისათვის ამერიკელებს ერთადერთი რამ სჭირდებათ — ფინანსური განათლება. შემდეგ წავლენ უოლ-სტრიტზე სამუშაოდ და მილიონობით დოლარს მიიღებენ.**

ექიმები პროფესიონალურ გამოცემებში აქვეყნებენ იმ კვლევის შედეგებს, რომლებიც ფარმაცევტულმა კომპანიებმა დაუკვეთეს და რომელთა მიხედვითაც ამავე კომპანიების მიერ წარმოებული წამლები ერთადერთი გამოსავალია. ევროსაბჭო იძიებს ფარმაცევტული კომპანიების როლს ვაქცინის გაყიდვიდან მილიარდების მიღების მიზნით ღორის გრიპის პანდემიის გაყალბების საქმეში.

მასმედიის დახმარებით, აშშ-ის შეიარაღებულმა ძალებმა თვალებში ნაცარი შეაყარეს მთელ მსოფლიოს, დაუმტკიცეს, რომ ავღანური მარჯა არის ქალაქი, სადაც 80 ათასი ადამიანი ცხოვრობს და რომელსაც თალიბები აკონტროლებენ. როგორც აღმოჩნდა, მარჯა ქალაქი კი არა, სოფლებისა და ფერმების ერთობლიობაა.

ცალკე თემაა გლობალური დათბობა, რაზეც ათასგვარმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, გაერომ და ატომურმა მრეწველობამ ნამდვილი შეთქმულება მოაწყეს და განკითხვის დღის ახალი სცენარის შეთხზვით, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით, დიდი შემოსავალი მიიღეს.

მოკლედ, საითაც გაიხედავ, სიმართლე ყველგან ფულს ეწირება. იქ, სადაც სიმართლის დასამარხად საკმარისი რაოდენობის ფული არ არის, საქმეში უცოდინარობა, პროპაგანდა და ცუდი მეხსიერება ერთვება.

1970-იან წლებში ცსს-ს დირექტორის — უილიამ კოლბის მიერ მიცემული ჩვენების შედეგად, პრეზიდენტებმა ჯერალდ ფორდმა და რონალდ რეიგანმა გასცეს ბრძანებები, რომელთა მიხედვითაც ცსს-სა და საიდუმლო ოპერაციებით დაკავებულ სხვა ჯგუფებს უცხოეთის ქვეყნების ლიდერების დახოცვა აეკრძალათ. 2010 წელს ეროვნული დაზვერვის დირექტორმა დენის ბლერმა აშშ-ის კონგრესს უამბო, რომ ახლა აშშ არა მხოლოდ უცხოელ ლიდერებს, არამედ საკუთარ მოქალაქეებსაც ხოცავს.

ბლერმა კონგრესის დაზვერვის კომიტეტს უთხრა, რომ აღარაა საჭირო ადამიანის დაპატიმრება, ბრალდების წაყენება, გასამართლება და განაჩენის გამოტანა, აშშ-ის მოქალაქეები შეიძლება პირდაპირ დახოცო, თუ ეჭვობ, რომ ისინი „საფრთხეს“ წარმოადგენენ. ამის გამო ბლერისთვის არავის წაუყენებია რაიმე ბრალდება, არავის არაფერი გამოუძიებია. აშშ-ის ხელისუფლებაში არავის შექმნია პრობლემები აშშ-ის მოქალაქეების მკვლელობების გამო.

**როგორც ეკონომისტი, გაოგნებული ვარ — ამერიკის ეკონომიკურ ისტებლიშმენტს აზრადაც არ მოსდის, რომ აშშ-ის ეკონომიკა აუტსორსინგმა და ამერიკული საერთო შიდა პროდუქტის სხვა ქვეყნებში გატანამ გაანადგურა.** აბსოლუტურ უპირატესობას ან იაფ მუშახელსა და მაქსიმალურ „ბონუსებს“ გამოდევნებულმა ამერიკულმა კორპორაციებმა ტოპ-მენეჯმენტისათვის საქონლის წარმოება და მომსახურება (რომელსაც ამერიკელები ყიდიან) გადაიტანეს ჩინეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. როდესაც ვკითხულობ, როგორ აღწერენ ამ პროცესს ეკონომისტები, როგორც შედარებით უპირატესობებზე დაფუძნებულ თავისუფალ ვაჭრობას, ვრწმუნდები, რომ ამერიკელ ეკონომისტებს აღარც ჭკუა შერჩათ და აღარც — პრინციპები.

**გონებაცა და პრინციპებიც ფულზე გაიყიდა. ტრანსნაციონალური ან გლობალური ამერიკული კორპორაციები მრავალმილიონიან ჯილდოებს აძლევენ თავიანთ ტოპ-მენეჯერებს, რომლებიც ამ მილიონებს ამერიკული შრომის უცხოურით ჩანაცვლების შედეგად შოულობენ. მაშინ, როდესაც ვაშინგტონი „მუსლიმანურ საფრთხეზე“ დარდობს, უოლ-სტრიტი, ამერიკული კორპორაციები და „თავისუფალი ბაზრის“ ჩასაფრებული საფრთხეები ამერიკულ ეკონომიკასა და ათობით მილიონი ამერიკელის პერსპექტივებს მიწასთან ასწორებენ.**

ამერიკელების უმეტესობა პოლიციური სახელმწიფოს ხელში სათამაშოებად იქცნენ.

ამერიკელებმა დაუჯერეს ხელისუფლებას, რომ უსაფრთხოება მოქალაქეობრივ თავისუფლებებზე და ხელისუფლების მხრიდან ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულებაზე დროებით უარის თქმას მოითხოვს. **ზოგი ამერიკელი მიიჩნევს, რომ დაკავებულის სასამართლოში წარდგენის მიწერილობა და სათანადო სამართლებრივი პროცედურები მათ კი არა, „ტერორისტებს“ იცავს.** მრავალ ამერიკელს სწამს, რომ კონსტიტუცია არის ძველისძველი დოკუმენტი, რომელმაც საკუთარი თავი ამოწურა და ხელისუფლებას ხელს უშლის პოლიციური სახელმწიფოს უფლებამოსილების განხორციელებაში, ანუ — ამერიკელებისთვის თავისუფლებისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში.

ამერიკელთა უმეტესობას არ აინტერესებს საწინააღმდეგო აზრი.

**ამერიკული კორპორატიული პრესა სიმართლეს არ ემსახურება, ის ხელისუფლებისა და ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფების ინტერესებს გამოხატავს.**

**ამერიკის ბედი მაშინ გადაწყდა, როდესაც საზოგადოება და ანტისამხედრო მოძრაობა ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ 11 სექტემბრის შეთქმულების თეორიაზე წამოეგო. ხელისუფლების მიერ მოყოლილი ისტორიები უამრავ მტკიცებულებას ეწინააღმდეგება. ომებსა და პოლიციურ სახელმწიფოზე ჩივილს აზრი არ აქვს, თუ მათი საყრდენი საწყისი დებულება მისაღებია.**

ტრილიონობით დოლარად ღირებულმა ამ ომებმა ვაშინგტონის საბიუჯეტო დეფიციტების დაფინანსების პრობლემები წარმოშვა და დოლარს, როგორც მსოფლიო სარეზერვო ვალუტას, პრობლემები შეუქმნა. ომებმა და ზეწოლამ, რომელსაც ბიუჯეტის დეფიციტი ახორციელებს დოლარზე, სოციალური დაზღვევისა და მოხუცთა სამედიცინო დახმარების პროგრამები შეკვეცის საფრთხის წინაშე დააყენა. ბანკ „Goldman Sachs“-ის ყოფილ ხელმძღვანელსა და აშშ-ის ყოფილ ფინანსთა მინისტრ ჰენკ პოლსონს სურს, რომ მოხუცებს ეს დახმარება გაუუქმოს, ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელი ბერნანკეც მათკენ იშვერს ხელს. იგივე შეიძლება ითქვას რესპუბლიკელებზეც.

**ქვეყანაში უმუშევრობა 21%-ს აღემატება, სამუშაო ადგილები, საერთო შიდა პროდუქტი და ტექნოლოგიები ჩინეთსა და ინდოეთშია გატანილი, ვაშინგტონის მთავარი მოვალეობა ომია, დოლარი სახელმწიფო ვალში იხრჩობა, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები „ტერორიზმთან ბრძოლას“ შეეწირა, ამერიკელი ხალხის თავისუფლება კი ისტორიის სანაგვეზე გდია.**

**ამერიკისა და ისრაელის სახელმწიფო მილიტარიზმი, ისევე, როგორც უოლ-სტრიტისა და კორპორაციების სიხარბე, კვლავაც გაგრძელდება. ვინაიდან კალამი ცენზურის მსხვერპლია, მისი ძალა კი — განადგურებული, მე განზე ვდგები.**

**პოლ კრეიგ რობერტსი**
„Wall Street Journal“-ის ყოფილი რედაქტორი, აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ყოფილი თანაშემწე.
„Truth Has Fallen and Taken Liberty With It“

# 102 წლის სკოლის მოსწავლე



**ჩინეთის პროვინცია შანდუნის ქალაქ ციზნანის სკოლაში 102 წლის მოსწავლე ჰყავთ. მა სიუსიანი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა, სკოლაში ესწავლა, მაგრამ 13 წლიდან მუშაობის დაწყება მოუხდა, 18-ისა კი — გათხოვდა.**

ქალაქის სკოლამ მოხუცთან ინტერვიუდან შეიტყო მისი ოცნების შესახებ და შესთავაზა პირველ კლასში მიღება. გაკვეთილების მოსასმენად ის ყურსასმენ აპარატს იყენებდა, წიგნებს კი გამადიდებელი შუშით კითხულობდა. მა სიუსიანს ცხრა შვილი ჰყავს, უმრავლესობამ უმაღლესი განათლება მიიღო. როგორც მისი ერთ-ერთი ვაჟი, 58 წლის ფენსინი ამბობს, ახალგაზრდობაში დედამ მთელი ძვირფასეულობა გაყიდა, რომ შვილებისთვის სწავლის საშუალება მიეცა.

# ვინ გადაარჩინა „ტიტანიკი“?


ალექს ევანსი

**კარიბის ზღვაში იახტა, რომელსაც 1912 წელს აისბერგთან შეჯახების შედეგად დაღუპული სახელგანთქმული ლაინერის საპატივცემულოდ „ტიტანიკი“ უწოდეს, განსაცდელში აღმოჩნდა. აპარატურა მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ მუშაობდა, ტელეფონი იყო, რომელიც სიგნალს თანამგზავრიდან იღებდა.** იახტაზე მყოფ მარკ კორბეტს უცებ თავისი მეგობრის — **ალექს ევანსის** მობილურის ნომერი გაახსენდა. ბრიტანელი ალექსი საზოგადოებრივ საწყისებზე მაშველად მუშაობს, მაგრამ ამ დროს დედასთან ერთად „მარჯვე ხელების“ მსგავს მაღაზიაში იმყოფებოდა და, როდესაც უთხრეს, კარიბის ზღვაში „ტიტანიკი“ იძირებაო, რა თქმა უნდა, ხუმრობა ეგონა. მაგრამ შემდეგ ამ ხუმრობის დაჯერება მოუხდა და სანაპირო დაცვის სამსახურს დაუკავშირდა. ისინი ფრანგ და ამერიკელ კოლეგებს დაუკავშირდნენ და შემთხვევის ადგილას მაშველები გაგზავნეს. იახტაზე მყოფი სამივე ადამიანი გადარჩა.

# უცნაური მგზავრი, რომელიც ფიქრით თვითმფრინავის დასმას აპირებდა




**სინგაპურის პოლიციამ დააკავა ავსტრალიური ავიაკომპანია „Qantas“-ის სიდნეი-სინგაპურის რეისის მგზავრი, რომელიც იმუქრებოდა, რომ თავისი მდიდარი წარმოსახვის წყალობით, ფიქრით თვითმფრინავს დაჯდომას აიძულებდა.**

თვითმხილველთა თქმით, სინგაპურის საერთაშორისო აეროპორტში დაშვებამდე ორი საათით ადრე ერთ-ერთმა მგზავრმა განაცხადა, რომ თავისი საოცარი შესაძლებლობების დახმარებით თვითმფრინავს დაშვებას აიძულებდა. მოხალისე კოპერფილდს ჯერ სთხოვეს, დამშვიდებულიყო და თავისი ნიჭი სადმე სხვაგან გამოევლინა, შემდეგ კი აიძულეს, საკუთარ სავარძელზე გაუნძრევლად მჯდარიყო რეისის დასრულებამდე. თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ფიქრით თვითმფრინავის დასმა სავარძელში ჯდომით ვერ ხერხდება, ასე რომ, წარმოდგენა არ შედგა. ამ ავიაკომპანიას ბედი არ სწყალობს, ორიოდე დღით ადრე მის ერთ-ერთ თვითმფრინავში პილოტის კაბინაში ლამის მინა ჩამოვარდა და თვითმფრინავს იძულებით მოუხდა დაშვება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# თაჯ-ბექის სასახლის შტურმი —

**1979 წლის 12 დეკემბერი. შუადღე. ავღანეთის რევოლუციონერი დიქტატორი და სკკპ ცეკას გენერალური მდივნის — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახლო მეგობარი ჰაფიზულა ამინი ქაბულის რეზიდენციაში ბოლთას სცემს. ის უკვე გვამია, მაგრამ ამის შესახებ ჯერ არ იცის. სამაგიეროდ, იცის იმ 11 კაცმა, რომლებმაც სამთავრობო აგარაკზე სასიკვდილო განაჩენი დაწერეს. ეს ზეპირი განაჩენია, მაგრამ წერილობით გაფორმებულია როგორც პროლეტარული გულმოწყალების აქტი: აქაოდა, სიკვდილმისჯილმა თავად ითხოვა და უნდა დავეხმაროთო...**





ამინის სასახლე ქაბულში

# ამინის მმართველობის სამი ვარსკვლავური თვე

ეს არც საუწყებო და არც პარტიული გადაწყვეტილება, უფრო მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოს სახელმწიფოებრივი დადგენილებაა:

**დოკუმენტი**
**№312/2/0073**
**1979 წ. 4 დეკემბერი.**
**ბეჭედი 2477**
**№176 ოქმი, 82 პუნქტი**
**განსაკუთრებული**
**საქაღალდე**
**სკკპ ცკ**

**რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცეკას გენერალური მდივანი და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჰ. ამინი ბოლო ხანს დაჟინებით აყენებს საკითხს ქაბულში მისი რეზიდენციის დაცვის მიზნით საბჭოთა მოტომსროლელი ბატალიონის წარგზავნის შესახებ.**

**არსებული ვითარებისა და ჰ. ამინის თხოვნის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ავღანეთში ამ მიზნისთვის საგანგებოდ მომზადებული, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს 500-კაციანი რაზმის გაგზავნა უნიფორმებით, რაც არ გამოამზეურებს მათ კუთვნილებას სსრკ-ს შეიარაღებული ძალებისადმი. ამ რაზმის გაგზავნა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გათვალისწინებული იყო სკკპ-ის ცეკას პოლიტბიუროს 1979 წლის 29 ივნისის №ა156/IX გადაწყვეტილებით.**

**იმასთან დაკავშირებით, რომ ქაბულში რაზმის გაგზავნის საკითხი ავღანეთის მხარესთან შეთანხმებულია, შესაძლებლად მიგვაჩნია მისი სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის თვითმფრინავით გადასროლა მიმდინარე წლის დეკემბრის პირველ დეკადაში. ამხ. დ. ფ. უსტინოვი თანახმაა.**

**გთხოვთ, განიხილოთ.**
**ი. ანდროპოვი.**
**ნ. ოგარკოვი.**

1979 წლის სექტემბერში ჰავანაში მუშაობა დაიწყო კონფერენციამ, რომელსაც ავღანეთის მთავრობის მაშინდელი მეთაური ნ. მ. ტარაკიც ესწრებოდა.

***„კრასნაია ზვეზდა“***
***9.09.79***

***ჰავანა, 8.09.79 (ტასი)... ნ. მ. ტარაკის განცხადებით, ავღანეთში კონტრრევოლუციური დაჯგუფებები არ არის. ქვეყნიდან გაიქცა ახალი ავღანეთის ყველა მოწინააღმდეგე. ბევრი მათგანი ამჟამად პაკისტანში იმყოფება... ავღანელი ხალხი მზადაა, არჩეული გზით იაროს.***

კონფერენცია დასრულდა. უკანა გზაზე ტარაკი მოსკოვში გაჩერდა და თავის კოლეგა ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდა, შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის პრობლემებზე ესაუბრა და შინისკენ გაეშურა; სამშობლოში კი მოულოდნელი და ერთობ უსიამოვნო სიურპრიზი დახვდა.

***„პრავდა“, 18.09.79***

***ქაბული 17. (ტასი) გუშინ, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცეკას პოლიტბიუროს წევრის, ცეკას მდივნის შაჰ ვალის თავმჯდომარეობით, ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცეკას საგანგებო პლენუმი გაიმართა... პლენუმმა განიხილა ნ. მ. ტარაკის თხოვნა, რომელშიც ის იტყობინებოდა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო პარტიული და სახელმწიფოებრივი მოვალეობების შესრულებას ველარ შეძლებს. პლენუმმა მისი თხოვნის დაკმაყოფილება გადაწყვიტა.***

***პლენუმმა ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიის ცეკას გენერალურ მდივნად პრემიერ-მინისტრი ჰ. ამინი აირჩია...“***

ასე და ამგვარად, მორიგი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და ამინი ქვეყნის მეორე პირიდან პირველ პირად გადაიქცა. ეს ამბავი, ცხადია, მოსკოვშიც შეიტყვეს. ბრეჟნევი, რომელიც მცირე ხნის წინ ტარაკს ესაუბრებოდა, გაოგნდა და აღშფოთდა. თუმცა, თავი ხელში აიყვანა და ავღანეთის ახალ ლიდერს მხურვალე მილოცვა გაუგზავნა. გულის სიღრმეში კი გადაწყვიტა, რომ ამინს ჭკუას ასწავლიდა. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობებში გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი, მაგრამ მკაფიო ბზარი გაჩნდა.

ყველა პოსტიდან ჩამოგდებული ტარაკი კი გისოსებს მიღმა გაამწესეს. რაკი ცოცხალი ტარაკი ამინისთვის რეალურ საშიშროებას წარმოადგენდა, სასიკვდილო განაჩენმაც არ დააყოვნა.

***„პრავდა“, 15.01.80***

***ქაბული, 14. (ტასი)... 1979 წლის 8 ოქტომბერს ჰადუდი, ეკბალი და რუზი, ამინის „გვარდიის“ მეთაურის ჯანდადას ბრძანებით, რომელმაც, თავის მხრივ, შესაბამისი განკარგულება ამინისგან მიიღო, იმ შენობისკენ გაემართნენ, სადაც შინაპატიმრობაში ნ. მ. ტარაკი იმყოფებოდა, თავს დაესხნენ მას და მოაშთეს. ტარაკის გვამი მალულად გაიტანეს ქალაქგარეთ და ჯერჯერობით დაუდგენელ ადგილას დაასაფლავეს.***

24 დეკემბერს, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის თათბირზე თავდაცვის მინისტრმა უსტინოვმა გამოაცხადა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, ავღანეთში ჯარების შეყვანის თაობაზე, რაც მიზნად ისახავდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისთვის ინტერნაციონალური დახმარების აღმოჩენასა და სსრკ-ის უსაფრთხოებისთვის ნებისმიერი შესაძლო მუქარის აღმოფხვრას.

ჯარები საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე იკრიბებოდა — კოლის ნახევარკუნძულის ყველაზე ჩრდილოეთ ნაწილიდან დაწყებული, ყირიმით, ურალითა და დასავლეთ ციმბირით დამთავრებული. სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიებზე დისლოცირებული ნაწილებიდანაც კი მნიშვნელოვანი ძალები მოხსნეს და კუშკუსა და ტერმეზში გადაისროლეს. სწორედ აქ, ავღანეთის საზღვარზე შეიქმნა ახალი, მე-40 არმია.

ამასთან, კრემლში საიდუმლოდ მუშავდებოდა „შიდაპარტიული გადატრიალების“ გეგმაც, რომლის შედეგად უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა ჯარების ფართომასშტაბიანი შეყვანა ავღანეთში. ამ ამოცანის შესრულებაში ჩართეს მრავალი გენერალი, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი კაგებეს მთელი აგენტურა. ეს ზესაიდუმლო ოპერაცია იყო.

ქაბულის მახლობლად მდებარე ბაგრამის სამხედრო აეროდრომი მოწინავე რაზმების გადასაყვან პუნქტად იქცა. 9 დეკემბრის ღამეს განგაშით აღვიძებენ „მუსლიმანურ ბატალიონს“ და ბაგრამში გადაისვრიან, ხოლო 14 დეკემბრიდან აქ ყოველდღიურად 3-5 მძიმეწონიანი Ан-22 ეშვება, რომელთაგან თითოეულში ოთხამდე სადესანტო საბრძოლო მანქანა ეტევა. ბაგრამში ჩამოსული მუსლიმანური ბატალიონის მთელ პირად შემადგენლობას ავღანურ ფორმას ურიგებენ — ისინი ადგილობრივი სამხედრო მოსამსახურეებისგან არ უნდა განსხვავდებოდნენ...

აქვე, ბაგრამში, ტაშკენტიდან ცალკე თვითმფრინავით მალულად ჩამოდის ავღანეთის მომავალი ლიდერი ბაბრაქ ქამალი 8-კაციანი დაცვითა და მთავრობის სამი მომავალი წევრი: ვათანჯარი, ანახჰიტა და ნური (ტარაკის მმართველობის ხანაში მათ საპასუხისმგებლო სახელმწიფო პოსტები ეკავათ). ავღანეთის ტერიტორიაზე მათი ყოფნა მკაცრად გასაიდუმლოვდა — ისინი სამხედრო აეროდრომის განაპირას, კაპონირებში იმალებოდნენ და თავიანთი ცივი სამალავებიდან არც ღამით და არც დღისით არ გამოდიოდნენ.

**12 დეკემბერს აქვე განიხილეს ამინის ნეიტრალიზების გეგმა „მუსლიმანური“ ბატალიონის — „ალფას“ მებრძოლთა ძალებით. თუმცა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას დაასკვნეს, რომ ამ ამოცანის გადასაჭრელად ეს ძალები საკმარისი არ იყო. ამიტომ ოპერაცია რამდენიმე დღით გადაიდო, იქამდე, სანამ დამხმარე ძალა მოუსწრებდათ.**

გადატრიალების გეგმის განხორციელებაში ძირითადი დამრტყმელი ძალის როლი 103-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიას დაეკისრა, რომელიც ბელორუსიის ქალაქ ვიტებსკსა და მის შემოგარენში იყო დაბანაკებული. 10 დეკემბერს დივიზია საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს. ორი დღის შემდეგ კი ვიტებსკიდან, ნოვოპოლოცკსა და ბიხოვოდან მო-76-ების პირველი კოლონები აფრინდა. თითოეულ კოლონაში 30 თვითმფრინავი იყო, რომლებიც ჩიმკენტსა და ბალხაშში დაეშვნენ და დანარჩენებს დაელოდნენ... დივიზიის დარჩენილმა ნაწილმა ვიტებსკისა და ბალბასოვოს აეროდრომები მხოლოდ 23-24 რიცხვებში დატოვა. ისინი ჯერ შუა ურალში დაეშვნენ, შემდეგ კი გეზი სამარყანდის, ჩიმკენტის, ჩირჩიკის, ანიჯანის, ნამანგანისა და ენგელსის აეროდრომებისკენ აიღეს. ამ დროს მოწინავე სახმელეთო რაზმები ავღანეთის მთავარ გზებზე საკვანძო პოზიციებს იკავებდნენ.

22 დეკემბერს კუშკიდან მოტომსროლელი დივიზია დაიძრა. ყოველ ღამე ტანკების, ჯავშანტრასპორტიორებისა და ქვეითი საბრძოლო მანქანების კოლონები საზღვარს კვეთდნენ და ავღანეთის ტერიტორიის სიღრმეში მიიწევდნენ. ყველაფერი ავღანურ მხარესთან იყო შეთანხმებული. ავღანეთის პოსტებთან მიახლოებისას წინ თარჯიმნებს აგზავნიდნენ, შემდეგ კი კოლონა მოძრაობას აგრძელებდა. 26 დეკემბერს ქაბულისკენ მიმავალ კუშკა-გერატ-ყანდაგარის შემოვლითი გზაზე სრული კონტროლი დამყარდა. ამასთან, საბჭოთა ქვედანაყოფებმა კონტროლქვეშ აიყვანეს ქაბულისკენ მიმავალი პირდაპირი გზაც, რომელიც პული-ჰუმრის დასახლებულ პუნქტზე გადიოდა. მაგრამ პული-ჰუმრსა და ქაბულს შორის გიგანტურ კედლად აღმართულიყო გინდუკუშის მთიანი ქედი. ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლებოდა ამ თითქმის მიუდგომელი, ხუთკილომეტრიანი სიმაღლის მთების გადალახვა, სალანგის უღელტეხილზე გადიოდა. ზამთარში სალანგი ძალზე სახიფათო ადგილს წარმოადგენდა: საგზაო სერპანტინი დამრეცი ფერდობების გასწვრივ მიიკლაკნებოდა, მთებიდან დროდადრო ზვავი წვებოდა, ქვევით კი უფსკრულს დაელო ხახა. ამის მიუხედავად, სლანგის სტრატეგიული მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო.

ოპერაციის დრო ახლოვდებოდა.

25 დეკემბერს, მოსკოვის დროით 15 საათზე (უკვე ბინდდებოდა) თერმეზიდან პირველი ბატალიონები დაიძრა. იმავე ღამეს ყოველგვარი გართულებების გარეშე, მათ გზის პირას მდებარე ყველა ავღანური პოსტი გააუქმეს, ხოლო ჩირჩიკის მეოთხე სადესანტო-მოიერიშე ბატალიონი სალანგისკენ გაემართა გვირაბისა და მიმდებარე გზის ნაწილის დასაცავად. მეორე დღეს კი მოტომსროლელმა დივიზიებმა კოლონებად გადაკვეთეს საზღვარი...

**მაგრამ სალანგის უღელტეხილის გადალახვა ჯარებმა ვერ შეძლეს. სწორედ იმ დღეებში უამინდობის გამო იქ ურთულესი ვითარება შეიქმნა. რამდენიმე დღის განმავლობაში თოვდა, მთებიდან ხანგამოშვებით ზვავი წვებოდა. თოვლის საფარი იმდენად მაღალი იყო, რომ ნაღმები, რომლებსაც თოვლის გასაწმენდად ყრიდნენ, აუფეთქებლად იძირებოდა ნამქერში. რამდენიმე მანქანა და ტანკი უფსკრულში გადაიჩეხა. სალანგზე მოძრაობა შეწყდა. ქაბულისკენ მიმავალი ორივე სტრატეგიული გზის კონტროლქვეშ აყვანას ერთი დღე დასჭირდა. 26 დეკემბერს გზებს საბჭოთა ჯარები მთლიანად აკონტროლებდნენ.**

იმავე დღეს ნიჟნი პიანჯის დასახლებული პუნქტის რაიონში საზღვარი გადაკვეთა მესაზღვრეთა საბრძოლო ჯგუფმა. ამუდარიაზე კატერები და ბარჟები ფორსირებდნენ. ჯგუფის პირადი შემადგენლობის ნაწილი ავღანეთის მხარეზე გამაგრდა, დანარჩენები კუნდუზისკენ გაემართნენ. იქითვე აიღო გეზი ოშსკის საჰაერო-სადესანტო პოლკმა, რომელმაც საზღვარი იშკაშიმის მთიან რაიონში გადაკვეთა. ▶



„მუსლიმანთა“ ბატალიონი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ოპერაცია «შტორმი 333»

ღრმა ზურგში საჰაერო გზით ვიტებსკის საჰაერო-სადესანტო დივიზია გადაისროლეს. პირველი დესანტი 25 დეკემბრის განთიადსა და გვიან საღამოს ბაგრამსა და ქაბულში დაეშვა და იქვე გამაგრდა. მომდევნო ღამეს ავღანეთისკენ საჰაერო-სატრანსპორტო თვითმფრინავების უსასრულო კოლონები დაიძრა.

27 დეკემბერი გათენდა. ამინი, რომელსაც არაფერი უეჭვია, სტუმრებს მასპინძლობდა. ერთი სული ჰქონდა, მეგობრებისთვის თავისი ახალი სასახლე — პირადი აპარტამენტები და მდიდრული საძინებლები დაეთვალიერებინა. აქ იყვნენ ყველაზე დაახლოებული პირები: თანამოაზრეები, მინისტრები და პოლიტბიუროს წევრები ოჯახებითურთ.

**შუა ლხინისას (საათის ისრები 2-ს უახლოვდებოდა) ამინმა და მისმა მეგობრებმა თავი უქეიფოდ იგრძნეს: ორიენტაცია დაკარგეს, როგორც ძლიერი სიმთვრალისას ხდება ხოლმე და ძილმა სძლიათ. სტუმრებმაც გონი დაკარგეს და დაეცნენ, ზოგიერთს კი ისტერიული სიცილი აუტყდა... გონება დაკარგა ამინმაც. დაცვის უფროსმა, რომელიც მიხვდა, რომ მასობრივ მოწამვლას ჰქონდა ადგილი, პროდუქტების ექსპერტიზაზე გაგზავნა და მზარეულთა დაპატიმრება ბრძანა (სასახლის ორივე მზარეული და მათი თარჯიმანი საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ. ერთი მზარეული, სახელად მამოჯონი, ეროვნებით უზბეკი, კაგებეს დავალებას ასრულებდა და სწორედ მან ჩაყარა საწამლავი წვნიანში).**

მაშინვე დარეკეს საბჭოთა საელჩოს ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალსა და პოლიკლინიკაში, რათა საბჭოთა ექიმები ეხმოთ — თავინთ ექიმებს არ ენდობოდნენ. ექიმებმა ამინს კუჭი ამოურეცხეს, ნემსები და გადასხმები გაუკეთეს. მოწამლულ სტუმრებს კი ავღანელი ექიმები უწევდნენ პირველ სამედიცინო დახმარებას და შინ ან ჰოსპიტალში აგზავნიდნენ. საღამოს ექვს საათზე ადგილობრივი დროით, თავდასხმის ორგანიზატორებმა შეიტყვეს, რომ ამინი გადარჩა.

საკოორდინაციო შტაბი, რომელიც ქაბულში მყოფ საბჭოთა ჯარებს მართავდა, საბჭოეთის საელჩოში მდებარეობდა. მას ავღანეთში კაგებეს აპარატის ხელმძღვანელი, გენერალი ბორის ბოგდანოვი და მთავარი სამხედრო მრჩეველი, გენერალი მაგომედოვი უდგნენ სათავეში. ვითარება სასწრაფო მოქმედებას მოითხოვდა და შტაბმა გადაწყვიტა წინა დღეს დაგეგმილი ოპერაციის დაწყება კოდური სახელწოდებით „შტორმი-333.“ ოპერაციის მთავარი მიზანი ამინის ფიზიკურ ლიკვიდაცია და დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი ობიექტების ხელში ჩაგდება იყო.

19 საათსა და 15 წუთზე, ქაბულის დროით, ქალაქის ცენტრში აფეთქების ხმა გაისმა — ეს „ჭაში“ (მიწისქვეშა კავშირგაბმულობის კვანძი) ჩადებული უძლიერესი ნაღმის ხმა იყო. ამ ადგილას გადიოდა სადენები, რომლებიც მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების საიდუმლო კავშირს უზრუნველყოფდა. ამ აფეთქებამ მწყობრიდან გამოიყვანა მთელი ქალაქის კავშირგაბმულობა და ამინი და მთელი ცენტრალური სახელმწიფო ორგანოები გარე სამყაროს მოსწყვიტა. ამ დროს ვიტებსკის საჰაერო-სადესანტო დივიზიის სარდლობამ რაციით გადმოცემული პირობითი სიგნალით — ქაბულის ყველა მითითებული ობიექტის, ხოლო მუსლიმანთა ბატალიონმა თაჯ-ბექის სასახლის აღების ბრძანება მიიღო.

სასახლეს საზენიტო დანადგარებიდან ცეცხლი დაუშინეს. „მუსლიმანების“ რამდენიმე საბრძოლო მანქანამ მაშინვე დაიკავა მოხერხებული პოზიციები დაცვის ბატალიონთან და ცეცხლიც გაუხსნა. ავღანელმა ჯარისკაცებმა სუსტი ცეცხლით უპასუხეს. ეკიპაჟიდან ვერავინ შეძლო საბრძოლო ტექნიკამდე მიღწევა — ავღანური ტანკები ბრძოლაში ვერც კი ჩაერთნენ.

სასახლისკენ ათი ჯავშანტრანსპორტიორისა და საბრძოლო ქვეითი მანქანისგან შემდგარი კოლონა დაიძრა. მანქანებში „ალფას“ მებრძოლები ისხდნენ. მათ დაცვის გარე პოსტები გადათელეს და თაჯ-ბექისკენ გაემართნენ. მცირერიცხოვანმა დაცვამ წინააღმდეგობის გაწევა პრაქტიკულად ვერ შეძლო და „ალფას“ მებრძოლები ავტომატების ჯერით სასახლეში შეიჭრნენ, ყველა კარი შეანგრიეს და ყუმბარები შეყარეს. თაჯ-ბექის შტურმი სულ 40 წუთს გაგრძელდა. ამინი ჯერ ყუმბარის ნამსხვრევით დაიჭრა, შემდეგ კი ავტომატის ჯერით დაცხრილეს.

იმავე ღამეს „ალფას“ მებრძოლებმა სასახლის მიმდებარედ დახვრიტეს ყველა, ვისაც შენობაში წააწყდნენ — დაცვის წევრები, მომსახურე პერსონალი, ამინის ნათესავები, დარჩენილი სტუმრები — რამდენიმე ათეული კაცი. არ დაინდეს ბავშვები და ქალები.

დილით ქაბულის რადიომ გამოაცხადა:

***„დღეს დაიმსხვრა ამინისა და მისი თანამოაზრეების — სასტიკი ჯალათების, უზურპატორებისა და მკვლელების წამების მანქანა!“***

რადიომ შიდაპოლიტიკური ახალი ამბების გადმოცემისას, ასევე, განაცხადა, რომ ავღანელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის რევოლუციურმა სასამართლომ ამინს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი...

რატომ შეიქნა საჭირო ამინის ლიკვიდაცია? იმ რეპრესიების გამო ხომ არა, რომელსაც იგი ახორციელებდა? მაგრამ რეპრესიებს ტარაკის მმართველობის დროსაც ჰქონდა ადგილი, რაც ხელს სრულებითაც არ უშლიდა ქვეყნებს შორის მეგობრობის განვითარებას. აი, იმ გარემოებამ კი, რომ ტარაკის მოკვლით ამინმა თავისი უფროსი მეგობრის წინაშე დაუმორჩილებლობის დემონსტრირება მოახდინა, სერიოზულად შეაშფოთა კრემლი.

ოქტომბრის ბოლოს გრომიკომ, ანდროპოვმა და უსტინოვმა სკკპ ცეკაში საიდუმლო ცნობა აფრინეს, რომელშიც ნათქვამი იყო:

***„ტარაკის განადგურების შემდეგ ავღანეთში ძალზე რთული ვითარებაა. აშშ-ს დასაშვებად მიაჩნია ავღანეთის პოლიტიკური გეზის შეცვლა ვაშინგტონისთვის სასიკეთო მიმართულებით. სსრკ-თან ურთიერთობის სფეროში ამინის საქციელი სულ უფრო თვალნათლივ მიუთითებს მის არაგულწრფელობასა და ორპირობაზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არ მივცეთ ამინს საბაბი, რომ ჩვენი უნდობლობა იეჭვოს. ანტისაბჭოთა მიმართულებით ამინის შებრუნების შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან დამატებით წინადადებებს წარმოვადგენთ“.***

***პრავდა, 22.01.80***
***„გამოაშკარავებული შეთქმულება***
***ცერეუს მითითებისამებრ ამინი პაკისტანში დაბანაკებულ კონტრრევოლუციონერ ნაძირალებს შეეკრა და „ავღანეთის ისლამისტური პარტიის“ მეთაურებთან ერთად, გასული წლის 29 დეკემბერს განზრახული ჰქონდა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, რევოლუციის ერთგული ხელმძღვანელების, პარტიის აქტივისტების განადგურება და ქვეყანაში ერთპიროვნული დიქტატურის დამყარება.***
***...1979 წლის 4 ოქტომბერს ჰ. ამინმა ქაბულში საიდუმლო თათბირი გამართა, სადაც მან და მისმა თანამოაზრეებმა იმსჯელეს და დაამტკიცეს... სახელმწიფო გადატრიალების კონკრეტული გეგმები. „ავღანეთის ახალ სახელმწიფოში“ ცერეუს აგენტ ამინს „პრეზიდენტის“ როლი ეკისრებოდა... ვაშინგტონისა და ქაბულის გარკვეული წრეებიდან მიღებული ცნობებით, „აუცილებლობის შემთხვევაში“ გადატრიალების ინიციატორებს მხარს აშშ-ის შეიარაღებული ძალები დაუჭერს“.***

ცხადია, ამინი ისედაც ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას და ხელისუფლების სათავეში ყოფნის სამი ვარსკვლავური თვის განმავლობაში, იმ დღემდე, როცა ბაგე სპეცნაზელის ავტომატის ჯერმა სამუდამოდ დაუდუმა, საბჭოთა კავშირს წარამარა ეფიცებოდა ძმობას, ხოლო ამერიკულ იმპერიალიზმს ლანძღვაგინებით იკლებდა. მას ჩინებულად ესმოდა, რომ საბრძოლო მეგობრების დახოცვას მრისხანე ჩრდილოელი მეზობელი არ მოუწონებდა, ამიტომაც ეფიცებოდა სამარის კარამდე მეგობრობას, მაგრამ კრემლში მას აღარ ენდობოდნენ და ურჩი მმართველის შეცვლა უფრო თვინიერი ბაბრაქ ქარმალით სურდათ.




ტარაკის მკვლელები მუჰამედ ეკბალი და აბდულ ჰადუდი



ვიტებსკის დივიზია

## რუსეთი იარაღის უდიდეს მწარმოებელთა ოცეულშია

**რუსული კონცერნი „ალმაზ-ანტეი“, რომელიც საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს აწარმოებს, პირველი რუსული კომპანიაა, რომელიც მსოფლიოში იარაღის უდიდეს მიმწოდებელთა ოცეულში მოხვდა, რაზეც მსოფლიოს პრობლემათა კვლევის სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის რეიტინგი მეტყველებს. SIPRI-ს რეიტინგი მსოფლიოში იარაღის უდიდეს მწარმოებელთა ასეულს მოიცავს. 2008 წლის შედეგებით, ჩამონათვალში „ალმაზ-ანტეი“ მე-18 ადგილზე აღმოჩნდა.**

„ალმაზ-ანტეიმ“ 2008 წელს 4.34 მლრდ დოლარის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა გაყიდა. რეიტინგში მას კვალდაკვალ მიჰყვება ბრიტანული „როლს-როისი“ 2.78 მლრდ დოლარით (მე-17 ადგილი) და დასავლეთევროპული AM General-I, 4.04 მლრდ დოლარით (მე-19 ადგილი). „ალმაზ-ანტეი“ ერთადერთი რუსული კომპანია როდია, რომელიც იარაღის უდიდეს მწარმოებელთა ასეულში მოხვდა. რეიტინგის 37-ე პოზიციაზეა რუსული კომპანია „სუხოიც,“ რომელმაც 2.04 მლრდ დოლარის ტექნიკა გაყიდა. 58-ე და 59-ე ადგილები ასევე რუსულმა კომპანიებმა დაიკავეს.

SIPRI-ს მონაცემებით, 2008 წლის რეიტინგში რუსული კომპანიების წილად 10.8 მლრდ დოლარის გაყიდვები მოდის.

## რუსული ГАЗ 2975 Тигр-ი ჰამერის საპასუხოდ



**რუსული უგზოობის მანქანა ГАЗ 2975 Тигр-ი, რომელიც სპეცდანიშნულების რაზმებისთვისაა გათვალისწინებული, ГАЗ 23730 Тигр-ის მოდიფიკაციას წარმოადგენს და გორკის საავტომობილო ქახანაში იწარმოება. კაპოტის ქვეშ უძლიერესი, 5.9 ლიტრიანი სამუშაო მოცულობის ტურბოდიზელი Cummins B-180 აქვს.**

მასიური ბირბლებით ის ჯავშანტრასპორტიორს ჰგავს, თუმცა ასეცაა: საკიდარი მართლაცდა ჯავშანტრანსპორტიორისგანაა ნასესხები. მისი კორპუსი თერმულად დამუშავებული 5 მმ-იანი ჯავშანფურცლებითაა შედუღებული. დაჯავშნული ძარა ძალიან მტკიცე გამოვიდა, თანაც უნიფიკაციების წყალობით ავტომანქანას ძარა ეხსნება. ამგვარად, ერთსა და იმავე შასებზე შესაძლებელია სხვადასხვა — დახურული სამგზავრო და სატვირთო პლატფორმიანი დაჯავშნული ძარის დაყენება („ტიგრს“ ტონა-ნახევარი ტვირთის გადაზიდვა შეუძლია). თუკი კაბინის უკან საზენიტო კომპლექსს ანდა მძიმე ტყვიამფრქვევს დააყენებ, „ტიგრი“ საბრძოლო მანქანად გარდაიქმნება. უგზოობის ავტომანქანა 65 ათასი დოლარი ღირს (ამერიკული „ჰამერის“ ღირებულება 100.000 დოლარია). გარდა ამისა, „ტიგრის“ ენერგოშეიარაღება „ჰამერისაზე“ მაღალია. ამჟამად „ტიგრი“ სერტიფიკაციას გადის. მისი ტექნიკური მახსიათებლებია: სიგრძე 4610 სმ, სიგანე 2200სმ, სიმაღლე 2000 სმ, ტვირთამწეობა 1500 კგ, მაქსიმალური სიჩქარე საათში 125-140 კმ, აღმართამავლობის კუთხე 45 გრადუსი, მოხვევის მინიმალური რადიუსი 8.9 მ.

## ირანმა ახალი საზენიტო რაკეტების წარმოება დაიწყო



**ირანმა საშუალო რადიუსის მოქმედების Mersad-ის (ხაფანგი) საზენიტო რაკეტების მასობრივი წარმოება დაიწყო. ამის შესახებ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა აჰმად ვაჰიდმა განაცხადა.**

მისი თქმით, რაკეტებს „დაბალ და საშუალო სიმაღლეზე მფრენი თანამედროვე თვითმფრინავების განადგურება შეუძლია. Mersad-ის პირველი სერიული ნიმუშები ირანის შეიარაღებული ძალების აღჭურვილობაში 2010 წლის ბოლომდე გამოჩნდება. ახალი რაკეტის შესახებ ტექნიკურ დეტალებს ირანელი სამხედროები არ ახმაურებენ. ვაჰიდის თქმით, Mersad-ი „მაღალი დინამიურობითა“ და მიზანში მოხვედრის უნარით გამოირჩევა აქტიური რადიოელექტრული ჩახშობის პირობებშიც ახალი რაკეტა რადარებსა და სხვა სამხედრო სისტემებთან უწყვეტ კავშირში იქნება. საგულისხმოა, რომ ირანი აქტიურად ავითარებს სარაკეტო მრეწველობას. მიმდინარე წლის თებერვალში ირანში გაიხსნა Qaem-ისა და Toofan-5-ის რაკეტების მწარმოებელი ქარხნები. რაკეტების ტექნიკური მახასიათებლები უცნობია.

# მიირთვით «კაპრიჩოს» ტკბილეული სურვილისამებრ

თბილისში გაიხსნა იტალიური საკონდიტრო „კაპრიჩო“, რომელიც ახალი სიტყვაა საკონდიტრო წარმოებაში. პროდუქცია მსოფლიო სტანდარტის ტექნოლოგიებითაა შექმნილი. ეკოლოგიურად სუფთაა და ფასებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.

Capriccio
The Italian confectioner's shop



**„კაპრიჩო“** (იტალ.) ნიშნავს — **სურვილისამებრ** — ამდენად, ის მართლაც რომ აკმაყოფილებს ყველა ასაკის მომხმარებლის მოთხოვნას.

კომპანია, ძირითადად, ორიენტირებულია კრემიან და ფენოვან ნამცხვრებზე, ისეთებზე, როგორიცაა: კრუასანები, როგოლახი, როზენსი, ტორტი და სხვა კრემიანი ნამცხვრები. ეს ნამცხვრები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. ახლო მომავალში ასორტიმენტი უფრო გაიზრდება. ამასთან, საკონდიტრო მიიღებს შეკვეთებს ექსკლუზიურ ნამცხვრებზე.

ნებისმიერი სახეობა არის **„ფრეში“**, ანუ ახალი, ასევე, კომპანიის კაფეში შეგიძლიათ, დააგემოვნოთ ნამდვილი იტალიური პიცა და ქართული ხაჭაპური, რომელშიც გამოყენებულია ინოვაციური ელემენტები.

**ასჯერ გაგონილს — ერთხელ გასინჯვა სჯობს!**

**კომპანიის დევიზი მისსავე სახელწოდებაშია, რომელიც სურვილისამებრ განგაწყობთ ტკბილი სიამოვნებისათვის.**

კომპანია 2009 წლის დეკემბერში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული კონდიტერები: რეზო დევდარიანი, დავით ჩხენკელი და თემურ ვაშაკიძე, რომელთა გამოცდილება და ცოდნა კომპანიის წარმატების საწინდარია.



**ახალი პროდუქტი იყიდება შემდეგ მისამართებზე:**
**ყაზბეგის გამზირი №32, ვაჟა-ფშაველას პროსპ. №64,**
**ასევე თბილისის მაღაზიათა ქსელში.**
**ოფისის ტელ. 39-82-50.**

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

**მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77**

# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

FACT
www.fact.ge
ACM Group

საქართველო და მსოფლიო
ეწვიეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია განათლება დოკუმენტი დიალოგი PDF TV online
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net